

მნათობი

პირველი
ბიბლიოთეკა

114 /
1938 2

5-6

ზინაარსი

კრულმთარაბის
დიდი მხატვარი

კოეზია

ი. მონაზვილი

ზ. ქუჩიშვილი

კ. შიშინაძე

ს. მული

მეკარსოვი

პროზა

მ. ჯავახიშვილი

ს. თაყაძე

ვ. ლანგოვი

ლ. შიშინაძე

ლიტერატურის ისტორია

მ. შიშინაძე

ზ. ჯივლაძე

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ნ. ურუშაძე

წარსულიდან

ი. მთუნარია

ბიბლიოგრაფია

ბ. რუხაძე



ქრისტეწი
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირის ყოველთვიური
სალიბრატურო, სახელოვნო, და საზო-
გადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

5-6



წელიწადი მეცამეტე



სახელგამი

1936

ბფილისი

საქართველოს
პროლეტარების
ქრისტეწი
ბიბლიოთეკა

59844

1873


საკრედიტო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე
ნოე ზომლეთელი
ნიკო ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
ბრ. შურულაველი
შალვა რადიანი
გალაკტიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლევო ჭიაჩავი
პანტელეიმონ ჩხიკვაძე
დამნა შენგელია



რედაქციის მისამართი: ტფილისი, მანაშლას ქ. № 13. ტელ. № 3—55—25.
ფან. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.

კანტორის მისამართი: ტფილისი, კიროვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

საქართველოს
საბჭოთაო მემორიალი



მამისი ზოგადი

პროლეტარიატის დიდი მხაგვარი

ჩაპქრა გონების ლამპარი, შესწყდა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის გულსცემა. გაწყდა დიდი და ლამაზი ცხოვრების ძაფი. კაცობრიობის ორი ეპოქის მიჯნაზე — კაპიტალიზმის მწუხრისა და კომუნიზმის გარიტრაკზე — სცხოვრობდა, ჰქმნიდა, იბრძოდა, იტანჯებოდა, გულმხურვალე სიყვარულით უყვარდა, მგზნებარედ სძულდა დიდი რუსეთის ხალხის ამ დიდ შვილს.

გორკი სიტყვის გენიალური მხატვარი იყო. მის წიგნებში, მის სიმღერებში ჩამოქანდაკებული სახეები ჩასწვდნენ და სწვდებიან ათეული მილიონობით ადამიანების გრძნობისა და შეგნების მთელ სიღრმეს. გორკის მიერ დახატული ადამიანები ცოცხლებივით სდგანან ყველა იმის წინაშე, ვისაც ერთხელ მაინც წაუყიობავეს მისი ნაწარმოებნი, მას ჰქონდა შევარდნისებური მჭრელი თვალი, როგორსაც მხატვარს ისტორია საუკუნეში მხოლოდ ერთხელ აძლევს. მის ნაწარმოებთა ენა მარტივია და ხალხური, როგორადაც შეიძლება დიადი და ამავე დროს მარტივი იყოს ისტორიის მიერ რჩეული მწერლის ენა. მას საუცხოოდ შეეძლო დაენახა და გენიალურად უბრალო მხატვრული ფორმით განეხოვადებინა ნახული, გადმოეცა იგი ხალხის მასისათვის ისე, რომ სიყვარულითა და სიძულველით აღენთო ისინი თავის ნაწარმოებთა გმირებისადმი.

მერე რა სიყვარული, რა სიძულველი იცოდა მან! მშრომელი ადამიანისადმი სიყვარულით გამსჭვალულია გორკის ყოველი ნაწარმოები, — შეიძლება ითქვას, მსოფლიოში არცერთ დიდ მხატვარს ასე მართლად არ აუწყურია ადამიანთა „ფსკერის“ ცხოვრება. კაპიტალიზმის დროს, არავის მთელი თავისი საშინელებით ასე მართლად არ უჩვენებია მეფური რუსეთის ხალხის დაბალი ფენების ცხოვრება. ამასთან ერთად გორკიმ, პროლეტარიატის დიდმა მხატვარმა, როგორც არავინ, ისე შესძლო მხატვრული სახეებით ეჩვენებინა ოქროს სული მშრომელი ადამიანისა, რომელიც დათრგუნვილი და წაბილწულია კაპიტალიზმის დროს და თვალისმომჭრელად გაბრწყინდება ექსპლოატაციის წყობილების დამხობის შემდეგ. გორკის სიძულველი ამ წყობილებისადმი უდიდესი ძალის დინამიტია, რომელმაც უნდა ააფეთქოს ძალდატანებისა და ჩაგვრის საზიზღრობისა და სიბინ-

ძურის, სისხლისა და ანგარების, მეშინაობისა და ცხოვრების უფერულობის ძველი მსოფლიო. რევოლუციური მოქმედების საბედული გაქანების ადამიანს, მას მთელი თავის არსებით ^{სამშენებელი} ^{სამშენებელი} — ლაჩარი, ინერტული, ბეცი, თვითმოყვარე გონებაშეზღუდული ადამიანები. მეცნიერული სოციალიზმის მამათმთავარნი გორკის ნიჭის გაფურჩქნამდე დიდხნით ადრე სწერდნენ: ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავდნენ მსოფლიოს, ხოლო ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ შეეცვალოთ იგიო. ხალხის ქველზე უფრო დაბალი ფენებიდან გამოსულმა, რომელმაც თავის თავზე განიკადა ძველი მსოფლიოს სისაძაგლე და საზიზრობა, ალექსი მაქსიმეს-ძე გორკიმ მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე შესწირა იმას, რომ შეეცვალა ქვეყნიერება, ვარდაექმნა იგი. და მის სიმღერათა და ზღაპრების, მოთხრობათა და რომანთა, ამბავთა და სტატიების ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის რევოლუციური მოქმედების კეთილშობილური ცეცხლი, მან თავისი სიცოცხლე ტყუილუბრალოდ როდი დაუჟავშირა ბოლშევიზმს, ტყუილუბრალოდ როდი იყო იგი ახლო მეგობარი ლენინისა და სტალინისა.

ლენინი არა ერთხელ სწერდა: „გორკი — უდიდესი მხატვრული ნიჭია, რომელმაც ბევრი სარგებლობა მოუტანა და მოუტანს მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას“. ლენინი სწერდა: „გორკი — პროლეტარული ხელოვნების უეჭველად უდიდესი წარმომადგენელია“, რომელიც „თავისი დიდი მხატვრული ნაწარმოებებით მტკიცედ დაუკავშირდა რუსეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას“. ბოლშევიზმის ნაპერწყმები, ლენინისა და სტალინის დიადი იდეები ანაყოფიერებდნენ სოციალისტური რევოლუციის გრიგალს დიდ მხატვრულ ნიჭს. პროლეტარიატის გამარჯვებამდე დიდი ხნით, ადრე, რეაქციის ბატონობის შევზნელ დღეებში, გორკი გრძნობდა მომავალ გრიგალს:

«Он уверен, что не скроют
Тучи солнца, нет, не скроют!..
— Буря! скоро грянет буря!
Это смелый буреви́стник
Гордо реет между молний
Над ревнушим гневно морем;
То кричит пророк победы:
— Пусть сильнее грянет буря!»

გორკის ხედა ბედნიერება მოეხწია ჩვენ ღრომდე, როდესაც მის დიად სამშობლოში ამოვარდა სოციალისტური რევოლუციის გრიგალი და მთელ მსოფლიოში გამოანათა სოციალიზმის მზემ. ეს გამარჯვება ადვილად არ ყოფილა მოპოვებული. რუსეთის მუშათა კლასმა, რომელსაც ისტორიამ ბელადებად ლენინი და სტალინი მიანიჭა და რომელიც ის-

დროთა მდინარე. მშრომელი კაცობრიობის მეხსიერებაში მრავალ საუკუნეს ჩაუქრობელ ცეცხლად ენთება დიდი რუსი მწიგნობარის გენიალური მხატვრის, მშრომელთა უანგარო მეგობრის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლის — ალექსი მაჭიმეს-ძე გორკის სახელი.

მისი ცხედრის წინაშე დიად მწუხარებაში მყოფი ბოლშევიკთა პარტია, მუშათა კლასი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ხრის თავის დროშებს.

„პრავდა“ 19/VI.



მ. ჯავახიშვილი

ქალის გვირგვინი

რომანი *)

XIII

ქეთო ორ საათზე დაბრუნდა შინ. კიბეზე რომ ამოდრიოდა, გრიგოლის ბინიდან ანიკომ გამოიხედა და უთხრა:

— აქ მო, ქეთო. შენი საჩუქრები შეცდომით აქ შემოიტანეს და მეც მივიღე. ახლა ყველანი დაესივნენ და სინჯავენ. რა მშვენიერია, რა საუცხოვო რამ არის! იმ მხატვარს ნამდვილად შენ დაუხატიახარ. გენაცვალე მაგ თვალეებში, დაღვრემილი რათა ხარ? ხომ არაფერი შეგემთხვა?

ქეთომ არა უპასუხა რა და ოთახში შევიდა. სასტუმრო ოთახში თიოქმის ყველა ახატნელებს მოეყარათ თავი. ნიკო საქანელა სკამში გაწოლილიყო და დამკინავი ღიმილით შესცქეროდა თამარას, რომელსაც ქეთოს პალანტინი მოეხვივნა. ხელები მუფთაში ჩაეწყო, განივრად გაპენტელ თმაზე მაღალჯილიანი შაპო ძლივს დაემაგრებინა და კუთხით-კუთხემდის პრანკვით დადიოდა. ქეთო რომ, დაინახა, უცებ მოიძრო ყველაფერი, მაგიდაზე დაყარა და ხარხარით გავარდა.

შუბლმოღუშული ქეთო პირდაპირ მაგიდისკენ გაემართა და თავის ნივთებს დაავლო ხელი. მაგრამ ამ დროს გრიგოლმა უკნიდან მოხვია ხელები და უთხრა:

— არ გავიშვებ: ჩემი ბინიდან რომ ნაწყენი ვახვიდე, შენს ქორწილში მეც არ მოვალ და უარესად გეწყინება.

— თუ არ მაპატია, მეც არ მივალ, — გაისმა ხმა ოთახში, — და თუ მაპატია, ისეთ ლექსს ვუძღვნი და ისეთ თამაღობას გავეწვე, რომ მთაწმინდამ ზანზარი დაიწყოს.

ქეთომ მიიხედა და ელიზბარი დაინახა, რომელიც მარაოს პალმის უკან ატუხულოყო, ხელში ბოთლი და ჭიქა ეჭირა და გამოსვლას ვერ ბედავდა.

ქეთოს მალე ავიწყდებოდა დარდი. ახლაც უცებ მოეწმინდა სახე, პოეტს ეუუენა თვალეებით გაუღიმა და ჰკითხა:

*) გავრძელება. იხ. „მნათობი“ № 4

— მაშ დანაშაულს აღიარებ?

ელიზბარი საფარიდან ბარბაციტ გამოვიდა, ბოლოში მარჯვენა დადო, ზელები მეკრდზე გადიჯვარედინა, თავი ჩალუნა, მცირე ხანს იფიქრა და ბორძიკით წარმოსთქვა:

დამნაშავე ვარ ვით ამბოჯარი,
გამომიტანე მკაცრი სასჯელი,
თუ გინდ დამიხშე ცისკრისა კარი,
მარად მარგუნე ურვა მტანჯველი.

მაგრამ იესომ ხომ აპატივა იმ ავაზაკსა.
ვინც შეიწყალებს, თვითონც ცხონდება,
მონას სათნო ჰყოფს, გახდის აზატსა,
და ჩვენც მუდმივად მოგვაგონდება.

— ვაშა, ვაშა! — წამოიძახა გრიგოლმა და ტაში დაუკრა.

სანამ ელიზბარი ქეთოს თითებს ეტანებოდა და სასიანულო სიტყვებს ებურტყუნებოდა, მანამ ნიკო თავისებურად ამასხარავებდა პოეტს:

— ნეკის სიგრძე ლექსიცი კი ვერ უთქვამს ახალი ქართულით და თითებით ჩამოთვალა: — ამბოჯარი, ცისკარი, ურვა, ავაზაკი, შემოწყალე, ცხონდები, იესო სათნო მყავ, აზატი, სულ რვა სტრიქონში ცხრა მკვდარი სიტყვა გაურია.

მე ხუთას სიტყვაში ხუთ უცხო სიტყვასაც არ გაურევ, — შეუღრინა ელიზბარმა, — შენ კი ოცდახუთ სიტყვას იტყვი და სამ ქართულ სიტყვასაც ძლივს ჩაურევ.

— მაგალითად? — მიაწოდა ნიკომ.

— აჰა, ინებე. — და იმანაც თითებით ჩამოთვალა: — პროლეტარიატი ბოიკოტს, საბოტაჟს, მანიფესტაციას, დემონსტრაციას და რევოლუციას მოახდენს; კაპიტალის, ლატიფუნდიების, ფაბრიკების, რენტისა და ბანკების სოციალიზაციას, მუნიციპალიზაციას, ნაციონალიზაციას გამოაცხადებს და მექანიზაციას, ტელეფონიზაციას, სისტემატიზაციას, სტატისტიკაციას, მობილიზაციას განახორციელებს.

მათი სიცილი ზემო სართულში აიჭრა. ყველაზე ხმამაღლა ქეთომ გაიცინა და ელიზბარსაც მხოლოდ ეს უნდოდა. მაგრამ ქეთოს უცებ აკაკის „გლახები ყოფილხართ“ გაასხენდა და გულმა ჩქმეტა დაუწყო. სირცხვილისგან ხელახლა აღანძული სახე ხელებში ჩაიმალა, იდაყვები მაგიდაზე დააბჯინა და პაექრობას ყური აღარ მიუგდო.

ნიკო და პოეტი ხელახლა შეიბნენ. სტუდენტმა მწარედ უკბინა:

— შენისთანა პოეტი საქართველოში ჩეჩქივით ჰყრია. გოგებაშვილიც კი გაჯობებს, რა პოეტი ხარ! ლექსებს არც კი ვიბეჭდავენ.

— აბა რა გითხრა, ნიკოში! შენც კარგად იცი, რომ მე ენამოჭრილი იაღონი ვარ. ჩემს ლექსებს ცენზორი არ უშვებს. ეშინიანთ და იმიტომ არ ვიბეჭდავენ.



— შენი ეშინიანთ? ოხო-ხო! გაიგე, ბიჭო, გაიგე, რომ ტყელიად იმა-
ლები. არავინც არ გეძებს.

— შენც გინდა გამაბრიყვო და დამაჭერინო, მაგრამ შენაშენი ტყულები.
გეუბნები, ეშინიათ მეთქი. ლუდოვიკ მეთოთხმეტეს ყველაზე მეტად მწე-
რლებისა ეშინოდა. ამბობდა, შეიდიოდე მწერალს შეუძლიან რევოლუცია
მოახდინოსო. მისი ნათქვამი ლუდოვიკ მეთექვსმეტის დროს გამართლდა,
ვინაიდან საფრანგეთის დიდი რევოლუცია სწორედ მწერლებმა მოახდინეს.

ნიკომ ხელახლა გადინახარა და განუმარტა:

— იმ რევოლუციის შემზადებაში მწერალ დალამბერს, დიდროს, მონ-
ტესკიეს, რუსოს, ვოლტერს და სხვებსაც წილი მიუძღვით. ერთობასაც
თავის მწერლები ჰყავს და ნიკოლოზს მართლა ეშინიან იმათი, მაგრამ
გამაგებინე, შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ?

— ვინ არიან თქვენი ერთობის პოეტები? ილია და აკაკი?

— აკაკიმაც უმღერა ერთობას, — მიუგო ნიკომ, — ილიამ კი შენი
სანატრელი საქართველო ფეხქვეშ გასთელა. გაიხსენე „კაცია ადამიანი“,
„ბედნიერი ერი“ და მრავალი ამგვარი.

— შენი ქირიმე, ილიას ნუ გამახსენებ. — შეეხვეწა ელიზბარი. — ნამ-
დვილი ქართველი არასოდეს არ დაივიწყებს, რომ მან ქართულ ანბანს
ხუთი ცოცხალი ასო მოსჭრა.

ახლა კი ნიკოს გარდა გრივოლმა და ანიკომაც გაიცინეს.

— გეუბნები, შენ ქართლოსის დროს უნდა დაბადებულ იყავი მეთქი! —
შესძახა ნიკომ. — კისერს მოვიჭრი, თუ შენ ახლაც ქართული ქორონი-
კონით არა სწერდე.

— აგრე ვწერ, მაშა! აი, დარწმუნდი. — დაუდასტურა პოეტმა და
ჯიბიდან წერილი ამოიღო. — დღეს დილით მივწერე ჩემს პაპას, მაგრამ
მარკის ფული ვერ ვიშოვნე და ამიტომ ვერ გავგზავნე.

ნიკომ წერილი გამოართვა და ხმამაღლა წაიკითხა:

— „ჩუე წელსა: ლეინობისთვესა: ივ დღესა: უკვდავო: პაპა-ჩემო: ლო-
ნგინოზ: კვლავ: ურვითა: დიდითა: განპატიებულვარ: და ჯოჯოხეთი-
სებრ: ცეცხლსა: შინა: ვიწვი: რამეთუ:“

— ბიჭოს! არც ერთი შესვენების ნიშანი არ მოსჩანს. ყოველ სიტყვას
ორი წერტილი მოსდევს, ოხო-ხო! იხი-ხი!

— აგრე უნდა მეთქი, უფიცო, ურწმუნოვ! ქართველთა ღმერთი დღესაც
აგრე სწერს. — თინიანად წამოიძახა პოეტმა და ერთი ჭიქაც გადაჰკრა.

— ჭკუა ხომ არ შეგითხელდა? — ჰკითხა გაოცებულმა ნიკომ. — რო-
შელი ღმერთი?

— ის ღმერთი, რომელიც ვარძიაში ცხოვრობს და რომელმაც ქარ-
თულის მტეი სხვა ენა არ იცის. — სასოებით წარმოსთქვა პოეტმა.

ანიკომ პირველად გადაიწერა, ნიკომ კი გაიფიქრა, ხომ არ შეირყავო,
და აღარ გაიცინა. იყუჩა და ფრთხილად ჰკითხა:



ქართული

— ექიმ მიხეილ გედევანიშვილს ხომ არ იცნობ?
 — ფსიქიატრი შენა გჭირდება.
 — ვილასამ მითხრა, ელიზბარი კალიგრაფიას სწავლებს, არა?
 — თუ არა? — არ უსვენებდა ნიკო.

— ესწავლობ კი არა, კიდევ შევისწავლე. ერთი წელიწადი ვივარჯიშე და მთელი ქალაქი გადავაბრუნე, მაგრამ ერთი მანეთის საქმეც ვერ ვიშოვნე.

— კალიგრაფობას სჯობს ცოლი შეირთო და ათიოდე ერთგული ქართველი გაგვიზარდო. — ურჩია გრიგოლმა.

— ის ქალი შეირთე, მე და შენ რომ ვიცით, — გაუღიმა ნიკომ, — შეირთე და შენი ჭკუის შეილებს დაგიზარდის.

ელიზბარმა ამოიხარა და ერთი ჭიჭა ღვინო კიდევ დალია, ნარჩენ-წურწურით ჩამოექცა წვერზე და იატაკზედაც დაიღვარა.

„იმ ქალის“ გაგონებაზე ქეთომ თავი ასწია, გამოცოცხლდა და ნიკოს ჩააცვიდა:

— რომელ ქალზე ამბობ? სთქვი რაღა, ვინ არის?

— ეუამბო? — ჰკითხა ნიკომ ელიზბარს.

— ახლა სულ ერთია. — მიუგო პოეტმა, უიმედოდ ჩაიჭნია ხელი, მაგიდასთან ჩამოჯდა და პირსახე ხელეზში ჩაჰყო.

ქეთომ მისი „ახლა“ ასე გაიგო: რახან ქეთო მითხოვდება, ახლა რაც გინდა, ის უამბეო.

— ოდესღაც ელიზბარს ერთი ქალი მოეწონა. — დაიწყო ნიკომ და წამოიღვა. — არც კი გაუცენია. იყო მხოლოდ „შორით ბნედა, შორით კედომა, შორით დაგვა, შორით ალვა“, და მეტი არაფერი. სადაც შეჰხედებოდა, შორიდან აედევნებოდა და მიბნედილი მისდევდა. ამ დევნა-ოხვრაში ექვსიოდე თვე გავიდა. ქალმაც შენიშნა და ერთხელ თვითონვე გაუბედა: მოტრიალდა, გაუღიმა, რაღაც გამოჰკითხა და წაიყვანა. სადღაც რესტორანში შესულან და კარგად უყავნათ. კიდევ კარგი, რომ ილიკო შესწრებია და დანახარჯი გადაუხდია. ელიზბარმა ის ქალი გააცოცხლა. ქალმა შინ შეიპატიჟა, სკამზე დასვა და უთხრა, ახლავე მზად ვიქნებიო, თვითონ კი შირმას მიეფარა და ზუთიოდე წუთის შემდეგ დაუძახა, მობრძანდით, მზად გახლავართო. ელიზბარი ვერ მიხვდა, რისთვის იყო ის ქალი შემზადებული. მაინც შეიხედა და გაოცებული შედგა: ქალი გაწიშვლებულიყო და ლოგინში ჩაგორებულიყო. „რაღას უცდით, გაიხადეთ რაღა!“ — უთხრა ქალმა. აღშფოთებულმა ელიზბარმა უკან დაიწია და არტისტივით შესძახა: „Встань, оденься и сопротивляйся, подлая!“ — ადექი, ჩაიცვი და გამიძალიანდი, არამზადავ! იმ ქალს სიცილი აუტყდა, ელიზბარი კი გაცრუებული და გაბრაზებული გამოიქცა.

იქმყოფთაც სიცილი წასკდათ. ქეთო გულიანად კისკისებდა, თან ლამობდა სიცილი შეემაგრებინა, მაგრამ ვერ მოახერხა, მერმე საჩუქრებს

დასტაცა ხელი და შინისკენ გაიქცა. პირმოღმულმა ნიკომ ოქციონის სურათი ხატივით მიიყუდა მკერდზე და ქეთოს გაჰყვა.

— პა? როგორაო? — ველარ დამშვილდა გრიგოლი და მკანთოდ და ხანჯასმით გაიმეორა რამდენჯერმე: *Встань, оденься и сопротивляйся, подлая!* მშენიერია! შესანიშნავია! ზედგამოჭრილია! შე კაი კაცო, თუ მართლა მაგისტანა ხარ, როგორ მოერეოდი ქეთოსა! ყაჩაღანი ქალია. ფეხის ჩვრად გაქცევდა, ნაბაღსავით მოგფელავდა და სანაგვეზე გადაგავდებდა. *ობო-ხო! и сопротивляйся, подлая, обо-ხო!*

— ახლა მეორე ამბავიც გიამბო. — უთხრა ნიკომ გრიგოლს. — მოსკოვში ერთმა შედროგე მუყეკმა ჩვენი ელიზბარაი მაგრად მიპბეგევა. ორივენი მოსამართლესთან წაათრიეს. რომელია ნაცემი? — იკითხა მოსამართლემ. — მე ვცემე მაგასა. — განაცხადა ელიზბარამ. — სრული სიმართლეა, მაგან მცემს. — დაუდასტურა განარებულმა და გაოცებულმა მუყეკმა. მოსამართლემ ორივეს შეპხედა და ელიზბარს უთხრა: — თავპირი თქვენა გაქვთ ახვეული, მაშ ნაცემიც თქვენ იქნებით. — არა მეთქი, მაგან ერთიც ვერ დამარტყა. კიბიდან ჩამოვევარდი და თავპირი ამიტომ მაქვს შეხვეული. — სრული სიმართლეა. — დაუდასტურა ახმაზმა შედროგემ და აკენესდა. — ამ მხეცმა კინალამ მომკლა. ნეკნები ჩამიმტერია და ფილტვები დამიხეთქა. გთხოვთ ციხეში ჩასვათ, თორემ მოუკლავს არ გაძიშვებს. — აგრეა, სრული სიმართლეა. — დაუმოწმა ელიზბარამც. — გთხოვთ ჩვენი ნათქვამი ზუსტად ჩასწეროთ ოქმში და არც განჩინებაში დაივიწყოთო. მსაჯულმა ელიზბარს ორი თვის პატიმრობა მიუსაჯა, სამაგიეროდ ელიზბარამ განჩინების პირი ჩაიღო ჯიბეში და ახლაც ყველას აჩვენებს და გვეუბნება: მე თავმოყვარობამ მათქმევინა ტყუილი, იმას კი მიწიერმა ანგარიშმა ათქმევინაო. რეალურად კი იმ მუყეკს ელიზბარის ცემა შერჩა, ამან კი პროტოკოლის ამონაწერი წამოიღო და ციხეც იგემა.

— ყოვლად უეარგისი საბუთია. — განმარტა გრიგოლმა. — ეს მაგალითი პირადად ელიზბარს აბასიათებს.

— მეც მაგას ვეუბნები და ვერ დავაჯერე. მეც იმ მუყეკივით მოვიქცეოდი. რაკი ჩემი მოპირდაპირე თვითონვე იღებს ბრალს, თუნდ ციმბირშიც წასულა და თან ოქმის თორმეტი პირიც წაუღია. შენ კი, ელიზბარ, მიწიერ ცხოვრებაშიც პოეტუ ხარ მეთქი, ესე იგი ბედოვლათი ხარ და მეტი არაფერი.

ელიზბარამ თავი ასწია და ლიმილით სთქვა:

— დიად, პოეტი ვარ, მერმე რაო? კარლოს მეხუთეს უთქვამს: მე შემიძლიან უამრავი ესპანელი გრანდი შეეკმნა, ხოლო მზატერის ტიცინის ტოლს მარტო ღმერთი გააჩენსო.

— ნუ იგრიხები, ელიზბარ. — ურჩია ნიკომ.

— ახლა ყველანი ვიგრიხებით. — მიუგო პოეტმა. — ხომ იცი, რომ ზელიკის მოჭრილი კუდი დიდხანს იგრიხება ხოლმე.

— ვიცი, მინახავს. მერმე რა?

— პო და ჩვენი ახლანდელი თაობა თავის უზარმაზარ წინაპრის მო-
ჭრილი კუდია და ამიტომ იკლავება.

— ელიზბარ, პირზე რძე ძლივს შეგშრობიათ და უკვე დაბერებულ-
ხართ. — უთხრა გრიგოლმა.

— ჩვენი ხალხიც დაბერდა და მეც ადრე დაებერდი. — უბასუხა ელიზ-
ბარმა და ოდნავ გამოცოცხლდა. — დამიჯერეთ მეთქი: ჩვენი ვაჭაბუკებია
მხოლოდ „ვაჯაკთა ორდენს“ შეუძლიან.

— ესეც დაიწყო! — გააწყვეტინა ნიკომ და ხელჩაქნევით გავიდა ოთა-
ხიდან.

— ელიზბარს ერთი მსმენელი მაინც შერჩა და საყვარელ რაშს მო-
აჯდა:

— აბა ჩვენს ისტორიას გადავხედეთ. საქართველო მაშინ წამოიწვედა
ხოლმე, როცა ხალხს სათავეში ვაჯაკები ედგნენ. უდიდესი ვაჯაკები
იყვნენ ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე,
დიდი ალექსანდრე, დიდი მოურავი და ერეკლე მეფე. ვაჯაკობის კულ-
ტით არის გაელენთილი „ვეფხისტყაოსანი“, „ამირან დარეჯანიანი“ და
ოცობდე ამგვარი კლასიკური ნაწარმოები. ვაჯაკური სულით სუნთქა-
ვენ გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, აკაკი, ვაჟა და ყაზბეგი... წარ-
მოიდგინეთ, ილიასაც კი წამოსცდა მამაბაბური „ბაზალეთი“ და „ლი-
მიტრი თავდადებული“. საერთოდ კი, მიუხედავად მისი პატრიოტული
მოტივებისა, ილიამ, ბარათაშვილმა, ნინოშვილმა და გიორგი წერეთელმა
ჩვენი ვაჯაკური სული მყინვარის წვერიდან ხევში ჩამოაგორეს. ბარათა-
შვილი ქვითინის მეტი არაფერია. ნინოშვილიც თმას იწეწავს და სა-
ქვეწოდ მოსთქვამს იმის გამო, რომ გლეხი სიმონა მატარებელმა გა-
ქვლიტა, რომ მოსე მწერალმა ქრთამი აიღო, რომ ვილაყამ ვილაყას სცემა
და ქრისტინემ შეძავობა დაიწყო. ილიამ ერთი ლიპიანი მძორი თათქარიძე
იპოვნა და იმდენი ჯიჯგნა, სანამ სულს ამოართმევდა, წერეთელმა კი
სომეხთა ვაჭრებისგან ისწავლა და ჩვენც გეასწავლის, ხალხის ჯიბე რო-
გორ უნდა დაცალიერდესო. ახლა ზოგი მწერალიც და არამწერალიც
გლეხზე ლოცულობს, ზოგი — მუშაზე, და ზოგიც — ვაჭრუკანებზე, იმას
კი არაეინ ხედავს, რომ ეშმაკი ვაჯაკურ სულს გვაცლის და მის მაგიერ
ქუჭყიან ჩვარს გვიდებს სასულეში... უწინდელი პოეტი ფრთოსან მერანზე
იჯდა და ვარსკვლავებს ესაუბრებოდა, ახლანდელი კი დავარდნილ უჯო-
ზო ჯორზე შემჯდარა, ცალ ხელში მისი კუდი დაუჭერია და მეორე ხე-
ლით იმავე ჯორს უკმევს საკმეველსა.

გრიგოლი უნდობლად იღიმებოდა, მაგრამ დავა ზედმეტად მიაჩნდა და
მხოლოდ ჰკითხა:

— ვაჯაკობის ორდენი რალა არის?

— ამ ორდენმა ყველა ვაჟაკი უნდა შეაკავშიროს და ყველა ელიზბარკი გაავაჟაკოს.

— ვაჟაკობა რაღა არის?

ელიზბარმა დაწვრილებით განუმარტა: ვაჟაკი თავდაპირველად უნდა შეომარი, კეთილშობილი და პატიოსანი უნდა იყოს. მას ღრმად უნდა სძულდეს ტყუილი და მატერია, ხოლო სული, სინიდისი, სამშობლო, ქალი და მჭრელი ხმალი კერპად უნდა გაიხადოს.

— შრომა დაგავიწყდათ. — მიაწოდა გრიგოლმა.

— შრომა? — გაუკვირდა პოეტს. — შრომა რა სახსენებელია! შრომა ვაჟაკს დააკინებებს, მატერიას შეაკვარებს და ძუნწობას შეაჩვევს. შრომისთვის მაღალ ღმერთს მუშა და გლეხი გაუჩენია. „მუშა უნდა მუშაობდეს, მეომარი მეომრობდეს“.

— უკაცრავად, ელიზბარ! დონ-კიხოტი წაგიკითხავთ? — ჰკითხა გრიგოლმა და, პასუხი რომ არ მიიღო, ზეზე ადგა და დაუმბატა: — მობრძანდით, სადილი მზად გახლავთ. მართალია, ის ჩემისთანა მუშის ოფლით არის ნაშოვნნი, მაგრამ ეს არაფერია. მუშა უნდა მუშაობდეს, ელიზბარი ეომრობდეს, მაგრამ კარგსა იზამს ელიზბარი, რომ ილიას თავს დაანებებდეს. ოხო-ხო! ზომ გაიგეთ, რითმა გამომივიდა. მაშ მეც პოეტი ვყოფილვარ. აბა, მობრძანდით, ვაჟაკო ელიზბარ. ანიკო, სტუმარს საუკეთესო ლენო მოართვი!



საღდათების პატრული სასახლის ქუჩას გამოსცდა. პატრულის მეთაური კლიმიაშვილი იქაურობას აშტერდება და ხალხის გუშინდელ იერს რაღაც ცვლილებას ამჩნევს. გაფიცვა დღე-დღისით მძაფრდება. ქალაქში პურისა და წყლის მეტი აღარაფერი იშოვება. ხალხიც თანდათან იღუშება. ბრაზი გუბდება, გულიდან პირსახეზე ამოდის და რისხვის ნაოჭებში საფრდება. გუშინ ქუჩაში ერთი მოლიმარეც კი არ მოსჩანდა. ხალხს ისეთი იერი ჰქონდა, თითქო საცაა უნდა ეხუელა, სასახლეს უნდა მისკდომოდა და ყუმბარასავით აფეთქებულყო. ახლა კი აქა-იქ ღიმილი გამოკრთის და სასახლის პირდაპირ სიცილიმაც კი ამოხეთქა. მოქალაქენი ჩურჩულებენ და ურთიერთს რაღაც სასიხარულო ამბავს უამბობენ. სანდროს გულში და სახეზე კი კმუნვა მატულობს: რახან ხალხი ხარობს, მაშ სხვა ვინმეს უნდა ეწყინოს, რაკი გაღმელი იცინის, აღბათ გამოღმელმა უნდა იტიროს.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ გუშინ ერთად სამი კაციც კი ვერ შოიყრიდა თავს. ნება არ ჰქონდათ და იშვიათად ჰბედავდნენ, ახლა კი სამ-სამიც გროვდება და ხუთ-ხუთიც. რაღაცას კითხულობენ, კბარედ ბაასობენ, ხელებს იქნევენ და პატრულის დანახვაზე ნელნელა იშლებიან. რამდენი ხანია, რაც გაზეთები აღარ გამოდის, ესენი კი დაბეჭდილ რაღა-

ცას კითხულობენ. ცხადზე უცხადესია, რომ პროკლამაცია იქნება. ნუთუ ეს შრობი იმდენად ვათავებდდა, რომ აშკარად, შუა ქალაქში, სსსახლისა და კომუნდატურის გვერდით...

— თავისუფლებას გაუმარჯოს! — მოისმა ამ ცხელ ქუჩაში ქალის კანდიერი ყვირილი.

— მომყევით! სირბილით! — შესძახა კლიმიაშვილმა და მოზრდილ ჯგუფისკენ გაიქცა, რომელიც ქაშვეთის წინ მოგროვილიყო.

— გაუმარჯოს! — გაუბედავად შისცა მას ხმა სამიოდემ.

— მოდიან! — დაიძახა ვილაკამ და ის ჯგუფი ნაქორალი ქათმებივით გაიფანტა. დარჩა მხოლოდ ორი ქალი და ხუთიოდე ვაჟი, რომელთაც ფეხიც არ მოიცვალეს.

— სანდრო, თავისუფლებას გაუმარჯოს! — ერთხელ კიდევ შესძახა ქეთომ და მოულოდნელობით დაფეთებულ კლიმიაშვილის დაბეჭდილი დეპეშები მიაჩეჩა ხელში. — აჰა, წაიკითხეთ!

— ქალბატონო ქეთევან... ეს რა ამბავია? — ჩაიბურტყუნა სანდრომ და უნებურად ჩამოართვა დაბეჭდილი ფურცელი.

— წაიკითხეთ, წაიკითხეთ მეთქი! მეფის მანიფესტია. მანდ ყველაფერი სწორია: თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, შეკავშირებისა და ხელუხლებლობა პიროვნებისა. გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — მისცეს ხმა მართამ, ნიკომ, ლევანმა, რაქვენმა და რანდენიმე უცნობმა.

ეს ამბავი ახატნელთა ოჯახში აკაკიმ მოიტანა, სხაპასუპით უამბო ყველას და საჩქაროდ გაიქცა გაღმა, სადაც პარტიის კომიტეტი დღე-ღამე მუშაობდა. შინ ანდრიასი, მარიამისა და ბაღლების მეტი აღარავინ დარჩა. ყველამ საჩქაროდ ჩაიკცა და ქვევით დაეშვა.

კლიმიაშვილმა ხელში მიჩეჩებულ დეპეშებს თვალი გადაავლო და წაიღ უღლულა:

— მაინც მიკვირს... ანდრია ახატნელის შვილი ბრძანდებით, ქალბატონო ქეთევან, და ასეთი ხმით ყვირით ქუჩაში, ხალხსაც აგროვებთ და...

— კიდევ ბევრჯერ დავიყვირებ და მთელ ქალაქსაც მოვავგროვებ. — გამომწვევი კილოთი შეაწყვეტინა ქეთომ. — თქვენმა მეფემ მომცა ეს უფლება და ვსარგებლობ, თქვენ კი ნება არა გაქვთ ამიკრძალოთ.

— მე დარწმუნებული არა ვარ. ახლაც ვავიგებ და დავბრუნდები. მომყევით! — მიუგო აბნეულმა კლიმიაშვილმა და პატრული იქვე კომუნდატურისკენ წაიყვანა. მივიდა, გაიგო და გამობრუნდა, მაგრამ ხალხის სიხარულში აღარ ჩაჩეულა.

ქეთო რომ აქეთ მოზობდა, ქვემო სართულიდან უკანვე აბრუნდა, თავის სამზითვო წითელ აბრეშუმს მოზრდილი ნაჭერი მოაჭრა და უბეში ჩაიდო. ახლა ის ნაჭერს უბიძან ამოიღო, შაპოს მოახვია, თავზე დაიხურა, ნაჭრის გრძელი ბოლოები მხრებზე და მკერდზე გაიშალა და, წითლად

შემოსილი, საოპერო თეატრისკენ გაემართა. თავაწეული შილით ამხედ და ხანგამოშვებით ჰეროლდით უცხადებდა ჯერ კიდევ მორყეულ და უნდობარ ხალხს:

— მოგროვდით! შუა ქუჩაში გადადით! ნულარ გეშინიათ! თავისუფლებას გაუმარჯოს!

და მისი შეძახილის პასუხიც ხალხის მხრივ თანდათან ძლიერდებოდა: გაუმარჯოს! თვითმპყრობელობა გათავდა! მოგვილოცავს!

— მართლა თამაში ყოფილხარ. — დროგამოშვებით ამხნევებდა მას მართა, რომელიც გვერდით მისდევდა და თვითონაც დიწვი სიხარულით იყო გაელენთილი. — ყოჩაღ ქეთო! ყოჩაღ ქალო!

უცებ ლევანი შუა ქუჩაში გადავიდა და შესძახა:

— გადმოდით! ნულარ გეშინიათ! მოგროვდით!

ლევანს რაედენი, მართა, ნიკო, ქეთო და ოციოდე სხვაც მიუდგა, ხალხი კი ისევ შიშით და უნდობლობით იყო შეპყრობილი. არა სჯეროდათ, არც კარგად ესმოდათ. ისევ განზე დგომა, მოცდა და ჩურჩული ერჩინათ:

- პროვოკაცია იქნება მეთქი.
- დამიჯერე, ხაფანგს გვიგებენ.
- ჯერ მოვიცადოთ, ვნახოთ რა იქნება.



ქეთომ შორიდანვე დაინახა ქვევით მიმავალი ორი თეთრ-წვეროსანი, ტანადი და მსკოვანი — იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც თავისი დღენი ქართული ენის დარაჯობას შეაღია და თავის სახელმძღვანელოებზე რამდენიმე თაობა აღზარდა. მას მეორე პედაგოგი ნიკო ცხვედაძე მოსდევდა, რომელიც თითქმის მათხოვრობით აშენებდა მომავალ უნივერსიტეტს და ჯერჯერობით მას გიმნაზიას უწოდებდა. ესენიც ანდრიას შეგობრები აყენენ და ქეთოსაც იცნობდნენ.

ცხვედაძემ წითელში გახვეული ქალი დაანახა იაკობს, რაღაც უთხრა მას და ქეთოს თითი დაუქნია. მოულოდნელობით გაოცებული იაკობი შედგა.

ქეთოს ახლაც შერცხვა. მან თავი ჩალუნა და, თითქო ვერ იცნოს, ნელი ნაბიჯით წავიდა ოპერისკენ.

ახლა გრიგოლი შეეფეთა.

— ქეთო, ეგ რა ამბავია? — გაოცებით ჰკითხა მან და განზე გაიყვანა. — ასე აშკარად მიეყვდლე ერთობას? ავშაროვს უარი შეუთვალე?

— რად უნდა შემეთვალა უარი?

— ნუ თუ არ გესმის რას სჩადიხარ? — უწყალოდ სტუქაედა გრიგოლი. — არც მაგდენი ქარაფშეტობა ვარგა წითლად შემოსილხარ თურქის ქალივითა და შუა ქუჩაში დადებარ, ნუ თუ ისიც დაიფიქრე, რომ ზევ ქორწილია და ავშაროვის ვინაა უნდა? დუ ერთობის მედროშეობა გინდოდა, ჯერ ავშაროვის ვინაა უნდა? დუ თუ არა და, აბა



რასა ჰვავს ეგ საქციელი? ხომ იცი, რომ მე შენი არჩევანი არ მამწონს. მაგრამ ვერც მეგ ორპირობას მოგიწონებ. სირცხვილია. ხალხე მოიხსენი-
მოიხსენი მეთქი!

გრიგოლმა გონება-დაფანტულ ქეთოს საკუთარი ^{სიტყვით} ~~სიტყვით~~ ^{შეხვედრით} ~~შეხვედრით~~ წითელი მანდილი, რომელიც იქვე მდგომმა მართამ ჩამოართვა.

— მე მიბოძეთ, მე მჭირდება. — უთხრა მენ გრიგოლს, ის ნაჭერი ნიკოს წკებლას მიაბა, წითელ დროშად აჭკია, მაღლა ასწია და ისევ შუა ქუჩაში გადავიდა. იმ დროშის ირგვლივ ხალხი თანდათან მატულობდა.

ხალხის უმეტესობა მაინც ტროტუარებზე დადის, რალაცას ელის, ერთმანეთს ფრთხილად სინჯავენ და თანდათან იუჯერებენ, რომ სიზმარი თვალნათლივ უცხადდებოდათ: აღარც ყაზახები მოჰქრიან ხმალდახმალ, აღარც სალდათები ისვრიან თოფებს და აღარც რევოლვერ-ამოღებულ პოლიციელები შორბიან. დრომ ნაბიჯს უმატა. ხალხი თანდათან ფხიზლდება, თამამდება და წელანდელი ჩურჩულის ნაცვლად ახლა ნელი გუგუნო და ხმამაღალი სიცილი გაისმის. ყველგან ხშირდება და უკვე თვალსა სჭრას წითელი ფერი: წითელი ბაფთი, წითელი ყელსაბამი, ყელსახვევი, ცხივრ-სახოცი, კაბა, ხალათი და მრავალნაირი წითელი ნიშანი გამარჯვებული ერთობისა.

ზოგი ნაცნობ-მეგობარი ერთმანეთს ეხვევა, ზოგნი კიდევ ჰკოცნიან და ერთი მეორეს სიცილით და გაცემბთ ეკითხებიან:

— გამაგებინე, სიზმარია თუ ცხადი?

— ნუთუ მართლა თავისუფალი მოქალაქე ვარ?

— ვერ იქნა, ჩემი თავი ვერ დავაჯერე, რომ ჩვენ უფლება გვაქვს მოქალაქეთა კრება გავმართოთ, რომ მეც შემოძლიან იმ კრებაზე გამოვიდე და თავისუფლად ვილაპარაკო პოლიტიკაზე.

ვილაც ოზუნჯი ხმამაღლა იძახის:

— თავისუფლებას გაუმარჯოს! — და თან მეგობრებს ეუბნება: — აბა ვნახოთ, დამიპერენ თუ არა. მას არავინ აპატიმრებს. — თავისუფლებას გაუმარჯოს. — ყვირის ის უფრო ხმამაღლა და თანაც უკვირს, რომ არავინ კისერში არ წაჰკრა და პოლიციაში არ წაათრია. მას გამბედაობა ემატება: — ბიჭოს! ეს რა ამბავია? მართლა თავისუფალი ვყოფილვარ. — და ისე ბლავის, თითქოს მტკერის გაღმელს ეძახოდეს: — თავისუფლებას გაუმარჯოს მეთქი! გაუმარჯოოს! გაუმარჯოოოს!

არც ერთი პოლიციელიც აღარ მოსჩანს. სალდათებიც წაიყვანეს, მხოლოდ ყაზახებსა და დრაგუნებს დაჰყავთ დინჯად ცხენები და იმათაც ნელ-ნელა ეფანტებათ შიში და სიფრთხილე. აღარც ისინი ისვრიან და აღარც ისენი ხვრეტენ და ჰფლეთენ მათ საძაგელი ყუმბარებითა. აგერ იქ, შუა ქუჩაში, გურულ კილოზე მონაჭკევი მარსელური ისმის, წელანდელ მცირე ჯგუფს ასიოდე კაცი მომატებია. წითელ-დროშიანი მართა თამამად გასძახის მოძახილს. დრაგუნებს და ყაზახებს ეს საფრთხობელი სიმღერა ეს-

მით, ამაზე უფრო საფრთხობელ წითელ ფერსაც მრავლად ხედავენ, მაგრამ ისე არხეინად მიდიან, რომ გვეგონებათ, არც არაფერს ეძებენ და არც არაფერს ხედავენო. ზოგჯერ ერთმანეთს ორიოდ სვამენ, ერთმანეთს უღებენ, ოდნავ ჩაილიმებენ და ცალი თვალით ელამივით სჩხრევენ ყველას და ყველაფერს.

გოლოვინის ფართე ქუჩას წინიდან, უკნიდან და გვერდებიდანაც მდინარეებივით შესდის უთვალავი ხალხი. მთაწმინდა, ვერა, სოლოლაკი, შუა-ბაზარიც და აბანოს უბანიც კი მას მოასკდა.

ზურაბი თავის მეგობრებს შეხვდა და ნიკოს რაღაც განკარგულება მისცა. ნიკო საოპერო თეატრში შევეარდა და იქაურები დააფრთხო:

— ახლავე გამოიტანეთ რაც კი წითელი ფერის რამერუმე მოგეპოვებათ. ჩქარა, ერთობის კომიტეტი ვიბრძანებს!

კომიტეტის სახელს თილისშური ძალა მისცემია და ათიოდე წუთის შემდეგ თეატრის წინა აივანი წითელი ქსოვლებით და წითელი ხალიჩაფარდავით ირთვება.

წითელ-დროშოვანი ჯგუფიც აივანზე ავიდა. მართამ სახელდახელო ბაირალი იმ აივნიდან გადმოშალა და თვითონაც გადმოეყუდა. დარცხენილი ქეთო შორიახლოს მიჰყვა მას და იმ აივნის სვეტს ამოედარა. ფართე აივანი თანდათან ხალხით ივსება. აქ არიან ყველა პარტიის ცნობილი წევრები, მეთაურები, ყველაფრის მცოდნე რეპორტიორები და ყველგან მყოფი ჯაშუშები, რომელნიც ჯერ ფერავის გამოეცნო და ვერ გაემხილებინა.

ზურაბი და ვალმიდან დაბრუნებული აკაკი ერთად გამოვიდნენ აივანზე.

— დამიჯერე, სრული გამარჯვებაა მეთქი. — ეუბნებოდა ზურაბს აკაკი.

— მე კი გეუბნები, მხოლოდ დასაწყისია მეთქი გამარჯვებისა — ეუფო ზურაბმა და ირონიულად გაახსენა: — მგონი ჩვენს პროგრამა-მინიმუმში დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა ეწეროს.

— ეინ იცის პროგრამაში რა არ გვიწერია. — ხელჩაქნევით უპასუხა აკაკიმ. — ბრძნული ქართული ანდაზაც გაიხსენე: ვალმა გაედავე, გამოღმა დაგრჩებო.

— დაგრჩება და არხეინად მოისვენეო, აგრეა განა!

— ეგ მერმე გამოჩნდება.

აივანზე ატუზულმა ქეთომ ნაცნობ ხმებს მოჰკრა ყური, მოტრიალდა და —

ზურაბ! — დაუძახა. — გამარჯობა! თავისუფლებას მოგილოცაე!

— გაგიმარჯოს, ქეთო. ძალიან გიხარიან?

— მიხარია, მაშა! განა შენ კი გეწყენა?

— წყენა რა სათქმელია. მეც მიხარია, მაგრამ...

— ბიჭოს, ეს რა ამბავია? — გააწყვეტინა აკაკიმ. — მუჟგომა თქვენ ერთმანეთის ცნობაც კი არა გქონდათ, ნამდვილად მკრქნელობითაც ლაპარაკობთ?

— „შენ“—ობით სიხარულმა აგვალაპარაკა, — მიუგო ქეთომ, — ცნობით კი იმ დღიდან ვიცნობთ, როცა ზურაბი მეტეხიდან გამოიქცა. აკაკი, ის დღე გახსოვს თუ არა? ახლა კი აღარ დავმაღავ და ვიტყვი: იმავე დღეს ზურაბს პატრული დაედევნა. ზურაბი ჩვენს სახლში შემოვარდა.

— ვიცი, ვიცი. — გააწყვეტინა აკაკიმ. — შემოვარდა, ეზო გადასჭრა, კიბით ავიდა კედელზე, მეორე ეზოში ჩახტა და მიიმალა.

ქეთომ ვადიკისკისა:

— აბა-ბა! ძალიან კარგად გკოდნია. ეზოში კი არ ჩახტა, ჩემ ოთახში შემოვარდა, ჩემ ოთახში მეთქი! იქ დავმაღე და იმ დღიდან დავმეგობრდით.

ის ამბავი ქეთომ გაოცებულ აკაკის სხაპასხუბით უამბო და ისიც კი დაუმბატა, რომ ეს საიდუმლოება ავშაროვმაც გაიგო და არ ვასცა.

— ქალო, გაჩუმდი, თორემ გაიგებენ და შენს ავშაროვს სასტიკად დასჯიან. — სისინით ურჩია აკაკიმ.

— მართლა, მეც უნდა მოგილოცო. — ავშაროვის სახელის ვაგონებაზელა გაახსენდა ზურაბს. — ზეგ ქორწილი გქონიათ.

ისედაც ალექსილი ქეთო ცეცხლივით აენთო. ავშაროვის გახსენება წელანაც ეწყინა, ახლა კი საჯაროდ ულოცავენ! ისიც ვინ? ზურაბი, ზურაბ გურგენიძე ულოცავს!

ვილაცამ აკაკი განზე გაიყვანა.

— ნუ, ზურაბ, ნუ მომილოცავ. — ამოიკენესა ქეთომ და ხელები სახეზე აიფარა. — შენ მაინც ნუ მომილოცავ.

— რატომ. ქეთო, რატომ არ უნდა მოგილოცო?

— მაგას ნუ მკითხავ... დღევანდელმა ამბავმა ისე ამრია, რომ არა, კი ვეცი, ავშაროვს ეკლესიაში გავყვები, თუ დავემაღები სადმე.

ამ დროს აივანზე გამოსულმა საოპერო ორკესტრმა ისე მძლავრად დაიწყო მარსელური, რომ მთელი ქუჩა შეკრთა. ხალხმა იხუვლა და თეატრი; ირვლივ შეგროვდა. მალე ის ნაწილი ქუჩისა პირთამდე აივსო და მახლობელ ქუჩებშიც გადავიდა. ქუდმოხდილი ხალხი სასოებით ისმენდა აკრძალულ ჰიმნს და თვითონაც შთაგონებული მღეროდა — ზოგი ქართულად, ზოგი რუსულად და ზოგიც ფრანგულად; მღეროდა ყველა — დიდი, პატარა, ქალი და ვაჟი, რუსიც და ქართველიც, სომეხიც და თურქიც.

მაინი რომ გათავდა, აივანზე ვილაცამ მძლავრი ხმით დაიძახა:

— თავისუფლებას გაუმარჯოს!

რამდენიმე ათასმა აფრთოვანებულმა კაცმა სამჯერ იგრილა: — გაუმარჯოს!

ორკესტრმა ორჯერ კიდევ დაუკრა მარსელური და ხალხმა კიდევ იმღერა.

— ამხანაგებო და მოქალაქენო! — გადმოსძახა ამ დროს მუსიკის კომ. — თავისუფალი ხალხის პირველ თავისუფალ მიტინგს! *ქალის ტვირთი* დაცხადებ.

მჭუხარე ტაშმა და „გაუმარჯოს“ ყვირილმა კარგა ხანს ხმა ვეღარ ამოაღებინა ორატორს. ესოდენ უზარმაზარ აღდიტორიას და თავისუფალ სიტყვას შეუჩვეველი აკაკი ძლიერ ბორძიკობდა და სიტყვებს ისე ფრთხილად ეძებდა, თითქო ბრმა ყოფილიყო და გზას ჯოხით იკვლევდაო. მის უნდელი კილო და ფრთხილად შერჩეული სიტყვები ზურაბს და მის მეგობრებს ბრახსა და ქრქოლას ჰგვრიდა. ხალხი კი სულგანაბული ისმენდა, ვინაიდან ის ჯერ ამასაც არ იყო შეჩვეული. დროგამოშვებით ხალხში ტაში და აფრთოვანებული ყვირილი იფეთქებდა ხოლმე.

აკაკის შემდეგ ესერმა, ფედერალისტმა, დაშნაკმა, უპარტიო დემოკრატმა და კიდევ ერთმა სოციალდემოკრატმა ილაპარაკეს. ყველა ორატორს სასიხარულო ფორიაქი ახრჩობდა და ამიტომ მათი ნათქვამი მხოლოდ გამარჯვებულთა აფრთოვანებით იყო გაფლენთილი და ზვალინდულობასაც მხოლოდ რამდენიმე ზოგადი სიტყვა გამოსახავდა: „არ დაიქაქსნეთ... ერთობა არ დაარღვიოთ... შემჭიდროვდით და კვლავაც ერთად იარეთ!“

შეხმატკბილებული კილო მარტო ზურაბმა დაარღვია. მან მხოლოდ ამხანაგებს მიმართა და მოქალაქენი არ გაიხსენა.

— ამხანაგებო! — ისე ძლიერ გადასძახა მან აივნიდან, რომ მისი ხმა არტისტულ თეატრთანაც კი მკაფიოდ გაიგეს. — ამხანაგებო! დღეს თქვენი გამარჯვების დღესასწაულია და მოილხინეთ, იზეიმეთ, ისე გაიკინეთ, რომ თქვენი ხარხარი პეტერბურგმაც კი გაიგოს. მაგრამ იცოდეთ, რომ დღევანდელი დილა ათიათასმა სისხლიანმა და ბნელმა ლამემ გაგვიტენა. ეს უქმე იმდენი სისხლით და ცრემლით არის მოწყული, რომ მას შავი ზღვის კალაპოტიც ვერ დაიტევს, ამიტომ ჩვენი პატიოსნება მოითხოვს, რომ მტარვალთა მიერ წამებული ის უთვალავი ლაშქარი მადლობით გავიხსენოთ.

ორკესტრმა რევოლუციონერთა სამგლოვიარო მარში დაუკრა, ხოლო ზურაბმა ქუდი მოიშვლია და დაიწყო:

Вы жертвою пали в борьбе роковой...

ყველამ მას მიჰბაძა. ქუდმოხდილი ხალხი სასოებით მღეროდა გულაჩუყებული:

Вы жертвою пали в борьбе роковой,

Любви беззаветной народа.

Вы отдали все что могли за народ,

За труд его, честь и свободу.

სიმღერა რომ მისწყდა, ზურაბმა განაგრძო:

— ამხანაგებო! ამ უდიდეს გამარჯვებას მეც მოგვლევდით, მაგრამ ტყუილად ვითბრეს ზოგიერთმა, თითქოს იგი შემოქმედების თქვენთვის. მუშისთვის და გლეხისთვის მათ ტყვეისა და მათრახის მეტ არაფერიც არ უბოძებიათ.

— მართალია! — შესძახა ზურაბის გვერდით მდგომმა მართამ და აქეთ-იქიდანაც ამოსძახეს: — აგრეა! მართალია!

— ეს გამარჯვება ნიკოლოზს დასისხლიანებული ხელებით და კბილებით გამოვგლიჯეთ. გაიხარეთ მეთქი, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ დღევანდელი დღე მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი გამარჯვებისა და მიზნისა, რომელსაც კიდევ ზღვა სისხლი და ცრემლი შეეწირება.

— ეგ რა საჭიროა! — ჩაიბურტყუნა აკაკიმ. — ხალხი დაფრთხება და გაიჭყევა.

— გაჩუმდი, აკაკი! — ჩაუსისინა ნიკომ. — შენისთანა ხალხი დაფრთხება, ჩვენისთანა კი აქვე დარჩება.

— თავისუფლების ღირსი მხოლოდ ის არის, — განაგრძო ზურაბმა — ეინც მოსურნეა უფრო მეტად გააფართოვოს და იარაღით დაიცვას იგი უამრავი მტრისგან, რომელიც აგრე ადვილად ვერ მოინელებს მუშა-ხალხის გამარჯვებასა.

— სისხლისა და იარაღის ვაგონებაზე ზოგი მოჭალაქე მართლა დაფრთხა.

— წამო, ძმაო, წამოდი, თორემ ისევ სროლა ატყდება.

— საცაა ეს კაცი ყუმბარას გაღმოაგდებს.

— წამოდი მეთქი, დამიჯერე, გვატყუებენ. — ისმოდა აქა-იქ ჩურჩული და ქუჩა დაიკთავან იცლებოდა.

ზურაბი კი აფრთხილებდა ხალხს, რომ მონაპოვარის განხორციელება და შენარჩუნებაც გააფართოებულ ბრძოლას გამოიწვევს, რომ ქვეყნელის ბნელი ძალები ახლაც თავს მოიყრიან და ამ კუდ-მოკვეცილ თავისუფლებასაც შემოლტყვენ, რომ მშრომელთა ერთად-ერთ მონარჩლელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უფრო შორეული და უფრო ძნელი მიზანი აქვს დასახული, რომელსაც მებრძოლი პროლეტარიატი უდგა დარაჯად. ის უმთავრესად ნაძალადევისა, ამიტომ —

— ამიტომ, ამხანაგებო ახლა ნაძალადევისაკენ გავწიოთ და იმ ლაშქარს შევეუერთდეთ, რომელმაც თვითმპყრობელობას ბოლო მოუღო. ეს მანიფესტი მან გამოჰგლიჯა მეფეს და შემდგომიც ის იქნება ერთადერთი და საუკეთესო დამცველი რევოლუციისა და სოციალიზმისა... მას ვაუ-მარჯოს მუშათა პარტიას!

— ვაუმარჯოს! — მისცა ხმა პირთამდე სავსე ქუჩამ.

— ვაუმარჯოს რევოლუციას!

— ვაუმარჯოს!

— გაუმარჯოს სოციალიზმს!

— გაუმარჯოს!

უცებ ზურაბის გვერდით ქანდარმის ლურჯი მუნღჩა და აივნიდან თეთრი ექაელბანდები გადმოეფინა. ავშაროვმა მალლა ასწია ხელი და სანამდის ეკირა იგი, მანამ „გაუმარჯოს“-ის გუგუნის არ შენეულა.

— ბატონებო! — შესძახა მან გაბზარული ხმით და მანამდის მოიცილა, სანამ სრული სიჩუმე არ ჩამოვარდა. — ბატონებო! მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის ნაცვალის გრაფი ვარანცოვ-დაშკოვი ყველას შეფის უზენაეს წყალობას გილოცავს და ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ თქვენ ღირსი ხართ ამ წყალობისა, რომ თქვენ გონიერულად გამოიყენებთ მას და იმ საზღვარს არ გადასცილდებით, სადაც თავისუფლება თავდება და უწყობა იწყება. ამ უზარმაზარი ქუჩის შეკვრა დიდ არეულობას იწვევს და ამიტომ გთხოვდ, ბატონებო, ეს ქუჩა დასცალოთ და შეკრებისა და სიტყვის თავისუფლება სხვაგან სადმე განახორციელოთ. გაუმარჯოს ამ უფლების მომნიჭებელს, ჩვენს სათაყვანებელ ხელმწიფე იმპერატორს, ურააა!

სამარსებურმა სიჩუმემ უფრო მეტი შეურაცყოფა მოაყენა „სათაყვანებელ იმპერატორს“, ვიდრე ასნაირმა უშვერმა ლანძღვამ, რომელიც ყველას პირზე ეტკრა.

ავშაროვს თითი აწეული შერჩა. მან მაშინვე გაიფიქრა, რომ ამ უტაქტობისთვის სასახლეში სუსხიანად ვაკეციხავდნენ მას. ხალხის მრისხანე სიჩუმით და თავის უალაგო შენაძახით შეშინებულ-გაწითლებულმა როტმისტრმა მკვახედ ჩაიბურტყუნა:

— ხალხი მუდამ უმადურია.

— ხალხი მუდამ მადლიერია. — მოესმა მას უკნიდან, — მაგრამ ის მხოლოდ იმის მადლიერია, ვინც ამის ღირსია.

ავშაროვი მიტრიალდა. მის წინაშე გურგენიძე იდგა, იდგა და ილიმებოდა. ქანდარმმა ამ ღიმილში ცხადი დაცინვა, გამოწვევა და ზეთი ამოიკითხა. მერმე თვითონაც გაიღიმა, გაუბედავად გაუწოდა ხელი და გაბზარული ხმით უთხრა:

— ჯიქი!.. თქვენც აქა ხართ?

გურგენიძემ ავშაროვის ხელი თითქო ვერ შეამჩნია, საკლთარი ხელემა წელზე დაიწყო და უპასუხა:

— მე აქ უნდა ვიყო და აქ ვახლავარ, თქვენ კი თამამად მოქცეულხართ, სხვის ბანაკში დაუკითხავად შემოჭრილხართ.

ავშაროვი წელანდელზე უარესად აილეწა.

— მთელს რუსეთი ჩემი ბანაკია. — გოროზულად მიუგო და თითონა ქნევით დაუმატა: — ნუ გავიწყდებათ, რომ მაგ კისერზე ას-მეორე მუხლი გკიდიათ, რომელიც ამნისტიას არ გაუბათილებია.

— ესე იგი, რვა წლის კატორღას შემუჭრებით, არა? ეს მე და ესეც თქვენა, აბა სცადეთ. — მიუგო ზურაბმა და იმ ალაგზე ბოძივით ჩაერქო.

ენდარმმა უძალო ბრაზით გაზომა ჯიქი და უცებ წაბრუნდა. გატრიალდა და ქეთოს შეეფეთა, რომელიც იქვე იდგა და ამ საუბარს თავაღ-ყურს ადევნებდა.

— შენც აქა ხარ? — უკმებად ჰკითხა საქმრომ თავის დახმარებულსა. ქეთომ წარბები შეიკრა და პასუხი დაუგვიანა:

— ეგ სადაური კილოა, არტემ! გინდა სხვისი ჯავრი ჩემზე ამოიყარო?

— მაბატიე, ჩემო ძვირფასო. — უცებ შეიცვალა კილო ავშაროვმა და საცოლე ფოიეში შეიყვანა. — წუხანდელი ღამე ზეზე გავათენე და ახლაც ათასი საქმე მელოდება. ამ ქუჩყიან ბრბოში რამ გაგრაი? წავიდეთ აქა-ურობას მოვშორდეთ.

— არ წამოვალ. თავი დამანებე.

ავშაროვს ქეთოს გაჭირვეულებისა შეეშინდა და სცადა ეს შიში თავისავე სასარგებლოდ გამოეყენებინა.

— გენაცვალე, მე ძალას არ გატან. თუ გინდა დარჩი, მთელი ქალაიკი მოიარე და რასაც ნახავ, საღამოზე მიამბე. მაგრამ ფრთხილად იყავი და ჩემ სახელსაც გაუფრთხილდი. — ტკბილად უთხრა, ხელი დაუკოცნა და კიბეზე დაეშვა.

ქეთო უარესმა ბრაზმა მოიცვა, მაგრამ თავი აილაგმა. უკანასკნელ ხანს მან შეამჩნია, რომ ავშაროვი ღამობდა ქეთო ინფორმატორად გამოეყენებინა. ერთხელაც არ შეხვედრია მას, რომ ფრთხილად არ გამოეკითხა: ვის შეხვდა მისი საცოლე? ვინ რა უთხრა? ვინ რას აპირებს და ვინ რას ფიქრობს? და იმდენად გაკადნიერდა, რომ ერთხელ კიდევ ურჩია: შენს ნაცნობ-მეგობრებს ფრთხილად გამოჰკითხე ამბები და ყველაფერი მიამბეო, და თანაც დაუმატა: „ამიერიდან შენც ჩემი მარცხისა და გამარჯვების მონაწილე ხარ და ყველაფერში უნდა დამეხმარო“. ქეთო გამწარდა. მაგრამ მაშინაც მოერია თავის რისხვას და ახლაც დინჯად გადასჭრა: „ივდილობაც ის არის, რომ ჩემს ოლოფერსს ყველაფერი დავტყუო და სამაგიერო კი არაფერიც არ დავუთმო“.

უცებ კიბის თავზე კლიმიაშვილი გამოჩნდა და უკანვე ჩატრიალდა-ამავე დროს ქეთოსთან ლევანი მივიდა და ჩასტურჩულა,

— ქეთო, აივანზე გადი და სანამ არ გეტყვი, მანამდის ზურაბი აქეთ არ გამოუშვა, თორემ... აბა, ჩქარა!

ქეთო მიუხვდა. სანდრო ზურაბს კიბეზე ელოდება. ლევანს ხმა ოდნავ უთრთოდა და მარჯვენა ხელი ახლაც ჯიბეში უდევს, მაშასადამე...

ქეთო აივნისკენ გაიქცა და კარებშივე შეხვდა ზურაბს, რომელიც ფოიეში შემოდიოდა.

— დაიცა ზურაბ... აქეთ მოდი... რალაც უნდა გითხრა. — სხაპუნით შიყარა ქეთომ და ზურაბი ისევ აივანზე გაიყვანა. — ფრთხილად იყავი... აქ კლიმიაშვილი ტრიალებს და...

— მაჩვენე, სად არის? — და ზურაბმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და ფიქსკენ გაიწია.

ქეთომ ორივე ხელი სტაცა მკლავში და უთხრა: **გინგაჩიყოსქა**

— ნუ გახვალ მეთქი. ხომ გახსოვს რაც დამპირდი: თუ თვითონ არაფერი დამიშავა, არც მე დავეუშავებო.

— მახსოვს. შენი ხათრი მაქვს და შეგისრულებ. ავერ იქ დავდგეთ და ქეთო კედელთან მიიყვანა. აქ უშიშრად იყო ზურაბი. მოულოდნელად ველარაფერს დააკლებდნენ. თუ საქმე დასწრებაზე მიდგებოდა, აივანზე გამოსულ კლიმიაშვილს უფრო ზურაბი დაასწრებდა.

— ლევანი იქ არის და თვალყურს ადევნებს. — შეატყობინა ქეთომ შემოგითვალა, ცოტა მოიცადე, ჯერ ნუ გამოხვალო.

— კეთილი. აგრე ვიხამ. ნუ კი გეგონება, რომ იმისი მეშინოტეს.

— ვიცი, რომ არ გეშინიან, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებ, რომ იქ ვადაგარჩინა. ახლა მეტეხში იჭნებოდი.

— მეც მაგიტომ ვერიდები. — მიუგო ზურაბმა და კარს თვალს აკრძალა. — ამორებდა, არც ჯიბიდან ამოჰჭონდა ხელი.

— ახლა სხვა რამეც უნდა გითხრა. — განაგრძო ჩურჩულით ქეთო. — ექვანი დანამდვილებით გავიგე, რომ ავშაროვს ვილაც პატიმარი „არწივი“ გამოუტეხია და უთქმეუნიებია, რომ ვილაც ვანდარმის მოკვლაში ვილაც „ტოგო“ და ვილაც „ფოცხვერიც“ რეულან და იმათი გეარეზიც დაუსახელებია.

— მართლა? — შეშფოთებით წამოიძახა ზურაბმა. — ის არამზადა არწივი კი არა, ყბედი კაჭკაჭი ყოფილა.

— ზურაბ, ის ბიჭები გააფრთხილე, თორემ დღეს ან ხვალ დაიჭერენ. გააფრთხილე და შენც გაფრთხილდი.

— რა თქმა უნდა. გაეფრთხილებ. გმადლობთ ქეთევან, ყველანი გმადლობთ. იმათაც გაეფრთხილებ და მეც ფრთხილად ვიქნები.

სანამ ქეთევანი ზურაბს აფრთხილებდა, ლევანმა კიბეზე კლიმიაშვილი გააფრთხილა. მან რაედენი იპოვნა და მასთან ერთად კიბის ბაქანზე მოუსვენრად მომლოდინე კლიმიაშვილს პირისპირ მიადგა. მიადგა და უთხრა:

— თქვენ მგონი კლიმიაშვილი უნდა იყოთ.

— შენ ვინა ხარ, რომ მეკითხები? — უკმეხად მიუგო მან და ორივენი თავით-ფეხამდის ზიზლით ჩათვალა.

— აგრე გინდა ვილაპარაკოთ? — ჰკითხა ლევანმა და ხმაში ფოლადი ჩაიღვარა. — ბაშ უსტა. თანახმა ვარ. ახლა ყური მიგდერ რას გეტყვი. მეც ვიცი აქ რისთვის მოსულხარ. თუ არ გინდა, რომ შენს უფროს ძმას გაგაყოლოთ. ახლავე აქედან გაიკრიფე.

— რაო? მემუჭრები?

— შენც გემუქრები და ჩვენც გემუქრებით, რაღა! აბა, სალაპარაკოდ აღარა გვცალღან. ახლავე დავბრუნდებით და თუ უკვე დაგვიხედავ, სეტყვისავეთ დაგიშენთ ტყვიას და ჭრისტე ლმერთუც დაგაგარჩენს.. — უთხრა ნიკომ, გატრიალდა, ფოიეში ავიდა და უკან მოიხედა. კლიმიაშვილი თავჩალუნული ჩადიოდა კბეზე.

— დროა წავიდ... — უთხრა ერთი წუთის შემდეგ ლევანმა ზურაბს.

— ლმერთო ჩე... რამდენი მტერი გყოლია! — ჩასჩურჩულა ქეთომ ზურაბს და უკან გამოჰყვა. — რომელ ერთს უნდა გადაურჩე?

— ლევან, ვალმა კობას ხუთი ათასი კაცი მაინც უნდა გავუყვანოთ.

— ხუთი ათასსაც გაუყვანთ და ათი ათასსაც.

ქუჩაში რომ გავიდნენ, ისევ კლიმიაშვილს მოჰკრეს თვალი. მოშორებით იდგა ტროტუარზე, ტუჩებს იკენეტავდა და ზურაბს ავი თვალით ებღღვროდა. ხალხი თანდთან ლაგდებოდა, წითელი დროშები გახშორდა. ყველაზე წინ მართა, თედო და ნიკო იდგნენ. ზურაბი, ლევანი და რაფდენიც გვერდით ამოუდგნენ, ერთობის სიმღერა დასძახეს და დაიძრნენ. ქეთო ტროტუარს დაადგა და ისიც იმ ტალღას გაჰყვა. გზადაგზა ხალხი ასობით და ათასობით ემატებოდათ.

ნაძალადევის ვეება მინდორი ხალხით იყო გაქვდილი. აქა-იქ წითელი ბაირაღები ფრიალებდა. შუაში საჩქაროდ მოტანილი, შავიდა იდგა და ალბათ შეათე ორატორი ლაპარაკობდა. ახლად მოსულ გამელებს სასიხარულო ერიამულით დაუხვდნენ:

— გაუმარჯოს! ეაშააა!

მოწინავე წითელი დროშა ახლა ზურაბს ეჭირა. მის მიერ მოყვანილი ლაშქარი იმ ზღვაში შთაინთქა. თვითონ ზურაბი და მისი მეგობრები ტროტუნას მიეკედლნენ. ის ორატორიც აფრთოვანებით იმეორებდა სხევების ნათქვამს:

— თვითმპყრობელობა მოკვდა. მონარქია დარჩა. ამიერიდან ჩვენ მონარქიის დამხობა უნდა მოვითხოვოთ. მაგრამ რა გზით უნდა ვიაროთ ამ მიზნისკენ? აქ გვითხრეს, მონარქიის დამხობაც მარტო იარაღით და სისხლით შეიძლებაო. მოქალაქენო, ამოდენა სისხლი გვეყო!! აღარ გვინდა იარაღი! ძირს სისხლი! ძირს იარაღი!

ხალხში ტაში გაისმა.

ორატორს ვილაკამ კალთა ჩამოსწია და მაგიდიდან ჩამოახტუნა. იმავე წამს იმის ალაგას შუა ტანის შავგვრემანი ახალგაზრდა ვაჟი აისვეტა.

— კობას გაუმარჯოს! — შესძახა მაშინვე ზურაბმა და ხალხმაც მქუხარე ტაშით და ყვირილით გასცა პასუხი:

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

კობამ ტაშის შენელებას მოუცადა და დინჯი ხმით დაიწყო.

— თქვენ ერთი უვარგისი ჩვეულება გჭირთ და პირდაპირ უნდა გითხრათ. ვინც გამოვიდეს და რაც უნდა სთქვას, თქვენ სიხარულით და

ტაშით ეგებებით. როცა გეუბნებიან, თავისუფლებას გაუმარჯოსო, თქვენ ტაშს უკრავთ. ვინმე დაიძახებს, რევოლუციას გაუმარჯოსო, და თქვენც ტაშს უკრავთ. ეს ძალიან გარვია. მაგრამ როცა გეუბნებიან, ერთი უკრავთ ვინდაო, თქვენ იმასაც ტაშის ცემით უხვდებით. რომელ რევოლუციას შეუძლიან უიარაღოდ გაიმარჯოს ან რა რევოლუციონერია ის, ვინც იძახის, ძირს იარაღიო? ვინც ამას ამბობს, ის ალბათ ტოლსტოველია და არა რევოლუციონერი, და ვინც უნდა იყოს ის, მაინც ხალხისა და რევოლუციის მტერია.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა და აქა-იქ კანტიკუნტად გაისმა: „ვინ არის... რა გვარია?... როგორ მტკიცედ ლაპარაკობს... ნამდვილი იაკობინელი“.

— რა არის ნამდვილი გამარჯვებისათვის საჭირო? — იკითხა კობამ და უღრმესი რწმენით გაყენთილი პასუხიც თვითონვე მიუგო. — კარგად შეიგნეთ და დაიხსომეთ: ამისთვის თავდაპირველად იარაღია საჭირო, მერმე ისევ იარაღი, და მესამეც — იარაღი და ისევ იარაღი.

და ოთხჯერ განმეორებული „იარაღი“ ისე იყო ნათქვამი, რომ იგი ყველას ოთხ ლურსმანივით ჩაეჭედა თავში.

კობამ ეს მოკლე სიტყვა იმ დღისთვის საკმარისად მიიჩნია და ტრიბუნიდან ჩამოვიდა, თან ხალხის მქუხარე და ხანგრძლივი ტაში გაჰყვა. ყველაზე მკაფიოდ ზურაბის. მართასი და მათი მეგობრების ტაში ჰქუხდა.

ზურაბმა მოიხედა და ქეთევანი დაინახა, რომელიც პაწია ხელებით გამალებული უკრავდა ტაშს.

— ხომ აგისრულდა სურვილი? — ჰკითხა მან ქეთოს. — ჩვენი კობა ხომ დაინახე?

— დავინახე და ახლაც ვხედავ.

— დღეს ყველგან მარტო „ვაშა“ და „გაუმარჯოს“ ისმის, კობამ კი ასოდღე სიტყვაში მზესავით გააშუქა ერთობის შემდგომი გზა. — უთხრა ზურაბმა. — მაგას ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. მაგის სიტყვა და საქმე ერთი და იგივეა. ერთს იტყვის, სხვისას ასეა სჯობია. ისე ნათლად, მკაფიოდ და ისე ზუსტად ჩამოასხამს აზრს, რომ ყველა გაიგებს და სამუდამოდ დაიხსომებს. ვახსოვს თუ არა, ქეთო, რა გითხარი კობაზე იმ საღამოს?

— ვახსოვს. შენ მითხარი: გუმანით მივაგენი, ალლოთი ვიციო.

— ჰო და, ჩემი ნათქვამი კარგად დაიხსომე. მართლა, წელან რომ მითხარი... ლევან, აქ მო. „ტოგო“ და „ფოცხვერი“ თუნდ ჭვესკნელში მიპოვნე და ახლავე აქ მომგვარე.

— ორივენი აქ არიან. აგერ იქ დავინახე. ახლავე მოგიყვან. — მიუგო ლევანმა და ხალხში მიიშალა.

ქალაქს ბინდი აწებოდა, როცა რამდენიმე ათეული ათასი მოქალაქე მოსებ ჯუღაშვილის წინამძღოლობით სიმღერით და აფრიალებული დროშებით მიადგა მეტეხის ციხეს. ყველანი მთელი დღის უსმელ-უტყმელი იყ-

ენენ. მაგრამ აფრთოვანებამ სიმშლიც დააეწყა მათ და დალოლობაც ჩაუხშო. ციხის ძირში ხალხს საულათები გადაეღობნენ. ვიწრო ქუჩები ისე გაიქედა, რომ განძრევაც კი უძნელდებოდათ. ციხის ტანსაცმელს დაჯვარებნი ათ-ათი თავი და ამდენივე გამოშვერილი ხელი მოსჩანდა. პარტიზებში ხელებს იჩნევდნენ, მღეროდნენ და ძლიერი ხმით ყვიროდნენ:

— გამოგვიშვით!.. კარები შემოამტერიეთ!.. ძირს ჯალათები!.. თავისუფლებას ვაუზარჯოს!

პასუხად ქვევიდან გაბმული კივილი ისმოდა:

— გამაგრდით!.. ცოტაც მოითმინეთ!.. ხვალ გამოგაშვებინებთ, ხვალე! მშვიდობით! ხვალამდის!

XIV

მეორე და მესამე დღეს ქეთო შინიდან აღარ გაუშვეს. საქორწილო სამზადისმა ახატუნელის სახლი დედაბუდიანიად ააფორიაჭა. ანდრომ და მარიამმა საზეიმო ქორწილის გამართვა დაიჩინეს. ავშაროვიც ახალი ბინა საამისოდ არ ვარგოდა. არც ანდროს ბინა იყო საკმარისი, ამიტომ მან წვერაძეს ერთი დღე-ღამით ჩამოართვა ხუთი ოთახი, ორივე ბინა გააერთიანა და თითო ბინაში თითო სუფრა გააშლევინა. მას ამგვარი გაორება სუფრისა სხვა მხრითაც მოსწონდა. ვინაიდან თანდარმების გვერდით ჯდომა და ქეიფი ბევრს ეთაკილებოდა, ამიტომ ანდრომ თავის კიდობანი ამ დღისთვის ორ ოჯახად გაკყო: წმინდანნი ანდროს ბინაში უნდა მისხდომოდნენ სუფრას, ხოლო უწმინდურნი წვერაძის ბინაში უნდა გაკრეფილიყვნენ.

ორი მზარეული და რამდენიმე ლაქია „ლონდონის“ სასტუმროდან მოიწვია, ჭურჭელი „ორიანტმა“ ასესხა. ყველაზე ძნელი საშოვარი სანოვაგე იყო. ვაფიკულ ქალაქში ჩუმუმად თითო მუქა რამერუმეს ძლივს პოულობდნენ, ხოლო სამოციოდე სტუმარის საკმლის შოვნა არავის არ შეეძლო გარდა ყოვლის შემძლე „კომიტეტისა“, რომელსაც ახატუნელის სახლში აკაკი წარმოადგენდა.

სწორედ ქორწილის დროს აკაკი პარტიული საქმეების გამო მცხეთას თუ მუხრანს აპირებდა წასულიყო, ნამდვილად კი არსადაც არ მიდიოდა. მუხრანი მხოლოდ საბაბი იყო იმისა, რომ თანდარმის ქორწილს არ დასწრებოდა და მამის რისხვისაც ვასცლოდა. ნიკო მოურიდებლივ ილანძღებოდა და კიდევ იმუქრებოდა: თუ ქორწილში მოვალ, თან ყუმბარას მივიტანო, ხოლო აკაკიმ გაცლა ამჯობინა და საბაბიც მოიგონა.

მაგრამ თვრამეტ ოქტომბერს მანიფესტმა აზრი შეუცვალა. აკაკი უწინდელზე მეტად გაღხვა, იდილიურ გუნებაზე დადგა და ჭაბუკივით გამხიარულდა. მას მოეჩვენა, თითქო იმის სავეჭილო ფრაქსა და ავშაროვის მუნდირის შორის უწინდელი მანძილი ერთიათად შემოკლებულიყო, და

როცა ისიც გაახსენდა, რომ მას შეეძლო უწმინდურბა სულაზე და-
ჯდარიყო და ავშაროვს სულაც არ მიჰქარებოდა, ისევე როგორც
მარიამთან და ჰკითხა:

— დედი, მაშ ვერაფერი იზოვე? მაშ ახატნელებმა მშვიერი ქორწილი
უნდა გადაიხადონ?

— შევრცხვებით, შევილო, შევრცხვებით. — შესჩივლა მარიამმა —
რამდენი ვერჩინე სიძეს, გადავდოთ მეთქი, მაგრამ არა შერება.

— ნუ გეზინიან, დედილო. — ანუგეშა შევილმა და მხარზე ხელი მო-
უსვა. — ახატნელის გვარს არ შევარცხვენინებთ. განა მე კომიტეტი არა
ვარ? შენ სია შეადგინე და ფული მოამზადე, დანარჩენი კი ჩემი საქმე
იყოს. ყველაფერს აქვე მოგართმევენ. მაგრამ ხმა-კრინი არ დასძრა,
თორემ...

— რას ამბობ, შევილო! ერთი სულიერიც არ გაიგებს. აი სიაც და აი
ფულიც. გენაცვალოს დედაი! ქირში უნდა გამოგვადგე, შევილო, თორემ
ლზინში ყველა გამოგვადგება.

ამ დროს ანდრო შემოვიდა. ერთი კვირის წინათ „დეისტეიტელნი
სტატსკი სოვეტნიკობა“ მიიღო და ახალი მუნდირის წითელი საჩურლი
ორივე სამკუთხიან გადმოსაკეცზე ყაყაოსავით უღვიოდა. მიუხედავად
ამისა, ანდრო დაღვრემილი იყო, ვინაიდან სიძეს შეპირებული ათი-ათასი
მანეთის ნახევარიც ვერ უშოვნა და, გარდა ამისა, საქორწილოდ ხმელი
პურიც კი არ ეგულებოდა.

— აკაკი, მამა-შენმა მაინც უნდა იცოდეს, მართალია თუ არა? ჰკით-
ხა შევილს მარიამმა.

— რასაკვირველია, უნდა იცოდეს. — დაეთანხმა აკაკი.

— გიხაროდეს, ანდრო. აკაკი ყოველნაირ სასმელ-საჭმელს გვიშოვს,
რაც კი ქორწილში დაგეჭირდება.

ანდროს შუბლზე ნაოჭები გაეხსნა და უღვაშებში ღიმილმა ჩაურბინა:

— მართლა? როგორ? საიდან?

— კომიტეტის წევრია და.. მაგრამ კრინი არსად დასძრა.

— ზოგი ქირი მარგებელია. — ჩაილაპარაკა ანდრომ, იქვე ჩამოჯდა
და აკაკის იმ დღის შთაბეჭდილებანი გამოჰკითხა.

— დღეს რეკოლუცია დასრულდა. — ამშვიდებდა შევილი შეშინებულ
მამას, თან ბოლთას სცემდა, წითურ წვერზე ხელს ისვამდა და თითქო
თავის თავს ელაპარაკებოდა. — ამიერიდან ჩვეულებრივი პარლამენტა-
რული ბრძოლა გაჩაღდება. თუ მთავრობა მანიფესტს პირნათლად შეა-
სრულებს, ყველაფერი დაწყნარდება და ცხოვრება თავის კალაპოტში
ჩაღდება. ახლა ერთობას ორი მხრიდან მოელის ხიფათი — მარჯვენა
მხრიდან და მარცხენა მხრიდანაც. ბიუროკრატია ეცდება კონსტიტუციას
თავფეხი ჩამოაჭრას და კუდილა დაგვიტოვოს. ბოლშევიკებმა კი შესა-

ძლოა საქმე აჯანყებამდე მიიყვანონ. თუ დამარცხდნენ, ვაი ჩვენი ბრალი, და თუ გაიმარჯვეს, ვაი ჩვენი ბრალი. ძველ ქვეყანას, ქვეყნისიანად ამოადგებენ. წინ წყალი და უკან მეწყერი! ამისგანვე უკვე ვერაფერი ჩაიცვამს. მაგრამ ბიუროკრატისა და ლიბერალებისაც თან მიაყოლებენ და მერმე, ჩვენი ჯერიც დადგება. ისე ნათლად ვხედავ ამ სურათს, თითქო ხელის გულზე მედოს. აჭამდის ერთი მტერი გვეყავდა, ახლა კი ორი გვეყოლება და შესაძლოა შუაში გამოგვეყლიტონ.

ანდროს იმედი მიეცა: რევოლუცია გათავდაო. მაშ ბანკის საქმეც გამოსწორდება, გამოხიზნული მემამულენი ისევ სოფელს დაუბრუნდებიან, თავადაზნაურებზე ნადირობა შეწყდება და ყველგან მამაპაპური მშვიდობა დამყარდება. მას უკვე დააეწყა, რომ ხეალ ავშაროვისათვის ხუთი ათასი მანეთი უნდა მიეცა. წელანვე გადაწყვეტილი ჰქონდა: საერთო ვაფიცვას მოიმიზეზებდა და ნაღდის ნაცვლად თამასუქს მისცემდა. მაგრამ მას ერთი სადარდელიც აწვალებდა. ახლა დრო იხელთა და იმის დაშოშმანებაც მოინდომა.

— შეილო ჩემი პირმშო შეილი ხარ და ქორწილში რომ არ გამოჩნდე, ყველას თავი მოგვეჭრება. ნიკო თუნდ ყოფილა, თუნდ არა, შინ კი არავინაც არ დაგიჯერებს, რომ საქმე გქონდა და ვერ მოიცილე.

— დაწყნარდი, მამილო. — მშვიდად მიუგო აკაკიმ. — ავშაროვის სუფრას ვერ მივუჯდები, მეორე სუფრას კი თამადობასაც გაეუწევ.

— აგრე ჰქენი, შეილო, ეგეც საკმარისია. კარგად მოგიფიქრებია, ავშაროვი ბევრჯერ დაგვეჭირდება და ნუ აწყენინებ.

„ბევრჯერ დაგვეჭირდება“ ის იდუმალი საბაბი იყო, რომელმაც ახრი შეაცვლევინა აკაკის და რომელიც ანდრომ ორი სიტყვით გააშიშვლა.

მარიამი ქეთოს ოთახში შებაჯბაჯდა და ქეთოც გაახარა:

— ქეთონი, აკაკი საქორწილო სასმელ-საჭმელს შოულღობს და ქორწილშიც აქ იქნება. მაგრამ ერთი სიტყვაც არ წამოგცდეს სადმე, თორემ ხომ იცი...

ნახევარი საათის შემდეგ თამარა ქარივით შემოიჭრა, ქეთოს სახეს თავის აფურთხილი თმები გადაათარა, რამდენჯერმე აკოცა და სხაუნიოთ მიაყარა:

— გენაცვალე, ქეთონი! საიმიხსო რა მოხდა, რომ თითქმის აღარ მელაპარაკები! შენს ქორწილშიც ვიქნები, ლეკურსაც დევუელი, სიმღერასაც გეტყვი და იმდენ სასმელ-საჭმელს მოგიტანთ, რომ ასმა ხარბმა სტუმარმაც ვერ გაათავოს. გამიცინე, გენაცვალოს თამარი, გამიცინე! აი აგრე! კიდევ, კიდევ მეთქი! იხი-ხი! ახა-ხა!

ქეთომ ის ორი დღე შინ გაატარა. ახალი სამოსლის დატოლებას, მზითვის დათვლას და ჩალაგებას დასასრული აღარა ჰქონდა. მისი გული ნიადავ ჭუჩისკენ მიიწევდა. ყოველ საათში ერთხელ მაინც ჩარბოდა ქვემო სართულებში და ახალ ამბებს აგროვებდა. აკაკი, მართა, ლევანი და ნიკო

ერთხელაც ვერა ნახა. ისინი დღე-ღამეს ქუჩაში და კომიტეტებში ასწორებდნენ. ქეთომ მიიწვი გავიგო, რომ მეფის-ნაცვლის სასახლეში სამოცდაათი ათასი კაცი მიადგა წითელი დროშებით და მოითხოვდა კომუნისტური პარტიზმის გამოცხადებას, სოფლებიდან ეგზეკუცია გამოეყვანათ და სამხედრო წესიც გაეუქმებინათ. მეფის ნაცვალს შემოეთვალნა: ეგზეკუციას მაშინ გამოეყვან და სამხედრო წესსაც მაშინ გაეუქმებ, როცა ხალხი დამშვიდდება, ხოლო პარტიზმთან სამოცდათორმეტ კაცს დღესვე გამოეუქმებ, დანარჩენს კი როცა პეტერბურგი მიბრძანებსო.

ქეთომ ისიც გაიგო, რომ მანიფესტს „მიქელ ანგელოზის კავშირი“ ფეხზე დაეყენებინა. თურმე მისიონერთა ეკლესიაში მღვდლის გოროდცევის მეთაურობით ყველა ნაძირალი და „ქეშმარიტი რუსი“ იყრიდა თავს და შფოთავდა: ებრაელებმა და „ტუზემცებმა“ ჩვენა მეფეს მანიფესტი მოტყუებით გამოჰგლიჯეს, ყველა ვიგინდარა კისერზე დაგვაჯდება, რუსეთს უკვე იყოფენ, სამშობლო გველუბება და იარაღით და სისხლით უნდა ვიხსნათო, თანაც თურმე სალოსურად ჰკიოდნენ: მართმადიდებელნი წამოდექით! თქვენი მეფე მოგიწოდებს და სამფეროვანი დროშის ქვეშ მოიყარეთ თავი, რათა წმინდა რუსეთი ვიხსნათ, თორემ დგება დღე ჩვენის აღსასრულისა!

ჯვრის წვრის დღე რომ დადგა, თორმეტ საათზე ახატნელის ოჯახს ერთხელ კიდევ ეწვია ავშაროვი და თავის დედაც მოიყვანა. მოსამსახურემ ორივენი სასტუმრო ოთახში შეიწვია და თვითონ მოსახსენებლად გავიდა.

ავშაროვის დედა — ქერა, მეტად სრული და ბეცი დედაკაცი — ორმოცდაათი წლისა აქნებოდა. მან ოქრო-ნარევი კუს ლორწებით დაკვირვებით დაათვალიერა სურათები, თითებით ვასინჯა ხალიჩა, როილის ფირმაც წაიკითხა და შეიღს უთხრა:

— C'est pas mal — ამას არა უშავსრა, — და სურათებზე; როიალზე და ხალიჩაზე მიუთითა. — mais le reste.. — დანარჩენი კი.. — და ცთვალისწუნებით ჩაქნია ხელი.

ანდრო, მარიამი და ქეთო თითქმის ერთად გამოვიდნენ. მასპინძელმა ახალმოსულ სტუმარს მოწიწებით დაუკოცნა ხუთ-ბეჭდიანი მსუქანი ხელები. მარიამი და გალინა სიგიზმუნდოვნა სიყრმის მეგობრებივით გადაეხვივნენ და ერთმანეთს ორივე ლოყა დაუკოცნეს. ამ დროს ქეთომაც გამოანათა და დედამთილისკენ ღიმილით და მტკიცე ნაბიჯით გამოემართა. ქალბატონმა გალინამ ისიც გულში ჩაიკრა, ისიც სამჯერ დაპკოცნა, მერმე ლორწეტი მოიმარჯვეა, იგი თითქმის ზედ მიადო რძალს და ცხენსავით გაუსინჯა ყველაფერი: თმა, პირსახე, მკერდი, ტანი და ფეხებიც. უსინჯავდა ყველაფერს და ნაჭერ-ნაჭრად ისროდა ფრანგულად:

— Charmante! Delicieuse! Gres gentille! — მშვენიერი... საუცხოვრო... ძლიერ ლამაზია. ღმერთო ჩემო, რა თვალებზე რა ტუჩებია, რა კისერია, რა ტანადია! ნამეტნავ კი ეს მომხიბლავი ვინაა? — ამოხედა მშვენიერს. ნეტა ვიცოდე, საიდან გამოერა?

— დიდებისგან გამომერია. — უპასუხა ქეთომ, რომელსაც დედამთილის მოურიდებელმა ჩხრეკა-ძებამ ბრაზი მოჰგვარა.

ყველანი ჩამოსხდნენ. დედამთილს ის თეთრი ნასთი არ ასვენებდა:

— ბუნებამ საოცარი ცუდლუტობა იცის ხოლმე, მაგალითად: მე ერთი საჯდომი ჯიშისანი ცხენი მყავს. კუპრივით შავია, მაგრამ მთელი შუბლის აყოლებამზე, ნესტოებიდან ფაფრამდის, თოვლივით თეთრი ისარი აქვს გადაკრული.

— ჩემსავით. — ღიმილით მიაწოდა ქეთომ.

— დიად, თქვენსავით. — მაშინალურად დაუბრუნა დედამთილმა და მაშინვე გონს მოვიდა: — მე, რა თქმა უნდა, ცხენს არ გადარებთ.

— უკვე შემადარეთ და გაათავეთ. — ჩაურთო ქეთომ.

დედამთილმა მისი ჩანართი ალბათ ვერ გაიგო და დაასრულა:

— თქვენ ხომ ცხენი არა ხართ.

— მეც იმედი მაქვს, ქალბატონო, იმედი მაქვს, რომ ცხენი არა ვარ. დედამთილმა ერთხელ კიდევ შეათვალღიერა ლორწეკით და უთხრა:

— G'espère, gue vous n'etes méchante, n'est ce pas? — მე იმედი მაქვს, რომ თქვენ ავეული ქალი არა ხართ, აგრეთ თუ არა?

— Non madame, je ne suis pas du tout méchante — არა ქალბატონო, სულაც არა. ამაში მალე დარწმუნდებით. — სიცილით წამოიძახა ქეთომ, დედამთილს ხელი დაუკოცნა და თანაც გაიფიქრა „ეს ვაკვეთილი დასწავლე და იცოდე, რომ მე შენი დასაბრკელებელი ქალი არა ვარ“.

დედამთილმა რძალს შუბლზე აკოცა და გულაჩუყებით სთქვა:

— ამიერიდან თქვენ ჩემი შვილი იქნებით. მე არტემას მეტი არავინა მყავს... მარტო ორნი დავრჩით... ჩემზე მეტად უბედური არავინ მეგულეება...

ანდროას მძახლის ტირილისა შეეშინდა და სცადა მისი ცრემლი სარ ავეშივე მოეჭრა:

— ნუ შეწუხდით, ქალბატონო. ჩვენი ქეთევანი ძლიერ გულკეთილი ქალია და იმედია არასოდეს არ გაწყენინებს. დარწმუნებული იყავით, რომ არტემასაც გააბედნიერებს. ახლა ეს მიბრძანეთ: რკინის გზა აღარ მუშაობს და ქალაქამდე როგორ მოაღწიეთ?

ავშაროვის დედამ უცებ გამოიღარა და თავის მგზავრობა ხალისით უამბო. ადესიდან ბათომამდაე ნაღმოსნით ჩამოვიდა. მართალია, სხვა დროს ქალს სამხედრო გემზე არ აუშვებდნენ, მაგრამ ახლა ამას აღარ დაგიდევნ. ბათომში მან ხუთი დღე იცადა და ბოლოს „სანკულოტების“

კომიტეტი მოატყუა: გვარი გამოიცვალა, იტორა და თივი შეზარდა. უთხრა, ტფილისში შეილი მყავდა ვილაც ენდარში მოუტყუებდნენ და ან ზეგ ჩამოახრჩობენ და წამიყვანეთ, ერთხელ მაინც კიდევ ვსაჩუქრის ვეფინტებმა შეიბრალა, თავის ვაგონში ჩასვა და გამოისტუმრა. ახატუნელთა მძახალი უზომოდ გახარებული იყო იმის გამო, რომ ერთობას ნემსი უჩხვლიტა, რომელიც მან ვერც კი იგრძნო.

— ახა-ხა! — იცინოდა ქეთოს დედამთილი. — საცა სიმაართლე არა სჭრის, იქ ტყუილს უნდა გააჭრინო. ახლანდელი იაკობინელები სულ აგრე იქცევიან და ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ.

ქალებმა ქალური ბაასი გააბეს, ავშაროვმა კი სიმამრი კაბინეტში გაიყვანა და უთხრა:

— ამას წინათ ქალბატონ მარიამს შეეპირდი, ჯვარს ქაშვეთის ეკლესიაში დავიწერ მეთქი. ახლა კი მოულოდნელი გარემოება მოითხოვს, რომ ჯვარი ალექსანდრე ნეველის მისიონერთა ეკლესიაში დავიწერო.

მოულოდნელი გარემოება ის იყო, რომ ავშაროვს მისმა ლურჯ-მუნდირიანმა მეგობრებმა უსაყვედურეს, ჯვარს ქართულ ეკლესიაში რატომ იწერო, და ერთი მრისხანე ამბავიც შეატყობინეს: ჭეშმარიტი რუსები ლიბერალად გთვლიან და სჯობია იმათ ბუდეში — მისიონერთა ეკლესიაში დაიწერო ჯვარი, უხვი შეწირულება მიართვა, ორიოდ სიტყვით თავი მოუჭონო და ეჭვი გაუნელო, თორემ მამა გოროდცეც ძალა ემატება და იმის რისხვას ვერ გადაუჯრჩებიო.

ანდრომ მხრები აიჩეჩა და მიუგო:

— საცა ვნებათ, იქ დაიწერეთ ჯვარი. ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ ჩემი შეილები და ნათესავები მისიონერთა ეკლესიაში არ წამოვლენ და ძლიერი უხერხულობა შეიქმნება.

— რატომ არ წამოვლენ?

— იმიტომ არ წამოვლენ, რომ ის ეკლესია პოლიტიკურ კლუბად გადაიქცა.

ავშაროვს ეს კი აღარ გაეთვალისწინებინა. ცოტა მოიფიქრა და სთქვა:

— ჩემ მეგობრებს ქართული ეკლესია ენოთირებათ, ამიტომ იოანე ღვთისმეტყველის რუსულ ეკლესიაში მაინც დავიწეროთ ჯვარი.

— აგრე იყოს. — მაშინვე დაეთანხმა ანდრია. — ახლა ერთი პატარა საქმე მეცა მაქვს. ბანკები დაკეტილია და შეპირებული ხუთთათასი მანეთი ვერ მოგიხერხეთ. თამასუქს მოგართმევთ.

— აგრე იყოს. — დაეთანხმა სიძეც და ორივენი ისევ ქალებთან გავიდნენ.

მარიამმა სტუმრებს ყავა შესთავაზა, მაგრამ მძახალი მტკიცე უარზე შედგა. ეს პირველი დარბაზობა იყო და იგი ხუთმეტ წუთს არ უნდა გადასცილებოდა. ერთმანეთს რომ ემშვიდობებოდნენ, ქალბატონმა გალინამ სთქვა:

— Je ne voulais pas d'arranger ces colombes. — არ შინდოდა ეს გვირგვინები შემეწუხებინა და ამიტომ „ორიანტ“-ში ვერმეცხე მათგანში. ნახვამდის ჩემო კეთილნო! ნახვამდის, ჩემო პანიაე! ვანჯალმეცხე

ნახვეარი საათის შემდეგ მარიამი და ქეთო შინიდან გამოვიდნენ და ავშაროვის დედას დარბაზობა გადაუხადეს.



იმავე საღამოს იოანე ლეთისმეტყველის ეკლესიის ეზოში მოხდილი ჯგუფი იდგა ნეფიონისა და დედოფალს ელოდა. ეანდარმთა და დრაგუნთა აფიცრები საზეიმო ფორმით იყვნენ გამოწყობილი. ავშაროვს და მის თანამოსამსახურეებს ექსელბანდებით შემკული ლურჯი მუნდრი ეცვათ, ვერცხლმკედის განიერი სარტყელი ერთყათ და კრაველის დაბალი შავი ქუდი ეხურათ, რომელსაც დაბალივე თეთრი ჯილა ამშვენებდა. ყოველ მათგანს მხრებზე ხალვათად გახსნილი ნაცრიფერი მოსასხამი ესხა და ხელზე თეთრი ხელთათმანი ეცვა. ხმალი და რევოლვერი მათი განუყრელი სამკაული იყო, რომელიც იმ ხანაში ხშირად ამოდიოდა ბუდიდან. აფიცრების გარდა იქვე მახლობლად რამდენიმე ქალი და ვაჟიც ტრიალებდა. ავშაროვი ქალაქელი იყო და თავის ქორწილში ზოგი ნათესავი გაიხსენა, რომელნიც მანამდე მივიწყებული ჰყავდა.

ნეფიონს დიდხანს არ უცდია. ყორღანაანთ ქუჩაზე ათიოდე თეთროხიანი ცხენოსანი გამოჩნდა. შუაში თეთროხიანი ლანდო მოეჭკივნათ და თქარათქურით მოსდევდნენ. ლანდოს და ამალას წინ ილიკო მოუძლოდა — ისიც ერთ-ცხენიანი და თვითონაც თავით-ფეხამდის თეთროხა-ახალოსსა და თეთრ მესტებით გამოწყობილი. დიდი ხანია, რაც ქალაქელებს სოფლათლა დარჩენილი ცხენოსანი მაყრიონი აღარ ენახათ და ახლა ილიკომ აჩვენა, აჩვენა და ზოგი გააოცა, ზოგიც გაახარა.

ლანდოს და ცხენოსან ამალას ათიოდე დარჩეული ეტლი მოჰყვა. ამ ეტლებიდან ანდრიასი, მარიამისა და ნიკოს გარდა ქეთოს ყველა მახლობელი ნათესავი და მეგობარი გადმოვიდა. აკაკი თავჩალუნული გადმოიპარა და ყველაზე ადრე შეიძურწა ეკლესიაში.

თამარა ბალღივით გადმოხტა, კინალამ წაიქცა და სიცილით დაედევნა აკაკის. გრიგოლმა თავის ცოლი ანიკო ზეიმურად ჩამოიყვანა ეტლიდან და წელი ნაბიჯით შეიყვანა ეკლესიაში.

ლანდოს ცალი მხრივ ავშაროვი დაუხვდა მეორე მხრივ მისი მეჯვარე ეანდარმთა პოლკოვნიკი ბეზგინი. ავშაროვმა მოწიწებით მისცა ხელი თავით ფეხის-წვერაშდის თეთრებში ჩაქმულსა და თეთრივე აიროვან ლეჩაქით მობურეილ ქეთოს, რომელსაც ბინდბუნდში ოდნავ უჩანდა პირსახის ნაკვეთები. ნეფემ დედოფალს ხელი ხელში წააელო და ეკლესიაში შეიყვანა. მეჯვარე ბეზგინმა ქეთოს დობილს ელო შაბურიშვილს მკლავი შესთავაზა და ნეფე-დედოფალს ფეხდაფეხ მიაყოლა. ავშაროვის მაყრები

ოდნავ აეღარუნებდნენ დეზებს, ხოლო დანარჩენნი ლამობდნენ ერთმანეთისათვის გაესწროთ, დედოფლის პირსახე გაესინჯათ, დაქვემდებარებით დაედოთ მსჯავრი.

ეკლესია უამრავი სანთლით კაშკაშებს. მგალობელთა მოზდილი გუნდი საზეიმო საგალობლით უხვდება მათ.

ანალოგზე ხატი და ჯვარი ასვენია. ნეფე-დედოფალი მის წინაშე გაჩერდნენ და გახედნენ. მაყრიონი, ნათესავეები და ცნობისმოყვარენი რკალივით შემოერტყნენ მათ და გულდასმით დაუწყეს სინჯვა.

მარიამს დაეინებით სურდა იმავე აირის პირბადე ჩამოეფარებინა ქეთოსთვის, მაგრამ მან არ ინდომა.

— თეატრალურია, აღმოსავლურ-ფეოდალურია. — განაცხადა მან და უპირბადოდ წამოვიდა.

დაე ყველამ გასინჯოს ქეთო ახატნელი, რომელსაც შემდგომ ერთი საათისა თავის გვარი ჩამოერეცხება და ავშაროვის გვარი დაედალება. მაშ გულმოდგინედ გაუსინჯეთ და გაუჩხრიკეთ თვალწარბი, შუბლი, ტუჩკბილიც, ტანიც და ფეხებიც. მას თქვენი მსჯავრისა არ ეშინიან, ვინაიდან თვითონაც კარგად იცის თავის სილამაზეც, ნაკლიც და ფასიც. მას მხოლოდ ის ენანება, რომ ეს ლეჩაქი თავზე კოკოშივით შეუყარეს და შუაღამისებური თმა და ზედ ირმის ნახტომივით გადავლებული თეთრი ნასთი დაუმალეს. აქეთ-იქიდან ღიმილი მოსჩანს და აფრთოვანებული ჩურჩული გაისმის. ქეთო თითქო არავის ხედავს: თავაწეული დგას და პირდაპირ შესცქერის წმინდანებისაგან შეკრულ კანკელს, მაგრამ მის უძრავ თვალეში სიამაყესთან ერთად რაღაც მწუხრიც ჩაღვრილა.

ოქრომკელიან ანაფორით შემოსილი მღვდელი გამოვიდა და წირვას შეუდგა. მგალობელთა გუნდი გალობს. ჩურჩული თითქმის შეწყდა. მღვდელმა ნეფე-დედოფალი აზიარა, მერმე თითებზე ნიშნობის ბეჭდები გაუკეთა, თითო ანთებული კელაპტარი მისცა, ხელი ხელს მიაცემინა, თვითონაც ჩასჭიდა მათ ხელს და ანალოგის ირგვლივ სამჯერ შემოატარა. გუნდმა „ისაია მზიარული“ დასძახა.

ჯვრის წერა დასრულდა. ნეფე-დედოფალს ყოველ მხრივ ეხვევიან და გაბედნიერებას ულოცავენ. ქეთოს ახლა კი აშკარად უკოცნიან ხელს. მორჩა, გათავდა! ქეთო ახატნელი ამიერიდან ქეთოევან ავშაროვისა იქნება. ას საბოლოოდ შეება ივლითის უღელში და ბოლომდის უნდა ზიდოს იგი.

ილო მოსაზვილი.

პ რ ე გ ვ ს

მთიულეთიდან იხუელებს ერთი
როგორც კლდეებში დაჭრილი არჩვი,
მეორე ქალის ტანივით თეთრი
პირველს კივილით დახვდება ბარში.

მე ვარ მესამე არაგვის ტოტი,
შენ გასისხლული კალმახი თითქოს —
გულო, მოვარდნილ ტალღების შფოთით
რო ეხეთქები გაქედულ სტრიქონს.

გულო გაღესილ ლოდებს ედები,
კიდეე გაგლიჯე ბუდე ფაცურის,
შეუელარუნე რკინის ღვედები:
ლეჭებს უთქმელს და ლეჭებს დაწერილს.

შეუელარუნე ენგი რო ჰფარავს
და ჰფარავს ამდენ სათქმელის ჯავრი,
უთხარ შენსავით შფოთიან არაგვს —
როგორც ეტყოდა ხევსური მგზავრი:

დადექ არაგვო, აკმარე ბეჩავს,
გეყო კლდეების ძელების ლეწანი,
ერთის დაკვრით რო ფრიალოს გლეჯავ,
მიტომ გავეთალე შენთვის ლერწამი.

მიტომ გიფასებ მადლიან ამაგს,
მიმაქვს პერანგათ შენი ალაში.
მიმაქვს ერბო და ქალაქში ჩამაქვს,
შენი ნისლები თეთრი ბალანი.

მიმაქვს ერბო და ბედნიერ თვალებს
 ხედები ჩაბმული ვაჟკაცურ ომში
 და განახლებულ ტფილისის კარებს,
 უდგებარ ცეცხლის ამართულ დროშით.



მეც შენთან ვდგები, შენივე მიწის
 მომდევს ჯანი და მკლავი მწყემსური
 და ამ კარებთან მოგკვდები ფიცით,
 როგორც კვდებოდა ძველად ხევსური.



8. ჭაჩივზილი

ორი ღექსი

პილოტი გოგონა

ნეტავ იგი ვინ არის,
მხედრულად რომ აცვია;
სიმაშაცის მჩინარი
ქალია თუ კაცია?

სწორედ ქალიშვილია, —
გოგითქმე ფადიმე. —
მას ცა დაპყრობილი აქვს,
მას მზე ჰყავს მონადიმე!

სულ თერამეტი წლისაა
ეს პილოტი გოგონა;
გული კი ცეცხლისა აქვს,
აჩენს ჭიაკოკონას!

ის პირველი ქალია
საბჭოთა აჭარიდან,
ვინც დაღეწა გალია,
ვინც აისბა ფრთანი და
ლაქვარდ ცის კამარიდან
ვინც სალამს გვიგზავნიდა!

ცეკვა ბანზო

ძველ ტფილისის წყვილ ვარსკვლავად
ქალწულთა წყვილს ვხედავ ბანზე;
ცეკვენ დავლურს მომზიბლავად
და ეშხი სცემთ წერწერტ ტანზე.

ისე ლაღად, ისე ნაზად
 ირხვევიან ვერხვის სწორნი, —
 მზად ხარ: ფეხქვეშ ფიანდაზად
 გაეგო და ჰყო ამბორი.



ხელთ დაირაც აღმართული
 ისე ფრინავს, ისე რეკავს,
 რომ ეს ლექსიც, მათზე თქმული.
 სიყვარულის ცეცხლით ცეკვავს.



ს. თავაძე

უ რ თ ე ბ ი

რომანი *)

XIII

სალამოს, როცა ლაღი კომკავშირელებს „ოქტომბრის რევოლუციასა და რუსი კომუნისტების ტაქტიკაზე“ ესაუბრებოდა, ასალო თავის ოთახში იჯდა და წიგნს კითხულობდა.

საპატიმროებში შეუყვარდა მას ლიტერატურა და ახლაც მისი ერთადერთი მოსაუბრე და იღვმალე მეგობარი პატარა მაგიდაზე შეზვიინული წიგნები იყო.

ფანჯარასთან იყო მიდგმული ეს მაგიდა და იქვე სწვდებოდა უბრალო ტახტის სასთუმალი. სხვა არავითარი მორთულობა არ გააჩნდა. კირით შეთეთრებულ კედელზე გაზეთი გაეკრა და ტანისამოსი ლურსმნეებზე ეკიდა.

კუთხეში: ნავთურა, ჩაიდანე, აუცილებელი ჭურჭლეული და ორაქამი.

საერთოდ ამ ოთახის ფართობი დიდად არ აღემატებოდა ქუთაისის ციხის იმ ვიწრო საკანს, რომელსაც პატიმრები „სეკრეტს“ უწოდებდნენ. მაგრამ მაშინ იმ საკანში ასალოსთან მეორე ტუსალიც იყო დაშწყვედილი და შიგ მიმოსვლა მხოლოდ მორიგეობით შეეძლოთ.

მუხლებით შესდგებოდა რკინის ტახტზე და გადააპირებდა თვალს ფანჯარაზე. ქვევით მუდამ ხიშტიანი ჯარისკაცი იდგა. საოცარი თილისმა ჰქონდა თითქო იმ პირგრძელ მახვილს, შხამიანი და უღმობელი თილისმა, რაკი მთელი ქვეყნიერება ამ შეხუთულ დილეგში თავსდებოდა. თუმცა იმ წუთებშიაც კი, როცა მარტოდნენ ცის ნაჭერი მოჩანდა რკინაბადიან ფანჯრიდან და რკინის კარებსაც მძიმე ბოჭლოში ედო როცა თითქო წყდებოდა ყოველივე კავშირი მზითა და ვარსკვლავებით ანთებულ მსოფლიოსთან, იმ მწვევე წუთებშიაც ნათლად ხედავდნენ მე-

*) გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 4.

ფის ჯალათების ტყვეები თავიანთ ახალ ქვეყანას, თავიანთ დიდ მზეს, უცალებელი გამარჯვების შარავანდედით მოსილს.

ასალოს სიყრმიდანვე სჩვეოდა: აპყვებოდა ოცნებას, დაქვეითების მიღმა ჰქმნიდა წარმტაც სურათებს, აშენებდა უცნაურ კომპლექსსა და მზიურ დარბაზებს... შემდეგ საპატიმროში კიდევ უფრო განუვითარდა ეს ზნე.

ანკი ისე რა გააძლებინებდა იმ ალყაშემორტყმულ დილეგში, სადაც ბორკილების ელარუნი სერავდა გულს და მალალ ვალაევანს გადაღმა, შავ ეზოში, სახრჩობელას ბოძი იყო აღმართული! მაგრამ მაშინ მარტოდენ ღრუბლებს, მრავალფერადად აყვავებულ ღრუბლებს როდი ევლებოდა გარს მისი ოცნება, მარტოდენ მზიურ დარბაზებს როდი აშენებდა, — განწირულ ვებრძოლთა სახეები ედგა თვალწინ და თავისი წამებული სიჭაბუკე. შურისძიება სწყუროდა, უხეში ძალით გამარჯვებულ მტერთა გამანადგურებელი შურისძიება, და რაკი ეს იმ დღეს, იმ წუთში შეუძლებელი იყო, განერიდებოდა საგონებელი მისი ამ ცოცხალთა სასაფლაოს, ივიწყებდა შავად ამხედრებულ სინამდვილეს და ლალი ფრთებით გადაფრინდებოდა მარადისობის უქკნობი ყვავილნარით დამშვენებულ მომავალში.

შეუზღუდავად ეწაფებოდნენ სიცოცხლის წყაროს თავისუფალი და ბედნიერი ადამიანები ამ აღთქმულ ქვეყანაში, იყო მხოლოდ შემომქმედი შრომა, ძმობა და სიყვარული. ხოლო თუ ვინმე აღმოჩნდებოდა ისეთი, რომელსაც არ ექნებოდა ეს დიდი საზოგადოებრივი გრძნობა, იმას ასალოს ოცნება საავადმყოფოში ათავსებდა.

მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მიხვდა, რომ მას მხედველობიდან გამოეპარა უდიდესი გარდამავალი ეპოქა, როდესაც კიდევ უფრო მძაფრდება კლასთა ბრძოლა და სასიკვდილოდ განწირული ძველი ქვეყანა დაჭრილი ვეშაპივით აფრქვევს შხამიან ცეცხლს და ყოველივე საშუალებით ცდილობს ბარბაროსულად შემუსროს იმ მისწრაფებათა განმახორციელებელი ძალები, რისთვისაც თავს დებდნენ კაცობრიობის საუკეთესო შეილები.

ამიტომ იყო, ალბათ: თებერვლის რევოლუციის შემდეგ ციხიბრიდან რომ დაბრუნდა საქართველოში და აქაური გაზეთების თვალთ სკერეტდა რუსეთში დაწყებულ სამოქალაქო ომს, ვერ შეეთვისა რევოლუციის გაქანებას, ვინაიდან იგი სრულებით არ ჰგავდა საპატიმროების ბნელ საკნებში ნაოცნებარს. მაგრამ როცა იმავე გაზეთებში დიდის ამბით მოათავსეს საძაგელი ჭორები, რომ ლენინი და მაქსიმ გორკი გერმანიის იმპერიალიზმის აგენტები აღმოჩნდნენ, შესძაგდა ის ხალხი, რომელიც ასეთ სიყალბეს ავრცელებდა.

თანდათან განმარტოვდა და დაეუფლა კავშირანი ფიქრები, თითქო იმ აღთქმულ ქვეყანაშიაც ჩამოშვავდა შეწყვრი და დარჩა მხოლოდ ისე საცოდავად დაღუპულ ჩვილბავშვიან ელენეს სახე.

უხალისოდ მუშაობდა სახელოსნოში და ვერ წარმოადგინა ეს და-
კრილი გული ოდესმე გაუმთელდებოდა.

შუახნის კაცი იყო მაშინ და ცოლის შერთვა აზრადსაც ვერ წარსვლია. ჰყავდა ერთი მეგობარი ქალი, მაგრამ მას არ შეეძლო დაქორწინება გა-
ნუხურელ მოგონებათა სიღრმეში მოელვარე თვალეები. ოდნავ დაბინდუ-
ლი ციმციმით ამოაქონდა იმ თვალებს ქამთა დენაში დანთქმული დღე-
ები სიჭაბუკისა და ასაღო თითქო გრძობდა უხილავი ხელის შეხებას,
მწარტკბილი ერთნეტელივით რომ დაუვლიდა მთელ სხეულში...

აი ახლაც, წიგნი დახურა, ორივე მკლავით მაგიდას დაეყრდნო და
ფანჯრიდან სივრცეს დააკვირდა.

მის გასწვრივ ახლად შემწვანებული ფერდობი იყო, საღამოს ბინდით
ფერშეცვლილი. კორდის ძირას, ბილიკზე ბერძნის ბიჭი უხალისოდ იჭ-
ნედა გრძელ კომბალს და მძღარი ცხვრებიც ნებანება მიაქანებდნენ
გრძელ დუმებს, გზადაგზა ტუჩს უწვდიდნენ ნორჩ ბალახს და ფეხმძი-
მედ მიბაკუნობდნენ სოფლისაკენ. უფრო ახლოს, მინდორზე მუშა-ქალები
სახელდახელოდ ვაკეთებულ თიხის ქურბებზე ვახშამს ამზადებდნენ,
ხოლო თავთეთრა ბავშვებს ასანთის კოლოფები საბარგო ავტომობილებად
გარდაქმნათ, ახალ სახლებს აშენებდნენ და სილის გადაზიდვაში ერთმან-
ეთს ეჯიბრებოდნენ.

მაგრამ ასაღო გარინდებული ვაკეურებს სივრცეს და ვერც კომბლი-
ან ბერძნის ბიჭს ამჩნევს და ვერც ნორჩ მშენებლებს. სულ სხვა სურათი
უდგას თვალწინ:

სასიეროდ იყვნენ პატიმრები გაყვანილი და ამხანაგმა აცნობა,
ციხის გაღავანს გადაღმა ელენე დგას და გელოდება. მყისვე ჩაველო
ხელი ბორკლების ღვედს და კიბე ისე აირბინა, თითქო ცხრა გირვანქიანი
რკინის რგოლებით არც კი ყოფილყოს შეჯაჭვული. ფეხაკრეფით შეიპა-
რა დერეფანში და რკინაბანდს რომ მიაღვა, უმაღლეს დაინთქა საღლაც
საპატიმროს გუგუნე და მწვავე ბედნიერებით აღუესო გული ელენეს.
თვალთაგან შემოფრქვეულმა ღიმილმა.

ციხის გაღავანსა და იმ სახლს შუა, რომლის შესავალ საფეხურებზე-
დაც იდგა ელენე, სულ ოციოდე მეტრი იჭნებოდა, მაგრამ მათ გამოლა-
პარაკება არ შეეძლოთ, ვინაიდან ზღუდეს გადმოღმა და გადაღმაც ჯა-
რისკაცები მიმოდითონ.

დამუნჯებულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს, მოწყურებული თვალე-
ბით საუბრობდნენ.

თაღხი სამოსი ეცვა ელენეს და შავგვრემან სახეს სევდიან იერს
ჰყენდა.

გაზაფხული იყო მაშინ და საპატიმროს ირგვლივ, ეზოებში უბიწო
უმანკოებთ ციმციმებდა და ტყემლის ყვავილები, ახლად ნაფთქი სიცი-
ლის სიცილს აფრქვევდა ირგვლივ, თეთრად მოკაშკაშე სიცილს.

მაგრამ ჯალათივით გულჭეა და უღმობელი იყო იქვე აღმართული
გალავანი და რკინაბანდიან ფანჯარამდე ვერ აღწევდა. **ქუჩვდაქუჩა-
ლი ზეიმი გაზაფხულისა.**

ჯარისკაცმა შეამჩნია ელენე. შეერთა, ტუჩები აუთრთოლდა, თვალე-
ბი ცრემლით ამოევსო. მაინც თავი შეიკავა და დაუევიწყარი ღიმილით
გამოეთხოვა ასალოს...

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ წიგნებით საკვებ მაგიდაზე
დაყრდნობილი ასალო ახლაც ნათლად ხედავს ელენეს ცრემლიანდგარ
თვალეებს.

...ეს, ალბათ, სალამოს ბინდი ამოტივტივდა საპატიმროს გალავანივით
და ლამის დარაჯი არ აყენებს ელენეს, ამიტომ შეერბა ტუჩები და სანა-
ტრელი ღიმილით მიეფარა ზღუდეს...

— ეპ, წადი, გულო! შენ იყავი კარგად და მე რას დამაკლებს ეს
ბორკილები! — აღერსით გაივლო გუნებაში მაშინ ასალომ და ბორკი-
ლების ჩხარუნით გაემართა თავის ვიწრო საკნისაკენ...

მაგრამ ახლა? ახლა ვიღას მიუაღერსოს, ვისთან შეხვედრით სულ-
დგმულობდეს?

სქლად შეახვია თამბაქო. ადგა და ოთახში დაიწყო მიმოსვლა.

.....არა, შეიძლება ავად ვარ და ჰალუცინაცია შემართება, — ფიქრობ-
და ასალო. — თორემ რასა ჰგავს ეს? როგორც კი მარტოდ დავრჩები და
ჩაეფიქრდები, იმ წამსვე იმ საწყალი ქალის სახე მომელანდება. ამ ბოლო
ხანებში მაინც... განსაკუთრებით იმ დღიდან, ლადიმ რომ ის სურათი
მიჩვენა... მაგრამ საიდან სადაო!.. ოდესმე უნდა წავიდე ტფილისში და
ის ქალიშვილი ვნახო. მაგრამ საჭიროა კი?.. საფლავიდან ამოსულ
ლანდებს ვესაუბრები... რა დროს ესაა! ახალი ქვეყანა შენდება, ახალი
ხალხი მოდის... რაო? კიდევ რალაც პირადს დაეძებ? დაკარგულის დაბრუ-
ნება გწადია?.. ჰაი, ჰაი, ბიჭო ასალო, ვერა ხარ კარგი მებრძოლი! გაგ-
ტება, წარუშლელი დალი დაგასვა უმწეო ცოლშვილის დაღუპვამ და
ახლა თვალეებამღერეული დგახარ ახალი ცხოვრების მიჯნაზე..."

კარგა ხანს მიმოდიოდა ოთახში, თავის თავს ებრძოდა, მაგრამ მაინც
ვერ დაიმშვიდა შეჭირვებული გული. დაუმძიმდა მარტოობა და ლადის
ხმის გაგონება მოსწყურდა. რამდენჯერმე გავიდა ვიწრო დერეფანში,
ლადის ოთახის კარს მიაყურადა, მაგრამ იქ ჯერ კიდევ გრძელდებოდა
მეტადინეობა.

ბოლოს, ახალგაზრდების არეული ხმები რომ შემოესმა, მოკრძალებით
შეალო კარი, ოთახში თავი შეჰყო და მკრთალი ღიმილით მოაელო ბი-
ჭებს თვალი; სასიხარულო მესაიდუმლის გამომეტყველება ჰქონდა აღ-
ბეჭდილი სახეზე.

— ოო, ბიძია ასალო! მობრძანდი, მობრძანდი! — ერთხმად მიიპატი-
ყეს კომკავშირელებმა.

ლადიმ მაგიდასთან დაუდგა სკამი, და — საოცარია! — როგორც კი დაჯდა, მეტად საამო შვება იგრძნო მისივე, თითქო ორიოდ წუთის წინათ არც კი განუცდია გულში ჩაღვრილი შხამის მღვრავი დაუბრუნდა საკუთარი თავის პარტიისცემა და სადღაც სულის სიღრმეში მცირედენმა სიამაყემაც გაუელვა. არა, ეს არ იყო ამპარტავენება, — მშვიდად გადახედა თავის ცხოვრების გზას და უნებლიეთ გაიფიქრა: აი ეს მკვირცხლი ახალგაზრდები რომ სწავლობენ და ახალ კულტურას ქმნიან, მის საფუძველში ერთი პატარა აგური მაინც არის, ასალოს ბრძოლითა და შრომით მიტანილი... ამ ახალმა კოლექტივმა უნდა დაავიწყოს მწარე მოგონებანი და მათთან ერთად შეჰხაროდეს ახალ ქვეყანას...

ლადიმ ეშმაკურად გაუღიმა ასალოს და ხუმრობის კილოთი უთხრა:

— აი, ჩვენ ახლა „ოქტომბრის რევოლუციის და რუსი კომუნისტების ტაქტიკას“ ვამუშავებდით, იქ არის ერთი ფრაზა, რომელიც თქვენ წარსულში ძალიან გაბასიათებდათ.

— რა ფრაზაა ისეთი?

— ჰამლეტური ეპიკები, — უპასუხა ლადიმ.

— ჰამლეტური კი არა, წმინდა წყლის მენშევიკური ეპიკებია, — მკაცრად დასძინა სერგო ნიკურაძემ.

— მოიცა, სერგო! — შეაჩერა ლადიმ. — აი წაგვიკითხავ. ს ტ ა ლ ი ნ ი ამბობს:

„უეჭველია, რომ ევროპის უმთავრეს ქვეყნებში რევოლუციის ერთსა და იმავე დროს გამარჯვების უნივერსალური თეორია, ერთს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის თეორია, — ხელოვნური და უსუსური გამოდგა... — მერე — „...ეს თეორია იძლევა სტიმულს კაპიტალზე არა აქტიური შეტევისათვის ცალკე ქვეყნების მხრით, არამედ „საერთო ვარდატების“ მომენტის პასიური ლოდინისათვის, ვინაიდან ის ცალკე ქვეყნებს შორის ნერვავს არა რევოლუციურ გაბედულებას, არამედ ჰამლეტურ ეპიკებს — „იქნებ მას სხვებმა მხარი არ დაუჭირონო“.

ლადიმ წიგნი დახურა და ღიმილით შეეკითხა ასალოს:

— რას იტყვიტ ახლა ამაზე?

ასალო შეიშმუნა, მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე უღვაშებში გაელიმა.

— ცოტათი ბრალმდებელის კილო კი ურევია შენს შეკითხვაში, მაგრამ რა გაეწყობა! მაინც ასეა: მე შენხელა შეილი უნდა მყავდეს ახლა, მაგრამ მაინც უფროსი ხარ, მაღალ საფეხურზე დგახარ და წინ მიდიხარ. ვასწი, იარე! ჰამლეტური ეპიკებით შეპყრობილი თუ ვინმე გადაგელობოს, არ დაინდო... თუმცა ერთი მეც მომისმინე. ადამიანის პირადი ცხოვრება მუდამ ისე არ მიმდინარეობს, როგორც მას სურს. ათასი ხლართი უნდა გაარღვიოს. მე ძველი პირობები და ჩემი პირადი ცხოვრება მაქვს მხედველობაში... მე ხშირად ვსაუბრობ ხოლმე ჩემ თავთან. ალბათ, მარ-

ტოობისა და წლრვანების ბრალია ეს. ჰო-და, რამდენჯერ წარმოვიდგენია: დიდი იდეებსათვის მებრძოლი დიდი რაზმი უსასტიკესი ბრძოლით იკაფავს გზას, უამრავი დაბრკოლება ელობება წინ, მაგრამ წინააღმდეგობა არ ჰკარგავს, ვინაიდან იცის, რომ გამარჯვებას უთუოდ მიაღწევს დაღუპული ამხანაგების სისხლითა და ძვლებით არის ხშირად შეკირული ის ხიდი, რომლითაც ეს რაზმი მეორე ნაპირას გადის... ჰო-და, ისევ იწყება უფრო დიდი და გადამწყვეტი ბრძოლა, ათასი ნაპრაღი და უღრანი ტყეები, დამშეული მხეცეებით სავსე ტყეები უნდა გადალახოს კიდევ, რომ საბოლოო გამარჯვებას მიაღწიოს... წარმოვიდგინოთ, რომ ამ გამწვავებული ბრძოლის დროს ჩამორჩა მათ ერთ-ერთი რაზმელი, არა, კი არ ჩამორჩა, მტერს ტყვედ ჩაუვარდა, ანდა გზა დაებნა, გაუვალ ხევში მოემწყვდა, ბხელ ჯურღმულში გადაიჩეხა. მაგრამ ის, — ე. ი. მე ამ შემთხვევაში. — მთლად არ დაძაბუნებულა, მთელი ძალღონით ცდილობს იმ ჯურღმულებიდან ამოვიდეს და როგორმე თავის რაზმს შეუერთდეს... ჰო-და, მოდის, ლადი, ის რაზმელი შენთან, — წარმოვიდგინოთ, რომ შენ ხარ იმ რაზმის მეთაური, — მოდის განაწამები, მრავალჯერ დაჭრილი და დასახიჩრებული, მაგრამ მაინც მთელი გულით მოდის... იცი, ბიჭო, რა არის მთელი გული? დედის სიყვარული ხომ გამოგიცდია — ასეთივე დედაა ჩვენთვის ჩვენი კლასი, — მეგობრისათვის თავის დადება ხომ მონატრებია? ამ დიდ გრძნობაში ხომ ოდნავი ანგარებაც არ არის? ჰო-და, ეს არის მთელი გული. აი, ამ მთელი გულით მოდის ის, ლადი, შენთან და რას უზამ? ხელს ჰკრავ და ისევ იმ ჯურღმულებში გაისტუმრებ?

დიდის ყურადღებით უსმენდნენ ახალგაზრდები. ასალოს სიტყვებზე უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე იმ წრფელმა და გრძნობით სავსე კილომ, რომლითაც ის ლაპარაკობდა. დიდრონი თვალებიც ერთობ გაბრწყინებული ჰქონდა, თითქო გულის სიღრმეში ნაფეთქი მდღუარება კრემლად გადმოედენას ლამობსო.

ლადიმ ოდნავ სინანულიც კი იგრძნო — რად მივეციო ის შეკითხვა თანაც იღუმალად გაიშრიალეს გონების რომელიღაც კუნჭულში ნაცნობმა სიტყვებმა — „დამპალი ლიბერალიზმი“ და „შემარტებლობა“. ატყობდა, რომ რალაც უხერხულობა წარმოშვა ამ ორმაგმა განცდამ, მაგრამ მაინც იმ ღიმილით უპასუხა, რომელიც ლადის ფრიალ შეწნოდა:

— ვინც ჩვენთან მთელი გულით მოდის, მას ხელს არასოდეს არა ეკრავთ. ეს შენც კარგად იცი, ამხანაგო ასალო.

— იცის, მარა თავს იკატუნებს, — თავისებური ხუმრობით დაუმატა სიმონიკამ, — ხომ იცით ერთი დედის ამბავი: ჩვენ რომ ახლა თითო კაკალი მოხარშული კვერცხი მოგვცა, ისე მოაწყობს საქმეს, რომ ჩვენ ნახევარ-ნახევარი დაგვრჩება, მას კი სამი, თუ ოთხი მთელი.

— არა, სიმონ მე მარტო პირადი გაძლომისათვის არასოდეს არ მიზრუნვია, — მცირეოდენი წყენით შეესიტყვა ასალო.

— კარგი ახლა, მოდი, უფრო სერიოზულ საქმეზე გადავალთ! — ხელმძღვანელის ტონით სთქვა ლადიმ და მერე ასალოს მიმართა:

— ბიძია ასალო, გვიამბეთ რამე ძველ რევოლუციურ წინააღმდეგობაზე. ახ ბიჭებს არც უნდადარმი უნახავთ და არც გუბერნატორი. დღევანდელ მე-ცადინეობას ამით შეეგვსება.

— რა უნდა გვიამბოთ? პარტიის ისტორიაში ყველაფერი ნათლადაა გაშუქებული.

— არა, ცოცხალი ადამიანის მოთხოვნა მაინც სხვაა. აი, შენ მოთხარი ერთხელ, სტალინს ბევრჯერ შეეხვედრივარო. მოგვიყვი, სად როგორ, რა პირობებში...

— სთქვი! სთქვი! — დაინტერესდნენ ახალგაზრდები.

ფრიად ეამა ასალოს ეს გულთბილი შეხმაურება. თამბაქო გაახვია, სიყვარულით მოაეღო ყველას თვალი და მცირე ხნით ჩაფიქრდა.

XIV.

— არ ვიცი, როგორ გვიამბოთ... მეოთხედი საუკუნეა მას შედგე. მერე როგორი საუკუნე!.. ათასი ვაიფავლახი გადამხდა... მაგრამ რამდენიმე სურათს ახლაც ნათლად ვხედავ, ისე ღრმად ჩამჩა ხსოვნში. ვეცლება როგორმე გადმოგვცეთ...

მაშინ, ე. ი. 1907 წლიდან, ბაქოს შეეფარე თავი. თქვენსავით ახალგაზრდა ვიყავი და ბევრი არაფერი გამეგებოდა. საკატორლო საქმე კი აკიდებული მქონდა და არაღვგალურად ვცხოვრობდი. მენშევიკების წრეში მოვხვდი, იმათ მიშოვნეს პასპორტი და სახელოსნოშიაც მომანწყვეს. თქვენ გგონიათ ძალიან ვერკვეოდი მაშინ ბოლშევიზმსა და მენშევიზმში? ორიოდ ბროშურა მქონდა მხოლოდ წაკითხული და პროკლამაციები.

...ბაქოში მაშინ ძლიერი მუშათა მოძრაობა იყო.

საქართველოში, განსაკუთრებით კი გურიაში, საიდანაც მე ძლივს გავიპარე, სისხლიანი ალიხანოვი დათარეშობდა თავისი დამსჯელი რაზმებით, სწევდა და ანადგურებდა სოფლებს...

საუკეთესო მებრძოლები საბრძოლელაზე აჰყავდათ... მასობრივად ახალგაზრდები ციმბირში, კატორლაში გზავნიდნენ...

იქ კი, ბაქოში, პარტიული ორგანიზაციები დიდი წარმატებით ხელმძღვანელობდნენ მუშათა მასების ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლას...

ცხადია, იქაც ბევრს აპატიმრებდნენ, მაგრამ ორგანიზაციების დაშლას მაინც ვერ ახერხებდნენ...

მე ბიბიეიბათის რაიონში ვმუშაობდი. ფერდობზე შედგმულ სახლის ხარდაფში მქონდა ბინა.

გადაეხედავდი მალლობიდან და — მარჯვნივ რუხი გოგონები, რეალი, მარცხნივ კასპიის ზღვა, შუაში კი ნავთის ქაბურღილებზე აღმართული შავი კოშკები, ქარხნების მაღალი მილები და კვამლით გაქვავებული კა... ერთი მეორეზე მიყოლებით აბლაეღდებოდენ საყვირები და ნავ ქუჩებში თავიდან ფეხამდე მაზუთში ამოსვრლი მუშები გამოეფინებოდენ...

ატყვებოდა საჭეაბე საამქროებში დამაყრუებელი დაგაღუგი და შესვვენებლად ჭშენდენ და ოხრაედენ მანქანები...

სარეწაოების სიახლოვეს, გზის პირად, ჭონჭყოებში დალასლასობდენ კონკებიანი, სახეშემურული ფეხშიშველა ქალები და ჩვრებით მაზუთს აგროვებდენ...

რკინის კარებთან იდგენ მაღალბოხბოხიანი და მძიმე რევოლვერიანი მცველები და შესვლელეებს ათვალიერებდენ...

უხეად ამოაქონდათ მუშებს მიწის გულიდან შავი ოქრო, მაგრამ მაშინ ეს სიმდიდრე შინაური და უცხოელი კაპიტალისტების ფუფუნებას ხმარდებოდა...

ჰო-და, გამუდმებით ბობოქრობდა ზღვასა და გორებს შორის გაწოლილი უზარმაზარი ლორმუცელა ვეშაპი და მშრომელთა ოფლითა და სისხლით ვერ ძლებოდა.

განწირული ადამიანის გამომეტყველებით შედიოდენ მუშები სარეწაოებში და, როგორც კი საყვირი აზუზუნდებოდა, თავჭუდმოვლეჯილი გამოვობოდენ იქიდან, თითქო საშინელ საპატიმროს თავი დააღწიესო...

ჰო-და, აი აქ ვხვდებოდი კობას...

ძნელია ახლა ჩემთვის მისი სიტყვების გახსენება; თქვენთვის ხომ ისედაც ცხადია, თუ რას ილაპარაკებდა მუშათა კრებებზე ჩვენი დიდი ბელადი. მე მხოლოდ შევეცდები, რომ ზოგიერთი შეხვედრის მკრთალი სურათი მაინც დაგიხატოთ...

წარმოიდგინეთ კარგა მოზრდილი სახელოსნო.

დაკრეს შუადღის საყვირი.

შეჩერდა სახარატო დაზგები და აღარ შრიალებს ღვედები. მხოლოდ სამჭედლო საამქროს ქურებიდან მოისმის მინელბული გუგუნა.

მუშებმა ხელი დაიბანეს, მაგრამ არსად მიდიან. სხვა განყოფილებებიდანაც აქეთ მოეშურებიან. დღეს დიდი კრებაა, ეგრეთწოდებული „ეკონომიური თათბირის“ საკითხი უნდა განიხილონ... აქ უმთავრესად ხელოსნები არიან.

მაშინ მენშევიკებს ხელოსნებში საკმაო მომხრე ჰყავდათ. რატომ? იმიტომ, რომ სინი დანარჩენ მუშებთან შედარებით კარგ ხელფასს იღებდენ, ცხოვრების უკეთესი პირობები ჰქონდათ და აქტიურ ბრძოლას გაურობოდენ. დაპატიმრებისა და ადგილების დაკარგვის ეშინოდათ. ამიტომ ჰქონდა გასავალი მათ შორის ლიკვიდატორულ მიმდინარეობას...

სახელოსნო ხალხით უკვე გაიქცედა. ზოგი ფეხზე დგას და ზოგი დახ-
გებზეა ჩამომჯდარი.

აგერ შოდის კობა. უბრალო სატინის ხალათი ატყეპს დასამსხმს კეპა-
ახურავს. ცოტათი გამხდარია და ეს ოდნავ მოგრძოდ აჩენს მის შთამ-
გონებელ სახეს.

გვერდით რომ ჩამიარა, გამოიღმა, ვინაიდან მას უკვე პირადათ ვი-
ცნობდი.

იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელსაც ღიმილი ასე შეენოდეს...

მაშინ მუშებს ინტელიგენტები მაინცადამაინც არ უყვარდათ. ცხრას
ხუთის რევოლუცია რომ დამარცხდა, ბევრი მათგანი, რევოლუციის დღე-
ებში რომ მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდნენ, სოროებში შეძვრენ, თბილ
ადგილებზე მოეწყვენ. ამიტომ იყო, მუშა რომ ამხანაგს სისუსტს, ან სი-
ლანჩეს შეატყობდა, „აი, შე ინტელიგენტო“, წასძახებდა.

მაგრამ კობა რომ სახელოსნოში შემოვიდა, ჩემს გვერდით ჩაილაპა-
რაკეს — „აი, ეს ჩვენია, ეს არასოდეს არ გვიღალატებსო“...

...რამდენიმე ორატორმა წარმოსთქვა სიტყვა, მათ შორის ძველმა მუ-
შამ — პეროვმა, რომელსაც ხელოსნებში საკმაო გავლენა ჰქონდა. პერო-
ვი წმინდა წყლის ლიკვიდატორი იყო და სასტიკად გაილაშქრა ბოლ-
შევიკური ტაქტიკის წინააღმდეგ...

მაგრამ აი დაზვავზე შესდგა კობა და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზი
რომ გაფრენილიყო, გაიგონებდით...

ბევრი რამ ავიწყდება ადამიანს წლებს განმავლობაში, მაგრამ დიდი
და ღრმა განცდა წარუშლელად რჩება ხსოვნაში.

ჰო-და მე მაშინ ვიგრძენი, რომ ეს მაღალთაღებიანი სახელოსნო, სა-
დაც მხოლოდ ჩამსხვრეული მინებიდან შემოდიოდა სინათლე, აივსო ენ-
ით გამოუთქმელი მისწრაფებით, მუშათა კლასის იმ დიადი იდეებით, რომ
მელიც მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა განასახიერეს...

სდუმდენ და მშობლიური სიყვარულით შეჭყურებდნენ სახეშემთრული
მჭედლები, ხარატები, ზეინკლები და შავი მუშები კობას. მათსავეით უბ-
რალოდ ჩაცმულს, მათი გულის მესაიდუმლეს, მათი ბრძოლისა და გამა-
რჯევების იმედს.

მისი ოდნავ გამხდარი სახეც ხომ ამას მეტყველებდა: არც ერთი ხა-
ზი, არც იოტისოდენი იერი, რომლის მიხედვითაც მუშები მაშინვე იც-
ნობდნენ სხვა წრიდან, სხვა კლასიდან მოსულ ადამიანს...

დინჯად და აუჩქარებლად ლაპარაკობდა, არ დელავდა. არც არტის-
ტული ენებებით ცდილობდა მსმენელთა დარწმუნებას. ფოლადისებური
სიმტკიცით ჰკვეთდა თითოეულ სიტყვას, უბადლო სიმარტივით და და-
მაჯერებლობით მარცვლავდა თავის აზრებს და უღმობელი ცეცხლით
ანადგურებდა მოწინააღმდეგეს...

ამიტომ იყო, მენშევიკების ცნობილი ოქროპირები გაურობდნენ ზში-
რად კობასთან კამათს. კარგად იცოდნენ, რომ მასთან მტრულდებოდნენ
მევერმეტყველებით ვერას ვახდებოდნენ...

ელვარე ხმალივით გაიფლავებდა მათ მიერ დაყენებულ ნისლში კობას
სიტყვები და ღრმად სუნთქავდნენ მუშები მაღალი მთის გამსჭვირვალე
ჰაერს, ნათელი აზრის სხივებით დაწმენდილს...

ახლაც ასე მოხდა. დაამთავრა სიტყვა და ყველა მუშამ ერთხმად ტა-
ში დაუკრა. მხოლოდ პეროვი და ორიოდ სხვა ლიკვიდატორი იდგნენ
პირქვეშად...

...სარეწაოებისაკენ მიმავალ გზის პირად, შავად შექცვარტლულ სახ-
ლების სიახლოვეს, მუშათა სასადილო იყო... სეფსავით გრძელი ფიც-
რული, ორმაგად ჩამწკრივებული შიშველი მაგიდები და მახუთით გა-
სერილი სკამები...

მოაწვედა სადილობა და გაიქცებოდა სახეშემურული, ხელდაუბანე-
ლი მუშებით ეს სასადილო. მიუჯდებოდნენ პირამდე სავსე თეფშებს და
ბორძის, ოფლისა და ნავთის სუნით გაიფლავებოდა ჰაერი...

თითქმის ყველა პარტიულ მუშაკს ვიცნობდი, მაგრამ არც ერთი არ
მინახავს იქ სასადილოდ შემოსული. კობა კი — ასე მგონია ახლაც ნათ-
ლად ეხედავ — აგერ ჩვენს გვერდით ზის და შაურიან კერძს სჭამს. აქ-
ვეა მისი ხშირი თანამგზავრი — პეტერბურგეცი, შუა ტანის გამხდარი კა-
ცი, კობასავით უბრალოდ ჩაცმული...

მერე ნაცნობ მუშებს ესაუბრება შინაურულად, გულთბილად, თავი-
სებური მიმზიდველი ღიმილით, ორიოდ მარტივი სიტყვით აშუქებს
უდიდეს ამოცანას...

...რამდენჯერ ავდევენებივარ მას სიყვარულით... ახლაც განვიციდი იმ
დიდ სიხარულს, ერთხელ კობამ და პეტერბურგეცმა სარდაფში სადილზე
რომ მიმიწვიეს... ვიწრო და ბნელი იყო ეს სარდაფი, სადილიც ერთობ
ღარიბული, მაგრამ იქ კობა იჯდა ჩემს გვერდით, კარგ ვუნებაზე იყო
და სახეზე ღიმილი არ შორდებოდა...

მწელია ახლა თქვენთვის ჩემი განცდის გაგება... ნურას ვიტყვით იმა-
ზე, რომ სოციალიზმი ჩემთვის აღთქმული ქვეყანა იყო და მზად ვიყავი
მისთვის თავი გამეწირა... მე ერთი სამშობლოდან გადმოხვეწილი ბიჭი
ვიყავი. დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად კატორღა მომელოდა და არ
იყო ჩემი საშველი ისე, თუ თვითმპყრობელობა არ დაემხოდა... ჰო-და,
შეეპყურებდი კობას და ფოლადდებოდა გული ჩვენი აუცილებელი გა-
მარჯვების რწმენით, ხუხულასავით ირღვეოდა თანდარმებით, დამსჯელი
რაზმებით, საპატიმროებითა და სახრჩობელებით გამაგრებული წყობი-
ლება...

...ეს იყო 1910 წელს. ბაქოში რეაქცია უკიდურესად გამწვავდა. ჯა-
ლათმა მარტინოვმა ჯაშუშებითა და პროვოკატორებით ააქსო მუშათა
4. „მნათობი“ № 5 — 6.

უბნები... მეც ჩავარდი, ე. ი. დამპატიმრეს და ცხრაას ხუთას საჭმეც აღმომიჩინეს... კატორღა განადგებულ იყო. ბაილოვიდნე, ყუფუცუტეში გამიყვანეს. მგონი, რომელიღაც ქველმოქმედმა კაპიტალისტურმა წირომეფის მთავრობას ფული ამ უზარმაზარი ციხის ასაშენებლად... ბაილოვის ციხე ამასთან შედარებით სასტუმრო იყო. შემზარავად გამოიყურებოდა ეს ქვეთა და რკინით ნაშენი, მრავალსართულიანი ცოცხალთა სასაფლაო. მეციხოვნეთა ველური რეჟიმი იყო შიგ გამეფებული, სხვა საპატიმროში რამდენიმე წუთით შაინც გაგიყვანდნენ სასიეროდ, აქ კი ჩაგკეტავდნენ საკანში და მორჩა... ერთხელ ზედაშხედველს სიტყვა შეუბრუნე. სამი დღით ჩამსვეს კარცერში. დაყრუბული ფეხისადგილი იყო იგი, მალლიდან წყალი ჩამოდიოდა და შმორიანი სინესტით გავლენთილი ვტრიალებდი შიგ... რამდენხანს უნდა გამეძლო ფეხზე. ძილი რომ მომერეოდა, ძალაუნებურად ჩავჯდებოდი ატალახებულ ცემენტის იატაკზე... დღეში ერთხელ ვაალებდნენ კარს და შავი პურის ნაჭერს შემომიგდებდნენ...

ჰო-და, ამ საპატიმროში მოიყვანეს კობა. ეანდარშმა სურათის გადასაღებად გამომიძახა და იქ შეეხვდი პირველად... მაშინ რომ კობას სურათი გადაუღეს, ის ახლა საყოველთაოდ ცნობილია, თქვენც ხომ გინახავთ გაზეთში დაბეჭდილი. მხოლოდ იმ ადგილს ავიწერთ, სადაც ეს მოხდა.

ღრუბლიანი დღე იყო. ციხის ქვედა სართულთან, დიდ ვალაევანს შიგნით, დაბალი შენობის წინ შუაკედელი იყო აღმართული. ამ კედელთან იდგა კობა და ეანდარში სურათს უღებდა. წვერი ოდნავ მოშვებული ჰქონდა და არც ერთი ხაზი არ ირხეოდა მის საოცრად დამშვიდებულ სახეზე, თითქო მას არც ვი ეხებოდა, ეანდარში რომ ფოტოაპარატთან ფუსფუსობდა, თითქო მის მიღმა ზდებოდა ყოველივე ეს და ის თავის დიდ მიზნებზე ჰფიქრობდა... შეეპყრებდი მას და — როგორ გადმოგცეთ, ეს სიტყვები რომ არ მყოფნის! — თითქო თვალს ვერ ვაწვდენდი. ისეთ სიმალღეზე იდგა ეს სალკლდესავეთ შეუდრეკელი ადამიანი...

მერე იმ დაბალ შენობაში შეგვიყვანეს. ეანდარში დაკვირვებით ათვალიერებდა კობას და მისი სახისა და აღნაგობის ნიშნებს იწერდა...

...ფართო დერეფნის ორივე მხარეს ჩამწყობებული იყო ვიწრო საკნები.

რკინაბანდის კარები ჰქონდა თითოეულ საკანს და დერეფანში რომ ზედაშხედველი მიმოდიოდა და გრძლად აცმულ ვასალებებს არაჩხუნებდა, ნათლად ხედავდა, თუ რას აკეთებდა ესა თუ ის პატიმარი.

აქ ვერც დღისით და ვერც ღამით ვერ დაემალებოდა ადამიანი მეციხოვნის მზვერავ თვალებს.

ვისაც თვითმპყრობელობის ციხეებში ყოფნა გამოუტყდა, მხოლოდ ის მიხვდება, თუ რას ნიშნავს, როდესაც ტუსაღს ერთი წუთითაც არ შეუძლია აირიდოს ზედამხედველთა მგლური ცქერა...

ჩემი საკნის პირდაპირ, ხელმარცხნივ იყო მოთავსებული კობა და ხშირად ვხედავდი მას რკინაბანდიდან...

მაგრამ ჯერ — როგორი იყო ეს საკნები.

ცემენტის კედლები, ცემენტის ჭერი და იატაკი. არც მაგიდა, არც სკამი, არც ტახტი, თხელი ქილობი გვჭონდა მხოლოდ და მისი გაშლა ნავახშმევს შეიძლებოდა. ჩამორეკაედენ ზარს და ჩავეწყობოდით თევზებივით... დღისით ეს ქილობი უთუოდ აკეცილი უნდა ყოფილიყო. წამოწოლა აკრძალული იყო. ვერც ზედამხედველის თვალს დაემალებოდი და ცემენტის შიშველ იატაკზე მიწოლაც არ იყო სასიამოვნო. შეიძლებოდა მხოლოდ კედელთან მიკეცილ ქვეშაგებზე ჩამოჯდომა, თუ არა და საკანში კედლიდან კედლამდე ტრიალი, ისიც მორიგეობით, ვინაიდან ყველას რომ მიმოსვლა დაეწყო, გასაველელი აღარ დარჩებოდა...

...გაალებდენ შუადღისას რკინაბანდს და საერთო ჯამში ჩაასხამდენ ამღვრეულ ნახარშს, რომელშიაც რამდენიმე მარცვალი ლობიო ან მუხუდო დასცურავდა...

ჩემს საკანში აზერბეიჯანელი გლეხები ისხდენ, უმთავრესად სისხლის სამართლის საქმეზე. მოირთხამდენ ფეხს ცემენტის იატაკზე, გააბოლებდენ თამბაქოს და დაუსრულებლად უყვებოდენ ერთმანეთს თავიანთ გასაჭირს... ფართო დერეფანში კი ლურსმანიანი ჩექმებისა და გრძელი გასალებების ჩხარუნით მიმოდიოდა მეთვალყურე...

— ჰო,-და, როცა მეტისმეტად დამიძიმებოდა მარტოობა, გავაპარებდი თვალს კობას საკნისაკენ და... იცით რა? მე რომ მხატვარი ვიყო, შევქმნიდი სურათს, რომელიც ახლაც ბრწყინვალე ქანდაკებასავით მიდგას თვალწინ.

აი რკინაბანდის სიახლოვეს, რუხ კედლებიან საკანში დგას კობა - ჩვენი დიდი სტალინი, ჩვენი საყვარელი მასწავლებელი, ყველა ქვეყნის მშრომელთა და ჩაგრულთა იმედი, — თხელი პალტო აქვს მხრებზე წამოსხმული და მკირედ დაშვებულ მარჯვენა ხელში თითით დანიშნული წიგნი უჭირავს; შავი, სქელი თმის რამდენიმე კულუღი შუბლზე ჩამოშლია და ღრმად ჩაფიჭრებული გაკუურებს შორეულ ჰორიზონტს. შეურყვეველი სიმტკიცის იერი ჰმოსავს მის ოდნავ გამხდარ სახეს.

საპატიმროს ჩრდილში დგას იგი, მაგრამ თვალნათლივ ხედავს აღმავალი საუკუნეების რიფრაქებს, გრანდიოზულ ბრძოლებსა და საკაცობრიო გამარჯვებებს...

დერეფანში მძიმე რევოლვერიანი ზედამხედველი არაჩხუნებს გასალებებს, საკნის კარებიც რკინითაა დახლართული...

გარეთ კი სისხლიანი რეაქცია ზეიმობს... მეფის მინისტრი მთელ რუსეთს ყორანივით დასჩხავის და მედიდურად გაიძახის: „შეგვაშინებთო“...
 შინგლირთხე

ხოლო ჩვენი კობა, ჩვენი სტალინი ფოლადივით იღვა მაშინ იმ საკანში, მხრებზე თხელი პალტო ჰქონდა წამოსხმული, ღრმად ჩაფიჭრებული გაპყურებდა ამომავალ ეპოქებს და წინასწარ სჭვრეტდა ჩვენს დღევანდელ და ხვალინდელ გამარჯვებას...

XV

დამთავრდა საუბარი და კითხვა-პასუხი. კომკავშირელები ამდენი ხნის დაძაბული ყურადღების შემდეგ მზიარული ოხუნჯობითა და სიცილით დაიშალნენ.

ასალოც ზანტად წამოდგა, მაგრამ ლადიმ შეაჩერა:

— დაიცადეთ, ამხანაგო ასალო. ჩაის დავადგამ აგერ და ვისაუბროთ.

ასალოს გული გაუნათლდა, უღვაშებში გაელიმა და მაგიდასთან ჩამოჯდა.

— ერთი რამე უნდა გკითხო, ბიძია ასალო, და ნუ გეწყინება.

— რა მაინც?

— რატომ არა ხარ შენ ბოლშევიკი?

ასალო შეერთა, სწორედ ისე, მოფარიკავეს რომ ხმაღს გააგდებინებს ხელიდან მოწინააღმდეგე და პირბასრი მახვილი ზედ სახესთან გაუელვებს.

შეაკრი და მოულოდნელი იყო ეს შეკითხვა და ასალომ მყისვე პასუხის გაცემა ვერ მოახერხა.

ლადიმ შეატყო ეს და განუმარტა:

— მუშათა წრიდან მოდიხარ, ამდენი ბრძოლა და გაჭირვება გამოგივლია, ჩვენი ბელადის სიტყვები მოგისმენია...

— მოიცა, ლადი. — შეაჩერა ასალომ. — მაგ კითხვის პასუხი იყო ის, წელიან რომ ვიამბეთ გზადაბნეულ რაზმელზე... მენშევიზმის ტყვეობაში ვიყავი დიდხანს... მერე — ერთხელ ხომ მოგიყევი — დიდი უბედურება გახვიცადე, ცოლშვილი საშინლად დამელუპა... ნუ გაგიკვირდება ეს, ასეთ შემთხვევაში ბევრი თავს იკლავს. მე თავი ვერ მოვიკალი, მაგრამ ვავტყდი კი... ის ბავშვი მაინც შემრჩენოდა... აი, შენ შეყვარებული გყავს... მაგრამ არა. შენ ვერასოდეს ვერ წარმოადგენ მთლიანად იმ პირობებს, რომელშიც მე ეს უბედურება დამატყდა... გარდა ამისა, მე ლენინს მენშევიკური ლიტერატურიდან ვიცილობდი მხოლოდ. იმ ლიტერატურაში კი სახარების მცნებასავით იმეორებდენ — „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენო“... ახლა კი ვიცი თუ სადამდი მივიდა ის დემოკრატიზმი — სისხლიან ფაშიზმს გაუხსნეს გზა... ახლა ვატყობ, რომ მიმთელდება გაბზარული გული და ამ მთელი გულით...

მცირე ხნით ჩაფიქრდა, მერმე ღრმა სიყვარულით შეავლო ლადის თვალი და დარბილებული ხმით უთხრა:

— არ ვიცი რატომ... შვილივით მიმაჩნიახარ, ^{ერქვეყნული} ~~უფლებლქვეყნული~~ ლადის, შენ გეუბნები, რომ მე ახლა მთელი გულით ბოლშევიკად ვსთვლი თავს, არაპარტიულ ბოლშევიკად... თუმცა ეს სიტყვა — „არაპარტიული“ არ შეეფერება ჩემს მდგომარეობას, მაგრამ რა გაეწყობა, ორმოცდაათ წელიწადს გადავაბიჯე და...

ღიმილით დაუშვენიდა სახე ლადის, ასალომ რომ უთხრა — შვილივით მიმაჩნიახარო, და ძაძუს მოალერსე სიტყვებს მოჰკრა თითქო ყური. თანაც საოცარი სიკბადით წარმოუდგა თავისი ჭეარტლიანი სახლი და გრძელი ლოგინი კედელთან, რომელზედაც ციებ-ცხელებით შეპყრობილი პატარა ლადი იწვა.

დიდი სიციხე ჰქონდა ლადის და გაშტერებული თვალებით შეჰყურებდა ქერს. ბამბასავით თეთრი ღრუბლები იგრაგნებოდა იქ და ამ ღრუბლებში იყო გახვეული ლადიც. გულის შემლონებელი შრიალით მიიჩნეოდნენ სადღაც ეს ტალღები და ონავარივით მიაქროლებდნენ ხელფეხ შებოქვილ ყმაწვილს, ადიოდნენ თვალუწვდენელ სიმაღლეზე, მერმე უცებ შვავდებოდნენ და საშინელი ნაპრალები ნთქავდა ლადის. მაგრამ მალე ისევ შემოეხვეოდა გარს თეთრად აზვირთებული ნისლი, შედედდებოდა, უცნაური ცხოველების სახეს იღებდა და ეს ცხოველები აბურთავებდნენ ლადის ღრუბლებიდან ღრუბლებამდე...

ამ დროს ძაძუმ თავზე სველი ტილო დააფინა და მზესავით შეიქრა იმ ღრუბლებში ორი სიტყვა:

— ნანა... შვილო...

— აგრე იყოს, მაგრამ გული არ მოგიხუცდეს, ბიძია ასალო, გული!

— მეგობრულად შეეხიტყვა ლადი და მცირე ხნის შემდეგ დაუმატა:

— აი ხვალღიდან ახალ უბანში გადავდივართ. დროებითი სადგურის გვირაბი 20 სექტემბრამდე უნდა დავამთავროთ. დიდი დაბრკოლება შეგვხვდება, მაგრამ დაეალება მაინც ვადამდე უნდა შევესრულოთ.

— შენ ხომ არ ინიშნები იქ სამუშაოთა მწარმოებლად?

— ჰო... დღეს მითხრა თამაზმა. ხვალ ტაშბაშში ბინაც უნდა გამოვნახო. აქედან სიარული არ მოხერხდება, ნამეტანი შორსაა.

— მოდი, მეც გადამიყვანეთ, ლადი, თქვენთან! — შეეხვეწა ასალო. — მექანიკოსი იქ უფრო საჭირო იქნება.

— სიამოვნებით. მხოლოდ იქ ჯერჯერობით ბინის ისუთივე სიციფროვე იქნება, როგორც ამ ზამთარში ვიყავით აქ.

— ეგ არაფერია. ჩემს ახალ ოთახში რომ მარტო ვრჩები, ძალაუნებურად ციხის საკანი მაგონდება... მაგრამ ჰო, შენ ხომ შევბუღლებაში ასვლას აპირებდი?

— სად მცალია ახლა მაგისტვის! ისეთი ტემპები უნდა ავიღოთ, რომ
სამი დღის საქმე ერთ დღეში კეთდებოდეს.

ასალომ ეშმაკურად დაწკურა თვალები და მაცდურად ხმით შეუქოთხა:
— კი, მაგრამ მე ვილაკამ მითხრა, რომ შენ ერთი ჭალიშვილი გელო-
დება ტფილისში. მგონია ნათელა ჰქვია მას?

ოდნავ წამოეგზნო ლადი, ასალოს შემპარავ ცქერას თვალი გაუსწო-
რა და მტკიცედ უპასუხა:

— არა უშავს რა, დაიცდის!..



მეორე დღეს დილით ჩვეულებრივზე უფრო ადრე ადგა ლადი. ახლად
აშენებულ სასტუმროსთან და სამუშაოთა სამმართველოსთან რომ გაიარა,
იქ ჯერ ყველას ეძინა.

სოფელი მოკლე ბილიკით გადასჭრა. სუსხიანი ქარი პირისპირ უბე-
რავდა და აეზნიანი ძაღლები ყფით მიაცილებდნენ სახლიდან სახლამდე.

ტაშაშამდე სამი კილომეტრია და ლადის ნახევარი საათიც არ დაუ-
ყოვნებია, მალალი ხევის პირად, სალ კლდეში გამოკვეთილ გზაზე რომ
ჩაუხვია. აი ამ პატარა სოფელს, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან რომ ღრმა
ხევი არტყია ნალივით, ხოლო დასავლეთით ნაცრისფერ ქვებიან გორის
თხემიდან ერთადერთი ძირი მუხა ვადმოსდგომია თავს, ოდესღაც ახალ-
ქალაქი რქმევია. ძველი მოსახლეობიდან ეკლესია და სასაფლაო დარ-
ჩენილა მხოლოდ და ახლა აქ სომხები ცხოვრობენ.

წთელი ჭვითაა ნაშენი ეს ჯვარედინი ეკლესია, ხრამის პირად, შე-
ძაღლებულ კლდეზე წამოდგმული, ხოლო მის ირგვლივ რომ ვეება ლო-
დებია — ეს თითქო ციკლოპური სადგომების ნაშთია, პირველყოფილ
ადამიანთა თავშესაფარი.

ლადიმ ბევრჯერ დაათვალიერა ეს ადგილები და ახლა ამ ძველი
კულტურის ძეგლებზე თვალი არ შეუჭრებია. პირდაპირ ნიკო გოგო-
ლაძის ბინისაკენ გაეშურა. გოგოლაძის ბრიგადა უკვე კარგა ხანია წე-
შაობდა აქ, გვირაბის შესასვლელ ნაწილში.

ნიკო უკვე სამუშაოდ წასულიყო, მაგრამ ამ ორსართულიანი ქვის
სახლის პატრონთან საუბარში გამოიჩქევა, რომ მას შეეძლო დაეთმო
ერთი ოთახი ნიკოს ბინის გვერდით. ლადის გარედან უკვე ნახული ჰქონ-
და ეს ოთახი და ახლა არც კი დაუთვალიერებია, ისე შეუთანხმდა და
დაბეჯითებით დაავალა, რათა დღესვე დაეცალათ და გაესუფთაებინათ.

ქვედა სართული, რომელშიაც ამ ჭარმაგი გლეხის მრავალრიცხოვანი
კოლშვილი ცხოვრობდა, უფრო გომურსა ჰგავდა, კვამლით იყო შეჭვარ-
ტლული და ნეხვის სუნით გაკლენთილი. მაგრამ თეთრ თავსაფრიანი
დიასახლისი და რამდენიმე ბავშვი, ლადის ახლოს რომ იდგნენ და მოკრ-

ძალებით შეჰყურებდნენ ამ უცხო კაცს, ფრიად მკვირცხლად და განაა-
ლად გამოიყურებოდნენ. წალკელ ბერძნებზე ნაკლები დევნა და ჩაგვრა
არც ამ ხალხს გამოუვლია, მაგრამ თავისი ტიპიური სახე-ღმერთის მანის
შეუნარჩუნებია.

მზე უკვე გომარეთის გასწვრივ შალალ ჭედს გადმოადგა და ლაღი
ღრმა ხევში დაეშვა. დაქანებულ ფერდობზე დაკლანკილ ბილიკს გვერდს
უვლიდა, პირდაპირ ჩადიოდა სრიალსრიალით და მოჭნილ ტანს გიმნას-
ტერივით შიარხევდა.

უახლოვდებოდა მდინარეს და ხრამში მომწყვდეული ხმაურიც მა-
ტულობდა, ქვებზე დანარცხებულ ზვირთების ჩხრიალი ავსებდა შეე-
ვალ კლდეების ნაპრაღს.

ფარდულისაკენ ჩაუხვია და მაღალი კლდის ძირას დაცემულ ვიწრო
ტაფობს თვალი მოაეღო. მთის უბეში შერეკილ ცხერის ფარასავით იყო
იქ დახვავებული ფლატეებიდან მომსკდარი ლოდები, ათასი წლების
ჭარტეხილებით ჩამსხვრეული. ხოლო მდინარის პირად — მიწაში გამო-
თხრილ ფარეხის ბჭესა ჰგავდა გვირაბის სათავე, ძელებით შეჯორგვილი
და ყრილით მოზვიანული.

გოგოლაძეს ამ დილით პირველი ლალუმი უკვე დაეტენა და ახლა აფე-
თქებას ელოდნენ. ის იყო, მიუახლოვდა მათ ლაღი და ყრუდ აგრუხუნდა
კლდის გულში ნაფეთქი ცეცხლი; გაიბზარა, შეირყა სიღრმე მიწისა;
შერმე მძიმე გუგუნით გამოვარდა ხერელიდან ჰაერი შეკუმშული, გა-
დაეშვა ორწოხებში, საღდაც შორს დასტეჭა და გაბმული ღრიალით დაი-
ნთქა ხრამებში.

საიერიშო ჰიზნივით ავზნებდა ლაღის ეს ქუხილი და თვალწინ ესა-
ზებოდა ბუნების სტიქიონთან მეზრძოლი ადამიანი, ქედმოუხრელი და
ძლევამოსილი, მწვერვალიდან მწვერვალზე აღმავალი. ჩვეულებად გა-
დაექცა: ლალუმის ხმას რომ გაიგონებდა, უნებლიედ გაივლებდა გუ-
ნებაში — „დასცხეთ, ბიჭებო, დასცხეთ“ ...

ფრიად გაეხარდა ნიკოს, ამ უბნის სამუშაოთა მწარმოებლად რომ
თამაზმა ლაღი დანიშნა. დღემდე მასალებისა და მოწყობილობის დიდ
ნაკლებობას განიცდიდნენ, კვალიფიციური მუშა-ხელიც არ ჰყავდათ საკ-
მაოდ. გოგოლაძე ხშირად იძულებული იყო სამ ცვლაში მიეწე ემუშენა,
რათა ხელმძღვანელობა გაეწია ახალგაზრდა მუშებისათვის, გაეზიარებინა
მათთვის თავისი გამოცდილება და ცოდნა, გამოეხარდა გვირაბის მუშა-
თა ახალი კადრი.

მეტად დინჯი და დაკვირვებული მუშა იყო ნიკო, ზედმეტად აჩქა-
რებულს ვერასოდეს ვერ ნახავდით, მაგრამ საქმეს კი დღენიადაგ ხელ-
ზევარიელად აკეთებდა. მისი ბრიგადა მუდამ მოწინავეთა შორის იყო
რიონჰესშიაც და აქაც. კაცს ეგონებოდა, რაღაც საიდუმლო თილისმა
აქვსო გოგოლაძეს, რაკი შეჯიბრებაში ყოველთვის გამარჯვებული გა-

მოდის, მაგრამ მისთვის რომ გეკითხათ, მეამიტად გიბასუხებდით!

— რა საიდუმლოება უნდა იყოს, შე კაცო! საქმეა, მთელი ცხოველი უნდა მოეკიდო და ყველაფერი გაკეთდება...
 ვ ი მ ლ ი მ ი თ ე ნ ა

ლადიმე ოდნავ მაღალია ნიკო, ტანადი, მხრებგანიერი; ფრიად მოხდენილი მიხრამოხრა და სიარული. არც ერთი ნაოჭი უნაკლოდ ჩამოსხმულ სახეზე, თმა კი ოდნავ შევერცხლილი აქვს და ეს ზედმეტი სიბრძნის იერით ჰმოსავს ამ ოცდაათი წლის კაცს. ღიმილიც მშვიდი იცის და უბოროტო; არც გულჩათხრობილობა ახასიათებს, მაგრამ არც ჭარბი ენატკბილობა და მჭევრმეტყველება ეხერხება. იშვიათად უნახავთ ამხანაგებს გაჯავრებულნი; არც სჭირდება ეს ნიკოს: დინჯად და დამაჯერებლად განუმარტავს მუშას, თუ როგორ უნდა მოიქცეს, ან არა და. შემცველსავით გამოართმევს იარაღს და ამდენ ხანს რომ ბურლი ქვაში იჭედებოდა და კომპრესორი ყრუდ ხრიალებდა, მის ხელში მყისვე დატრიალდება ჯარსავით, კაეივით მაგარ კლდეში პირს მოიკიდებს.

დასვენების დროს თუ აღიბეჭდება ხოლმე მის სახეზე მოწყენილობა, თითქმის მაღაროს ჩრდილმა გადაუნისლაო თვალები, ეს იმიტომ, რომ თავისი ცქრილა ბავშვები მოაგონდება და ცოლი; ისინი ქუთაისში ცხოვრობენ ახლა და ნიკო სამ თვეში ერთხელ ძლივს ახერხებს ჩასვლას.

რამდენჯერ გაიფიქრა — ჩამოვიყვანო აქ, მაგრამ საამისოდ მოწყობილი არ იყო, თან იმისიც ეშინოდა ვაი თუ ბავშვები ამ მაღალ ჰაერს ვერ შეეგუონო.

ორი უმთავრესი მიზანი დაისახა ლადიმე ნიკოსთან თათბირის შემდეგ — კომპრესორისა და ვენტილატორის საუკეთესოდ მოწყობა და ზრუნვა მუშათა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ერთიცა და მეორეც აუცილებელი იყო, რათა ამთავითვე აეღო ძლიერი ტემპები და გეგმა ვადამდე შეესრულებინა. ხევში ორივე მხარეს უნდა აშენდეს სახელდახელო ფარდულები მუშებისათვის, ტამბაში სასაადილო უნდა გაიხსნას...

იქვე, გვირაბის სიახლოვეს გადებულ მოკლე ხიდზე გავიდა და გამოქვაბულებთან კლდის ძირიდან მოჩხრიალე ჩანჩქერს დააკვირდა. როდესაც ზევით მთავარი კაშხალი ამოშენდება და ქცია მიმართულებას შეიცვლის, ეს წყაროები იქნება დამხმარე სადგურის საზრდო და იგა მომავალშიაც დიდ სარგებლობას მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობას. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ეს სადგური ცხოველმყოფელ ნაკადივით შეიჭრება მთელი მშენებლობის ტემპებში და ფრიად დააჩქარებს მის დამთავრებას.

მდინარის ნაპირს ჩაჰყვა ხევზე და ცადაქნილ კოშკის კედელივით აღიმართა ფრიადო კლდე, დამსხვრეულ ლოდების კვარცხლებეზე წამომდგარი.

საოცარია, როგორ მოახერხეს ძველად ამ თვალშეუღწეველ ეკლესიას ვეება გამოქვაბულის გამოტეხვა, ან როგორ ჩადიოდნენ შიგ და რა სიხარული უნდა განეცადა იქ თავშეფარებულ ადამიანს! ^{ქვემოთ მხარეში ბუ-} ლობენ შიგ და ონავრულად გადმოჰყურებენ ჩრდილდაფენილ ხრამებს.

მოწყვეტილ დაქანებული მდინარე მარჯვნივ უხვევდა და ფლატეების პირად მიმავალი ლაღი ქვებიდან ქვებზე ხტებოდა, გვირაბის გამოსასვლელი მხარისაკენ მიიჩქაროდა, თანაც ყოველ წვრილმანს გულდასმით ათვლიერებდა, ადგილმდებარეობას სწავლობდა, რათა წინასწარ გაეთვალისწინებია, თუ სად და როგორ უნდა გაეყვანათ ბილიკი და ტელეფონი სათავიდან სათავემდე.

მდინარე რომ ქვევით და ქვევით ეშვება, ხევში შემოჭრილი მთის ყურეც მალდებდა, და ლაღი ახლა ორივე მხრიდან ხედავს ამ გრანიტის ტინს, რომელიც სექტემბრის ოცამდე აუცილებლად უნდა გაბურღონ. ხოლო აი იქ, ორწოხში შემორკალულ მცირე ვაკის დასაწყისში საგენერატორო სადგური აშენდება. მომავალი წლის იანვარში იგი უკვე სავსებით დამთავრებული უნდა იქნეს.

ჯიხვზე მონადირე სვანივით აცოცდა ლაღი ნიაღვრებისაგან დაღარულ შუროზე, ლოდინან ლოდზე გადახტა, ფერდოზე დასრიალდა, ბუჩქს ხელი ჩააეღო, თავი შეიკავა და მერმე ჩქარი ნაბიჯით აპყვა აღმართს — გვირაბის გამოსასვლელისაკენ.

მთის მეორე მხარეს გვირაბის სათავე ზღვის დონედან 1347 მეტრის სიმაღლეზეა, ხოლო აქ მდინარე 200 მეტრითაა დაშვებული ქვევით და წყალსაწნევი მილიც აქ იქნება აღმართული.

სალ კლდეზე მიდგმულ ხარაჩოზე რომ ავიდა, გულის აჩქარებული ძეგრა არც კი უგრძენია, შესდგა და მოხიბლულივით მოავლო თვალი გაშლილ ხევს, დილის მზის მოკაშკაშე შუქით ამოვსებულს. ოდნავ შემწვანებულ ფერდობზე ჩაფლული ლოდებიც მოესევადებია მზის ღიმილს, თითქო რუხ ფარაჯებიანი ბერიკაცები მზვარეში წამოწოლილანო მხართემოზე და ძვლებს ითბობენ ძილმორეულნი. გამსჭვირვალე ბურსეულივით წამოუხსამს ქციას ვერცხლივით მოკამკამე ნანჩქრევი და გაბმული მშუილით მიიკლაკნება თვალუწედენელ ხრამებისაკენ. ხოლო გაღმა თვალს ახარებს ახლად შეკვირტული ხეები, მთის კალთებზე გაშენებულ ხეხილის ბაღივით ნაირნაირად ჩამწკრივებული და ალაგალაგ ჯერ კიდევ ჩრდილდაფენილი.

— აა, ეს ლაღი უნდა იყოს! — წამოიძახა გვირაბიდან გამოსულმა ვასო დვალიშვილმა და ხელით თვალი დაიჩრდილა. — რას უყურებ მაგ ხრამში? საგენერატორო სადგურის აშენებამდე ჯერ კიდევ ბარე ორი ტურა დაიჩხავლებს.

— რატომ, ვასო. რამ გაგიტება გული? ტემპებმა ხომ არ გიმტყუნა? ვასოს აგურისფერი მტვერით ჰქონდა შენაცრული რგვალი სახე, სქე-

ლი წარბები და წამწამები; გაიღიმა და მარტოოდენ კბილებზე აეღელეარდა სადაფივით.

— ტემპები მე მკითხე, მარა ამაზე შეტად თუ ჰქვია: *არა მშვენიერად* და ცვლაში ორი საათის მერტი ვერ ვიმუშავებ, მაშინ რა გამოვა. სინათლე ნახევარჯერ ჩამჭრალია, კომპრესორი არ მუშაობს... ისე კი დღეს იმნაირ ნიადაგს მივაღებ, რომ აგურის კედელივით იბურდება. ნორმალური მუშაობა რომ იყოს, ძლიერ ღრმად შევიჭრებოდით...

ფრიად ეუტხოვა ლადის ეს ნაღვლიანი ტონი, რაც სრულიად არ შეეფერებოდა ვასოს, მუდამ მკვირცხლსა და ღიმშეუმშრალს. მას უფრო მოსწრებული სიტყვა და სალალობო ოხუნჯობა შეენოდა.

— აი მოვიკრიბოთ, ვასო, ძალღონე და ყოველივე ნაკლი გამოვასწოროთ. ხომ იცი თამაზის დავალება: გვირბი 20 სექტემბრამდე უნდა დამთავრდეს... კომპრესორიც უნდა გვექნეს და სინათლაც...

— გვექნეს სხვა და რომ არ გვაქვს, ეს კი ფაქტია. — შეაწყვეტინა ვასომ — რამდენი ხანია შეეჩვიე აქ ენუქას ანდერძს... ვერ შეხედე იმ დღეს, შეჯიბრებასა და დამკვრელობაზე რომ თათბირი იყო, როგორ მეცა პირში არტემი? მაგისტანა აღმშენკომისაგან გამოვა რაიმე? მე საქმეზე ვლაპარაკობდი, ხელისშემშლელი პირობების აღმოფხვრას მოვითხოვდი, ის კი გამოიქიმა სოლომონ ბრძენივით და ჭკუის დარიგება დამიწყო: შენო წვრილმანებზე წუწუნობო და პროლეტარული ენტუზიაზმი ჯაკლიაო, ათვისების პათოსი არ გაგაჩნიაო. ნეტა მაინც გაეგებოდეს ამ სიტყვების დედააზრი. დაიზეპირებს ასე ძითო-ოროლა სიტყვას და იმეორებს მერე თუთიყუშვით. ამხანაგების ხათრი იყო, მაშინ რომ მოვეუთმინე, მარა აწი მე ვიცი...

— დავანებოთ თავი ბარსეგიანს. აღმშენკომი რომ ხეირიანად ვერ მუშაობს, ეს ჩვენი ბრალიც არის, ჩვენ უნდა გამოვასწოროთ. აი მე დღეიდან თქვენთან გადმოვდივარ, შევიკრიბოთ საღამოს და ყველაფერზე დაწერილებით მოვილაპარაკოთ.

— მართლაც! — სიხარულით წამოიძახა ვასომ და კბილები კვლავ სადაფივით ააეღელეარა. — აბა, ახლა კი გაჩაღდება საქმე! დატრიადი, თუ ძმა ხარ, ერთი შენებურად და ხელის შეწყობას ნუ მოგვაკლებ. რაო, თამაზმა 20 სექტემბრამდე უნდა დამთავრდესო? უფრო ადრეც იქნება. ოღონდ ხელმძღვანელობა იყოს და შეჯიბრება შეჯიბრებას ჰგავდეს. ჩემს ბრიგადას რიონპესშიაც არ შეურცხვენია თავი და აქაც არ ჩამორჩება...

„ამ ბიჭებთან ერთად ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა შეიძლება“... — გაივლო გუნებაში ლადიმ და მსუბუქი ნაბიჯით აჰყვა აღმართს. სოფლის თავში რომ ავიდა, ერთის წამით შესდგა და უნებურად აელვებულ ღიმილით გაეკამათა ასალოს: — ეშმაკი ხარ, შე ბებერო! ერთი ქალიშვილი გელოდებო, სახელად მგონი ნათელა ჰქვიაო. მეც ხომ ყარვად გიპასუხე — არა უშავს რა, დაიცდის-მეთქი“...

XVI



გაეკამათა და მყისვე გზა განაგრძო. სოფელში აღარ დაეღუფლებია. ბევრი რამ უნდა მოაწესრიგოს დღეს ლადიმ. ბაგრატიანს სურს მათობროს, სანებლიძეს სასადილოს გახსნა უნდა მოსთხოვოს, ფოფხაძემ სასწრაფოდ უნდა მიაწოდოს საჭირო მექანიზმები და მასალები. კომპრესორი და ვენტილატორი შეუფერხებლად უნდა მუშაობდეს...

წყაროსთან სარდიონ წილოსანს დაწვია და საუბრით გასწიეს ბარმაქსიზისაკენ.

სუსტიანი ქარი აღარ უბერავდა და აპრილის მზის საამო შუქი ვარვარებდა მთებით შემორკალულ ქციის ხეობაში. ვერცხლის თასებივით ბრწყინავდა თბებებზე აქა-იქ დარჩენილი თოვლი.

— ...ადგილობრივ შევადულოთ-მეთქი მიღები, — უამბობდა სარდიონი, — ეს უფრო ნაკლებ ხარჯს გამოიწვევს — მეთქი, მაგრამ საქმე არა გაქვს. ფოფხაძე ისეთი კაცია, თუ ერთი დაიჭინა, მერე ვერაფრით ვერ შეაცვლევინებ აზრს. თვითონ ბევრი არაფერი გაეგება და სხვას რომ რამე ჰკითხოს, ან სხვისი რჩევა დაიჯეროს, ეს სათაჯილოდ მიაჩნია. გაიფოფხება ინდოურივით და თავი ისე მოაქვს, თითქო აკადემია დაემთავრებინოს... მარა ეს კიდევ არაფერია. ამას წინად შვებულებაში რომ ვიყავი, მაშინ გავიგე ერთი ამბავი და იმან მთლად გადამრია.

— რა ამბავია ისეთი? — დაინტერესდა ლადი.

სარდიონმა ირგვლივ მიმოიხედა, სვლა შეანელა და დაწეული ხმით მიმართა ლადის:

— ჯერ ეს აქ არავისთვის არ მითქვამს... შენ ყველაზე მეტად გენდობი...

სარდიონი თბრობას განაგრძობდა, ხოლო ლადი ახლა იმაზე ჰფიქრობდა, თუ როგორ შეიძლება შესთხვას კაცმა ასეთი მგესლავი ქორი, შემბლალავი ყოველივე იმისა, რაც ადამიანში ყველაზე უწმინდესი და უძვირფასესია. ნუთუ სარდიონი იმდენად გულუბრყვილოა, ან იმდენად ბოროტი და ღვარძლიანი, რომ თავისი პარტიის წევრის მიმართ ასეთი ცილისწამება დაიჯერა?!. გული მოუვიდა და წილოსანს სასტიკად შეუტია:

— უნდა გრცხვენოდეს, ბიჭო, ასეთ საზიზღარი ქორს რომ ავრცელებ! შეწფა სარდიონი. ჯერ დამნაშავესავით მიუხედა ლადის და მერმე სახე წამოგვზნო.

— მე ხომ იმას ვიამბობ, რაც ჩემი ყურით გავიგონე! რატომაა ეს სამარცხინო?

— ნუ თუ ისიც არ გავგებმა, რომ ადამიანის მიმართ, მეტადრე პარტიის წევრის მიმართ არ შეიძლება ყოველგვარი ყურმოკრული ქორის გავრცელება? შენ ხომ ძველი კომკავშირელი ხარ? ხვალ თუ არა ზევ პარტიის წევრი იქნები. ხომ შეიძლება — და მე დარწმუნებული ვარ, ეს

ასეა, — ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა მოიგონეს ეს ბნელი ამბავი და ნუ თუ შენ მათ ანკესზე უნდა წამოვეგო?

— ნეტავი ერთი დრო და საშუალება მქონდეს, წაეშალონ ეს ამბავი სამუთებს შევავაროებდი! — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა სარდიონმა და ნაბიჯს აუჩქარა.

— აი, ხომ ხედავ, არავითარი საბუთი არ გაგაჩნია და შეუმოწმებელი ნაამბობით უტეხ სახელს ჩვენი პარტიის წევრს.

სარდიონს სიტყვა არ დაუძრავს, ისე ჩავიდნენ სოფელში.

ლხდომ კი მხოლოდ მაშინ გაინთავისუფლა თავი შეტად მძიმე უხერხულობისაგან, როცა სარდიონს ვანშორდა და სამუშაოთა სამმართველოში აიბრინა..

ბაგრატის ვიწრო კაბინეტში ტყეა არ იყო. ზოგი მაგიდასთან იჯდა და ზოგიც ფეხზე იდგა. აქ იყვნენ უმთავრესად ხეტყის დამზადებაზე მომუშავენი, ომახიანი ვაყკაცები, რომელთაც ბორჩალოდან ბორჯომამდე არც ერთი ტყე არ დარჩენიათ შეუსწავლელი, თითქმის ყოველ სოფელში ურმები დაუჭირავენბიათ და ფრიად დიდი ვალიც დასდებიან.

ორ ცეცხლს შუა არიან მოქცეული: აქეთ მშენებლობას ხეტყის მასალა უნდა მიაწოდონ, ხოლო იქით გლეხები ედავებიან — ფული დროზე მოგვეცი, თორემ ზრც ურმებს გამოვიყვანთ და არც ტყეში სამუშაოდ გავალთო. ამიტომ არ შორდებიან ისინი ბაგრატს, თემშარაზე და საკუთარ ოთახშიაც კი არ ეშვებიან, დავალიანების გადახდას მოითხოვენ.

ლადი რომ ბაგრატის კაბინეტში შევიდა, ამდენ ხალხში ყველაზე წინ ოქროსფერ კულულებიანი ქალის ცისფერი თვალები შემოეფეთა.

კუთხეში იჯდა ის, პატარა მაგიდასთან და რალაც რვეულს ფურცლაკდა.

ერთის წამით ლადი ნახსა და იდუმალ შუქში გაახვია ამ ღიმშუქმშრალი ქალის მზერამ, მაგრამ ახლაც, როგორც ყოველთვის, მორიდებით სალაში ანიშნა და ბაგრატს მიუახლოვდა.

ბაგრატმა მალე ყველანი გაისტუმრა და კარგა ხანს ეთათბირა ლადის.

— შენ ყველაფერს ნუ მოედები — არიგებდა ბაგრატი. — დღეიდანვე ჩაჯექი ტაშბაშში და რაც საჭიროა, ჩვენ ყველაფერს მოგაწოდებთ. რა, კომპარესორი? იქნება. დიზელსაც ამ დღეებში მივიღებთ, ფოფხაძეს დავალება უკვე მიცემული აქვს... მთელი ძალები ჩვენ ახლა ტაშბაშში გადაგვყავს, რათა გეგმის ვადაზე შესრულება აუცილებლად უზრუნველყოთ...

ფრიად კმაყოფილი გამოვიდა ლადი ბაგრატის კაბინეტიდან და თითქო არც კი შეუმჩნევია, უნებლიედ რომ გაიფიქრა: „მე მეუბნება ყველაფერს ნუ მოედებო, მას კი შრომის არავითარი განაწილება არ სწამს, მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს ერთნაირად ეტანება; ავტობუსით მგზავრობა რომ დასჭირდეს ვისმეს, ნებართვა მისგან უნდა აიღოს“.

არჩილ სანებლიძე თემშარის პირად შეზვიუნულ ქვეშევრდომებში და საწყობის გამგეს ესაუბრებოდა. ლადიმ რომ სამმართველოს კიბე ჩამოირბინა, მყისვე ადგა და ნათელი ღიმილით მიტოვებული ნაკრძალის პალტო ეცვა არჩილს და აბრეშუმის ყელსახვევი უმშვენებდა ლაქლაქა სახეს.

— როგორ გიკითხოთ, ლადი, ჩემო, ხომ კარგად?— დაშატრული ხმით მიმართა ლადის და მარჯვენა ხელი რომ მაგრად ჩამოართვა, მარცხენა ალერსით დააყრდნო მხარზე. — გავიგე ტაშბაშში გადასულხართ, თამაზს სამუშაოთა მწარმოებლად დაუნიშნავენარო. აი ეს მესმის, ჯერ მგონი ოცდა ექვი წლისაც არა ხართ და უკვე საუკეთესო ინჟინერის სახელი მოიხვეჭეთ. ჩინებული ახალგაზრდა ხართ, ლადი ჩემო, ჩინებული. ქეშ-მარიტად უნდა იამაყოს ჩვენმა ქვეყანამ, თქვენისთანა ნიჭიერ შეილებს რომ ზრდის....

ამას ისეთი ტონით ეუბნებოდა და თაფლისფერი თვალებითაც ისეთ აღტაცებას გამოსთქვამდა, რომ შეუძლებელი იყო კაცს ექვი შეეტანა არჩილის გულწრფელობაში. მაგრამ ლადის მაინც არ ესიაშოვნა ეს ხობა, თანაც საოცრად შენიღბულ სახესაც კი მოჰკრა თითქო თვალი და ცივად შეესიტყვა:

— თქვენ მუშები მეტისმეტად გენდურიან. ამისი სრული საფუძველიც აქვთ. სასადილო სასადილოს არა ჰგავს და მომარაგებას არავითარი ყურადღება არ ექცევა. როდემდის უნდა ვაგრძელებდეს ეს უმსგავსოება?..

— მომითმინეთ, ლადი ჩემო! ორიოდე სიტყვით ყველაფერს აგიხსნით...

— არა, თავის მართლებას ახლა ნულარ დამიწყებთ! — შეაწყვეტინა ლადიმ და თვალითაგან ფოლადის ელვარება გადმოაფრქვია. — ჩვენ ახლა მთავარი ძალები ტაშბაშში ვაღაგვეყავს. ორ-სამ დღეში იქ სასადილო უნდა გაიხსნას, მაგრამ ასეთი კი არა, აქ რომაა, სადილი სადილს უნდა ჰგავდეს...

— მესმის, ლადი ჩემო, მესმის. — ფრიად საქმიანი გამომეტყველებით შეაპარა სიტყვა არჩილმა. — თქვენი მღელვარებაც სავსებით გასაგებია ჩემთვის. თუ მუშებს კარგი კვება არ ექნათ, ისე გვემის შესრულება შეუძლებელია. მეც ხომ ჩვენი მშენებლობის ინტერესები მამოქმედებს, მაგრამ...

არჩილმა მკლავში გამოსდო ლადის ხელი და განზე გაიხმო, თითქო რაღაც მეტად სერიოზული საიდუმლო უნდა გაანდოსო.

ლადიმ კვლავ გადაჭრით მოსთხოვა სანებლიძეს, რათა სასადილო დაუყუბნებლიე მოეწყო ტაშბაშში, და რომ განშორდა, უნებლიედ გაიფიქრა: „ამ კაცს რაღაც თილისმა უნდა ჰქონდეს, რამდენიც უნდა ელაპარაკო, ბოლოს მაინც თავს გაიმართლებს“...

ლადიმ გარათისავენ ჩაუხვია, რათა საბარგო ავტომობილი წაეყვანა და თავისი და ასაღოს ბარგი ტაშბაშში გადაეტანა. გვირაბში მუშაობის გაძლიერება იყო ახლა მისი მთავარი საზრუნავი და სხვა საქმეებზე ფიქრობდა არც კი ვაჩნდა. მხოლოდ ერთის წამით, თუ შეიჭრებოდა მის ფიქრებში ნათელას შევეგრემანი სახე, წარბშერქმით დაუქნევდა თითს, სწორედ ისე, უკანასკნელ განშორებისას რომ მოიქცა, მაგრამ უმაღლვე გაუღიმებდა და ალერსით შემოაფრქვევდა სიყვარულით ანთებულ შუქს.

და ფრიად უძძიმდებოდა მაშინ ლადის, შევბუღების აღება რომ გადასდო და მასთან პირისპირ შეხვედრა გვიანდებოდა, მაგრამ აქი თვითონ ნათელამ ისურვა, რომ ლადი ჯერ ახალ მშენებლობაზე დამოუკიდებელ მუშაობას შეჩვეოდა, ნათელასაც საფრენენსო სკოლა დაემთავრებინა და... მაგრამ ამ თმახუტუტა ჭაბუკის მაცდური სახე საიდან ეხმანა ახლა ლადის?! ეს ხომ შალიკო ქავთარაძეა! ისიც ტფილისში გადმოსულა, და... აღბათ, ხშირად ხედება ნათელას...

ოდნავ შეკრთა ლადი და მწევევ სუსხმა აუგზნო ლაწვები, მაგრამ ეს ქავთარაძისა და ნათელას შეხვედრა რომ წარმოიდგინა, იმით როდი იყო გამოწვეული, — მიზა ფოფხაძე გამოჩნდა მოსახვევში, მისკენ მოემართებოდა და წილოსანის ნაამბობი მოაგონდა.

არა, სარდიონმა უთუოდ ვილაც მტრების მიერ შეთხზული ცილისწამება მოახვია ამ კაცს, მაგრამ მის სახესა და მიზრამოზრაში მაინც გამოსჭვივის რალაც ისეთი, რაც ერთობ ტლანქ გამომეტყველებას ანიჭებს მას და ყოვეგვარ სანდომიანობას უხშობს.

აი დარჩეული ნაბიჯით უახლოვდება ის ლადის, ხელში მათრახი უჭირავს და ხანდახან წაბლისფერ გეტრებზე შეათამაშებს. საშუალო ტანიისაა, მაგრამ მრუდე წვევები აქვს და ეს ადაბლებს, უფრო ჩარგვალეზულად აჩენს მზრებგანიერს. წითელი ტყავის ქურთუკი აცვია და თავზე კეპი ახურავს. სახე კი მოკლე აქვს და ნიკაბი მოკვეთილი. ამობურცულ ლოყისვაშლს ზემოდ ღრმად აქვს ჩამჯდარი წვრილი თვალები და ქორუღლად იმზირება; კეხიანი ცხვირი და სქელ ტუჩზე ხალივით დატოვებული უღვაშები, შავი, როგორც ნახშირი.

— აა, ლადის გაემარჯოს! — ბოხი ხმით შეეხმალრა მიზა და ცალკებად გაუღიმა.

ლადიმ მყისვე შეამჩნია, რომ ამ ლიმილში მიზას თვალებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, განთვისებულებით ისბდნენ ისინი ცალცალკე და ცივად გამოიყურებოდნენ.

— არ გადასულხარ ჯერ ტაშბაშში?

— ამ დილით ვიყავი იქ... თუ თქვენმა სამასალო ნაწილმა ასე განაგრძო ხელის შეშლა, მაშინ არავითარი ნაყოფი არ ექნება ჩვენს მუშაობას.

— ვითომ რატომ, ყმაწვილო? — შეეკითხა მიხა და მათარსი გატრებზე შეათამაშა.

— რას ჰქვია, რატომ! — მკაცრად შეესიტყვა ლეონი ხანია კომპარესორი არ მუშაობს, არც ბენზინს აწვდით თავის დროზე... ახლა დიზელია საჭირო და მე მეშინია, ისეთივე დანჯღრეული მანქანა არ ამოათრიოთ ტფილისიდან, როგორც ამ ზამთარში მოიტანეთ და ახლასამეჭანიკო უბანში აგდია ცის ქვეშ.

ფოფხაძემ თვალები დაწკურა და ჭორულად ახედ-დახედა ლადის.

— შენ, ჩემო ძმაო, ცოტა კილოს რომ შეიცვლიდე, ის აჯობებს. ჩემი მუშაობის კონტროლიორად ჯერ არავის დაუნიშნავხარ, ეს კარგად დაიმახსოვრე (უკანასკნელი სიტყვები რუსულად ჩაუროთ). რამდენჯერ მითქვამს — ჩემს საქმეში ნუ ერჩები-მეთქი. შენზე უკეთ მესმის მე, ღიახ, მესმის, სად რა უნდა გაკეთდეს! შენისთანა ყმაწვილები აერცვლებენ ხმებს ჩემს წინააღმდეგ, მე ეს კარგი ხანია გაგებულნი მაქვს. ბოლშევიკური თვალებით ვზვერავ მე ყველას და ვიცი — ვინ რას მიედებოვდება. ამიტომ აქედანვე გაფრთხილებ, თორემ დავსვამ მე ამ საკითხს სადაც საჭიროა, პო, დავსვამ და მაშინ ვნახოთ! იმ ნამენშევიკარ გურგენიძესაც ასე მოახსენე, ჩემზე რომ უთქვამს — არშიყობისა და ნარდის თამაშის მეტს არაფერს აკეთებსო. ვინ მისცა ნება, ჩემს პირად ცხოვრებაში რომ ერევა? საძაგელი! მე მას ვუჩვენებ! (ეს სიტყვებიც რუსულად დაუროთ).

საოცარი სიმტკიცე იყო ჩაქოვილი ფოფხაძის ბოხ ხმაში, და კაცი ვერ წარმოიდგენდა, თუ რაიმე შეარყევდა მის მოკლე სახეზე აღბეჭდილ უტებ ნებნისყოფას.

„ვინ თუ სარდიონის ნაამბობი მართალია“ — გაივლო გუნებაში ლადიმ, მაგრამ მყისვე უკუაგდო ეს აზრი, თითქო შერცხვა კიდეც და სახე შეეფაცლა.

— მიკვირს, ამხანაგო მიხა, რამ აგადლევათ? ან რას იმუჭრებით? სამასალო ნაწილი რომ ცუდად მუშაობს, ეს ფაქტია, ამას თქვენ ვერ უარყოფთ...

— შენზე უკეთ ვიცი მე, ცუდად მუშაობს თუ კარგად და არავითარი ჰქუის სწავლება არ მჭირდება! — შეაწყვეტინა სიტყვა ფოფხაძემ.

ახლა კი გაუწყდა ლადის მოთმინების ძარღვი და მკაცრად შეუტია:

— გეყოფათ ამდენი მედიდურობა! მე საქმეზე გელაპარაკებით და თქვენი ავადმყოფური თავმოყვარეობა თქვენთვის შეინახეთ! გითხარათ და ვიმეორებ: კომპარესორი და ვენტილატორი შეუფერხებლად უნდა მუშაობდეს! სავარგისი დიზელი უნდა მოგვიტანოთ. თქვენზე ვინ რას ლაპარაკობს, ამის ძიებას რომ თავს მიახებებდეთ და ამ საქმეს მეტ ყურადღებას მიაქცევდეთ, ის უკეთესი იქნება. კმარა, რაც აქმდე ვითმინეთ. ტაშბაშში ჩვენ ახლა დაკვირთი წესით ვიწყებთ მუშაობას და თუ ვინმე

ხელს შეგვიშლის, არავის დაეინდობთ, არც არავის მოუფროდებთ/ ჩვენც ვიცით, სად და როგორ უნდა დაისვას საკითხი!

მოულოდნელად გაჰქრა მიხას სახეზე აღბეჭდილი ტრეკტორის მონასყოფა, განთვისებულ თვალბეზარს ღიმილი აუკიაფდა და ლაღის შეგებას დაჰკრა ხელი.

— ახალგაზრდა ხარ ჯერ შენ, ჩემო ძმაო! შენ გგონია, შენს მეტს საქმეზე არავის გული არ შესტივა? ვმუშაობთ ღინჯად, ჩემო ძმაო, საქმიანად და ყველაფერი გაკეთდება...

არ დააკმაყოფილა ლადი ამ შემარიგებლურმა ტონმა და ფოფხაძეს ციკად განშორდა.

გარავის გამგეს ბარგის გადასატანად ავტომობილი გამოსთხოვა და კვლავ სამუშაოთა სამმართველოსაკენ გამობრუნდა.

შეაღო ლადიმ ვიწრო კაბინეტის კარი და უზადო ღიმილით შეეგება პარტკომის მდივანი — გიორგი ზაერიშვილი. სამუშაო მაგიდასთან იჯდა გიორგი და მის გასწვრივ მეორე გრძელი მაგიდა იყო მიდგმული ჯვარედინად, ირგვლივ სკამშემოწყობილი.

შინაგანი მღელვარებისაგან ოდნავ გაბზარული ხმით ჩამოუთვალა ლადიმ ის ძირითადი მიზეზები, რაც ხელს უშლიდა ტაშააშში მუშაობის გააღებას, სანებლიძეც დაუხასიათა და ფოფხაძეც... წილოსანის ნაამბობიც ყურში ჩასწიოდა, მაგრამ ენას კბილი დაადგა და გუნებაში თავს უსაყვედურა. — „მე თვითონ ცილისწამებად ვსთვლი ამ ამბავს და გიორგის რატომ უნდა გავუზიარო“.

გულდასმით უსმენდა გიორგი, თუმცა ლადის არც ერთი ნაკლი არ დაუხასხებელია, რაც პარტკომისათვის უტნობი ყოფილიყო.

— სრული სიმართლეა, ამხანაგო ლადი, — რუსულად წამოიწყო გიორგიმ. — ჩვენ უამრავი დეფექტი გვაქვს. ამას მეც კარგად ვხედავ. ცხადია, არ ვარგა ობიექტურ მიზეზებზე მითითება, მაგრამ შენ ხომ კარგად იცი, თუ რა პირობებში ვმუშაობთ ჩვენ აქ. წელს მეტად ფართოდ გავშალეთ მშენებლობა. საამისო სახსრები კი მოცემული არ გვქონდა. ამიტომაც, რომ ხან კომპროესორი გვიჩერდება და ხანაც ბენზინი გვაკლია. მაგრამ რაც შეეხება შენს უბანს, მთელი ჩვენი ყურადღება ახლა მაქვთ გადმოგვაქვს. ფიჭი ნუ გაქვს, ჩაჯექი ტაშააშში და ყველაფრით უზრუნველყოფილი იქნები. ახლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დროებითი სადგური მომავალი წლის დასაწყისში მაინც ავაშუშაოთ...

— ეს მეც ვიცი. თქვენ ის მითხარით, კონკრეტულად როდის რა გაკეთდება. — შეაწყვეტინა სიტყვა ლადიმ.

— აი სწორედ მაგ კონკრეტულობაზე უნდა მოგელაპარაკო ახლა. ხომ იცი, კონკრეტულობაა მთავარი ხელმძღვანელობაშიაც და მუშაობაშიაც. ნუ გეწყინება და სწორედ ეს კონკრეტულობა გაკლია შენ, ამხანაგო ლადი. ყოველმხრივ კარგი მუშაკი ხარ, მაგრამ ზნორად ისეთ რამეებსაც

ეტანები, რაც შენს უშუალო ამოცანას არ შეადგენს. საქმისათვის კი ბავშვებს, თუ ყველაფერს არ მოედები და ცენტრალურ ამოცანას მიზანში ამოიღებ. ხოლო სანებლიძისა და სხვების საქმის გამოკვეთა შეეჩვეო-
იყოს. ეგ საკითხი უკვე დგას დღის წესრიგში და სათანადოთ გადაწყდე-
ბა. რა თქმა უნდა, ტაშბაშში მუშები უზრუნველყოფილი იქნებიან სა-
სადილოთი და მომარაგებითაც. ის კი არა, დღეს უკვე მოვილაპარაკეთ
მე და ბაგრატიმა და შენ საკუთარი ცხენი გეყოლება. იმდენი სასიარულო
გეჭნება ყოველდღიურად, რომ ფეხით ვერ მოასწრებ და მეტისმეტადაც
დაიღლები... ასე, ამხანაგო ლადი. — უზადო ღიმილით დაამთავრა გიორ-
გიმ და ლადის ხელი გაუწოდა.

„ალბათ, მართლაც ყველაფერს ვედები, რაკი დღეს ბაგრატიმაც და
გიორგიმც ეს მისაყვედურა“. — წყენით გაივლო გუნებაში ლადიმ და
ბინისაკენ გაეშურა.

იქ უკვე საბარგო ავტომობილი იდგა კარებთან და ასალო თავის
ქვეშაგებსა და წიგნებს აწყობდა შიგ.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)



შუა ჯი

— I —

ზღვაზე

უგემურად, უცხვირპიროდ შეგვეყარე გუშინ,
მაგრამ, რაკი მოგადექით, მაინც არ მოგეშვით.
გახშირებულ შტორმებისგან შენაძენი ქუში
შენ თანდათან გშორდებოდა ბარბაცით და ხენეშით.

შუაგული გვაშინებდა, შუაგული შენი —
საზარელი ნადირების აღრენილი ბეჩო!
მიგორავდა, მიგორავდა ქანავეთ და ქშენით
მოტლაშუნე ქარიშხალის ქაფიანი ქეჩო.

ჩამობნელდა, დაიფარა დაფლეთილის ღამით
გარეშემო ერთნაირად გადაშლილი არე.
ზეერთების ზურგს ავერცხლებდა ზოგჯერ ერთის წამით
შავ ღრუბლებში მოყირავე მოკუტული მთვარე.

თითქოს ხელი უჩინარი, გიგანტური ხელი,
ჯოჯოხეთურ საწამლაეებს ერთმანეთში ზელდა.
ხანდახან ტვინს გასერავდა, ვით მავთული ცხელი,
მიმზიდველი გადაფარდნის შემზარავი ელდა.

მოგერიეთ, მოგერიეთ! — და რეისით სწორით
წინ მიიწევს ჩვენი გემი — გაშხეფილი მწერი.
აგერ უკვე თურქშენეთმა დაგვანახვა შორით
მთის კორტოხი შემართული, როგორც რუხი ცერი.

დღეს გვიანი შემოდგომა ინაზება დარით;
ახლა შენი მღელვარების ნასახიც კი არ ჩანს.
გადაესხედით, გაცექანეთ მატარებლით ჩქარით
და გავსცქერით შენს უღეველ ფირუხსა და ფარჩას.

ვაი, როგორ დაგაწყენარა, წელშენეჭით მწოლი,
გარუჯული კონტინენტის უდაბურმა პირმა!
მის თათებში მიგდებულხარ, როგორც მისი ცოლი,
და ლაპლაპებს მზის სხივებზე შენი კაბის სირმა.

—II—

შარაყუმი და ნესა



ზღვის ტალღების ნაშეირო, ანტიპოდო ზღვისა,
ყარაყუმო, საძნელოა შენი ლექსით მკობა!
გეზიზღება სამკაული ბალახის თუ ხისა,
და კანკალებს შიშისაგან შენი ბაშბის ქობა.

გედავება ადამის ძე უკმეხსა და ურგებს.
ვის არა აქვს მოტანილი შენზე თვისი ძალა:
ბაქტრიელებს, სოლდიელებს, მონღოლებს და თურქებს.
ყარაყუმო, შენც გიფშენია ბევრი თავის ქალა!

აი აგერ შენს ნაპირზე დამარბული ნესა,
საბატონო ქალაქი და სახელმწიფო კარი.
მაჯისცემა გარინდული, ცრემლები და კენესა
ზე ამოაქვს არქეოლოგს წერაქვეით და ბარით.

გამონათხარ გვირაბებში მივაბიჯებთ რიდით,
სვეტებსა და კიბეების საფეხურებს ვითვლით.
შელეზილიც კი ყოფილა ეს სასახლე დიდი—
დერეფნები თეთრის ფერით, დარბაზები წითლით.

ქვევრები და თაროები, აუზები ვრცელი....
წყალი თურმე გაღავენში შემოყავდა ამ არხს.
მოვისმინეთ მეცნიერის განმარტება გრძელი.
შზე ჩადის და მკრთალი ბინდი ეფინება ნაბარხს.

ისტორიის ერთ ფურცლად ხომ ეს ამბავიც კმარა:
რა ხანია აღარ დადის აქ ბაქტრიის მეფე;
სძოვს ახლა აქ შავ ძონძებად წამოშლილი ფარა
და ძაღლები მოძუნძულე ცხვირაწვევით ჰყეფენ.

—III—

სულთან-სანჯარი

სულთან-სანჯარს გაუმარჯოს, გაუმარჯოს სანჯარს!
გზა გავტეხე და გეწვიე, თუ მიმიღებ სტუმარს.
შენც შემკრთალი მოსდგომიხარ აკლდამების ფანჯარს
და გასცქერი გარინდული წინ მიდამოს მღუმარს.

სდგას ჯერ კიდევ დაშლილის და დაქცეულის პირით
შორს გამდგარი ბეჭობებით შემოვლილი ზღუდეს
დახეთქილა, დაღარულა შენი ქვა და კირი, მეცხენული
მისწამოსე
ობობათა საბადური და მტრედების ბუდე.

საუკუნეს აქ მოსდევდა საუკუნე მკაცრად.
დაღვრეწილი ხაიამი დადიოდა ნელა.
მიწის მტვერი მას მიაჩნდა წინაპრების ნაცრად,
და მეჭოთხე მის ლექსებში ერკვეოდა ძნელად.

სად წავიდა ხაიამის მეამბოხე ჭკუა?
ან მეჭოთხე სად წავიდა მშრომელი და მშვიდი?
უდიდესი კაცისა და უმცირესის შუა
განსხვავება ცოტა არის, მსგავსება კი დიდი.

გელანდება წვერნამგალას, კარებგამოკლიტულს,
ჯვარედინი სილუეტი-შენი ძველი მტერი.
წააგვეხართ ორთავე ცივ სასოების ფიტულს —
შენ, ვეება მიზგითა, და ჯვარის მონასტერი.

გიმზირე და წინ დამიდგა მე წარსული შწარე,
შენს გადაღმა გაჭიმული სისხლიანი კვალი...
დამალამდა; ცის თალიდან დამაცქერდა მთვარე,
ვით მრისხანედ ანთებული ტახტამიშის თვალი.

—IV—

ბაზარი მარაგში

დღეს რამინის სამშობლოში ბაზარია დიდი;
შეუნახავს ტრადიცია მოხუცებულ მარაგს.
ეტანება დესკანობა მას ყოველის კიდით,
და ლაშქარი სახედართა ჭზატკეცილებს ჰფარავს.

წკაპა-წკუპით, წკაპა-წკუპით და ყურების ჭნევით
მოილტვიან სახედრები, რომ მოუსწრონ ბაზარს,
შიგადაშიგ აქლემები აზიდულან ზევით
და ჩამოსდის მათ კისერზე წკარა-წკურის ხმა ზარს.

აი ასე, ამნაირად მიდიოდა ძველად
უცნობი და უხსოვარი, უამრავი ტომი.
დაუყრიათ ყორღანები საფლავების მცველად;
სჩანს ისინიც არ ყოფილან დავიწყების მდომი!

გაუბრდნენ გაჭირვებას, კვლავ ჭირთათვის მზანი, ავ კერპების განრისხებას, თუ ადგილებს ვერანს უდაბნოს და ზღვის წინაშე იყოფოდნენ გზანი ზოგი ურალს აწყდებოდა, სხვა კარლია ერანს.

მიდიოდნენ გზით ყოველით, ყოველნაირ კვალით, აქლემებით, სახედრებით, ცხენებით და ფეხით, — მოღრეცილი სახეებით, ამღვრეულის, თვალით, ხმალიწვედნით მიხლეწილი, ხურხუხით და ჩეხით.

მისთელავდნენ ველს და მინდორს, მიჰფოთნიდნენ ტყეებს ყველა საზღვრის გადალახვით და მიჯნების მოშლით; ბრძოლებით და ღრიანცელით ატარებდნენ დღეებს, ღამეებს კი გაზუხნული ძუძუების ლოშნით.

შორდებოდნენ ყოველ ბანაკს და სტოვებდნენ ჩქარა შარღისა და შავი სისხლის აშმორებულ ტბორებს. ცის დასავალს შეჰბლაოდა ცხვრის ურიცხვი ფარა და ძროხები უზმუოდნენ ჩამორჩენილ ხბორებს

ჭილყავივით ეირაობდა მილიონი გვარი, მკვდართა რიცხვი ედრებოდა შემოდგომის ფურცლებს; აწვებოდა სამერმისო ურდოების ღვარი კოფოიან დედაკაცთა წინ წაბერილ მუცლებს.

დაბინავდნენ. ზღვა მარაგი დაეღია უღევს; დაშოშმინდა უძველესი კონტინენტის თესლი. ტკივილებით დაკბენილს და გამხეცებულ გულებს გაუნელდა ათასწლებით ნაფუბარი ვესლი.

აგერ სახეები კეთილი და მშვიდი, — მზის ნათელში გათქვეფილა ბნელ ღამეთა მური. გაუმართავს ბებერ მარავს დღეს ბაზრობა დიდი; შევაჭრება, შეტოლება და შეხვედრა ძმური.

—V—

ბათი

მიყვარს თვალის გაყოლება მე ფანჯრიდან გზისთვის. აგერ ერთი შინ ბრუნდება შენაძენის ჩენით. სახედარით მიჩანჩალებს. ეტყობა, რომ მისთვის ბევრს არაფერს წარმოადგენს რონოდები ჩენი.



მიგრამ ეს ხომ სამყაროა, გავსებული მთელად
სიხარულით, სიყვარულით, ნაღველით და ნატყრობით
გაშმაგებით გაჭრილი და გავარდნილი ველად
წინ გადამდგარ დღეების და ღამეების ფატვრით!

იმისთვის კი არაფერი — მოტანილი ქარით
ერთი რაღაც გაჭიმული მორახრახე ზოლი.
ის თავის გზას ესწრაფება სახედართი ჩქარით, —
მიელიან მოუთმენლად ბავშვები და ცოლი.

აი, მივა, შინ დახედება დედაკაცი ნასი.
შეუძღვება და გადასცემს ფერადოვან ფართალს.
ქალი სინჯავს და კითხულობს, თუ რა მისცა ფასი;
ის ხუმრობით ჯერ აძვირებს, შემდეგ ეტყვის მართალს.

გაახარებს ორი ბავშვის გამოწედილი ხელი;
აღბად რამეს მოუტანდათ საჩუქრად და ხილად.
გაიხსნება შეკვანძული ხელსახოცი თხელი,
და ლალისფერ შაქარყინულს ამოიღებს ფრთხილად.

მყის პირისკენ გააქანებს ერთი თავის სარგოს,
მეორე კი დაიტირებს დაწუნებულ ნაწილს.
მამას უნდა, რომ სიამე ყველას გულში დარგოს
და ამშვიდებს მცირეოდნის მიმატებით ყმაწვილს.

შემოუვლენ მეზობლები მოციანარნი ტკბილად;
ბაზრის ამბავს მოუყვება ილაქლაქებს დიდხანს.
შემდეგ, მკლავით დაყუდებულს მუთაქაზე ღბილად,
მწვანე ჩაის თეთრ ფინჯანით მიართმევენ, ვით ხანს.

აწ არასდროს მის ცხოვრებას არ შეხედება ჩემი,
ივლის ისე მოკაზმული ის ხალათით ქრელით.
მიგრაილებს ჩვენი მიწა — კოსმიური გემი
მილიარდის კარებით და მილიარდის ხერელით!

—VI—

ფინია

ხმელ ჩალებში ჩაწოლილს და ჩაძინებულს ტკბილად
ლახვარით დაეტაკა ორთქლმავალის სტვენა.
დაეფეთა, წამოიჭრა, წამოვარდა ზეზე,
დაგვედევნა და დაგვიწყო შემოყვებით ღრენა.



ო, ფინიავე, ბოდიში, რომ დაგირღვიეთ რული!
 სად მორბიბარ, შე სულელი, რას ჩაგვიდევ ეინში?
 რა იმედით გაგეზარდა ეგ ნამცეცა გული,
 რა მირაეებს აქვს აღგილი შენს უმწეო ტეინში?

დაიქანცა სირბილით და მისი რისხეაც დალბა.
 ჩამოგვეხსნა და ხმელ ეკალს გარს დაუწყო ბრუნვა.
 კულს აქნევს და იმზირება; აქვს იმასაც აღბად
 საკუთარი ფიქრები და საკუთარი ზრუნვა.

ვერასოდეს მეორეჯერ ვერ გიხილავ თვალით,
 შენ კი მუდამ, შე საწყალო, ასე უნდა ჰყეფო,
 საკვირველის მანქანებით, საოცარის ძალით
 საწყმუტუნოდ სულჩადგმულო სველი მიწის შეხეფო!

იცუხცულვებ, იჭაჭყაებ შენ დღისით და ღამით;
 გზვდება ბევრი პურის ლუქმა, გამოხრული ძვალი;
 ბოლოს სადმე ბოსტნის კვალში ჩაკედები და ამით
 მოგვხდება საწუთროს წინ უცნაური ვალი.

ერთხანს კიდევ ემგვანები პაწაწინა ცხოველს
 დაკრეჭილის კბილებით და ზეაშვერილ ფეხით,
 ვიდრემდისინ დედამიწა შენს ელემენტს ყოველს
 არ მიიღებს უკანავე დაშლითა და ტეხით.

—VII—

ჯეონი

ჩამოდექი, ჩამოდექი, უღიმღამო ლანდო!
 მომაშორე მქლე ფიქრი და აბეზარი ზრახვა.
 სამმოთა და სამეგობროდ შენ არა ხარ სანდო, —
 მე მწყურთან სიამე და სიხარულის ნახვა.

შიაფინე, შიაფინე მარჯვნითა და მარცხნით
 კვამლის ბუქი, ორთქლმავალო, ბრგედ ჩამდგარო კვალში.
 ცის დასავალს ეტანება მზე სხივების ვარცხნით,
 და ქვეყანა გახვეულა ბრწყინვალეების აღში.

აგერ ხიდი აგუგუნდა შექედილი რვალით.
 საღამი და გამარჯვება შენ, ჯეონო დიდო!
 ერთიანად დაჭერილი გაოცებულ თვალით,
 მსურს მე შენი სიფართოვე სიკედლიამდე ვზიდო.



იღეშება ყარაყუმში შენი წვენის ლოკვით,
მაგრამ მაინც სასიკვდილოს ვერ გაყენებს ზეწველსა
მზის ხაოზე გაწოლილი ტანზარმაცი ძლოკცმსა
შენ ტაატით ეტანები მარილიან არაღს.

გულზეიადად იზნიქები აქეთა და იქით,
მშრალ ქვიშაში გეკარგება ნაწყვეტები ზოგი.
სველ ნაპირებს გისევადებს უთვალავის ჩლიქით
კანჯრისა და ჯეირანის მოჯირითე ჯოგი.

გავსილი და გამაძლარი ავლანეთის წვიმით,
ავლანეთის ღვართქაფების ყრილობა და ჯამი,
სამოთხის წყლად რომ ითვლები, არ ამაყობ იმით
და ძველ ზეარაზმს ასაზრდოებ მოზიდულის შლამით

ნეტა თულა გაიხსენებ შენ ზეარაზმელ სიძეს?
ჯორ-აქლემით გაისტუმრე, თუ კატარღა-ნავით?
კარვის კალთა ჩახლართული როგორ ჩაუფრინეს!
დაგიბრუნდა უკანავე გახეთქილის თავით!

მალრიბიდან მოვარდნილი ავთანდილის ცხენი
გიჩვენებდა პირს ქაფიანს და წვივების წვედენას.
მოწერწერო მოყმეები, ვით ედემის ხენი,
შენ, დიდ ჯეონს, გიდარებდენ თავის ცრემლთა დენას...

—VIII—

დილა

აღველფილა ცის გუმბათზე მნათობების დასი;
მიფრიალებს ვარსკვლავებით მოჭედლილი ღამე.
გაცრეცილი სივრცეები, ვით უძირო თასი,
დამათრობელ მთვარის ნათელს გაფითრებით სევამენ.

შავი ლაქა კვამლისაგან დაცემილი ჩრდილის
გვერდით მოსდევს მატარებელს, ვით ვეება ზღარბი.
აჰა, უკვე სჩანს ნიშანი მომავალი დილის:
განთიადმა ზე ასწია მოწითალო წარბი.

შორს კიდური გადაგვერდეს ტრამალებმა სწორმა,
თითქმის შუქის მისაღებად თვით ქვეყანა ზრუნავს.
აქ ვიწამე დედამიწის მე სფერული ფორმა,
აქ დაერწმუნდი მე პირველად, რომ ის მართლა ბრუნავს.

აღარ უჩანს ნაპირები ამ სინათლის ღელეს,
ოქროს ჭაელში გაეხვია თვალუწვდენი ვაკე-
მობალახე აქლემები მზეს უშვერენ ყელებს
და ხმელ თავებს მიაჭევენ ფაშატები მაკე.



გადიჭიმა ნაბამბარი მოწითლო და სველი.
ვგონებ უკვე ძველ ბუხარის მივალწიეთ ბოლოს.
აქ ხოხბებმა გაგვიხუნეს ალაზანის ველი:
ადიან და გვიჩვენებენ ცეცხლმოდებულ ბოლოს.

რა გრიალით ამოდიან, რანაირის ყოფით!
თითქოს ჩენი ორთქლმავალი მაშხალეში მოხვდა.
აჰა, აგერ მონადირეც შემპართულის თოფით:
თოფი მზისკენ შელაპლაპდა, შეასკდა და — მოხვდა.

ჩამოხენლდა გზა ნათელი ჩამოტეხილ წნელად.
ზევით მოსჩანს-მარტოოდენ გაცრეცილი ბოლი.
ვიცი, უკვე დაიხურა უბეები ნელა,
ვიცი, ნისკარტს შემოევლო გარს წითელი ზოლი...

—IX—

ბუხარა

ხარ, ბუხარავ, მოხატული, და ზვიადობ მეტად,
სვეტების და მორგვალეებულ გუმბათების ჩენით.
რა ბრძოლები გამართულა და რამდენი ელეტა
შენს გარშემო ხმალთა ქნევით და კბილების ღრქნით!

იხვეჭდი და იცხებოდი, — გაუმადლარ ბელლად
უზარმაზარ საქარაენო გზების გულში მდგარი.
რა უმიზნო ნაგებობას წარმოადგენს ეხლა
შენი დიდი ვალაენი და თორმეტი კარი!

შენც გყოლია მიზგიტები დიდ პატევში წინათ,
შეუსრუტავს მათ ფასადებს მზე ფირუზის ფერში
შენს არაბულ ფოლიანტებს მედრესეში სძინავთ
ათასწლოვან სურნელსა და ათასწლოვან მტვერში.

რაოდენი ღეთისმეტყველის მათ დაშრიტეს თვალი!
რა განცხრომას კპირდებოდენ დახოცილებს ომში!
შეტდომები, შეტდომები, სულ შეტდომის კვალი —
მექაში და ბუხარაში, მცხეთაში და რომში...

რა გააჩნდა ადამიანს? სიბედშევე სრული.
 მოდიოდა და მოჰქონდა უხსოვარის ეამით
 დაგლეჯილი, დაკაწრული, დაფლეთილი გული
 და თვალები დანისლული მწუხარების ღამით.



დასავლეთს და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთს და სამხრეთს
 ზე აღეპყრა სასოებით უამრავი ხელი.
 ცის პასუხად წინ ხედავდენ იმედების ნამსხვრევს,
 და ცრემლების ნაკადული მდინარეებდა ცხელი...

დაბოლოვდა, დაილუქა უდიდესი რკალი
 და ჩაჰბარდა ეამთადენის უნაპირო საწყობს.
 ტანგამრცენილი ისტორია, ვით კეკლუცი ქალი,
 თვალისმომჰქრელ სამკაულებს ერთმანეთზე აწყობს.

—X—

ამირა

მე სასახლე დავიარე აქ, ამირავე, შენი.
 ვამოდგება მუხეუმად დარბაზები ფართო.
 ნებიერობდი ამ ფართობზე პირის ფართო ფშენით
 და შეფობას ნომინალურს აქ იჩენდი მარტო.

შენ რუსეთის ჯვრებს და მენდლებს ატარებდი მკერდით,
 ყურბაშების ყურბაში და ნიკოლოზის მონა.
 უსაქმურად დაყუთულმა სქელ ცოლების გვერდით
 ამირობას დაუკარგე სახელი და წონა.

დებჯანთათვის შენ იყავი უავესი ავზე;
 ბოლოს აღარ შეგარჩინეს თავიანთი სისხლი,
 და შეგრაგნილ ჩალმის ნაცვლად შეეწვერიან თავზე
 მოგაფინეს, მოგაფინეს დავიწყების ნისლი.

ვამყოფინეს, რამდენიც შენ სხვისი ოფლი ღვარე,
 რა ჭონებაც მოიხვევე ქალაქით და დაბით.
 ახლა თავად იმოსება დებჯანების მხარე
 მოსირმულის ხალათით და მოჩითულის კაბით.

—XI—

სამარყანდი



სამარყანდი! ამ სახელმა ბევრი წლები სთელა:
უხსოვარ დროს ჩაუყრიათ საფუძველი მისი.
ეს ქალაქი, დამპყრობელო, შენ გეკუთვნის მთელად,
აქ ბატონობს შენი ლანდი მრისხანე და მჭისი.

ქვა შენს გულზე დადებული — მარმარილო შავი —
გურ-ამირას დადუმებულ მიზგითაში ვნახე.
შენს ძველ დროშებს, უძლეველებს, დადრეკილებს თავით,
გაუხრწნელად შეუნახავთ აბრეშუმი და ხე.

აი თურმე სატ ისვენებ დაქანცული ბრძოლით.
თერლენგო, თუ ჰკონიხარ შენ წმინდანი ბეცებს!
შენი დიდი ულულ-ბეგი, შენსავე ფერხითი მწოლი,
ბედისწერის ბნელ საწყისებს მიწაშიც თუ ეძებს?

სისხლის მსხვერპლი ბედს მოწყალეს შენ გულუხვად სწირე,
შენ ქვეყანას მიაყენე საშინელი წყლული.
გადათქირე სამეფონი დიდები და მცირე
და კბილებით კავკასიონს გამოჰლადრე გული.

შენ სინათლეს ავრცელებდი ანთებულის კვარით,
ხანძარიდან ხანძარამდე კამკამებდა შუქი.
არეზით და ალაზანით, ლიახვით და მტკვარით
ლამის ფერი გააძვევ მოზნელო და მუქი.

აწ გვიანი შეგინება როგორ დაგიბირო!
ხედა ისედაც შენს საქმეებს აღსასრული მალი.
იდევბი გლალატობდა, ჩემო კოკლო გმირო,
თუმც ვიჭრიდა ელვასავით მოკაშკაშე ხმალი.

იდევბი გლალატობდა, იდევბი, გმირო!
არ კმაროდა მარტო დანის გამოვლება ყელში.
დაგელუბა დინასტია ბრმა და უცხვირპირო,
შენი მიწა შენსავე შვილებს შემოადნათ ხელში.

ნეტავ ახლა, თემურლენგო, აგაყენა ზეზე,
საყვარელი სამარყანდი, რომ იხილო თავად.
ველარ იცნობ ვერც ლამით და ვერც შუადლის მზეზე.
მიიხედავ, მოიხედავ სასტიკად და ავად.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოედანზე გაგაოცებს შენ სურათი მდგარი:
ვინ მოსულა? სადაური? რა სახეა? ვისი?
ათასიც რომ ზე ასწიო მედიდური მხარი,
კოქლო დევო, ვერ შეიძლო გატოლება მისი!

აქაც უჩანს თაოსნობა და პირველი რიგი.
სდგას ტილოზე მონაბღული ჩრდილოეთის პურგით.
თამაში და წარბეახსნილი აღმართვია იგი
სტალინაბადს პირშექცევით და სტალინგრადს ზურგით.

წამოუდგამს კავკასიონს წინ თავისი ქედი,
ვით მსოფლიო ავენტური და ფოლადის გმირი.
საკვირველი ზე ასელა და საარაკო ბედი!
იშხირება მთელი ქვეყნის დაჩაგრულთა გმირი.

იშხირება, ვით მესაქე უზარმაზარ ნაეზე,
რომ ტალღები გადალაზოს მქუხარე და მსრბოლი.
პლატოპამირს უსწორდება და გადასდის თავზე
იდევბის აწვირთება და ჩიბუხის ბოლი!





სანდრო ეული

გაიას შევჩენკო

გამოჩნდა ტარას ფართო მხარ-ბეჭით,
მთვარემ დაკერცხლა შუბლი მაღალი,
ღარებად აჩნდა შუბლზე ნაოჭი,
იყო უფერო, — სახე დამღრალი.

ჩამოეხურა ბოხობის ქუდი,
ულვაშები უგავდა ნამგალს,
ძლივსდა უჩანდა კროლა თვალები,
რომ დამცქეროდენ უცხო ამხანავს.

იდუმალი ხმა გაისმა ღამით:
— პოეტი, მოძმე საქართველოდან
ჩემს სამშობლოში გვხვდები სიამით, —
სულმა გინატრა, გული გელოდა.

და მან ღიმილით გახედა ველებს, —
უსაზღვრო სიერცე ჩაიდგა თვალში
უსძენდა დუდუნს ფაფარაშლილ დნებრს,
გაწოლილს ვეშაპს ვერცხლის ზეწარში.

მომიახლოვდა, განაგრძო ისევ, —
გათენებამდის გვექონდა ბაასი,
და როცა შეხვდა გული მზის ისრებს
გამომეწოდა მან ღვინით თასი.

და სადღეგრძელო დავლიეთ ერთად
უკრაინის და საქართველოსი, —
ჩვენი მიწა-წყლის, ჩვენი ველების
ჩვენი მთების და ჩვენი მდელოსი.

გაჰქრა აჩრდილი. შევისხი ფრთები
და უკრაინა დავფარე ფრენით,
მისი სიტყვებით დღესაც ვინთები
და მის ნაამბობს ვიგონებ ღრუნიით.



ქართველთა
წიგნისწერთა კავშირი

3. ლანგოზი.

გრძელი უიხრების ლაგო

ციურინი. 1935 წლის იანვარი

დავიბადე ბერლინში 1901 წლის ოქტომბერს.

მამა ჩემი მეკლენბურგელია, დედა კი ტიურინგელი. მე არივლი ვარ.

თერამეტი წლისა არტისტი ვაგზდი, გამოედოდი „ნორჩი გმირების“ როლებში კენიგსბერგსა, ჰამბურგსა, ბერლინსა, ვისბადენსა და დიუსელდორფში.

ახლა ციურინის დრამატულ თეატრში ვთამაშობ.

დიუსელდორფსა და ციურინს შორის 13 თვე პატიჟობასა და საკონცენტრაციო ბანაკში დაყავი.

ამაზე მოგიხრობთ აქ.

გეფიცებით, რომ ყოველივე ამ წიგნში ნამზობი სიმართლეა.

3. ლ.

ბანაკში ჩვენი მისვლის მესამე კვირას პირველად დაგვრთეს თამბაქოს მოწვევის ნება სამიდან ხუთამდე. ძალიან მონატრულებული ვიყავით პაპიროსს. თამბაქოს ნარჩენები და ნამწვევები უკვე ორი კვირის წინად გამოგველია. მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოს მოწვევისთვის სასტიკი სასჯელი გველოდა, თითოეულმა ჩვენგანმა პირველ დღეებში ცოტაოდენი თამბაქო მაინც შემოინახა, რათა დილით ადრე, ხუთ საათზე, ფეხისა-ლაგში, საშუალება ჰქონოდა რამდენიმე ნაფაზი დაეკრა. მწვეველები აუროლებულ ხულაში იყვნენ დაყუნცული და ოთხი, ხუთი და ექვსი ერთად ეწეოდა პაპიროსის პატარა ნამწვევებს იმ დროს, როცა ორი-სამი კარებში იდგა სადარაჯოზე. მცველმა ერთი შეისწრო. მწვეველი იძულებული გახდა პაპიროსი გადაეყლაპა, შემდეგ იგი კარცერში გაგზავნეს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც განვაგრძობდით წვევას. მხოლოდ ახლა მოსაწევი აღარა იყო რა. ამ კვირადღეს, სამ საათზე, ჩვენთვის უნდა დაებრუნებინათ ის თამბაქო, რაც მოსვლისას ჩამოგვართვეს.

უკვე დილიდან ვნერვულობდით და ვლეღავდით, როგორც ბავშვები შობა-დილას. რომელიმე ჩვენგანი წამდაუწუმ საათს დასცქეროდა:

— კიდევ ოთხი საათი! კიდევ სამი საათი და ოცი წუთი! ახლა კი მხოლოდ სამი საათი.

ნასადილევს სასეირნოდ წავედით ბანაკის მოედანზე და ბარაკებს შორის.



ყოველ წუთს ვინმე უნდა მოსულიყო და ეთქვა:

— აბა, ბიჭებო, ახლა მალე უკვე სამი საათი იქნება, მაშინვე საათს ახლა მნიშვნელობა ალარა აქვს!

სამს რომ ოცი აკლდა, ათმა მამასახლისმა ჭიშკართან გუშავს უპატაქა და კანცელარიაში შევიდა.

— ისინი ახლავე დაბრუნდებიან!

— მალე რაიმეს მივიღებთ!

ჭიშკართან ვიდექით, ვით მტაცებელი ნადირები კვებისას.

„უცნაურია, — ვფიქრობდი, — რომ ასე დამოკიდებული ხარ რამდენიმე ნაფაზზე“. ამასთან მეც მოლოდინეთა შორის ვიდექი და მიხაროდა. რამდენიმე ამხანაგი მოვიდა და გვითხრა:

— დაბრუნდით ბანაკში! რა საჭიროა, რომ მცველებს ამნაირი სერიოზული გაეუმართოთ!

მაგრამ ჩვენ ჯერ ის გვინდოდა დაგვენახა, მართლა თამბაქოიანად დაბრუნდებოდნენ მამასახლისები თუ არა.

ისინი კი კანცელარიიდან ხელცარიელნი მოვიდნენ.

— რა ამბავია?

— მოწვევა აკრძალულია!

ერთმანეთს გადაეხედეთ.

— დაწყველილი არამზადები!

ძალზე დანაღვლიანებულნი ნელნელა ბარაკებში დავიქსაქსენით: ყველაფერი ჩაიფუშა. ვგრძნობდი, რომ საქმე იმდენად მოწვევა არ იყო (თუმცა, რასაკვირველია, მოწვევასაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა), რამდენადაც ის გარემოება, რომ პირში პაპიროსგაჩრილი თავს კვლავ ადამიანად ჰგრძნობ, შეიძლება მოსწიო ან არ მოსწიო, შენი თავის ბატონი შენვე ხარ!

დიუსელდორფელმა ახალგაზრდა ჰაინცმა სთქვა:

— დელეგაცია უნდა გავგზავნოთ მოხუცთან.

— სისულელეა! თავი დავიმდაბლოთ და ველრიჯოთ კიდევ! მივაფურთხოთ! ეშმაკსაც წაუღია, ნებას არ იძლევიან და არც გვინდა!

— დელეგაციის გაგზავნა ურიგო მოსაზრება როდია!

ახლა ყველანი ბარაკში ვიყავით და, ზეზეულა, ცხარე დისკუსია გვქონდა. ჰაინცის წინადადების გამო. ისე აღელვებული ვიყავით, როგორც გაღიზიანებული სკა.

აი, კურტი წავიდეს და სხვა ბარაკებსაც დაეკითხოს. შემდეგ კი სამი კაცი წავა კომენდანტთან. მეშვიდე ბარაკის მამასახლისიც უნდა გაჰყვეს. იგი ყველაზე უფროსა და, გარდა ამისა, ეხერხება მათთან საქმის მოგვარება!

დელეგაციის მომხრეებმა გადასწონეს. მოწინააღმდეგეთა მხარეებანი თანდათან სუსტი და გაუბედავი ხდებოდა. ბოლოს მათ წაიბუტბუტეს: „თქვენი ნებაა“.

კიდევ ათი წუთი და დელეგაციაც წავიდა. ამჯერად ჩვენ ბარაკებში დაერჩით.

ჩვენს ბარაკში ოციოდე მოჭადრაკე იყო. სახვევი ქალაღლისაგან საქალრაკო დაფა გავაკეთეთ, ხოლო თეთრ და მიხაკისფერ მუყაოდან ფიგურები გამოვჭერით. საქმე ჩინებულად წავიდა. მუშებს შორის გამოჩენილი მოთამაშენი იყვნენ, ასე რომ გადავწყვიტეთ, მომავალ კვირას ტურნირი გავეშარათა.

მე მაგიდას ვუჯექი და რენშტადტელ ზეინკალს ვეთამაშებოდი. ორივე ველავდით და დინჯ თამაშს ვერ ვახერხებდით.

უეცრად ერთი გაგზავნილთაგანი შემოვარდება და აჭოშინებული დაიძახებს:

— მამსახლისებო, წინ, თამბაქოს მისაღებად!

მთელი ბარაკი სიამით აღრიალდა. მერე თამბაქო მოიტანეს. პირველ ჩაბარებისას, რა თქმა უნდა, ყველაფერი დომხალივით აურევიათ და ახლა ველარავინ ველარ მიიღო ის, რაც ჩააბარა: ყველაფერი თანასწორად და უბრალოდ გავყავით. ეს ძალიან კარგიც იყო, იმიტომ, რომ ზოგიერთს, ჩაბარებისას, თამბაქო აღარ ჰქონდა. იმ მაგიდას შემოვეხვიეთ, რომელსაც მამსახლისი უჯდა და მუყაოს კოლოფში გულმოდგინედ ახარისხებდა სიგარებს, პაპიროსებს, საჩიბუხე თამბაქოს, პაპიროსის ქალაღლსა და ჩიბუხებს.

— სიგარები ვის უნდა?

— მე!

— საჩიბუხე თამბაქო?

— მე! მე!

ბოლოს, ყველაფერი ყველას საამოდ მოგვარდა, გარდა ჩიბუხების პატრონებისა.

ყველა ჩიბუხი ერთად ჩაეყარათ, ასე რომ პატრონებმა თავიანთი ველარ იპოვეს. შემდეგ კი წვეაყ გაჩაღდა!

აწითლებულნი, აღელვებულნი სეირნობას შეუდგეით. უკვე პირველი სამი ძლიერი ნაფაზის შემდეგ თითქოს ბურუსში ვიყავით, თითქოს მთვრალეები ვართო, პაპიროსს ზედიზედ ვეწეოდით.

აბა ნამდვილი დღესასწაული ეს იყო!

ხმამალა ულაპარაკობდით, თითქმის ვყვიროდით. თითოეული თავის მეგობარს ეხუმრებოდა: აწეულ გუნებაზე ვიყავით. დავიწყებას მიეცა ბანაკში გატარებული სამი კვირა, დავიწყებულ იქნა წამება, პატიმრობა, მუშაობა. ერთმანეთს ვუამბობდით სახლზე, ოჯახზე და საკეთარ პოლიტიკურ მუშაობაზე. ნელნელა იცარებოდა ის გარინდება, რომელიც

ჩვენი აქ მოყვანის დღიდან მაგლაჯუნასავით გვაწვა თავს. ჩემს მიზნობრივ მკვლევარებში ჯიბიდან ფოტოგრაფიული სურათი ამოვიღე. ყველას თავი მაშინვე სურათისკენ დაიხარა.

ერკინული
გინჯიქოთიქა

— ეს შენი მადამია?

— ძაან ლუკმაა, ჩემო კარგო!

— ვილი, დახედე! აი გოგონა ასეთი უნდა!

— ეგ რაა! ვინდა, ჩემი გაჩვენო?

ახლა სურათებს სინჯავენ. აფასებენ. საქმის ცოდნით. დედები, ცოლები, დანიშნულები და ბავშვები რიგრიგად მიდიან.

ოჯახის სურათები დახატული ლანდშაფტების არეზე, ზღვასთან, სადაც ისინი არასოდეს არ ყოფილან; სახეგამჭერებული ბავშვები, ერთადერთი კარგი კოსტუმით გამოწყობილი; სიძე შტურვალთან; დანიშნული, გვირგვინითა და ვუალით, ვიტრინის მოდელს რომ ჰგავს; ხელი ხის რიკულზე, რომელზედაც ერთად-ერთი ყვავილიანი ჭოთანია. თვით პატიმარი ჯარისკაცობისას („მეგობარო, დახე, რა უღვაშები ჰქონია“) ოჯახთან ერთად, — თითქმის ყოველი სურათი გასვრილია, დაკმუჭნული და მაინც ეს ყველაზე უფრო დიდი განძია, რაც აქ, ბანაკში, ყველას მოეპოვება!

მეც ჩემი ცოლის სურათი ვაჩვენებ.

— აი დასწყველოს ეშმაკმა, რა საუცხოო კაბა აცვია! ჰო, რასაკვირველია, შენ, ალბათ, დიდ ფულს აკეთებდი!

ამ წუთს ვხანობდი, რომ ჩემს ცოლსაც ისეთივე კაბა არ ეცვა, როგორც ჩემი პატიმრობის ამხანაგთა ცოლებს. რატომ კაბას აკვირდებოდნენ პირველად და არა სახეს?

კვლავ ვგრძნობდი ამ განსხვავებას, ამ წვრილ რკალს, რომელსაც, მიუხედავად მეგობრობისა და ერთნაირი ტანჯვისა, ჯერ კიდევ ვერ გადავაბიჯე.

ეს უკვე კილოკავიდან იწყებოდა, რომელიც მე არ მემჩნეოდა. ვარდა ამისა, მე არ მსურდა „მიტმასნება“ და საზოგადოდ მეზიზღებოდა ზოგიერთი ინტელიგენტის მიერ „პროლეტარული“ ფერისცვლა, როცა ისინი მუშათა კრებაზე დასასწრებლად განგებ იცვამენ გაცვეთილ კოსტუმსა და პერანგის სახელოებსაც იკაპიწებენ. ხოლო ამ შემთხვევაში ეს სულ სხვა რამ იყო. ჩემს ცოლს ახლა, არც მეტი, არც ნაკლები, იმდენივე ჰქონდა, რაც მის უბედურ მეგობრებს, და საუკეთესო კაბებით წარსული კარგი დროებისა იმ მდგომარეობის ილუზიას ჰქმნიდა, რაც ნამდვილად უკვე აღარ არსებობდა.

ბარაკში მიმოვდიოდით. ყველა მაგიდაზე სადღესასწაულო გუნება სჩანდა. მე ერთი აზრი მომივიდა: კარგი იქნება რომ ყოველ კვირა დღეს ასეთი გუნება შევქმნათ არა მხოლოდ თამბაქოს მოწევის ნებართვასთან დაკავშირებით, არამედ კოლექტიური სიმღერისა და კოლექტიური თა-

მაშობის მოწყობის გზითაც. კურტი განზე გაეხიბე და ამის შესახებ მოველაპარაკე.

— ძმობილო, ეს საუცხოო იდეაა. შენ ხომ შეგეძლოდა რამდენიმე ლექსი წაგვიკითხო ან ანეგდოტი გვიამბო. მთავარი ისაა, რომ ამხანაგებში სიმხნევე დავიცვათ!

— კი, მაგრამ იმათ რომ ნება არ დაგვრთონ?

— რას ამბობ! ჩვენს თავისუფალ საათებში რაც გვინდა, იმას ვიზამთ. ყოველ შემთხვევაში უნდა ვსცადოთ. იცი რა, ეს მარტო ჩვენ ბარაკისთვის კი არა, მთელი ბანაკისთვის უნდა მოვაწყოთ! მომავალ კვირას ყველანი ერთად შევიკრიბებით და თითოეული გვიჩვენებს, რაც შეუძლია. სულიერი განწყობილება ბანაკში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც პური! დეე, იმათ იცოდნენ, რომ ვერ გაგვტეხავენ, და რაც უნდა გვიყონ, თავი ამაყად გვეჭირება. წავიდეთ.

ბარაკიდან გავედით და ეზოში დავსერიწობდით.

მალე სხვა ამხანაგებიც შემოგვიერთდნენ. კურტი გამოჰკითხავდა ცალკეული ბარაკების განწყობილების ამბავს და აღგენდა გეგმას, ყველანი აღფრთოვანებით დასთანხმდნენ.

— ბატონებო, ეს ჩინებული რამ იქნება! ჩვენ შორის ხომ არის ერთი ნამდვილი არტისტი და ის ყველაფერს მოაწყობს.

— გამოარკვიეთ სხვა ბარაკებში, რა დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ.

— რემშტადტელი ბიჭები შესანიშნავი გერმანელები არიან. იქნებ მათ მოახერხონ მომღერალთა გუნდის შედგენა?

— დიალ, ჩვენს ბარაკში არის ერთი ვინმე, ვისაც ლექსების წერაც კი შეუძლია!

— შესანიშნავი ლექსებისა-მეთქი, გეუბნებით.

— აკრობატიცა გვეყავს. ხელებზე დადგება, მაგიდიდან სკამზე გადახტება, იქიდან კი იატაკზე!

— ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩვენ — 800 კაცი — ერთმანეთს გავიცნობთ! თქვენ გესმით, რასაკვირველია, რასაც მე ვგულისხმობ?

— გამოგონეთ, ყმაწვილებო, — სთქვა ერთმა ხნიერმა მუშამ, — ეგ სრულიად შემცდარი რამეა, რასაც თქვენ აქ აპირებთ. იმათ რომ დაინახონ, ჩვენ კიდევ შეგვეძლება სიცილი და სიმღერა, ნახავთ, რასაც დაგვმართებენ! მოვლენ და გადაგვიღებენ, მერე გაზეთებში გამოაქვეყნებენ და იტყვიან: „დახეთ, რა მშვენიერად სცხოვრობენ საკონცენტრაციო ბანაკებში დამწყვედეულებიო“.

ამასობაში უფრო და უფრო მეტი პატიმარი გვიერთდებოდა და ცნობისმოყვარეობით გვისმენდა.

— დაიშაღენით, თორემ სუნს აიღებენ. აბა მალე, მოსწყდით!

ცნობისმოყვარენი კმაყოფილების ღიმილით დაბრუნდნენ ^{ერეთს} /
 კურტმა სთქვა:

— მოიცადეთ, ამას ჩვენ თითოეულს ბარაკში ^{ერეთს} ^{გადავუყვით} ^{შევიყარნეთ} ^{და} ^{გადავწყვიტოთ.} თანახმა ხართ?

— არის, აგრე ვიზამთ.

ალტაცებული ვიყავი ჩვენი გამოგონებით და ვფიქრობდი, როგორ მოგვეწყო უკეთ ნასადილევის ახალი გასართობი. ამხანაგმა მოიყვანა ჩემთან ერთი ხნიერი, დინჯი ადამიანი.

— თქვენ ხომ მსახიობი ხართ, არა? აი, ეს კი ჩვენი პოეტია. იგი უკვე კბეჭდავდა თავის ლექსებს „რურის ეზო“-ში და სიმღერებსაც კი სთხზავდა ბურჟუაზიულ მომღერალთა წრეებისთვის.

მხარ და მხარ მივდიოდით. პოეტი შემალაროე მუშა აღმოჩნდა. ვუთხარი:

— შეგიძლია ისეთი ლექსის შეთხზვა, რომ შემდეგ ყველამ ერთად ვიმღეროთ ბანაკში? რასაკვირველია, ეს ისეთი ლექსი არ უნდა იყოს, რომ მცველებს შეეძლოთ მისი აკრძალვა. ამ ლექსში ნახსენები უნდა იყოს ბანაკი და ჩვენი ოჯახები. იცი, აი ამის მსგავსი რამ: „მე კლავ სამშობლო მომნატრებია“.

— დიახ, შემიძლია მაგის მაგვარი რამ დავეწერო, — დინჯად სთქვა ამხანაგმა, — ვეცდები და ლექსს ბარაკში მოგიტან.

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და ახლა მე სხვა მსხვერპლებს ვუთვალთვალელებდი ჩემი წარმოდგენისთვის.

ყველგან მოსჩანდა ამხანაგების პატარ-პატარა მოჩურჩულე ჯგუფები; ის, რაზედაც ისინი მსჯელობდნენ, ალბათ, საიდუმლო ხასიათის რამ იყო. როგორც კი მივუახლოვდებოდი, მაშინვე ამინდზე ან სხვა შეორეხარისხოვან რამეზე დაიწყებდნენ ლაპარაკს.

მხოლოდ ისინი განაგრძობდნენ საუბარს, ვინც მე მცნობდა. ბასობდნენ სოლიდარობასა, მცველებსა და წინააღმდეგობის გაწევის მოწყობაზე. ასე დაიწყო პირველი ცდა ერთს პოზიციაზე ყველას შეკავშირებისა.

ხუთ საათზე კვლავ უნდა ჩაგვებარებინა თამბაქოს და ასანთის ნარჩენები. ხუთ საათამდე დარჩენილი ეს თხუთმეტი წუთი სასაცილო რამ იყო. ამხანაგები ბარაკებში დარბოდნენ და ისეთ საიმედო ადგილებს ვძებდნენ, სადაც თამბაქოს დამალვა შეიძლებოდა. ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ:

— გამიგონე, ჩემი კოლოფი ქვიშაში უნდა ჩავფლა.

— შე კი რაღაც ძალზე საიმედო რამ ვიცი.

— ბარაკში არის ორი შერყეული ფიცარი, ავწიოთ და ქვეშ თამბაქო დავმალოთ.

— დირეებსა და სახურავს შუაღ შეიძლება ჩინებულად დამალო რამე!

— მხოლოდ ფრთხილად კი, რომ იმათ არ მიაგონს!

— მე კი ტომსიკით პირდაპირ მუცელზე დაგიკიდებ. ეს ყველაზე უფრო საიმედოა!

ხუთ საათზე თამბაქოს და პაპიროსის ქალაღლის მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა მოგროვილი, აგრეთვე რამდენიმე ჩიბუხი. მამასახლისმა შიშით თვალეზი დააჭყიტა:

— ბატონებო, ეს ხომ შეუძლებელია! ისინი შეამჩნევენ. იმდენის მოწვევა, რაც უნდა ვედილიყავით, მაინც არ შეგვეძლოს!

მაგრამ უკვე აღარაფერი მოხერხდებოდა, რადგან ყველაფერი საიმედოდ აღგილას იყო დამალული. ათი მამასახლისი თავიანთი პატარა ნახვევებით ჩასაბარებლად წავიდა. ამის შემდეგ მალე ბრძანებაც მოვიდა:

— ბარაკობით დაეწყეთ!

ორ გრძელ რიგად გაგვამწყრივეს. მოვიდა ორივე მცველი, ვინც ფოსტის კონტროლს განაგებდა, და ჯიბეები გაგვიჩხრიკა. ამასთან მკლავები პორიზონტალურად უნდა გაგვეშალა.

ვერაფერი იპოვნეს.

— ვინც თამბაქო დამალა, მას კიდევ შეუძლია გამოტყდეს.

მკედრული სიჩუმე.

— არაინ? მაშ, კარგი!

და შეძლევი ბარაკის საჩხრეკად წავიდნენ.

ჩხრეკამ უშედეგოდ ჩაიარა.

ამ საღამოს დიდხანს ვერ დავიძინებთ: ლოგინიდან ლოგინზე სიცილი და ხუმრობა გადადიოდა. ერთს საბანი გადახადეს, ნამდვილი ბრძოლა გაიმართა ბალიშებით.

— ჩუმად, ამხანაგებო, განა არაფერი გესმით?

სიჩუმე. გავიგონეთ, როგორ მღეროდნენ მცველები:

„...წითელი ფრონტი, დაამსხვრიეთ იგი...“

— ბიჭებო, ისინი კანტინაში სხედან და ლოთობენ. ნულარ ხმაურობთ, თორემ კიდევ გვეწვევიან!

— მშენებლობის პატრონმა ერთი კასრი ლუდი უთავაზათ. ისინიც ღორებივით ლაფავენ.

„...მცველები მოდიან, ქუჩა განთავისუფლდეს!“

ბარაკის ვიწრო ფანჯრებში მთეარის შუქი შემოძვრა და გრძელი მაგიდები გაანათა, რომლებზედაც მკაფიოდ დაიხატა ფანჯრების ჩარჩოების ჯვარედინები. ახლა წყნარად ვიწვეით და ყურს ეუფდებთ სიმღერას.

ნიკოტინის მეტისმეტმა ხმარებამ ძილი წამართვა. გული ძალზე მიძგერდა. მცველებმა სიმღერა შესწყვიტეს. ხანგამოშვებით ხარხარი ისმოდა.

ბნელაში უეცრად ხმა გაისმა. არა მაღალი, მაგრამ ძლიერ ღრმა, თითქოს ვიღაც ხელოვნურად ჰბაძავსო:



ერეკლესული

— სსსს! ს-ს-ს-ს! წყნარად!

— ვინ იყო? ჩუმაღ-მეთქი!

ხმა დაახლოებით შუაგულ ბარაკიდან მოისმოდა, ჭრბჭრბ/წმწმამერ-ხიდან. ნელა და მკაფიოდ, წყნარად და ყრუდ, თითქოს ვილაცა რუპო-რივით დაწვობილ ხელიგულეებში ლაპარაკობსო:

— ამხანაგებო, ამაღამიდან წითელი გაღმომცემი რეგულარულად ილა-პარაკებს თქვენთან. ვინც წითელ გაღმომცემს მცველებთან გასცემს, მას თავს დაატყდება პროლეტარიატის შურისძიება. ჩვენ ყველაფერი ვიცით და თვალს ვადევნებთ თითოეულს. ამხანაგებო, გულმოდგინედ დააკვირდით მცველებს, სცადეთ მათთან ბაასის გაბმა მუშაობის დროს. ყველა მოსისხ-ლე ძალლი როდია. უნდა ეცადოთ, განხეთქილება შეიტანოთ მათში. ეკამათოთ იმას, ვინც თქვენთან ლაპარაკს მოისურვებს. გამოაკითხეთ, საკონცენტრაციო ბანაკებში სპეკულანტები და ექსპლოატატორებიც თუ ხვდებიან-თქო. გამოიყენეთ საბაასოდ ყოველდღიური ბრძანებანი რეგო-ლუციის გათავების შესახებ. წითელი გაღმომცემი რეგულარულად გაღ-მომცემთ ხოლმე მცველებთან სადისკუსიოდ საჭირო სახებლიო ლოზუნ-გებს. ნუ ფიქრობთ მუდამ მარტო თქვენს განთავისუფლებაზე. გახსოვ-დეთ თავისუფლად მყოფი ამხანაგებიც, რომლებიც განაგრძობენ მუშა-ობას. ისინი მოელიან, რომ ჩვენ ბანაკშიაც ისეთები დავრჩებით, რო-გორიც ვიყავით. ყურადღება, ყურადღება, წითელი გაღმომცემი გეტხო-ვებათ. როტ ფრონტ!

მრავალი მერხიდან ჩურჩულით უპასუხეს:

— როტ ფრონტ!

კანტინაში მცველებმა ახალი სიმღერა გააბეს. მეზობელმა წამჩურ-ჩულა:

— ძაან მოაწყვეს ბიჭებმა, არა? ვიცი, ვინცაა!

— ხმა ჩაიწყვიტე! — მოისმა ქვედა მერხიდან, — ეგ არავის არ ეკი-თხება.

მერე ყველაფერი საბოლოოდ მიწყნარდა.

პირველმა მხვრინავეებმა თავიანთი სიმღერა მორთეს.

— ხვალ დილით ადრე ისევ ჭაობში, ეცადე დაიძინო.

კანტინიდან ხმაურობა თანდათან გაურკვეველად ისმოდა. ჩამეძინა.

გამაყრუებელი სტვენა — ერთი, ორი, სამი — და ჩვენც გაგვეღვიძა. წამოხტი. ნუთუ უკვე ხუთის ნახევარია? ჯერ კიდევ სრულიად ბნელა. ჩემი მეზობელიც წამოხტება:

— ძმობილო, რა მოხდა?

გავიგონეთ მრავალი ფეხის ბარტყუნა ხის იატაკზე. ბარაკის კარებში დაიყვირეს:



— ყველანი ძირს მერხებიდან!

— ჯერ ხომ ისევ ღამეა! რა უნდა მომხდარიყო? *ეკრენულნი
გონსმოუსვლელი მერხიდან ჩამოვხტი.*

წინ ჯიბის ფარნებმა გაიელვა. ვგრძნობ, რომ ბარაკში უთვალავი მცველია. ერთმანეთს ეჩურჩულებიან. ჩვენ კი, ნამძინარევენი და შეშინებულნი, ჩვენს მერხებთან ვდგევართ.

— ვინც ამ ბარაკში თამბაქო დამალა, ახლა კიდევ შეუძლია ნებაყოფლობით განაცხადოს!

სრული სიჩუმე. აი საქმე რა ყოფილა! დასწყევლოს ეშმაკმა, კაი ამბავი შეიძლება დატრიალდეს.

— ვინ აცხადებს ნებაყოფლობით? ნუ მიგვიყვანთ იჭამდე, რომ თვითონ ჩვენ დავიწყით ძებნა! თუ ძებნა დავიწყით და რაიმე ვიპოვნეთ, მაშინ თავი ძირს!

ყველა სდუმს. ჩემი მეზობელი ძლივგასოგონად ჩურჩულებს:

— იცი, თვით მოხუცია. ახლა კი — მორჩა!

— უკანასკნელად გეკითხებით! ვინ აცხადებს ნებაყოფლობით? რაო, აქ ყველა მ...რი და მხდალია?

სამი, ოთხი, ხუთი ჯიბის ფარანია მიმართული განცვიფრებულ და გაქვავებულ სახეებისკენ. რისიმე დანახვა მაინც შეიძლებოდა!

— თითოეული თავის კარადასთან, გაუნძრევლად! დაიწყე! გასჩხრიკეთ კარადები და მერხები.

იწყებენ. კარადებიდან ყველაფერს იატაკზე ისვრიან.

ჩვენ კი ვდგევართ და ველოდებით.

გვესმის, როგორ ჭრიალებს კარადის კარები, როგორ ეცემა ძირს პატარა კარდლები, ისმის წყნარი ხმაც:

— ეგ ჩემი საფულეა. შიგ არაფერი არ არის.

ან კიდევ:

— კოლოფში ჩემი ქუჭყიანი საცვალაა.

ველოდებით, სანამ ჩვენი ჯერი მოაღწევს. ახლა ისინი შეაგულ ბარაკში არიან.

— აჰა! უფროსო, აი თამბაქო! მთელი ორი გამოკერა!

საშინელმა ქრუანტელმა დაგვიარა. გამოხვეული თამბაქო კარადის უკან იყო გაჩრილი.

— ვისია ეს თამბაქო?

შიშით მინელებული ხმა უპასუხებს:

— ჩემი არ არის. ეგ მე არ დამიმაღლავს კარადის უკან.

— მეზობელ კარადებიდან ოთხი კაცი წინ! თამბაქო შენ გეკუთვნის?

— არა!

— შენა?

— არა, ბატონო კომენდანტო, მე არ ვეწევი.



ეროვნული
ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

- შენა, შენც არ ეწევი?
- კი, მაგრამ მე არ დამიშალავს.
- აქ კიდევ რაღაც არის!

ვაისმის მეორე კუთხიდან.

მცველმა იატაკს ქვეშაც იპოვნა თამბაქო. იგი სწორედ იმ მაგიდას ქვეშ იდო, რომელიც დაზიანებულ ფიცრებს ჰფარავდა.

- ვინ უზის ამ მაგიდას? გამოდი!

მერხების სიბნელიდან მთვარის შუქზე გამოვიდა აფი კაცი, ვით საბ-
არლო ცოდვილნი, მოკლე-პერანგა და ფეხშიშველნი.

- რომელმა დამალა თამბაქო?

არავითარი პასუხი.

- პირველი, დაიხარე!

ტყაპ! ტყუპ!

- ა-ა!..

- მეორე, დაიხარე!

სცემენ გაშიშვლებულ უკანაღზე ფიცრებით, გარედან, ეზოდან რომ წამოუღლიათ.

წყნარად, მოგუდულად ჰკენესიან პარტიზმები. ჩვენ კი ჩვენს კარად-
ღებთან ვლგევართ აკანკალებულნი.

ახლა ტრუაფიურერი გროსკოპფი ჩემს კარადასთან მოდის:

- გააღე! სწრაფად!

ფარნის შუქი თვალს მიბნელებს. ლუდის სუნი ცხვირში მცემს. ჩემს ნივთებსა ვშლი. იგი ჩემს რიუქსაკსა სჩხრეკს. ფრანგულ ენის თვით-
მასწავლებელს აიღებს, გადაფურცლავს და მარცვალ-მარცვალ კით-
ხულობს:

- Je dix — huit — une leçon.

- აა... ოო... ავდა ვარ!

ჰყვირის ერთი ნაცემთაგანი. მხოლოდ და მხოლოდ ნერვიულობის
გამო ვეკითხები:

- თქვენ ფრანგულის კითხვა იცით?

- ცხადია, მეგობარო!

და იგი საზიზლარი გამოთქმით კითხულობს:

- Je m'en vais, tu t'en vas il s'en va, nous nous en allons.

- აქ ლორებს კიდევ რაღაც აღმოაჩნდათ!

სიბნელიდან დაიძახა ერთმა მცველმა. ისმის სილის ტკაცანი. გროს-
კოპფი მთლად გაერთო კითხვაში:

- რაო? სისულელეა... Vous vous allez, ils s'en vont.

შემდეგ წიგნს კარადაში შეაგდებს:

— სისულელეა! ფრანგული. გერმანელო მოჭალაქვე! ფრანგებს დაე-
ცხებთ. თამბაქო დამალე?

ფეხზე სწორედ დგომა უკვე აღარ შეუძლია და რკინის მერხს ვეუღლება.

— არა, ტრუპფიურერო!

კომენდანტი ღრიალებს:

— არცერთი ღორი ნებაყოფლობით არ აცხადებს! გაიძვერათა მხდალო ბრბოვ! ნაძირალებო! თქვენ იმ სახეთქადაც არა ღირხართ, რასაც აქ გაძლევენ! ჩვენ ძალიან კაცმოყვარულად გეპყრობით, ბანდიტებო!

ხმას თანდათან, უმაღლებდა. მოთმინებრიდან იყო გამოსული.

— ახლა თავებს გაგაგდებინებთ! თავებს გაგაგდებინებთ!

ისე ბნელოდა, რომ გაარჩევდით, რა ხდებოდა ბარაკის ქვემო ნაწილში. იქ კი დაიწყო ხმაურობა, ყვირილი, კენესა, ცემა.

— უკვე იწყება! უკვე იწყება!

ყოველი წესი დარღვეულია. ჩვენ კარადებთან აღარ ვართ. ინსტიტუტურად მერხებს იქით ვიმალებით, საფარს ვეძებთ. ერთად შეეჯგუფდით ვიწრო გასასვლელში, ბარაკის კედელსა და მერხებს შორის. სტვენა, კომენდანტი გაპკივის:

— მერხებზე, მარშ, მარშ! ვინ არ არის მერხზე?

გიჟური სისწრაფით მერხებისკენ გაერბივართ. ყოველი ჩვენგანი უახლოეს მერხზეა, ხოლო, ვინც ვერ მოასწრო, მცველები სცემენ. ძირა მერხებზე ორ-ორი, სამ-სამი ვწევართ. ერთი-მეორეს ვაწევართ. ვინც ზემოდანაა, იმას ყველაზე მეტი ხვდება.

კომენდანტი უსტვენს, თავის კაცებს ეძახის.

— კმარა! მცველებო, აქ მოდით!

ოღნავი შესვენება. საბნებში მივძვრებით. მესმის კომანდა გარედან, ბარაკის წინ. აღმუვლდა სირინოზი. ფანჯრიდან ვხედავ მცველებს, ილლიაში გაჩრილი კარაბინებით რომ მორბიან. მთელი სადარაჯო რაზმი, 180 კაცი, ფეხზეა დაყენებული და ჩვენი ბარაკისკენ მოისწრაფვის.

„ჰო, ახლა მორჩა! — ვფიქრობ. — ახლა მორჩა!“

— ბარაკიდან გარედ! დაეწყეთ!

ვიწრო კარებით გარედ მიგვერეკებინან, მცველთა რიგებს შორის, რომლებიც გვცემენ წიხლით, კეტებით, ფიცრებით, რომლებსაც ლურსმნები კიდევ შერჩენია. ყოველთვის, როცა ოცი, ოცდაათი კაცი კარებში გაივლიდა, ორი მცველი ტალღას შეაჩერებდა იმისთვის, რომ ყველას თავისი წილი რგებოდა. მე უკანასკნელ განყოფილების თავში ვარ. ზედ ჩემ წინ გაისმის მცველის ყვირილი:

— შესდექ! არ გაინძრე.

მაგრამ მე სელას განვაგრძობ. რალაც ისე გამოვიდა, რომ მხოლოდ მე ერთი მივდივარ რიგებს შორის ნელა და მშვიდად, თუმცა ფეხზე ძლივსლა ვდგები. დანარჩენები უკვე დაწყობილან ბარაკის წინ. ასი კაცი — პერანგის ამარა. ისე მიდგანან თვალწინ ამხანაგები, თითქოს ახლა

მობდა ყოველივე ესაო. განუსაზღვრელი ბნელი ქაობი, ნისლიდან რომ გამოდის; ეკლიანი მავთულების ხლართი; მთვარის შუქი, ბნელი ბარაკი — და ასი ფეხშიშველა კაცი სდგას ქვიშაზე და შინაგან სუნთქვას, ვით ხანძრის რკალში მომწყვდეული მხეცი.

საშინელია ეს ხრიალი, ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვა! შეუძლებელია მისი აღწერა: ვისაც თვით არ გაუგონია, ვინც არ იცის, როგორ სუნთქავენ ადამიანები უკიდურეს დამაბულობაში, შიშის ზარის დროს. მცველები ფართოდ გვერტყმიან გარს, კარაბინ-განმზადებულნი. თითონაც აღელვებულნი არიან, ვით ბრძოლის წინ.

— სამიზნო ხაზს მოშორდი!

ეძახის ერთი მეორეს.

ბარაკიდან უკანასკნელი ამხანაგი მოდის — მოხუცი. იგი საკუთარ ხელით გაკეთებულ ყვარჯენს მოაბაქუნებს. მუჯღუგუნები, ცემა — მცველები მოხუცს აჩქარებენ. მათ რიგებიდან უეცრად ვაისმის ხმამალა და გარკვევით:

— ფუი, მოხუც კაცსა სცემ!

— ხმა ჩაიწყვიტე, ხმა გაიკმინდე!

მყის შიდახეზს მრავალი ხმა.

კომენდანტი გაცოფებულია. თავდაქერლობა სრულიად დაუკარგავს.

— აბა, ძალღებო! ახლა თქვენ იქა ხართ, სადაც ჩვენ გვინდოდა, რომ ყოფილიყავით. წინად ჩვენ ვკანკალბდით თქვენს წინაშე, მურდღებო! მე მხოლოდ ამას გეუბნებით: თუ ნებაყოფლობით არ გამოვლენ წინ ისინი, ვინც თამბაქო დამალა, დილამდე აქ იდგებით, ღია ცის ქვეშ. ჩემთვის ეს სრულებით ერთია. — და ხმა მიუწყდება.

ასი კაციდან წინ არავინ გამოდის.

ასე ედგევართ, ჩუმად, მგონი, ათ წუთს. ქაობებში ღამე ზაფხულობითაც კი ცივია, კბილები გვიკაწკაწებს.

ერთი სიტყვაც აღარ თქმულა. მცველები უძრავად დგანან და ელოდებიან.

შარფიფორი და ტრუპფიფორი კომენდანტთან მიდიან. თათბირობენ.

— აბა, როგორ გინდათ? კიდევ არავისა სურს გამოტყდეს?

მას შეეძლო ამნაირადვე ეკითხნა: „სიკვდილი ვის გინდათ?“

— პასუხისმგებელი იქნებით ყველა! ყველა, უკლებლივ!

ახლა რიგებიდან ერთი ჩვენგანი წინ გადის. პატარა, ჩასკვნილი, მელოტი. ერთი იმათგანი, ვინც ბარაკში ყველაზე ნაკლებად ლაპარაკობს.

იგი მშვიდად, თითქმის გულგრილად ამბობს:

— ბატონო კომენდანტო, მე შინდა ვიკისრო სასჯელი, ვიკისრო იმისათვის, რომ ამხანაგები ამ სიცივეში აღარ იდგნენ.

კომენდანტი განცვიფრებულია:

— თამბაქო თქვენ დამალეთ?

— არა, არ დამიმაღლავს. მაგრამ შემძლია სასჯელი ჩემს/თავზე მივიღო.

გადის რამდენიმე ხანი, სანამ კომენდანტი გონს მოვიდნენ. შემდეგ იგი ამეტყველებდა:

— აი! ამას შეხეთ! ეს ბიჭია! თქვენ მზღლები ხართ! აი, ეს კი, აი! ეს ვაჟაკია, გესმით! ეს ყოველშემთხვევაში ნამდვილი ბიჭია! ყველანი შერხებინაკენ, იარ!

ბარაკში გაერბივართ.

შე კაცს არაფერი არ დამართნია. იგი იმ წუთს გამოვიდა, როცა ყველაფერი ბეწვზე ეკიდა.

ამ ღამეს შემდეგში ჩვენ „გრძელი ფიცრების ღამე“ ვუწოდეთ. მისი შედეგი იყო: სამი მძიმედ დაჭრილი, რომელთაგან ერთი რამდენიმე თვის განმავლობაში საავადმყოფოში იწვა; მეორემ თირკმელებში სისხლის ჩაქცევა შეიძინა, მესამემ კი-თემოს მძიმე ჭრილობა, დანარჩენები დაქვეით გადაერჩით მხოლოდ.

კონსტანტინის ციხე.

„გრძელი ფიცრების ღამის“ შემდეგ მესამე კვირას, ნასადილევს, პატიმართა განწყობილების გასაუმჯობესებლად „ციხის წარმოდგენა“ გავმართეთ. კომენდანტისაგან ნებართვა მივიღეთ და ყველა-მცველი, კომენდანტიდან დაწყებული გუშაგამდე, მონაწილეობას იღებდა, როგორც მასწავლებელი.

დიდი ბოძოლა დაგვიჭირდა ამხანაგებთან, სანამ ჩვენს გეგმას გავიტანდით. ათასგვარი მოსაზრება დაიბადა.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოსაზრება ჩვენი განზრახვის წინააღმდეგ ის იყო, რომ წარმოდგენას გადაიღებენ და შემდეგ გამოიყენებენ, როგორც იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში პატიმრებს „ჭუმანურად“ ეპყრობიან.

ჩვენ ვუპასუხებდით, რომ მთავარი ახლა, მიუხედავად ყოველგვარი დამცირებისა, ისაა, რომ მხნეობა არ დავკარგოთ და არ გავტყუდეთ.

— მე გეუბნებით, გაგიყებულხართ-მეთქი! — ამბობდა ერთი დიუსელდორფელი მოხუცი მუშა. — მცველები ჩვენი მოსისხლე მტრები არიან, ახლა კი თქვენ გინდათ რაიმე გასართობი მოუწყოთ მათ! ისინი იტყვიან: ესენი კიდევ კარგად გრძნობენ თავს, საკმაოდ ჯერ კიდევ ვერ მოგვითელავს ისინიო.

— ვილი, უნდა ვაიგო, კაცო! ჩვენ პატიმრები ვართ. მაგრამ, თუ ახლა მაგათ ვაჩვენებთ, რომ ჩვენ ნამდვილი ბიჭები ვართ, რომ ჩვენ მიგვიფურთხებია მაგათთვის და მაგათი დაცინვისათვის, ნახავ, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს მაგათზე. გასაგებია? ეგენი რომ ნაძირალეზად

გვთვლიან. მაგრამ თუ დაინახეს, როგორა ვართ შემტყვილები, მაშინ რომელიმე მცველი მაინც იკითხავს, განა წესიერად გვექცეობა? და ამით უკვე რალიცას მოვიგებთ. ჩვენი ახალგაზრდობაც ვერცხვს თუ წარმოდგენა კარგად ჩაივლის, ყველა იამაყებს და იფიქრებს: განა არ შეიძლება აქ, ბანაკში, საერთო ძალით სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც გავაკეთოთ?

— სრული სიმართლეა, — ჩაუბრალო სიტყვა ჩვენმა მამასახლისმა, — ჩვენ უნდა შევანგრიოთ მცველთა რიგები! მათ შორის რიგიანი ბიჭებიც არიან. მაგალითად, ის გრძელი, ვისაც ვეგენი „მაისის ხოჭოს“ ეძახიან. შეგინიშნავთ თუ არა, რომ მუშაობაში იგი არასოდეს არ გვიცაცხანებს? ასეთები, როგორც ისაა, უნდა ვეცადოთ, ჩვენსკენ გადმოვიყვანოთ. მაგრამ ჯერ მათთან მისასვლელი გზა უნდა გამოვძებნოთ. ეს კი შეგვიძლია მხოლოდ ამისთანა წარმოდგენის გამართვით. წარმოდგენა მათზე შთაბეჭდილების მოახდენს. არაფერი ამნაირი რამის გაკეთება თითონ არ შეუძლიათ.

— მართალია. ისინი საშინელ მოწყენილობას განიცდიან აქ. ერთმა მათგანმა ასე მითხრა: „ჩვენ აქ მეორე რიგის პატივრები ვართ“.

— და შემდეგ, ერთ რამესაც ნუ დაივიწყებთ: თუ ჩვენ ახლა ცირკის წარმოდგენას ვამზადებთ, ისიც შეგვიძლია, რომ ეჭვის აღუძვრელად ერთად შევიკრიბნეთ. — ამისი ნებართვა გვაქვს. — ან ერთად გავარჩიოთ ის საკითხები, რომლებიც... ჰო, თქვენც იცით, მე რას ვგულისხმობ. რაიმე ხომ უნდა მოეწყოს აქ?

— ცოტა ჩუმად, ბიჭო! რა გაუფრთხილებლობაა! ნუ თუ არ იცი, რამდენი ჯაშუსია ამ ბანაკში?

— ამხანაგებო, — გადასწყვიტა მამასახლისმა, — ამაზე ახლა მეტს ნუ ვილაპარაკებთ. სამისოდ აქ სხვა ხალხია. ჩვენი საქმეა დისციპლინა დავიცვათ და ენასაც კბილი დავაჭიროთ.

— ჰო, რასაკვირველია, მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ თუ აქ სხვები არიან, მაშინ საქმე კარგად ყოფილა.

მე ამხანაგებს დავევალე, გამოერკვიათ თითოეულს ბარაკში რა არტიტული, ჰუმორისტული და სხვანაირი ნიჭია ნამდვილად, და განცვიფრებული ვიყავი წინადადებათა სიუხვით.

ყოველი დარგისა იყო: ჯამბაზები, ჯომარდები, ბოქსერები, ხემარები, მომღერლები, ცხოველთა მიმბაძველები, ჟონგლერები და სხვ.

სალამოთი ბარაკს უკან რეპერტიცია გვჭონდა, რომელზე დასწრებაც არავის არ შეეძლო.

მხოლოდ მცველები შეჩერდებოდნენ ხოლმე ეკლიანი მათულების ზღარბებს შორის და ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ ჩვენს რეპერტიციას. მე ვგრძნობდი, რომ ისინი ადასტურებდნენ ამგვარ გასართობებს, რადგან თითონ არ შეეძლოთ რაიმეს მოწყობა.

ბარაკის რაზმში რეგენობა და ლოთობა იყო გამეფებული მცველები თავს გადასახლებულებივით ჰგონობდნენ. მთელს იმ კვლევებში ერთი პატარა ქალაქი კი არ იყო, სადაც მათ თავისუფალი დაჯილდოება შესძლებოდათ. მუდამ კანტინაში ეყარნენ და ლოთობდნენ.

სალამობით, კვირას, შვებულებას რომ აიღებდნენ, მეზობელ სოფლებისაკენ გაემართებოდნენ.

მრავალი კილომეტრი უნდა გაეცლოთ ფეხით იმისათვის, რომ სოფლის რაიმე ცეკვაში მონაწილეობა მიეღოთ.

შემდეგ იქ ამგვარი რამეებიც ხდებოდა: მცველები, როგორც მღვთმარობის ბატონ-პატრონები, თავიანთ კოხტა, შავ ფორმაში გამოწყობილნი, სოფლის ბიჭებს ვოგოებს ართმევდნენ და მათთან ერთად ბაღებში დასეირნობდნენ.

სოფლელი ბიჭები კი, თითქმის ყველანი, მოიერიშეთა რაზმებში იყვნენ და საქმე თავპირის მტერევით თავდებოდა, რომლის დროსაც დამარცხებულნი მეტ წილად მცველები რჩებოდნენ, როგორც უმცირესობაში მყოფნი. მცველები ბანაკში თავშეხვეულნი და ტანისამოს შემოხეულნი ბრუნდებოდნენ, ვით დაგლეჯილი გლეხები, და იმუქრებოდნენ რომ სამაგიეროს მომავალ კვირას გადაუხდიან.

ბარაკში მათი გასართობი ყაზარმის ცნობილ ანეგდოტებს მოგავიწყებდათ: მაგალითად, როცა ყველანი უგრძობლად დათვრებოდნენ ახალმიღებულ მცველს დაეხვეოდნენ და ვაჭით სასქესო ორგანოს გაუშვებდნენ, ან საყვადმყოფოდან იოდს გამოიტანდნენ და სახეს ისე შეუღებავდნენ საბრალო მთვრალს, სანამ ინდოელს არ დაემსგავსებოდა. ეს უკვე ზუმრობის ის უკანასკნელი ზღვარი იყო, რისი ნიჭიც მათ შესწევდათ. ძირითადი გასართობი კი მაინც ლოთობა იყო. ლოთობას ისინი სრულიად გულწრფელად იცავდნენ, როგორც გერმანელი მოქალაქის ხელშეუვალ სიკეთეს. კომენდანტიც მათთან ერთად ლოთობდა. მცველები ამავობდნენ, რამდენი სმა შეუძლიათ. წყალსა და ცეცხლში ერთიმეორის გულისთვის, ყოველგვარს აყალმაყალში, — ასეთი იყო მათი იდეალი. უღრმესი ზიზღი ყოველ დოკლაპის, „მხოლოდ პოლიტიკოსებს“ და „მეშინებს“. ის გარემოება, რომ მათი კაპიკები და ბლაკვი წარმოდგენა პატროსნებაზე თუ ერთგულებაზე, თავაწყვეტილი მეშინიანის ასეთივე წარმოდგენა იყო, ამისი ფიქრი აზრადაც კი არ მოსდიოდათ. მათი საყვარელი სიმღერა ეს იყო:

აქ თუ იქ — სმა და ხეთქვა
 ლანდსკნებტს უნდა,
 ლანდსკნებტს უნდა ჰჭონდეს!

მე იმის მტკიცება როდი მინდა, ვითომ ეს საქციელი პოზა იყო. პირიქით, ისინი, ალბათ, სიცოცხლესაც კი შესწირავდნენ „გერმანული სი-

მამაკის“ ამ უცნაურ წარმოდგენას. ყოველ შემთხვევაში ზოგადად მათგანი მაინც.

მათი სოციალური შემადგენლობა: 60% -მდე გლეხობის, მწიკტების, მიკიტნების, წვრილი მეღვინეების, ფოსტისა და რკინის გზის მოსამსახურეთა შვილები, რომლებსთვისაც მათ აღარ შეეძლოთ არც სწავლისა და არც მომავალი ცხოვრების მიცემა, 20% იყო „განათლებული“, ესე იგი იმედგაცრუებული მასწავლებლები, ინჟინრები, ტექნიკოსები, სტუდენტები; ხელმძღვანელი თანამდებობანი თითქმის გამოუცლებლივ „განათლებულებს“ ეკავათ ან კიდევ ძველ პროფესიულ ჯარისკაცებს რაიხსვერელთა და ბალტიის მეზობლობაგან.

მტანჯველთა მთავარ ჯგუფს შეადგენდნენ „საუკეთესო წრეებიდან“ გამოსული ბატონები. მაგალითად, „მახელი“, რომლებიც ახენის პოლიტექნიკუმში სწავლობდა, „იხვის ნისკარტა“, ვაკოტრებული ახალგაზრდა მასწავლებელი, „გროსკოპფი“, რომელიც ფანდურს უკრავდა და ნიცშეს კითხულობდა.

ეს ადამიანები აგრეთვე „პოლიტიკური“ ტონის მიმცემნი იყვნენ მთელს რაიხში.

ისინი უხეად ხარჯავდნენ მაღალ-მაღალ ფრაზებს, ცუდად გაგებულ ციტატებს, ოსტატები იყვნენ ებრაელების დევნის საქმეში, მსგავსად ნურნბერგელი შტრაიხერისა, რომელი დევნაც მხოლოდ მათი მაზინჯი მგრძნობელობით შეიძლება აიხსნას.

გუშაგები ხშირად გვეუბნებოდნენ:

— აბა, ერთი კაი სიმღერა გვითხარით! რაიმე ღამეში სიმღერა. და იმის მიხედვით, თუ როგორ ვაფასებდით გუშაგებს, ვმღეროდით ხოლმე სამ ხმაზე, ისინი კი იღგნენ და გვისმენდნენ. ახენელი მხატვარი ქალო ლოტბარობას გვიწვედა.

ჩვენი ცირკის საღამოს რეპეტიციებზე მე-მთავარ ყურადღებას იმას ვაქცევდი, რომ ყველაფერს სწრაფად, ზუსტად და მწყობრად ჩაევლო.

საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ მხოლოდ სასტიკი წესიერების დაცვითა და ტემპით შეიძლებოდა მცველებზე განსაზღვრული შთაბეჭდილების მოხდენა.

ნაკრები ორკესტრი — საკუთარი ნაკეთობის გარმონი და ვიოლნი უკვე გვქონდა.

კვირა დღეც დადგა. დილით იმ ლექსის რეპეტიცია გვქონდა, რომელიც ჩვენმა მაღაროელმა შეადგინა, ხოლო მუსიკა ამ ლექსს საეპროს ერთმა მსახურმა შეუწყო.

ამასობაში კარლი, მუდამ ზუმარა კარლი, ვისაც ამხანაგები ოდნავ მოსულელოდ სთვლიდნენ, მთელს ბანაკში დარბოდა და თან დაქჷონდა დიდი პლაკატი, რომელიც ჰანს კ-მ დახატა.

„კონცენტრაციის ცირკი! დღეს დიდი ვალა-წარმოდგენა! მხეცების ჯერ უნახავი პარადი! ყველაზე უფრო დიდრონი ხარები, მთელს დღე-მიწაზე! წარმოდგენელია — ჭაობის ბალეტი! არტაქულისეფიქსეფა და პარტებში. ავეუსტი — განსაცვიფრებელი ხუმარა! დასაწყისი 2,40 საათზე“.

პლაკატმა დიდი მოძრაობა გამოიწვია. ამხანაგები სიცილით დასდევდნენ უკან და მოსულელი კარლიც (რომელიც არც იმდენად სულელი იყო, რამდენადაც სურდა თავი სწორედ ასე მოეჩვენებინა) ხაზს უსვამდა სიტყვას „კონცენტრაციის“ და განუწყვეტლივ გაჰკიოდა:

— კონცენტრაციის ცირკი! დღეს ყველა კონცენტრაციის ცირკში მიდის!

ჩვენ გამოვეყავით ნამდვილი კულტკომისია, რომელმაც იკისრა სხვადასხვა მოვალეობის განაწილება. მეხუთე ბარაკელი ოტო ცდილობდა დიდს ქეიშიან მოედანზე, ბარაკებს შორის, ნამდვილი „მანეჟი“ შემოელობა.

ადგილები მანეჟის გარშემო სექტორებად იყო დაყოფილი. თითოეულ ბარაკს თავისი გარკვეული ადგილი ჰქონდა. თორმეტი პატიმარი უკვე განმზადებული იდგა მებილეთებად და მეჯინიბებად. ძველ, საპოლიციო მწვანე ტუფურებს მათ ბრკვევილა ღილების გრძელი მწკრივები. მიაკერეს და საუცხოო სანახავეც იყვნენ.

ორ საათზე დაიწყო მაყურებელთა დენა.

ხალხი ბარაკობით მოდიოდა, ყველას მხარზე თავისი სკამი გაედო. ადგილები სამაგიეროდ დისციპლინისა და წესის დაცვით დაიკავეს. ყველანი აღელვებულნი ვიყავით, როგორც არტისტები დიდი პრემიერის წინ. მშვენიერი ამინდი, მოღიმარი მტრედისფერი ცა. თვალბრიალა მზე.

ყველა ადგილი, გარდა იმისა, რაც კომენდანტისა და მცველებისთვის გვქონდა დატოვებული, უკვე დაკავებულია. მცველები ისე მოათავეს, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ პირი მზისკენ ჰქონოდათ, იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე მათგანი ფოტოგრაფიულ აპარატს მოიტანდა და გადაღებას მოინდომებდა.

გარდა ამისა, გადავწყვიტეთ, შეგვეწყვიტა წარმოდგენა, თუ ფოტოგრაფიული აპარატი გამოჩნდებოდა.

ამხანაგებს სახე უცინოდათ, ალტაცებულნი იყვნენ ბავშვებივით.

ხომ არ აკრძალავენ ჩვენ ცირკს თვით უკანასკნელ წუთებში? შეუძლებელია იმ გრძნობის აღწერა, რამაც ყველა ჩვენგანი მოიკო. ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ გარემოს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით. მცველები ჩვენთან მოდიოდნენ, ასე ეთქვათ, როგორც სტუმრები! ჩვენ, რომლებიც ადამიანები აღარ ვიყავით, გავებდეთ და რამდენიმე საათის განმავლობაში ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდა, ბრძანებისა და შენიშვნის მიუღებლად, სავსებით ისე, თითქოს ჩვენი თავის პატრონი ჩვენვე ვართ და

ასეთი დაწესებულება, როგორც საკონცენტრაციო ბანაკია, არც კი არსებობსო!

ერთ-ერთმა ჩვენმა „ხუმარამ“ მუცელზე ფიცარი შრიცხან უცხად რიგებს შორის დაძვრებოდა, როგორც კამფეტისა და ნაწინის-გამჭიდებულა. ზგი ტორდის უზარმაზარ ნაქრებს სთავაზობდა.

— ჭაობის შშვენიერი ნაყინი! კიდეც ვის ნებავს? კერძი 10 ფენინგად. ესაა, ახლა დავჭერთ!

სამის ნახეარია.

ყველა შემოსასვლელისკენ იტკირება: კომენდანტის წინამძღოლობით მცველები შემოვიდნენ. 800 პატიმარი ერთბაშად მიუყრდა. მცველებმა ოღნავის უხერხულობით დაიკავეს ადგილები, მრავალი თვალი ცნობის-მოყვარეობით იტკირებოდა მათკენ, თითქოს ამბობს: „აბა, მოითმინეთ, ახლა ცოტა რაიმესაც ვიჩვენებთო!“.

ჩემი არტიტები ბარაკს უკან მოვაგროვე და უკანასკნელ დარიგებას ვაძლევდი.

წარმოდგენა დაიწყო.

მანეთის შესავალში მოთავსებულმა ორკესტრმა მწივანა მარში დაიწყო.

ხელად გამოხტა ოცი მეჯინიბე და ორ წყებად გაიჭიმა. მაშინ მანეთში გამოვიდა „კონცენტრაციის დირექტორი“ თავზე ქალაღლის უზარმაზარი ცილინდრით, ხელში შოლტით, მუხლამდე დაშვებული სერთუკით, ორდენებით რომ იყო დაქრელებული, და ფეხებზედაც რეზინისყელიანი ხის ფეხსაცმელით.

ოვატია. სიცილი ერთი-მეორეზე, სანამ კიდეც პირი არ გაეღო. ცილინდრი ოღნავ აიწია (ყვლავ ხმამაღალი სიცილი).

— ჭაობის ღრმადპატივეცემულო მცხოვრებნო! დაუსწრებლო ქალბატონებო და ბატონებო! (ხარხარი). ბერგერის ჭაობის მოქალაქენო და თქვენც, ვისაც ასეთებად ვადაქცევა გასურთ! (სიცილი.) კონცენტრაციის ცირკმა, რომელიც ამ შესანიშნავ, საუცხოო და ჯანმრთელ ჭაობიან არემარეში მოგზაურობს (ჰა, ჰა, ჰა, ჰააა!), გადასწყვიტა პატივი გეეთ გალა წარმოდგენით! (ვაშა! ვაშა!). ჩვენს ცირკს დიდი გერმანიის ხანაში უკვე ლეგენდარული წარმატება ჰქონდა. ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებში, შავაღლითად, ესტერევეგენში, ორანიენბურგში (დიდო სიცილი) და, უმჯველია, თქვენს ქებასაც დაიმსახურებს. ჩვენ გვეყავს უთვალავი ნადირო: ლომები, დათვები, ცხენები, ყანჩები — აქლემები თან არ მოგვიყვანია, ისინი აქაც საკმაოდ მოიპოვებიან (ამას მოჰყვა მოკლე, კითხვითი სიცილი: ვინ ჰყავდა კლოუნს მხედველობაში — მცველები თუ ჩვენ?). აგრეთვე სრულიად არ არიან „ბირტის აფთრები“ და „ფინანსიური ვეფხვები“, — ეს საშიში მხეცები (ამ ხუმრობას განსაკუთრებული სიფრთხილით უპასუხებენ: ოღნავი ირონიული სიცილით), მაგრამ ძირითადად ყვე-

ლა წარმოდგენილია! მე არა მსურს პროგრამიდან წველადგეო/ გაგიმ-
ჯღაენოთ, — გეტყვით მხოლოდ, გაცეზულნი დარჩებით! გიჩვენებთ მსო-
ფლიოს საუკეთესო ჭაღწულეებს, ჩვენი ჭაობის ხუთ girls, რომლებსაცა-
ხაც მოხიბლულნი იქნებით! (ჭაობის girls-ების ხსენებაზე ყველამ გუ-
ლიანად გადაიხარხარა, რადგან უმრავლესობამ უკვე იცოდა, რომ ესენი
იყვნენ ბანაკის ყველაზე უფრო სქელი მცხოვრებნი). შემდეგ იქნება შე-
სავალი სხვა გასართობიც...

მე, საათით ხელში, შესასვლელთან ვიდექი და არტისტებს ვამხნე-
ვებდი. რვაასი მცინარი სახე რკალში! უეცრად გამიელვა თავში, რომ
ასეთი საზოგადოების წინაშე და ამნაირი საზოგადოებისთვის ჩემს სი-
ცოცხლეში არასოდეს არ მიმუშაენია და, ალბათ, არასოდეს არ ვიმუ-
შავებ!

მოსძებნეთ დედამიწაზე ისეთი აღმამანები, როგორიც ეს პატიმრები
არიან, რომლებსაც არაადამიანური ტანჯვა და წამება გაუვლიათ, რომ-
ლებიც, თითქმის ყველანი, მოიერიშეთა სარდაფებში ყოფილან და ახლა
ბანაკში იმყოფებიან უმძიმეს, იძულებითი მუშაობის პირობებში, ყოველ-
დღიურ დაცინვა-დამცირებაში, განუწყვეტელი მუჭარის ქვეშ: „თუ გაქ-
ცევა განიზრახე, ტყვია არ აგცდება“, — იპოვნეთ ისეთები, რომელთაც
კიდევ შერჩენოდეთ სიმხნევე ყოველივე ამის შედეგ ისე იცინონ, იმნა-
რად ჭებაროდნენ სიცოცხლეს, რომ მცველები, მათის უშუალობითა და
მზიარულობით უეცრად გატაცებულნი, მათთან ერთად იცინოდნენ და
უნებურად მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ!

ღირექტორმა სიტყვა დაასრულა. მხურვალე ტაში! ორკესტრი ვალსს
უკრავს.

ჩვენი „არაბული დასი“, — 15 ჯომარდი ზეწრებით, — შევიდა და
პირამიდებს აკეთებს (მცოდნეების ცქერა, სპეციალისტების შეფასება!).

გაათავეს მათ თუ არა, გამოჩნდა ორი „უტვინო ავეუსტა“. სახეები
ფქვილითა და ნახშირით შეემურათ და „ალოს“ ძახილით მანეჟში
შეიჭრნენ.

ერთ მათგანს ილღიაში დიდი ღურბინდი ჰქონდა გაჩრილი, რომელიც
მანეჟის შუა ადგილას დაამაგრა.

ამ ოხუნჯობის გასაგებად უნდა ავიხსნათ, რომ ჩვენი კომენდანტი
მუდამ ასეთ სიტყვას ხმარობდა ხოლმე: „დაინახე?“ რაც შემდეგს ნიშ-
ნავდა: „გაიგე? მიხელი?“ და ყოველთვის, როცა თავისი ბოხი ხმით ვისმე
უყვიროდა, ან რაიმე ბრძანებას იძლეოდა, უცვლელად ასე დაასრულებ-
და: „დაინახე?“.

ერთი კლოუნი ღურბინდთან დადგა, გაიშვირა იგი კომენდანტისკენ
და ჩაიხედა შიგ. მეორე, იქვე, ახლო მყოფმა კლოუნმა მიამახა: „დაინახე,
დაინახე?“

ყველა სიცოლით ვადაბრუნდა.



თვით კომენდანტიც კი.

— რას ეძებ? — ჰკითხა ერთმა კლოუნმა მეორეს, *მარტო წველდა?*
პიკაპიკოსი

ღურბინდთან მდგომარემ წრიბინით მიუგო:

— ყოველდღე თამბაქოს მოწვევის ნებართვას.

შიგ გულში მოხედა!
 მერე ღურბინდი მაყურებელთა მთელი წრისკენ მიმართა. მეორემ
 კვლავ ჰკითხა:

— ახლა რაღას ეძებ?

— მსხვილ ბონზებს ვეძებ.

ამ აგრესიულ ოხუნჯობას თითქმის შეშინებული სიცილი მოჰყვა, იმი-
 ტომ, რომ აქ იყვნენ მხოლოდ მუშები, ღარიბზე უღარიბესნი, ხოლო იმ
 მსხვილი, ვგრეთწოდებული „ნოემბრის დამნაშავეების“, რომელთა შესა-
 ზებაც ნაციონალ-სოციალისტები ამდენს ჰყვიროდნენ, ნასახიც არ იყო.

— იპოვნე ვინმე?

— ვერა. შიბერი კი ბევრია!

— როგორ თუ შიბერი? *)

— ჰო, ლორენშიბერი. **)

აქ ნაგულისხმევი იყვნენ ის პატიმრები, რომელნიც ვიწრო ღიანდა-
 ვიან რკინის გზაზე ბაჭანებს აგორებდნენ.

ამ ინტერმეცოს შემდეგ გამოვიდა ორი ქონგლერი მათ მიერ გამო-
 კრილი კეტებით.

მერმე ჰუმორისტი, რომლებსაც კონსერვის კოლოფისაგან მიკროფონი
 გაეკეთებია და 5 წუთით „ჭაობის რადიოგადაცემას“ აწარმოებდა. შემ-
 დევ მან უამბო დამსწრეთ ანგდოტი ორი კელნელი ხუმარის შესახებ,
 რომლებიც, სხვათა შორის, „ბერგერის ჭაობის“ საკონცენტრაციო ბანაკ-
 ში ყოფილიყვნენ და ლაპარაკი ჰქონდათ ბანაკის კვების თაობაზე:

— მათი კვება, შეელ, პირდაპირ სასაცილოა: ძეხვში ფქვილია, პურ-
 ში კი კარტოფილი!

— ჰო, ძალიან გემრიელი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ცოტაა!

უპასუხებს ტინესი.

მაგრამ აი, ბოლოს, ჩენი მთავარი ნომერი: ჭაობის ბალეტი!

ხუთს, ყველაზე უფრო სქელ პატიმარს ბურბუშელისაგან მოკლე კა-
 ბები შეეკერა, ასეთივე კულულები გაეკეთებია და თავიც ცოცხის გვირ-
 ვვინით შეემკო.

შეკრდზე მუყაოს ბიუსტჰალტერები, ხოლო ფეხებზე ხის უხეში საც-
 მელები. გაუცინებლად მათი დანახვა არ შეიძლებოდა. შევასწავლე მათ
 რამდენიმე საცეკვაო პა, რასაც ისინი წარმოდგენამდე ღიდის გულმოდ-

*) სიტყვის თამაშია: შიბერი — სეკულანტი.

**) ლორენშიბერი — ვაგონის მგორებელი.

გინებითა და მოწიწებით ითვისებდნენ პირსაბანის განყოფილებაში, და ახლაც იმავე შეურყეველის სერიოზულობით იმეორებდნენ.

თანაც წყნარად ითვლიდნენ: ერთი-ორი, ერთი-ორი-სამი, ერთი-ორი! და არავითარი სიცილი არავითარი ტაში არ უშლიდა მათ ხელს. საზოგადოებას ისეთ პაეროვან კოცნას უგზავნიდნენ, თითქოს ავტურებს ესერიანო, და მძიმედ ირხეოდნენ, ვითომ ორი ცენტნერის აწევას აპირებენო, ერთი სიტყვით, ისეთივე ბეჯითობითა და მეთოდებით მუშაობდნენ, როგორც ქარხანაში საზეინკლო დაზვავე.

აღფრთოვანებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ისინი კვლავ ცეკვავდნენ — სერიოზულად და განზომილად — გარდა ერთისა, რომელიც წარმატებამ ისე გააბრუა, რომ რამდენიმე იმპროვიზებული მოძრაობა უჩვენა — „მუცლის ცეკვის“ მსგავსი, რაც თვისი ორანზროვნობით არავითარ ეჭვს არ სტოვებდა, და რამაც მხურვალე, ტაში გამოიწვია. იმპროვიზატორი შემდეგ ლაზათიანად გამოლანძღეს მისმა პარტნერებმა ბარაკს უკან. ხოლო ეს ნაკლებ აწუხებდა მას, იგი ამაცობდა თავისი განსაკუთრებული წარმატებით.

ერთი ნომერი მეორეს მისდევდა. პროგრამა შეუწყვეტლად ვითარდებოდა. მოჭიდავეები, ჯამბაზები, კომიკური ბოქსი (ერთმა მოკრივემ, ახენელმა ახალგაზრდა მუშამ მთელი ტანი მჭევრტლით გაიმურა და ზანგის სახით კრიობდა — კარგად მახსოვს ბარაკის ყველაზე უფრო მზიარული ეს ახალგაზრდა. შემდეგ იგი თამბაქოს წვეაზე შეისწრეს და კარცერში ჩააგდეს. იქ მხოლოდ სამ დღეს დარჩა, მაგრამ იქიდან გაჩუმებული, დაწყნარებული გამოვიდა — ვეღარ იცნობდი, — ორი კვირის შემდგომ ტვინის აპკის ანთების გამო საგიეეთში გაგზავნეს).

დიდი წარმატება ჰქონდა ცოცხისა და ზეწრისგან გაკეთებულ ყანჩას, სტაფილოს ცხვირით; იგი მაყურებლის წინ გაჩერდებოდა და ყოველნაირ კითხვას თავის ყვანჩალით უპასუხებდა, მაგალითად: „კიდევ რამდენ თვეს დაერჩები „ბერგერის ჭიობში“? ყანჩა დაუსრულებლად აქნევდა თავს. როცა ჰკითხეს, შარფიურერს ინსფელდს, ქალების ცნობილ მუსუსს, რამდენი შვილი ჰყავსო, ყანჩამ 14-ჯერ დააქნია თავი (ამ ხუმრობისთვის შარფიურერმა ღამის პირველ საათზე წამოგვეყარა მერხებიდან და წყობას გვასწავლიდა: „ავტორიტეტის დაცემა!“).

კლოუნების მეორე წყვილი „ჭიობის ჯარისკაცების“ სახით გამოვიდა. გამოცემა — პატი და პატაშონი. მხარზე ბარგადებულნი მიმოდიოდნენ ისინი არენაზე და დაუსრულებლად იმეორებდნენ იმ სიმღერას, რომელიც ყველას მობეზრებული ჰქონდათ: „მეტყვევს გოგონა, პარიარალეო“. მუდამ ამ სიმღერით მივდიოდით ხოლმე სამუშაოდ და იქიდანაც ამავე სიმღერით ვბრუნდებოდით.

მერე ერთმა უბრძანა მეორეს: დადექ და დაითვალო: საბრალოს დაუსრულებლად უნდა „ეთვალა“. შემდეგ ამხანაგმა დაუღრიალა: „იმღერე!“

და იგიც საშინელი ხმით ვაჰკიოდა: „მამამ დასკრა ირმის ნუკრი, / ქა-
ლიშვილმა — ბიჭის ვული, თარიითარალევე“.

მაყურებლებისთვის ცხადი იყო, ვის ჰგულისხმობდნენ ესენი. მათივე
წვრთნა და სიმღერა ყველას მობეზრებული ჰქონდა.

ყოველ ხუმრობაზე მცველებისკენ იცქირებოდნენ. ისინი კი ისე იყე-
ნენ თამაშით გატაცებულნი, რომ იქნებ დაცინვას ვერც კი ამჩნევდნენ.
ახლა კი ჩვენი ხორო გამოვიდა. ორმოცი კაცი სწრაფის ნაბიჯით
გავიდა არენაზე.

ქვიშაზე დასხდნენ და დამწყებმა ბუნებრივის, მშვენიერი ხმით და-
იწყა სენტიმენტალური ოპერტის სიმღერა:

„ვოლგის ნაპირას სდგას ჯარისკაცი“ ...

გუნდი ბანს ეუბნებოდა. ყველას მოეწონა. სიმღერა გაამეორებინეს.
შემდეგ ბანაკის მოსახლეობამ პირველად მოისმინა „ბერგერის ჰაო-
ბის სიმღერა“, რომელმაც შემდგომ ხალხური სიმღერის პოპულარობა
მოიპოვა.

ერთ-ერთმა მომღერალმა სთქვა:

— ამხანაგებო, ახლა ჩვენ გიმღერებთ ბერგერის ჰაობის სიმღერას,
ჩვენი ბანაკის სიმღერას. ყურადღებით მოისმინეთ და მოსათვალავი ჩვენ-
თან ერთად გაიმეორეთ.

მძიმედ და ყრულ, მარშის რიტმით, გუნდმა დაიწყო:

ლაფი, ჰაობი, წვეული ტორფი —
აქ ფრინველიც კი აღარ ჰაჭანებს.
ჩვენ ვართ ჰაობის ჯარისკაცები,
ჰაობთა ლაფის ამოშრობლები.
ჰაობის ჯარისკაცები
თავიანთი ბარებით
ლაფში მიაბოტებენ.

ღრმა დღმილი. ყველანი გაქვავებულებივით სხედან და ხმის აყო-
ლება არ ძალუძთ.

ამ საშინელს უდაბნოში
ჰაეაც ლპობით გაუღწილია.
ჩვენ აქ ძალით შემოგვრევს,
ვით ფარეხში ბაჰიები.

კვლავ ახმაურდა მოსათვალავი:

ჰაობის ჯარისკაცები
თავიანთი ბარებით
ლაფში მიაბოტებენ.

რამდენიმე ამხანაგმა წყნარად და ნალვლიანად ააყოლა ხმა, მათი
თვალი შორს იცქირებოდა, ეკლიან ხლართულს გარედ, იქ, სადაც ცა
დაუსრულებელ ველებს უერთდებოდა.

დილით იძვრიან რიგები
სამუშაოდ წყვეტს ლაფში,
და პატიმართა გულები
ფართოებენ მკერდსაფარში.
ჭაობის ჯარისკაცები
თავიანთი ბარებით
ლაფში მიაბოტებენ.



კომუნდანტს გადავხედე. თავდახრილი, იგი ქვიშაში ფეხს ურევდა.
მცველები ჩუმად და უძრავად ისხდნენ.

შემდეგ ამხანაგებს დაეაკვირდი. ბევრი ტიროდა.

სადღაც სახლი, ცოლი, შვილი, —
შენ კი ჰყვებე ტორდის რწყილი.
მწარე კენესით, ამოხვრით
ამუშავე ბარის პირო.
ჭაობის ჯარისკაცები
თავიანთი ბარებით
ლაფში მიაბოტებენ.

ეს მუხლი ძალიან წყნარად იმღერეს, ხოლო უკანასკნელი კი ხმამაღ-
ლა და მძლავრად:

მარჯვნივ, მარცხნივ — გუშაგები,
გაიქცევი — თავს წააგებ.
სამწყებად ევლის მავთული
ბანაკს არტყია ხლართული.
ჭაობის ჯარისკაცები
თავიანთი ბარებით
ლაფში მიაბოტებენ.

სიმღერის უკანასკნელი სიტყვები:

მაგრამ ვერ სძლებს მირად სალტე,
არც ზამთარს აქვს დიდი ფაზი,
დრო დადგება და აქედან
ჩვენ გაგვიყვანს ჩვენივე ხალხი.
ჭაობის ჯარისკაცები
თავიანთი ბარებით
ლაფში მიაბოტებენ.

მხნედ და მძლავრად იყო ნამღერევი. გარინდებამ გაიარა. ახლა სიმ-
ღერას ყველა რვაასი კაცი აპყეა.

ამით დასრულდა ჩვენი წარმოდგენა და პატიმარნი წყნარად და წეს-
რიგით წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ ბარაკებში.

ბარაკებში შესვლისათანავე რამდენიმე მცველი მოვარდა.

— ბიჭებო! რა შესანიშნავად, რა განსაცვიფრებლად ჩაატარეთ!

ყინული გალხვა და ორი მხარე პირველი ადამიანური სიტყვებით
გამოეხმაურა ერთმანეთს.

— და ის პატარა, ქაობის ჯარისკაცს რომ წარმოადგენდა, რა/ყო-
ჩალი იყო! აი ბიჭი! იმას არც ერთ ვარიეტეში არ დაიწუნებდნენ
ერთი მითხარით, ვინ შეადგინა „ბერგერის ქაობის“ ჯიშდუჩიქსეჰეჰე

— კერძოდ არავის. ყველამ ერთად შევადგინეთ.

გვეწინადა, ავტორი არ გაეცათ.

— მსახიობი სად არის?

— აქ.

ერთმა მცველმა განზე გამოიყვანა და მითხრა:

— მხოლოდ ჩვენ შორის კი დარჩეს... არ შეგიძლიათ ლექსი გადამი-
წეროთ? მინდა, მჭონდეს პირადად მე. იცი, შინ გოგო მყავს, იმას მინდა
გაუგზავნო.

მე შევპირდი, რომ ვუშოვნი ლექსის პირს და მის ნოტებს, მხოლოდ
იმ პირობით კი, რომ კომენდანტურაში არავის აჩვენებს.

— არა, არა, არავეითარ შემთხვევაში! კომენდანტურის უტვინოებს
ამასთან არავეითარი საქმე არა აქვთ.

წარმატებამ ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა.

ორი დღის შემდეგ ლექსი აკრძალეს. ალბათ, მისი უკანასკნელი მუხ-
ლის გამო.

მაგრამ მცველებს ჩვენი სიმღერა ძალიან მოეწონათ და გრძელი გა-
დასასვლელების დროს სულ მას გვაძღვრებდნენ.

— მოდი ვიმღეროთ! „ბერგერის ქაობის სიმღერა“.

ჩვეულებრივად გვიბრძანებდნენ ხოლმე გზაში.

— როგორ შეიძლება! აკრძალულია!

ეტყოდნენ პატიშრები.

— სისულელეა! აქ, გარედ, მბრძანებელი მე ვარ, ვერავინ გაიგონებს!
პირველი რიგები დაიწყებდნენ, ხოლო მერე მთელი რაზმი აჰყვებოდა.
სიმღერის ტექსტს ყველა მცველს კი არ ვაძლევდით, არამედ მხოლოდ
იმათ, ვინც არა გვცემდა და არ გვაწვალებდა. ეს ყოველთვის დისკუ-
სიის საბაზი იყო, ამასთან მცველი ხშირად აღიარებდა:

— მე თქვენზე ნაკლებ როდი ვგმობ ცემასა და პატიშრებისადმი სას-
ტიკ მოპყრობას. ამას საერთო არაფერი აქვს ნაციონალურ-სოციალიზმ-
თან. მაგრამ რა გინდა! ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია! იძულებული ვართ,
ენა დავიდუმოთ.

— ნაციონალ-სოციალიზმი იმ სახით, როგორითაც შენ წარმოგიდ-
გენია, სინამდვილეში არ არსებობს, ამზანაგო. შეხედე როგორ იქცევიან
შენი ბელადები. ისინი თითონ ღებულობენ მონაწილეობას ცემა-ტყეპაში!

— კი, მაგრამ ადოლფმა არაფერი არ იცის ამის შესახებ! მე გეუბნე-
ბით, იმან რომ იცოდეს, რაც აქ ხდება, ბერგერის ქაობში...

— ჰო, მაგრამ ის ხომ ასე ამბობს, „ჩემს მოძრაობაში არაფერი არ
ხდება ჩემი ნების გარეშე და ჩემს დაუქითხავად. მაშ, რაღას „ბელადია“?

მცველი დიდხანს და საფუძვლიანად ფიქრობდა იმ სიტუაციაზე. შემდეგ სთქვა:

— ბევრი ვიგინდარა შემოდერა ჩვენს რიგებში, ბონზებმა ვიღაცეთელეს, ჩვენმა ბონზებმა. მაგრამ კიდევ შევძლებთ მათს ამოყრას იმ საკლებო საფარდლებიდან, სადაც ახლა ისინი არიან მოკალათებულნი.

მას შემდეგ ამნაირი ბაასი ჩვეულებრივი გახდა.

ბებრტი, ჰაილმანი, ჩვენი „სახელგანთქმულნი“.

მცველები კვირების განმავლობაში გვამზადებდნენ და გვეუბნებოდნენ:

— მოითმინეთ, ხვალ ბონზები მოვლენ!

— ალბათ, ისეთივე პერზილობონზები, როგორიც ჩვენა ვართ!

უპასუხებდნენ ამხანაგები.

ჩვენი ტრანსპორტის მოსვლის წინაც უთხრეს მცველებს ბონზებმა მოვლენო. მაშინ ისინი აშკარად იმედგაცრუებულნი დარჩნენ, რომ ბანაკში არაერთარი „მსხვილი მზეცი“ არაერთარი საკეულანტი და წამგლეჯელი არ მოუყვანიათ; მოიყვანეს მხოლოდ უბრალო მუშები, კოლოფები რომ ილიაში ამოეჩარად, სადაც მცირე რამ ეწყო.

„კოლოფებიც თითქოს მართლაც პერზილისაო.“ — ოხნუჯობდნენ უკმაყოფილო მცველები.

„პერზილობონზებო“ — მერე თვითონ დაირქვეს მუშებმა.

მცველები გულგატეხილნი იყვნენ, ისინი „ნომბრის დამნაშავეებს“ მოელოდნენ. ფაშისტური ხელმძღვანელობა იძულებული შეიქნა ბანაკიდან ბანაკში ეტარებინა რამდენიმე „სარეკლამო ბონზი“.

განსვენებული რაიხსკანცლერის ვაჟი, ებერტი და პრუსიის ლანტაგის სოც.-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე ჰაილმანი დიდი ხნის განმავლობაში ორანიენბურგის საკონცენტრაციო ბანაკში იყვნენ.

არაერთარი აღმინისტრაციული საჭიროება არ მოითხოვდა, რომ ისინი სხვა ბანაკში გაეგზავნათ, თუ მხედველობაში არა ჰქონდათ მოსაყვედურე მცველების დაშოშმინება.

დიდი ხანი გავიდა, სანამ აღთქმული ამბავი ფაქტად იქცეოდა. მცველები დღითი-დღე აღიზიანებდნენ ერთმანეთს, ლაპარაკობდნენ ბონზების მოვლაზე და ცდილობდნენ, რათა კომუნისტ პატიმართა გაბოროტება სოც.-დემოკრატიული ბელადების წინააღმდეგ მიემართათ.

— მათ ხვალ მოვიყვანთ! ხვალ მოვა ტრანსპორტი ორანიენბურგიდან! თავისუფალ დროს და საღამოობით ყველა ბარაკში გაცხოვლებული კამათია სოც.-დემოკრატიული მაღალი ფუნქციონერების მოყვანის თაობაზე. მე აქ გავიხსენებ ერთ ბაასს, რომელიც ახლაც ყურში მაქ ჩარჩენილი.

— კარგი ერთი! ებერთმა ჯერ კიდევ რაიხსტაგის უკანასკნელ სხდო-
მაზე ხმა მისცა პიტლერის საგარეო პოლიტიკას! ის ერთი ნაშის პი-
როვნებათაგანია!

ერკინული

— ჰაილმანი?! ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან. პიტლერს უფრო
მეტე ხალისით მიემხრობა ნაციის, ვიდრე ჩვენ! ოლონდ შეეძლოს კი!

— ეგ სულერთია: ამჟამად ჩვენ ბანაკში ვიმყოფებით და სწორედ
ჩვენ არ მივემხროთ მცველებს. ხომ გაიგონეთ, რა სიტყვა კურტმა?

— არაფერია! როდი აწყენთ, ერთი კარგა რომ ჩაუტყაპუნონ! და-
იშახტრეს.

— უსათუოდ, მაგრამ, მეგობარო, ახლანდელს მდგომარეობაში ჩვენ
შსაჯულის როლი არ შეგვეფერის. ეს უნდა შეიგნო!

— თქვენ მუდამ პოლიტიკას იხვევთ ხელზე! ბრძანა თუ არა ცერ-
გიბელმა ოცდაათი მუშის დახვერცხა პირველ მაისს? ახლა ნოსკე? „მო-
სისხლე ძალღია“ თუ არა? მე მათდამი სიბრაღული არ გამაჩნია! არც
ჩვენ ეებრალებოდი!

— გამიგონე, კარლ, საქმე სიბრაღული როდია, მნიშვნელობა იმას
აქვს, თუ რას იტყვიან თავისუფალი მუშები. შენ გგონია, ისინი მო-
წონებენ, შენ რომ ახლა ფაშისტებთან ერთად სოც.-დემოკრატიულ ბე-
ლაღებს ებგერო?

— მართალია! ნაციისაც სწორედ ეგ უნდა! და, გარდა ამისა, ერთი
რამ უნდა ვთქვა: როგორც მუშა, მე უარყოფ დასჯის იმ მეთოდებს,
რომლებსაც ნაცი მიმართავს. მხეცური წამება და იდიოტური დაკინვა,
რასაც ნაცი თავის მსხვერპლებს აყენებენ, — არა, ამაში ჩვენ მონაწი-
ლეობას ვერ მივიღებთ! როცა ჩვენ ხელისუფლებას მოვიპოვებთ, მაშინ
სულ სხვანაირად იქნება! ჩვენი მტრები სახალხო სამსჯავროს წინაშე
წარსდგებიან, თუ საჭირო იქნა, კიდევ დაიხვრიტებიან, მთელ ქვეყანას
კი ეცნობება: პროლეტარული სახელმწიფოს ამდენი და ამდენი მტერი
დახვერცხილი იქნაო! ასე მოვექცევით ჩვენს მტრებს. არც ცემა-ტყუპას,
არც საიდუმლო მკვლელობასა და სხვას, რასაც ისინი სჩადიან, ჩვენ არ
დავუშვებთ. ვინც ამაში მონაწილეობას მიიღებს, ის თვით პირუტყვია!

შორე დღეს რვა კაცის ტრანსპორტი მოვიდა. ისინი კომენდანტურის
ზარაკის წინ ვნახეთ გაჭიმულნი.

— მათ შორის არიან ჰაილმანი, ებერთი და რამდენიმე ურული
ლორი.

გვითხრა მცველმა.

ახალმოსულნი საათობით იდგნენ გაჭიმულნი. აბა სცადოს, ვინც ამას
წაიკითხავს, თუნდა ერთი საათით დადგეს გაჭიმული და ჩემოდნიათ.
მხოლოდ მაშინ შეიძლება გაიგო, რა სასჯელს წარმოადგენს სამი საათის
ჯანმავლობაში გაჭიმული დგომა. მათ ხომ გზაშიც ბევრი მოხვდათ!

პაპენბურგში ისინი ზეიმით ატარეს მთელს ჯალაქში, თანაც უხვად სთავაზობდნენ მუჯლუგუნს. ყოველი ჭურის კუთხეში მცველები შესდგებოდნენ და მცხოვრებთ ატყობინებდნენ, ვინ მიჰყავდათ ბაგაქსი.

გაჭიმული დგომის შემდეგ ახალმოსულნი სირბილით უნდა წასულიყვნენ კანცელარიისკენ. დაეინახე, როგორ გამოსდო მცველმა ფეხი ჰაილმანს, რომელიც მთელი თვისი სიგრძით გაითხლაშა.

კანცელარიაში „ორივე საფოსტო ულაყი“ დახვდათ — საშიში მწამებლები მთელს ბანაკში. ახალმოსულნი სათითოოდ შედიოდნენ, მათ რამდენიმე სილით და თავში ცემით უმასპინძლებოდნენ. შემდეგ მცველები თავიანთი საკბილოთი ბანაკისკენ გაემართნენ. ბარაკიდან ბარაკში გადადიოდნენ.

— გამოდით ყველა!

ბარაკიდან გამოვედით და „ბონზებს“ წავატყდით. ებერტი შუაგულწრეში დააყენეს.

— ვინა ხარ შენ?

დაბალი, ჩახსმული ტანის ებერტი სდუმდა და უშიშრად გვიცქეროდა. ისეთი შთაბეჭდილება მივიღე, თითქოს სრულიად დამშვიდებულიაო.

— ვინა ხარ — შეთქი?

მუქარით დაუყვირა მცველმა და წალის წვერი მუხლში წაჰკრა.

— შე ვარ ფრიდრიჰ ებერტი, სახელმწიფო მოღალატის ებერტის ვაჟი-ავტომატურად და სრულიად აუღელვებლად უპასუხა მან. ცხადი იყო, რომ ამასთან იგი ფიქრობდა: კარგი, აგრე იყოსო!

ახლა ჰაილმანის ჯერი დადგა. იგი აბნეული და განაწამები კაცისა შთაბეჭდილებასა სტოვებდა.

— შე ვარ მთავარი თაღლითი ჰაილმანი.

— კიდევ?

— შე ვულალატე გერმანელ ხალხსა და მოვატყუე მუშები.

დიდი სირცხვილითა და ამ პროცედურისადმი ღრმა ზიზლით პირივიბრუნეთ და მიწას ჩაეაცქერდით.

ასე დაატარებდნენ მათ ბარაკიდან ბარაკში, ყველგან ერთიდაიგივე წარმოდგენა. გული რომ იჯერეს, ყველანი სამუშაოზე გაგვრეკეს. პარტიმართა ბრიგადა პატარა ბროცესა სთხრიდა ბანაკის წინ. ახალმოსულნი ვაგონეტკებს მიუყენეს და, მცველების მეთვალყურეობით, ისინი წინ დაუკან სირბილით დააგორებდნენ ვაგონეტკებს.

ებერტი გვარიანად უძლებდა. ჰაილმანს კი აღარავითარი ღონე აღარ შერჩენოდა და ცდილობდა ხეფწნითა და მუდარით მოერბილებინა მცველები. ამას საწინააღმდეგო ნაყოფი მოჰქონდა. ახლა იმას უშერებოდნენ, რაც კი მოეპრიანებოდათ: ათასნაირ საზიზღარ დაცინვას და წამებას აყენებდნენ.

მე აქ მხოლოდ ფაქტები მომაქვს. ბევრი ამხანაგი, ვინც პარტიისათვის ერთად მთელი დღე მუშაობდა, ისეთ რამეებს გვიამბობდა, რის გამოც თმა ყალბზე გვიდგებოდა.

ჰაილმანს პირველ დღესვე ისე სცემეს, რომ იგი სიარულს ძლივს ახერხებდა. თავგადაგდებული, პირდაღებული, კოქლობით დაიარებოდა. გამოიტანეს ურიკა, შიგ ერთი ბერლინელი პატარა ტანის ებრაელი ვეჭილი ჩასვეს, და ჰაილმანს იგი უნდა „ესეირნებინა“, ადვილი ვასაგებია რა ძნელი იყო ეს ჰაილმანისათვის. პატარა ვეჭილი ურიკაში უძრავად იჯდა, ვით ქანდაკი.

შემდეგ ისინი ფეხისადგილში წაიყვანეს, ნიჩბები მისცეს და უბრძანეს, ფენი თავზე დაისხითო. მცველები სიცილით იხოცებოდნენ. ჰაილმანმა სთქვა:

— ყოველნაირ სეირში მონაწილეობას მივიღებ, ყველაფერს ვიზამ რასაც მოითხოვთ, ოღონდ ნუ დამხვრეტავთო.

გული მელეოდა ამ სანახაობის მოწმეს.

ბარაკის სამზარეულოს უკან მავთულბანდის ჯინი იდგა ძაღლებისათვის, ასე კაცის ნახევარ სიმაღლის.

ჰაილმანს უბრძანეს: დაოთხებული შეძვერ და იმ პატარა ძაღლისკენ უსუნეო.

ამასთან მას ასეთი ლექსი უნდა ეთქვა:

მატყუარა ვარ, ვით კატა,
 მიაუ, მიაუ!
 მაყფარო, როგორც ძაღლი,
 ჰამ, ჰამ, ჰამუ, ჰამუ!

მეორე დღეს იგი და ერთი რაბინი აიძულეს სიტყვები წარმოეთქვათ თავიანთი პარტიის პოლიტიკაზე.

ჰაილმანმა ამასთან დიდი გაკვირვება გამოსთქვა იმის გამო რომ მცველები ასე ცუდად ეპყრობიან მას; იგი ხომ ყოველთვის ებრძოდა კომუნისტებს, უფრო ადრე და უფრო ინტენსიურად, ვიდრე თვით მცველები.

ბევრი რამ დაიწერა იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ კომუნისტ მუშებს საკონცენტრაციო ბანაკებში სოც.-დემოკრატების ფუნქციონერებთან.

რეისტაგის დეპუტატი ჰერჰარტ ზეეგერი თავის წიგნში „ორანიენბურგი“ კარგად არ იხსენიებს კომუნისტ პატიმრებს. მე ორანიენბურგში არ ვყოფილვარ, ხოლო „ბერგერის ქაობის“ ბანაკის შესახებ ზეეგერის აზრი სიმართლეს არ შეიცავს.

რა თქმა უნდა, სოც.-დემოკრატ ბონზებს ხელგაშლილნი არ ეგებებოდნენ, მათსა და კომუნისტებს შორის ყოველთვის იყო მანძილი, მაგრამ მთელი ცამეტი თვის განმავლობაში ბანაკში ჩემი ყოფნის დროს მე ისეთ დასკვნამდე მივედი, რომ ხელმძღვანელი, სერიოზული კომუ-

ნისტები ბანაკში მუდამ იმ პოზიციაზე იდგნენ, რაც მე ადრევე ჰაილმანისა და ებერტის მოყვანის წინ. ხოლო ჰესენის შინაგან საქმეთა მინისტრთან, ლაუნერთან, და რეიხსტაგის სოც.-დემოკრატიულ ფრაქციებთან, მიერენდოფთან, კომუნისტ პატიმრებს ნამდვილად ამოწმებული ურთიერთობაც კი ჰქონდათ.

მე უკვე ვთქვი, რომ არცერთ კაცს არ შეუძლია, თუ თვითონ არ გამოუცდია, გამოარკვიოს, სადა ძვეს თმენისა თუ ამტანობის ფსიქოლოგიური ზღვარია.

ხელმძღვანელობაგან მასები მოითხოვენ — და ეს განსაზღვრულს პირობებში მისი ტრაგიკული ბედია — სამაგალითო თავისდაჭერასა და უფრო დიდ სიმტკიცეს, ვიდრე რომელიმე სხვისგან. ბანაკში ყველას თვალი მუდამ იმათკენ იყო მიპყრობილი, ვინც გარედ პასუხისმგებელი ფუნქციონერი იყო. მცირე შეცდომაც კი ადვილად ჰქმნიდა არასასურველ ურთიერთობას. რადგან აქ მთელი საქმე იმაშია, რომ ფუნქციონერმა თავისი საქციელით ბანაკში განამტკიცოს ის, რასაც თავისუფლად ყოფნის დროს ქადაგებდა!

ამწიარად, იყო ისეთი მომენტი, როცა მასები, მიუხედავად ტაქტიკური მოსაზრებისა, რაც თვალსაჩინო დათმობას მოითხოვდა მცველების მიმართ, თავიანთ ბელადებისაგან გარკვეულ „არას“ ელოდნენ ხოლმე.



ჰაილმანის წამებას დასასრული არ ჰქონდა.

მცველებმა გადასწყვიტეს „ბოლო მოელოთ“ მისთვის.

ჩვენების ჩამოსართმევად საკომენდანტოს ბარაკში მიიყვანეს. როგორ მოხდა, რომ იგი „დაჭრილ იქნა გაქცევის განზრახვის დროს“, დანამდვილებდით არაფრის თქმა არ შემიძლია.

ერთნი ამტკიცებენ, ვითომ საკომენდანტოში მას განუცხადეს: შენ ალსასრულის ეამი დადგა და მისწერე ცოლ-შვილს, რომ ნებაყოფლობით ეთხოვები სიცოცხლესო; მეორენი ამბობენ, რომ ასეთი განზრახვა მას ნაცის ძალდატანების გარეშეც ჰქონდაო; მესამენი კი გადმოგვეყვან: მას უთხრეს, რომ საქმე სახუმაროა და შენც ისე უნდა მოიქცე. ვითომ გაპარვას აპირებო. ფაქტია, რომ ერთხელ ჰაილმანი, უკან მოუხედავად, ბანაკიდან ნელის ნაბიჯით გავიდა, გუშაგმაც მშვიდობიანად გაუშვა იგი და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან რამდენიმე ათეული მეტრის მანძილი გაიარა, გუშაგმა მიაძახა:

— ჰეი, ჰაილმან, საით?

ის იყო, სამუშაოდან ებრუნდებოდით, როცა რევოლვერის პირველი ზმა გაისმა.

თითქოს უბრძანესო, ბარაკებიდან უეცრად გამოხტა რამდენიმე მცველი და ნამდვილი სროლა აუტება ჰაილმანს. იგი კი წყნარად მიაბიჯებდა

პირდაპირ ჰკობისავენ, ნელა, აუჩქარებლად — ბავშვიც კი დაეწოდა. მცველები რევოლვერებსა და კარაბინებს ესროდნენ. მე თუთხმეტიდანაც სროლამდე დავეითვალე. სროლა მათ არ იცოდნენ. ეჩქენეული

ჩვენ ბარაკში შეგვრევეს. გარედ გასვლას ველარაფში ვაბეჭდებდით. ვერც ფანჯარასთან გამოჩენას. ბარაკში შესვლისას თვალი მოვკარი, რომ ორივე სანიტარი საამო მღელვარებით შიარბენინებდა საკაცეს საავადმყოფოდან.

— მოარტყეს! დაჭრილია!

— სასიკვდილოდ?

არაჩვეულებრივმა აღელვებამ მოიცვა ყველა.

— ფრთხილად, ფანჯარასთან არ მიხვიდე!

რამდენიმე ცნობისმოყვარემ მაინც გაბედა.

— მოაქვთ!

— რაო, სჩანს რამე?

— არა, დაფარებულია.

თუთხმეტი წუთის შემდეგ მოგვესმა, რომ ეზოში ავტომობილი შემოვიდა, ხოლო მერმე გავიგეთ, რომ ჰაილმანი პაპენბურგის საავადმყოფოში გაგზავნესო. მუხლი ჰქონდა ტყვიით გახვრეტილი.

მორიცი აზრობს.

ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხეს ამხანაგებმა მთლიანი და ორგანიზებული ზეგავლენის მოხდენა ბანაკის მცხოვრებლებზე, გმირობის აღმსუსხველი ერთ-ერთი თავია გერმანული ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ისტორიაში. მე საშუალება არა მაქვს, დაწვრილებით გვიამბოთ ბანაკში დამწყვედეულთა შორის საიდუმლო ხელმძღვანელობის მოწყობის პირველი ცდების შესახებ.

ფაქტია, რომ უკვე რამდენიმე კვირის შემდეგ ბანაკში არსებობდა კონსპირატიული „თავი“, რომელსაც ვერავენ იცნობდა, მაგრამ რომლის ბრძანებასაც ყველა ასრულებდა. გასაოცარი სიმამაცით კეთდებოდა საქმე! ყოველი მისი მონაწილე საკუთარ სიცოცხლესა სდებდა სასწორზე.

ხელის შემწყობი ერთი გარემოება ის იყო, რომ ბარაკს შიგნით ჩვენს ნებაზე ვიყავით. მას შემდეგ, რაც ბანაკის მშენებლობა დასრულდა, გუშაგები მორიგეობდნენ არა ბარაკებთან, არამედ მავთულის ხლართებთან, ბანაკის გარეშემო.

ბარაკებში იშვიათად თუ ვინმე შემოვიდოდა. ბრძანება „სმენა!“, როცა მცველი ბარაკში შემოდის, ჩვენთვის მხოლოდ ხელსაყრელი იყო. ზოგიერთ მცველს თითონ არ მოსწონდა, როცა მის გამოჩენისას ყველანი წამოხტებოდნენ და ვაიკიმებოდნენ, და ისინი უკვე კარებიდან დაიძახებდნენ ხოლმე:

— იჯექით! თქვენი საქმე აკეთეთ!

ბანაკში რამდენიმე წუთე მოვაწყეთ: ფრანგულისა და ინგლისური/ენის, სტენოგრაფიის, ესპერანტოსი, ეკონომიკისა და საქადრაკო.

მასწავლებლებად იყვნენ მუშები, რომლებსაც თვითმწიფობის უნარი-ლი ასეთი კურსები. ბარაკებში განრიგები იყო ჩამოკიდებული. კვირას — რვიდან ათ საათამდე ფრანგული, მესამე შაბათი. კვირას — რვიდან ათ საათამდე ესპერანტო, შაბათი მერვე და ა. შ.

მაგრამ ხდებოდა ისიც, რომ ესპერანტოს შაბათსთან მისვლისას ასეთ რამეს გაიგონებდი:

„...ამიტომ მუშათა კლასის უმრავლესობის მომხრობა მთავარი სტრატეგიული ამოცანაა“...

ესპერანტოსთან ამას მცირე რამ ჰქონდა საერთო!

ერთხელ, როცა ვახშმად ვისხედით, ერთმა ამხანაგმა სთქვა:

— ახლოს მოიწიოთ, რომ ხმამალა ლაპარაკი არ დამკირდეს. ამი-ერიდან ჩვენი შაბათის პასუხისმგებელი მე ვიქნები. თუ თქვენ რაიმე საკითხი გაქვთ, მე მომმართეთ. ჩვენთან შობის უაზრო ხმები, სულელური „კლოზეტის აბალი ამბები“, და არაფერი იცის, დაიჯეროს თუ არა. თუ მომავალში გაიგონებთ ისეთ ცნობას, რომელიც ასეთი სიტყვებით იწყება: „შორიცმა სთქვა“... იცოდეთ, რომ ეს მართალია. ყველაფერი, რაც „შორიცმა სთქვა“, ამნაირად, არის იმ ამხანაგების აზრი, რომლებიც... ჰო, მიმიხედვით.

ამ მომენტიდან ჩვენს ბანაკში არსებობდა საიდუმლო ხელმძღვანელობა.

მე შინდა მოვიყვანო აქ ორი შაბათი, რაც მის გავლენასა და ავტორიტეტს ამტკიცებს.

1933 წლის 7 ნოემბერს უკვე თოვლი მოვიდა. შეცივებულნი სამუშაოდან ვბრუნდებით. ყველა დიდ ღუმელს შემოეხევა და ხელს ითბობს. ახლა მე შინდა წავეკითხო ვაზეთი ხმამალა. ასეთი წესია შემოღებული, რომ ექვსიდან შვიდამდე ყველა ბარაკში ვაზეთი იკითხება.

დაძაბულ ინტერესს იწვევს რეისტრაციისთვის ცეცხლის წაკიდების პროცესი. მის ანგარიშებს ხარბად ნთქავენ. ფრანკფურტის ვაზეთში დღეს გამოქვეყნებულია დიმიტროვისა და გერინგის შეტაკების ამბავი. ყველა-ელის, რომ კითხვა დავიწყო. ერთ ამხანაგს განზე გავყევარ. მეუბნება:

— კარგად გაიგონე: როცა იმ ადგილამდე მივალ, სადაც დიმიტროვი ამბობს, რომ სსრკ — დედამიწის შექმნისედეა და ყველა მუშის სამშობლო, კითხვას შესწყვეტავ. ხოლო ვაზეთი გეპირება ისე, ვითომ კითხვას ვა-ნაგრძობ. ვესმის? მცველმა რომ ფანჯარაში შემოიხედოს, ყველაფერი ისე უნდა იყოს, რომ ეგონოს, ვაზეთს კითხულობსო. ტუჩიც უნდა აც-მაცუნო. დანარჩენი ჩვენი საქმეა!

კარებთან და ფანჯრებთან გუშაგებად ამხანაგები დგანან.

— ახლა წყნარად! ცნობათა გადმოცემა!

საბედნიეროდ, ვერცერთმა მათგანმა ვერ შესძლო რაიმე ზუსტი ცნობის გადაცემა და მხოლოდ საერთო ეჭვებზე ჰქონდათ თურმე, დასრულებული რაზმდენიმე კაცი კარცერში ჩაადგეს. თუმცა ისინიც მალე გამოვიქნენ, რაკი კონკრეტული ბრალდება ვერ წაუყენეს.

გამცემლებს საშინელი სამაგიერო მიუზღეს. ეს იყო აუცილებელი აქტი შურისძიებისა, მომავალში სხვების გამაფრთხილებელი.

შუალამისას ისინი გააღვიძეს. ერთ-ერთმა პატიმარმა მოაგონა მათი გაცემის ამბავი და შემდეგ ყოველი მხრიდან დაუწყეს ცემა. პირზე ბალიში დააფარეს, რათა ყვირილი არავის გაეგონა. ხმაურობაზე გაღვიძებული პატიმრები წყნარად იყვნენ, კრინტიც არავის დაუძრავს.

მათ ყველაფერი იცოდნენ.

მეორე დღეს ორივე საავადმყოფოში გასაგზავნი გახდა. მკვლელების შეკითხვაზე, რა მოგივიდათ, დაჭრილი რათა ხართო, ერთმა უთხრა, დავეცო, მეორემ კი — ზემო მერხიდან გადმოვარდიო. იმდენად ძლიერი იყო შიში ამხანაგების მხრით შურისძიებისა, რომ ვერც ერთმა ვერ გაბედა ნამდვილი მიზეზის თქმა.

საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, ისინი აჩრდილებივით დალასლასებდნენ ბანაკში, ყველასგან მოძულებულნი, გმობილნი, ამხანაგების წრიდან სრულიად გაძევებულნი.

ეს მათთვის, უეჭველია, უფრო სასტიკი დასჯა იყო, ვიდრე ცემა. მხოლოდ ბანაკში საშინელება რამეა. ყოველდღიური დაცინვა, პატიმართა არსებობის ზნეობრივი ტანჯვა — და სრულებით არავინ გარშემო ვისთანაც შეიძლებოდა მწუხარების გაზიარება, ვინც დაგეხმაროს და გაგამხნეოს, მუდამ მარტოდმარტო ყოფნა. საშინელი ხვედრია!

ჩვენი კონსპირაციული ხელმძღვანელობის ძლიერების მეორე მაჩვენებელი იყო პიტლერის მიერ გამოცხადებული პლებისციტი ერთა ლიგიდან გამოსვლის შესახებ.

ჩვენ არ ველოდით, რომ ამ პლებისციტში მონაწილეობას მიგვალბინებდნენ. მხოლოდ რამდენიმე დღის წინად მივიღეთ ცნობა, რომ ჩვენც უნდა მივეცეთ ხმა. დაიწყო ცხარე დისკუსია.

ბანაკში სამი მიმართულება გამოვლენდა: ერთნი ამბობდნენ, ყველამ მხარი უნდა დაეუჭიროთ, რათა ამით დავანახვოთ, რომ ხმის მიცემა ტერორის პირობებში გვიხდებოდაო; მეორენი თავის შეკავების მომხრენი იყვნენ; მესამენი კი — გადაჭრილი „არა“ უნდა ეთქვათო. გარედ მყოფმა მუშებმა უნდა დაინახონ, რომ ბანაკმაც კი ვერ გაგტეხაო. ვერაფერსა შიშმა რეპრესიების წინაშე ვერ უნდა შეგვაჩეროს, რათა პიტლერს მთავრობას გარკვეული „არა“ ვუთხრათო.

ბანაკს სამ ჯგუფად გათიშვა ემუქრებოდა. ბოლოს, კენჭის ყრამდე ერთი დღით ადრე გამოცხადებულ იქნა: „მორიცი ამბობს: ყველამ „წინააღმდეგ“ მიეცით ხმაო“.



შედგვი: 1000 კაციდან 17 მხარი დაუჭირა, დანარჩენმა კი „წინააღმდეგ“ მისცა ხმა!

კოტა გვიან, „დიუსელდორფის მოამბეში“ გამოქვეყნებულ „ქვეყნისკურის“ შედეგი, რა თქმა უნდა, სულ საწინააღმდეგო ხასიათისა.

კენჭისყრის ხანებში ბანაკის დამცველების საგუშაგო უკვე პოლიციელთა რაზმით იქნა შეცვლილი.

მეორე დღეს ბანაკის ახალმა კომუნდანტმა ჩვენი შეკრება ბრძანა და ასეთი სიტყვა წარმოსთქვა:

— 43 მილიონმა გერმანელმა მხარი დაუჭირა პლემბისციტს. გესმით, 43 მილიონმა! თქვენ რომ „წინააღმდეგ“ მიეცით ხმა, ამას დანაშაულადაც არ ჩავითვლით, მაგრამ თქვენ რომ საარჩევნო ფურცლები ისეთი რამეებით დაჯღაბნეთ, როგორცაა: „ძირს ფაშიზმი“, გაუმარჯოს გერმანიის კომუნისტურ პარტიას!“ „წითელი ფრონტი სცოცხლოს!“ — ეს გაუგებარი თავხედობაა! თუ გგონიათ, რომ ვინმე ამ ბანაკიდან განთავისუფლდება, ძალიან სცდებით!

თუმცა შემდეგ არაფერი განსაკუთრებული რამ არ დაგვმართნია. გვაძულვდნენ, რათა საათობით ვყოფილიყავით გაჭიმულნი, გაგვეთვალა ერთმანეთი და სხვა მრავალი წვალება. ეს იყო და ესა. არც განთავისუფლების საქმე გამოდგა მაინცდამაინც ისე საშიში. ძველებურადვე ხან ერთს, ხან მეორეს მაინც ანთავისუფლვდნენ.

ყოველ ამხანაგს, ვინც შინ ბრუნდებოდა, გამოსათხოვარ დღესასწაულს ვუშარბავდით. წინა დღით, საღამოს, მამასახლისი ჩვეულებრივ იტყოდა:

— დღეს შევიკრიბებით და რამდენიმე სიმღერას ვიტყვით. ხვალ გვშორდება ამხ. X. ვიდღესასწაულოთ მისი განთავისუფლება. როცა შინ და თავისუფალ ამხანაგებთან დაბრუნდება, იმედი უნდა ექონიოთ, არა ერთხელ მოიგონებს იგი ბერგერის ჭაობსა და იქ დარჩენილ ამხანაგებს. მან ბევრი რამ ისწავლა აქ და მოახერხებს თავისი ცოდნის გამოყენებას იქ. უპირველეს ყოვლისა, ვიმღეროთ „სიმღერა ბერგერის ჭაობის“ შესახებ. ხოლო წყნარად, რომ მცველებმა არ გაიგონონ.

ამ სიმღერას ყველა წამსვლელს უმღეროდნენ. განთავისუფლებული შემდეგ, ჩვეულებრივად, რამდენიმე სიტყვას იტყოდა.

— თავისუფლად ნახვამდე! ვიმედოვნოთ, რომ მალე თქვენც გამოიყვებით. გამოთხოვებისას გისურვებთ, რომ მომავალშიც ისეთივე ძმური ერთობით გეცხოვროთ, როგორც ახლა. იმას, რაც აქ მისწავლია რა თქმა უნდა, არასოდეს არ დავივიწყებ. გესმის, რასაც ვამბობ. ჩვენ ისევ იმად ვრჩებით, რაც წინად ვიყავით! ნახვამდის!

წამსვლელი გამოსათხოვარ საჩუქრებს ღებულობდა: ბარაკში ნაკეთებ ხის საპაპიროსეს, შეღებილ გულებს წარწერით: „მოკითხვა ბერგერის ჭაობიდან!“ ფოტოგრაფიული სურათების ჩარჩოებს, ოჭროცოც-

ხსგან მოწუნულ კალათებს, ჯიბის დანებს, პატიმრების შერ/დახატულ ლია ბარათებს.

მისი კუთხის მცხოვრები ამხანაგები განზე ვაჩუქუნდნენ ხოლმე და დავალებას აძლევდნენ. იყო ხოლმე მსჯელობა კავშირის დამყარებისა და ინფორმაციის მოწყობის შესახებ. განთავისუფლებული თავის ბარჯს გამოჰკრავდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა „ბერგერის ქაობის სიმღერის“ გარედ გატანას. უფრო ხშირად ფურცელს ფესსაცმელში იდებდნენ ან ტანისამოსში ჩაიკერებდნენ. ამნაირად „სიმღერა“ ასობით ვრცელდებოდა.

შეორე საშუალება ამხანაგების სულიერი გამზნეებისა იყო ლიტერატურულ-მხატვრული საღამოები, რაც ყველა ბარაკში რეგულარულად იმართებოდა.

ეს საღამოები ჩემი საუკეთესო მოგონებათაგანია ბერგერის ქაობებზე, თუ კი შესაძლებელია აქ რაიმე საამო მოგონებაზე ილაპარაკო!

ბარაკი, სადაც საღამოები იმართებოდა, ვაჭედილი იყო ხოლმე. თუმცა ყველა ბარაკში ერთსა და იმავე საღამოს ვიმეორებდით, მაგრამ ხალხი მაინც ჭარბად გვეტანებოდა.

პირველ რიგებში იატაკზე იწვნენ ან ისხდნენ ხოლმე, შემდეგ დაჩოქილები იყვნენ, ამით უკან უკვე სკამებზე ისხდნენ, იქით — ზეზე იდგნენ, ხოლო მერმე „ქანდარა“ იწყებოდა, — ამხანაგები, რომლებიც კარადების თავებსა და ზოგნი ჭერის დირეზედაც კი ადიოდნენ. ერთხელ ბარაკი ისე იყო ვაჭედილი, რომ გრგვინისებური ბრაზუნით დაიწია ძირს, ქაობიანს ნიადაგში.

კუთხეში ადგილი იყო დატოვებული საღამოს მონაწილეთა გამოსკლისათვის.

ჩვენი პროგრამა სიმღერების, მუსიკალური ნომრების, ლექსებისა და მოთხრობებისაგან შესდგებოდა.

რამდენიმე ამხანაგს ნება დართეს, შინიდან გამოეწერათ თავიანთი საკრავები, გვექონდა ორკესტრი ორი ვიოლონისა, სამი ვიტარისა და ერთი დიდი ბანჯოსგან შემდგარი.

საღამო გუნდური სიმღერით იწყებოდა. ყველაზე უფრო საყვარელი სიმღერა „დაუცხრომელი ამხანაგები“ იყო.

„ჩვენი მზე არ ჩაესვენება!“ სახეები ილიმებიან, თვალები ბრწყინავენ, სხეულებს თითქოს ფრთები გამოსხშიაო.

სიმღერის შემდეგ მე მოკლე შესავალ სიტყვას წარმოვთქვამდი ხოლმე: — ამხანაგებო, დღევანდელ ლიტერატურულ-მხატვრული საღამოს საშუალებით ჩვენ გესურს ოდნავ შევიმსუბუქოთ მძიმე ხვედრი. ზოგიერ-

თი ამხანაგი სულით ეცემა და მას თავში ათასნაირი უნაღდად ფიქრი მოსდის. და აი ამიტომ მოვაწყეთ ეს საღამო, რომ ოდნავ მაინც განვარ-
ინოთ იგი ამ რუხ ყოველდღიურობას. მაგრამ ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ
საამისოდ სხვადასხვა სისულელეს, ხალტურასა და უაზრო ხუმრობას რო-
დი უნდა მივმართოთ. გვეონია, რომ თქვენ უთუოდ გაინტერესებთ ნამ-
დელი, სერიოზული ხელოვნება... (აქ ჩვეულებრივ მხურვალე მოწონე-
ბით მაწყვეტინებდნენ სიტყვას)... ამიტომ ამ საღამოს ჩვენ წავიკითხავთ
უდიდესი გერმანელი პოეტების რამდენიმე ლექსს, აქ ჩვენ გავს გვარ-
ტყია ჭაობი და ყოველდღე ვაკვირდებით ამ თავისებურსა და ნაღვლიან
პიღამოს. მე მინდა გიჩვენოთ ორი მაგალითი, თუ როგორ გამოიხატა
პოეტების თვალში ეს გარემო.

კვითხულობდი ხოლმე ანეტ ფონ-დროსტე-ჰილზოფის „ო, რა საშინე-
ლია ამ ჭაობში სიარული“ და ჰებელის „ველების ბაეში“-ის ლექსებს.

მე შეუთვალე ცოლს, გამოეგზავნა ჩემთვის გერმანული ბალადების
წიგნი და „მკითხველნი დეკლამატორი“ მარსელ ზალცერის, პლაუტისა
და სხვ.

ლექსებს მოჰყვებოდა მუსიკალური პიესა ან მარში. ჩვენი ორკესტრი
ძნელ ნაწარმოებთა შესრულებასაც კი არ ერიდებოდა.

რემშიიდლებმა კვარტეტი მოაწყეს და „პროლეტარულ ნანა“-ს დაკე-
რით საერთო აღფრთოვანება გამოიწვიეს. მწერალი არმინ თეოდორ
ვეგენერი თავის ნოველებსა და ლექსებს კითხულობდა ხოლმე.

პროგრამის შედგენისას ისე შევარჩევდით ხოლმე კლასიკოსებისა და
ბურჟუაზიული პოეტების ლექსებს, რომ ესენი შეხამებულნი ყოფილიყო
მუსიკის ფიქრსა და განცდასთან. მაგალითად, დეტლფ ფონ-ლილიენ-
კრონის „პილდერ ლინგი“. ფრისლანდური გლეხების ლოზუნგი: „მონო-
ბას სიკვდილი სჯობია“ საერთო მოწოდებას იწვევდა და, როცა მივალ-
წყვედი იმ ადგილს, სადაც პილდერ ლინგი ხელს დაავლებს მოხელეს, რო-
მელსაც თავისი დამკაშების დახმარებით სურს ვახშური სარგებელი წაჭ-
ვლიჯოს მას, და ცხელფაფიან ჭოთანში უკრავს თავს, მხურვალე ტანით
მაწყვეტინებდნენ კითხვას.

„პილდერ ლინგი“ ყოველი საღამოს პროგრამაში შედიოდა ისე, რო-
გორც „მოსავლის სიმღერა“ რიპარდ დემელისა, რომელიც ასე თავდება-
„შალე სულაც არავენ იტყვის, მშიაო! ფქვი, წისქვილო, ფქვი!“

მცველებიც კი მოდიოდნენ ჩვენს საღამოებზე. თუმცა ეს გარემოება
სრულიადაც არ გვეშლიდა ხელს. მათ არ ესმოდათ ჩვენი პროგრამის აზრი
და უხაროდათ მისი მრავალფეროვანება თავიანთს მონოტონურ გუშა-
ვურ ცხოვრებაში.

ერთხელ ერთმა მათგანმა გვითხრა:

— რატომბა ასე? თქვენს ბარაკებში მუდამ რალაცას ახერხებენ, ჩვენ-
ში კი აუტანელი მოწყენილობაა!

3. „წათობი“ № 5 — 6.

— რაჟი აგრეა, დააბატიმრებინე თავი და იყავი ჩვენთან ბაიაკი!
სიცილით შიამხა მას ვილაცამ.

ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებდა დე-კოსტერის „ტენი გულმოდგინე“
რომელსაც თაობით გვითხულობდი ხოლმე.

ნიდერლანდელი ხალხისა და დაუცხრომელი მემამბოხის ულენშპი-
გელის ისტორია ერთგვარ საშუალებას იძლეოდა ჩვენი ყოფის ანალო-
გიის გასატარებლად.

— მოდი წავიკითხოთ „ულენშპიგელი“!

თხოულობდნენ ხოლმე თითქმის ყოველ საღამოს.

გვითხულობდი აგრეთვე შილერის, გოეტეს, ჰაინესა და გერმანელთა
სხვა კლასიკოსების ბალადებს.

არასოდეს არ გამოვსულვარ ამათზე უფრო გულმოდგინე მამენელა
საზოგადოების წინაშე.

გამოდოდნენ აგრეთვე სხვადასხვა ამხანაგები და ამბობდნენ ანეგლო-
ტებს, რასაც ჩვენ, რასაკვირველია, წინასწარ ვეცნობოდით. შეუძლებ-
ლად მიგვიჩნდა უწმინდური ანეგლოტების წარმოთქმა სიდედრების, ჭო-
წინების პირველი ღამის, ცოლ-ქმრული ღალატისა და სხვა ამგვარი სო-
სულელებების შესახებ. ეს არაფრით არ შეეფერებოდა არც იმ მდგომა-
რობას, როგორშიც ვიყავით, და არც ჩვენი სამხატვრო-სალიტერატურო
სალამოების მიზანს. მიუხედავად ამისა მთელი დღის განმავლობაში ჩემ-
თან მოვიდოდა ხოლმე ხან ერთი, ხან მეორე ამხანაგი, განზე გამიხობ-
და და მეტყოდა:

— გამიგონე, მინდა დღეს საღამოზე ანეგლოტი ვთქვა. იცი, თი იმის
შესახებ, თუ როგორ გაემგზავრა სიძე დასაფლავებაზე...

ზოგჯერ აღვილი როდი იყო, დაგეშალა ასეთი რამე.

მართალია, ჩვენ „უბიწოებით“ არ ვიყავით შემკობილნი, მაგრამ ეგ-
რეთწოდებული „უცოლოების საღამოების“ სტილი არ შეეფერებოდა
ჩვენი კრებების საზეიმო ხასიათს.

საღამო გუნდური სიმღერით თავდებოდა. შემდეგმა მრავალდღიურმა
დისკუსიებმა დაგვიმტკიცა, რა დიდი იყო ინტერესი ჩვენი საღამოები-
სადმი და რამდენად მართალნი ვიყავით, როცა ამ გზით ვამყარებდით
მთლიანობასა და ვაცხოველებდით ბანაკურ ცხოვრებას.

ამხანაგური შეკავშირების ნიმუში ბანაკმა გამოაჩინა იმ კომისიასთან
დაკავშირებით, რომელიც პოლიტრელებისათვის ბანაკის საგულშაგოს გა-
დასაკეზად მოვიდა. ეს იყო ერთად-ერთი კომისია, რომელიც მთელი
ხნის განმავლობაში, ნელისიდან დეკემბრამდე ძლივს მოვიდა ბანაკის
დასათვალისწინებლად.

ამ კომისიაში არ ყოფილან არც უცხოელი ჟურნალისტები, არც უპარ-
ტიო საზოგადოებრივობის წარმომადგენლები; იყვნენ მხოლოდ მოიერიშე

რაზმების ორი ცნობილი მოხელე, პოლიციის აგენტები და რამდენიმე ხელმძღვანელი პირი სახელმწიფოს საიდუმლო პილიტრინს ნუღი

ხმები კომისიის შესახებ რამდენიმე დღით ადრე გავსტუმრდნენ შანაკში. როგორც ასეთს შემთხვევაში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, მოწყობილი იქნა გენერალური წმენდა. კვებაც აგრეთვე თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. თუ გერმანია ჩემთვის ძვირფასია, მაშ, რატომ დავწერე ეს ამბავი. იმიტომ, რომ ის, რაც ამჟამად გერმანიაში ხდება, გერმანია როდია, არამედ მხოლოდ ნაწილია მისი და ისიც საზიზღარი ნაწილი.

რადგან ისინი, ვინც დღეს სამშობლოს სიყვარულზე გაკვივიან, ვინც გერმანულს არსსა და გერმანულს ჯიშზე ღალატებენ, ისინი, ვის იარაღსაც მკვლევლობა და ღალატი წარმოადგენს, ვინც ველურობის შავ-ბნელ საშინელებას სულს უდგამს, — ისინი უკანონოდ უწოდებენ თავიანთ თავს ჩემი სამშობლოს საუკეთესო შეილებს.

ამას დრო დაამტკიცებს.

თარგ. ა. კუმბაძისა.



გიორგი კახანიძე

ორი ღაქსი

მეგობრებს

უმძიმეს ბრძოლას სიტყვისათვის თავს არ ვარიდებთ,
ყოველი ლექსი რომ ნათელი გვეჭონდეს ბოლომდის,
გაზრდილი აზრით რომ შევხედოთ დღეებს ადრინდელს
და დიდ მომავალს ვაგრძნობინოთ, თუ რით ვცხოვრობდით.
არ გაგვიკაწრავს ერთმანეთის გული, მარჯვენი,
უღვას სინდისი მეგობრობას ერთგულ დარაჯად.
მრავალი აზრი დაგვიხატავს სიერცის გამჭრელი,
მრავალიც დაგვჩჩა უთქმელი და ხალხში არა ჩანს.
სოფლად ვავზრდილვართ, განგვიცდია ბავშვებს გლეხობა
ყანებს ვთოხნიდით და ფიჭრისთვის გვეჭონდა იქაც დრო...
ოთხმოცი წელი წინ რომ გვედოს, არც ეს გვეუფა,
რომ ამ ცხოვრებით, გული გაძლეს და მოვიქანცოთ.
გიყურებთ, ვზარობ! იბობოქროს ჩვენმა სიცოცხლემ,
გულს საამაყოდ დარჩენოდეს ლექსთან ჯიდილი.
დე, სიკვდილამდის ეს ქვეყანა მუდამ ვიცოდეთ,
ვიყოთ ცეცხლი და ცეცხლოვანი გვეჭონდეს სიკვდილიც.

ხშირად

ჩემი სტრიქონი ხშირად სოფლის შარას მიჰყვება,
ორთქლშავალივით ლიანდაგზეც რიხით იკივლებს;
აედევნება ჩიტების გუნდს ფერად სიტყვებად
და სადმე გოგოს დაუამებს გულის ტკივილებს.
ჭალაქის ბაღში გაუღიმებს დიდებს, პატარებს,
მოელუშება, ვინც ჩაუვლის ახლო თავხედად.
გამრჯე ბიჭვებთან ქარხანაში დღეს გაატარებს,
არ დაიზარებს და ქარბკომის ოქმსაც დახედავს.

ლავრანტი ზინინაძე

ი ჭ ზ ი

მოთხრობა

I

მსუყუა წლევეანდელი შემოდგომა...

მოსავალს ბარაქიანი პირი უჩანს...

ყოველდღე მშრალი ქარი დანაეარდობს. შარიშურით დაძვრება ქორა ხეების ფოთლებში და ვაზებზე მიხუნძლულ ოქროსფერ მტევნებს ახად აელვარებს. დილაობით სიგრილეა და მტრედისფერი ცა სარკესავით კაშკაშებს.

ახლაც ამისთანა ჩვეულებრივი დილა გათენდა. მთვარეს სასამხროზე შემოათენდა, დღემ არაქათი გამოუღია და ცის ტატნობზე ფერფლივითა მოსჩანს. ხიდან ქათმები ჩამოფრინდნენ და ეზოს მოედნენ.

ისინი უცებ წაიგრძელებენ კისრებს, გამოეკიდებიან, ჩაუნისკარტებენ და ჩიჩახვში ჰგზავნიან ღამის ცვარით დანამულ მწერებს...

დღეს ანოც აღრე ადგა. ეზოში გამოფენილი ქათმები რომ დაინახა, გოცებით წამოიძახა:

— ოი, დაგწყევლოთ ჩემმა გამჩენმა... თქვენ რო ვერავენ მოგასწრებს კარში გამოსვლას.

ამდენ ქათმებში ერთი მამალი ურევია. იგი დინჯად დაბრძანდება და სულ შალა იტყირება. თავი მოსწონს, ღამე რომ ყვიღაში გაატარა. ეს მშვენიერი კაშკაშა დილა თავისი მოყვანილი ჰგონია.

ანო ოდიდან სწრაფად ძირს ჩავიდა. თავი ქათქათა მანდილით სიარულში წაიკრა. მას ერთი გრძელი და მსხვილი ნაწნავე წელს ქვემოდ ეთამაშება. ანოს წითელი და მსუქანი ლოყები ატვს. ოდნავ მოგრძო სახე ბროწეულივით უკვაწკვაწებს, ხოლო ორი, შვილდივით მოხრილი წარბი, თითქოს ხელით არის დახატული შავი თვალების დასამშვენებლად. ზედიწელად სადასახიანი ჩითი აცვია, ხოლო კაბა რაღაცა ღამაში ქადრაკულ სახის ფანელისაა და შუა წვივებამდის წვდება. შიშველ ფეხზე ქუსლწაქეცილი ფეხსაცმელი ატვს წამოცმული. კარში გამოსვლისთანავე ძალღ შეეგება ზმორებით და მთქნარებით.

— პაი, შე საფანდალე! — მწყრალად მიადახა ანომ და ცალი ფეხი მარჯვედ დაუჭნია. ძალი დარცხვენილივით ლობისეჭვად დაეჭნა ანო ოდას მოეფარა. იქ ძროხა ააყენა, ხელი გამსაღებლად წელზე გადაუსვა და მერე რძით სავსე ძუძუებზე მოუტატუნა...

ნებიერა წელში გაიზნო.

პატრონს გაელიმა....

ამ ღიმილმა მისი სახე ვარდივით დაამშვენა, შემდეგ ხმოს ჩაუარა. წიქარა მოზვერს ლამაზი თვალები დაუკონა, თანაც მიუალერსა:

— ხალი, ხალი... პატარა ხალი.

ანომ ეზოკარი შეათვალა. მერე „ქარცოცხი“ მოძებნა და ოდის წინ რომ მოტყეცილი სოხანა, იმისი გვა დაიწყო.

ქარცოცხის ფხაკუნზე ანოს ქმარსაც გამოეღვიძა, მაშინვე წამოდგა და კარში შარვლის სწორებით გამოვიდა.

— ქალო, რო ამდგარხარ, ველარ გამაღვიძე?! — უსაყვედურა ცოლს, — პრიგადირი კაცი ვარ, ხალხს ადრე უნდა ჩამოვუარო.

— ნუ გეშინია, სანდრო, ჯერ ადრეა.

სანდრომ სწრაფად პირი დაიბანა. წალდი წელში გაირჭო და წასვლისას ანოს დაუბარა:

— ბათუ უსაუზმოდ არ გაუშვა, პატივი ეცი.

ანომ ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ქმარს თვალი გააყოლა, თითქოს შორს სადმე მიდიოდეს. უცქირა, უცქირა და ბოლოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— შენი ხათრი, თორემ მაგას ჩემ ეზოში ფეხს არ დავადგმევინებ. ხალხი მაგისგამო გლახა სიტყვებს მაგონებს, თავი მეჭრება...

მკლავები ჯვარედინად გულზე დაიკრიფა. დიდხანს იყო ასე. მერე შებრუნდა, ეზოს ბოლოზე მომდგარ ვენახს გადახედა, ყოველი ძირი რომ დაძანძულა. ეს ხომ მათი შრომის ბარაქაა. უხარია. შემდეგ ისევ ქარცოცხი დაატრიალა. ოდის გარშემო სულ შემოჰგავა, ყველაფერი გაათავიჯა. ხეებში ჩადგმული კონწოლა სახურავიანი სახლი დახატულივით იცქირება. ძროხის გამოწველის შემდეგ თონეს ფიჩხი ჩააყარა. ალი ალიც-ლიცდა. კარგია მჭადების გამოცხოვა დილის სიგრილეზე.

ანო ვარს უტრიალებს თონეს და თანაც წყნარი ხმით მღერის:

თონეს ფიჩხი ჩააყარე.

ალი ამოუარაო, —

ბიჭმა რო ტაში დაუკრა,

გოგომ ჩამოუარაო.

სუფთა, წკრილა ხმა აქვს ანოს...

სრულებით არ ეტყობა ორი შეილის დედობა. ეს სიმღერა არ ესმით მის პატარა შვილებს. ისინი დილის ტკბილ ძილში არიან. ხოლო ბათუმ ბალიშზე შეატრიალა თავი და ქალის წკრილა ნაზი ხმით მოიხიბლა.



გახურებულ თორნეში თექვსმეტი მკადია ჩაკრულნი დაიწყეს საინებივით მრგვალი და ქათქათა. ანომ უკვე დაიწყო ცხელი მკადების ამოლაგება და როცა კვლავ თორნეში ჩაიხედა, ბათუ სწორედ მაშინ გამოვიდა აივანზე ხანტი ზმორებით.

ბათუ ახალგაზრდა კაცია, ტანად საშუალო. სახე ლამაზი აქვს. შეგვრემანია. წვერს ხშირად იპარსავს, თითქმის ყოველდღე. ფეხზე ვიწრო-ყელიანი აზიურები აცვია.

ჭალებს ძალიან მოსწონთ ბათუ.

ამას თითონაც გრძნობს. ამიტომ ყოველ ახალ გაცნობილ ქალს ისე მოელაჩუკება, თითქოს დიდხანს ოცნებობდა მასთან შეხვედრას. ახლა სოფელში ერთი კაცი არ არის უსაქმოდ მოსიარულე, ხოლო ბათუს ამბავი არავინ იცის. იგი თავის თავზე ყველას სხვადასხვანაირად ელაპარაკება.

— მსახურობს?! — სოფლელი ვოგოები ხშირად ასე ეკითხებიან ერთმანეთს.

ყველანი ასე კითხულობენ, მაგრამ ნამდვილ პასუხს ვერავინ ელირსა. ბათუს ცოლის შერთვამდის მშობლები თავს ინუგეშებდნენ:

„ახალგაზრდა... ცოლს შეირთავს და ჭკუაში ჩავარდება“.

ეს საოცნებო დღეც მოვიდა, მაგრამ მერე სულ გაეყარა მშობლებს. ცოლი შინ გამოამწყვდია და სხვის ქალებში ლაზლანდარობა მაინც არ მოიშალა. შინ ახალ მთვარესავით გამოჩნდება ხოლმე ხანდახან.

ერთხელ მოთმინებიდან გამოსულმა ცოლმა უსაყვედურა:

— ეს იყო სულ შენი კაცობა?! დაგავიწყდა წინ რო ფიანდახად მეწლებოდი! მე შენთან ველარ გაჩერდები.

ბათუმ გულიანად გადაიხარხარა და მერე სიცილითვე უპასუხა:

— კაბაში ხო არავინ გეწვევა? გზა ჩვენ სახლს ოთხი მხრიდან აქვს. საითაც ვერჩიოს, იქით წაბრძანდი.

— მე კი არ გეხუმრები. ერთი ეს მაინც მითხარი: რო არ მეშაობ, ასე კაი ტანფეხი საიდან გაცვია?

ამ სიტყვებზე გველნაკებნივით შებზრიალდა ბათუ.

აენტო.

მწყრალად წამოიძახა:

— გაძიჩხდა მეორე მამაჩემი, — ხშირი იყო მათ შორის ამისთანა კამათი და საუბარი.

ბათუ ახლა სანდროს ოდის აივანზეა გადმომდგარი და ანოს ღიმილიანი სახით გამოემუსაიფა.

— დიდი გამრჯე ქალი ხარ, ანო. ამ უთენია ამდენი მკადები რაფერ გამოაცხე? — თან თვალი თვალში გაუყარა.

ანომ თვალი მოარიდა. ბათუმ ეს შემთხვევა სულ სხვანაირად შეაფასა: „ალბათ მიხვდა ჩემ გულისწადილსო“, — გაიფიქრა და მუსაღვი გააგრძელა:

გინჯილიყოსუქა

— სანდრო სად არის?

— ის შენსავით მოკლილი კი არაა! — უპასუხა ანომ და თორნილაძე ცხელი, გადაყირმიზებული მჰადი ამოაფრიალა.

— ეგ სიტყვა სხვას რო ეთქვა, არ ვაპატიებდი, მაგრამ შე თქვენი ალიან გაფასებთ და სანდროსიც დიდი ხათრი მაქვს.

— ეს... ეს რე ვითხარი, ბათუ! — ანომ თითქოს ბოღაში მოიხადა. სახე აუწითლდა...

— განა შე კი არ ვიცოდი, გულით რო არ ამბობდი! — ბათუმ სიცილით მიაგება პასუხი.

უფრო მიუახლოვდა...

მერე თორნის თავიდან მჰადის ქერქის პატარა ნატეხი აიღო და მსუბუქად ესროლა.

ანო შეკრთა...

შვილები მოაგონდა, თვალი ოდისკენ გააყოლა. თვალწინ უდგას სანდროც, ეზო რომ აჩქარებული ნაბიჯით გაიარა და წალდი უკან დამბახასავით მისთამაშებდა...

იგი უცებ გამოერკვა. ორლობეში მიხანა დაინახა. ხელი ცეცხლით გახურებულ ლოყაზე შემოიკრა.

— ნეტავ ეგ ხელი ჩემი ყოფილიყო, — ინატრა ბათუმ.

— მაგაზე უკეთესი ვერაფერი შეიგონე?

— უკეთესი შე ვერ წარმომიდგენია, — თან იღიმება ბათუ.

ანომ თავი ჩალუნა.

— შე შენი ცოლი უნდა ენახო, — უთხრა და წითელი სახე გაუცრიაგდა.

— მერე რა უნდა უთხრა?

— შენ თუ გაგიმხილე, იმას რაღა ეუთხრა?!

— თუ ღმერთი გწამს, გლახა არაფერი უთხრა, ისედაც გულადრეწილია.

— რა დროს ღმერთია, — სთქვა და უცებ შემოტრიალდა. ოდისკენ გაეშურა. კიბე სირბილით აიარა. ბავშვები საჩქაროდ გამოალვიდა და ტანისამოსის ჩასაცმელად აივანზე გაიყვანა. თან ფიქრობს: „ვინ იცის, ბათუს რა ფიქრი აქვს თავში“. ამიტომ დიდი იმედი აქვს იმ ორი პატარა შვილის, თითქოს ორი ვაჟაკი ამოსდგომია გვერდში.

ანომ ქმრის დავალებს პირნათლად შეასრულა:

ბათუ კარგად ასაუზმა. ხოლო რომ წავიდა, სიტყვა ნუგეშით დაუტოვა:

— სალამოს მოვალ... თუ დღეს ვერ შევედი, ხვალ უსათუოდ/გამე-
ვივლი. ჩვენები უნდა ვნახო.

ცოტა რომ გაიარა, ანომ პასუხად წაველა გააყოლა ^{ქართულში} ~~საქართველოში~~

— ღმერთმა ნუ მოგიყვანოს ცოცხალი... ღმერთო ჩემო, ეს რა მოუ-
ცილებელი ვინმე ყოფილა...

ანო გაჯავრდა...

წარბი შეიკმუნხა, მთლად მოქუფრულია. ბავშვები გაოცებული შეს-
ტყერიან და ხმის ამოღებას ვეღარ ბედავენ, ეშინიათ, დედა არ გაგვი-
წყრესო.

დედა მიხვდა შვილების გულისთქმას.

გაელიმა და აღერსით მიმართა:

— აბა, შვილებო, ჩემო კულრაკებო, თქვენ წიქარა კოზმანას მიხედეთ.
ბავშვები ისევ წათამამდნენ და სულ სიცილ-კისკისით გაეჭანნენ თა-
ვიანთ პატარა კოზმანასკენ, რომელიც ორი წლის შემდეგ უღლის გამ-
წვევი ხარი იქნება.

3

სანდროს ბრიგადა არხის სათავესთან ფუსფუსებს.

ჯებირია დაზიანებული, ამავრებენ. ნაშემოდგომებს წყალდიდობა
იცის და ამიტომ ეშხადებიან.

მიხანამ სალამს სიცილით მიაყოლა:

— ხალხნო, წყალი ქე დაშრა და ამ ჯებიროს რალას უკეთებთ?

მკლავებდაკაპიწებული სანდრო ბალიაშვილი მიხანას ხმაზე წელში
გაიმართა. მოსული ვაჟაკია. ვანიერი მხარბეჭი დინჯად შეარხია. ში-
ნაური ეგონა, თვალი მწყრალად გადააგლო ამხანაგებს, მაგრამ ხელში
მიხანა შერჩა.

სანდრო დამშვიდდა...

მან ცალი ხელით დოინჯი შემოიყარა, ხოლო მეორით ბარს დაეყრ-
დნო. მოგვიანებით მისცა სამაგიერო სალამი მიხანას, სწორედ მაშინ.
როცა თავისი ფართო და ცეცხლივით ბრიალა თვალები თვალში გაუყარა.

— ჩემო კარგო, ხო გაგიგონია: სიფრთხილეს თავი არ ასტკივო. ნა-
შემოდგომებს წყალდიდობა დაიწყება, საჭიროა მომზადება. წინქვილ-
აღარ წახდება და სიმინდს რო შეიტან, ფჭვილს გაგატანთ.

— წინ დახედული კაცი ხარ, ჩემო სანდრო, — წარბის აწვეით უთხ-
რა მიხანამ.

— აბა, კომუნისტები ჰაერზე კი არ ემუშაობთ ციდან არც ეს კო-
ლექტივი გადმოვარდნილა... ჭკუიანი კაცის მოგონილია.

— დეილოცა ერთად მუშაობა! საერთო ხელს დიდი ხვაგი აქვს, —
თქვა მიხანამ ეს სიტყვები და სიცილი აუტყდა, სიცილი ვეღარ შეიმაგრა-
და სიღრმეში ჩამალული თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

განციფრებულია სანდრო ბალიაშვილი.

— რავე უმართლოდ იცინი?!

ამ სიტყვებმა რაღაცა ჩააგონა მიხანას, სიცილი ^{ქრქუნი} ^{ქრქუნი} ^{ქრქუნი}

— მარილიანი სიცილი როგორია? — ჰკითხა და ისევ დაიწყო ხარხარი.

— მგონი, ჩვენ დაგვცინი, — ორკოფად სთქვა სანდრომ.

— რას ამბობ, სანდრო, ამისთანა შრომას ვინ ეივდებს საცინლად?!

— ჰო და, მაშინ მეც გამაგებთ შენი სიცილის მიზეზი.

— ახლა ვერ გეტყვი, გალმიდან დაებრუნდები და ვიამბობ, — მიხანა შეტრიალდა და თავის საქმეზე წავიდა.

სანდრო ფიქრში ჩაეარდა, მაგრამ მუშაობა არ შეანელა. ხოლო ტკბილი მუსაიფი რომ იცოდა, შრომასთან რიტმიულად შეწყობილი, აღარ განაგრძო, თითქოს დაევიწყდა.

მაღალი სადილობა...

გლეხები შორჩნენ ჯებირის შეკეთებას, მერე სარკესავით კამკაპა მდინარეს ჩაუდგნენ: ჩაიბანეს წვივები, ხელ-პირიც დაიბანეს და შინისკენ წავიდ-წამოვიდნენ. მიხანაც დაპირებულებით გამოჩნდა. ის და სანდრო ბალიაშვილი ყველაზე გვიან წავიდნენ. მიჰყვებიან არხის ამალღეულ ნაპირს, უახლოვდებიან წისქვილს. წისქვილიდან ისმის მესაფქვავეების ხმამაღალი ლაპარაკი. გარეთ რამდენიმე ურემია დაყენებული, ურმებზევე გამოზმული ხარები, ხოლო ყოველი ურმის ჩრდილში თითო ძალიან წამოწოლილი მცველებით.

— ძალიან ცელში კი არის ჩვენი წისქვილი ჩადგმული. საფქვავე სულ გამოულეველია, — თავმომწონედ სთქვა სანდრომ.

— დოუფასებელია ჩვენი სოფლისათვის, დოუფასებელი, — უპასუხე მიხანამ.

სანდრომ მიხანას პასუხი თითქოს ვერც გაიგონა და ისევ თავის ჭირვეულ კითხვას დაუბრუნდა:

— რანაირი კაცი ხარ, მიხანა, წებანდელი სიცილის მიზეზი ახლა მაინც მითხარი.

მიხანა მოიღუშა, დამწუხრებულის გამომეტყველება მიიღო, ქვეშ-ქვეშ გამოიხედა. ტურებს განგებ ეუმავს, თავს იკავებს, სიცილი კიდევ არ ამიტყდესო.

— გეფიცები ადამიანობას, ახლა ძალიან ვწუხვარ, მიკვირს, რა მიცინებდა, მაგრამ ხო იცი, ხანდახან ასე ვიცი ხოლმე.

— კაცმა უნდა იცინო, აბა, სატირალი რა დაგვრჩენია, — წასათამამებლად მიმართა სანდრომ.

მიხანამ გამომძიებელივით იკითხა:

— წუხელი სტუმარი ხო არ გყოლია?

სანდრო ამ კითხვაზე შედგა, მერე მოკლედ უპასუხა:

— შეყვდა.

— საშუალო ტანის ყმაწვილია, არა?!

— კაცო, რაღა ასე მიკიბულმოკიბული გზით ვარკვიობ? შაგქაქის ენაობა. შენ ბათუ გუბელაძეს არ იცნობ? ერისტოს შევილია.

— ჰო, ის არის?! — გაკვირვებით ჩაილაპარაკა მიხანამ, მერე გაიხედ-გამოიხედა და ჩუმად ხმით გააგრძელა, — ანო და ბათუ ერთად იდგნენ ამ დილით თორნესთან... იცინოდნენ...

სანდროს არ ესიაშოვნა მიხანას სიტყვები, მაგრამ მაინც ღიმილით უპასუხა:

— რაღა თქვენი ქალები სტუმრებთან არ იცინიან? — ისე უთხრა, თითქმის ჩირადაც არ ჩააგდო მიხანას იქვით გამოთქმული აზრი.

— კიდევ რაღაცებსაც ესროდნენ ერთმანეთს.

— მერე ეგ რა სასაცილო იყო?! უკეთესია ყველამ თავის ცხვირს მოუაროს.

მიხანას შერცხვა.

— შე კაცო, საწყენად კი არ ვითხარი.

— აბა, ეგ რა სასაცილო იყო?! — ამ სიტყვებით გაისტუმრა სანდრომ მიხანა, თითონ კი ეზოში შევიდა. გულმოსულობა ახლა შეემშნა, წარბი წარბს გაუყარა...

ეზოში ყველაფერი თავის რიგზეა: დაგვილი, დასუფთავებული. გამადარი ძროხა ხეზეა მიბმული, ჩრდილშია წამოწოლილი და მდლიანად იცოხნება. ძროხამ სანდრო ფეხის ხმაზე იცნო, დინჯად შემოაბრუნა თავი, ყურები გააპანტურა და ცოხნა განაგრძო.

სანდროს ყურადღებას ახლა აღარაფერი იქცევს. პირდაპირ სახლისკენ მიდის.

4

სანდრო ბალიაშვილმა აივანზე ქვევიდან წალდი შეისროლა. წალდმა უცნაურად დაიჯახუნა. ანომ პატარა ბავშვები გააფრთხილა:

— არიქა, შეილო, გეიხედე, რაღაცა ჩამოვარდა.

ბავშვები წამოხტნენ დედის დაეალებიშ შესასრულებლად. მერე ისევე მიტრიალდნენ და ხელები დედისკენ გაიშვირეს.

— დედიკო! — დაიძახა ერთმა, ხოლო მეორემ დააბოლოვა:

— ცოტა ლობიო დაგვიყარე ხელზე.

— მეც... მეც მინდა...

დედამ ღიმილით გადახედა შვილებს.

— რამ შეგაყვარათ ხმელა ლობიოს ჭამა, — და საინზე ამოღებული ლობიოს მარცვლები ხელიგულზე დაუყარათ, — აბა და გეიქეციო!

ბავშვებმა წითელი ლობიოს გაფუნთუშებული მარცლები პირში ჩაიყარეს და სიცილ-კისკისით გავარდნენ ეზოში.

ანოს უხარია, მის პატარა ბავშვებს დაეალებინ შესრულებული უკვართ და აღფრთოვანებულმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— პირდაპირ მამას გვანან, სანდროსავეთ დაუხარებლი არიან.

ბავშვებმა აივანზე ვერაფერი ნახეს, ზოლო სახლის წინ მამა დაინახეს გრძელ ქვაზე ჩამომჯდარი. შორიდან დაუწყეს ცქერა. ეტყობა გაჯავრებულია. დიდი ყოყმანის შემდეგ ძლივს მიუახლოვდნენ. გამოლაპარაკება მაინც ვერ გაბედეს. დვანან ლობიოთი ტუჩმოსვრილნი და გოცებულნი შესცქერიან. ბოლოს უფროსმა ბიჭმა მიმართა:

— მამა, ვინ მოგაყვანია გული? — ძლივს წარმოსთქვა ეს სიტყვები და უცხო ბავშვივით დაიწია უკან.

— დედა სად არის? — იკითხა სანდრომ პასუხის მაგიერ.

— სადილს აკეთებს.

ბავშვებმა მამის ხმა რომ გაიგონეს, წათამამდნენ და ორივემ ერთად უპასუხა. მერე ძალიან ახლოს მივიდნენ, მუხლებთან დაუდგნენ და ალერსი დაუწყეს.

— წადით, შეილებო, ითამაშეთ!

გახარებული ბავშვები დატრიალდნენ, ჯოხის ცხენებზე შეხტნენ და დიდი გამართეს. გასწრებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან.

ანო ლობიოს კაშმევას რომ მოჩია, გარეთ გავიდა. არაფრად ეჭაშნიკა სანდრო რომ გაბუტულია.

— კაცო, შენ თუ აქ იყავი, შინ რატო არ შემოდი?! — ანომ მოხდენილად უთხრა ეს სიტყვები, იქნებ ხასიათზე მოვიყვანოო, — ასე აქამდის როდის იცოდი?!

— რაც აქამდის არ ვიცოდი, ახლა გევიგე.

ანოს ცეცხლისაგან ამრიალებული და ოფლისაგან დაცვარული ლოყები უფრო აუწითლდა. მერე გაფითრდა, თითქო შესცივდაო, და სახეზე ოფლის პატარა კურცხლები თბილ წვეთებად დარჩა.

— კაცო, ვინ გაწყვინა? ნადრევი არც სიხარული ვარგა და არც წუხელი, — გაამხნევა ანომ.

— ჭკუიანი ლაპარაკი გისწავლია, — დაცინვით და თანაც ბღვერვით მიმართა სანდრომ.

ანომ კარგახანს ველარ მოახერხა ხმის გამოლება.

— ეიკი, ვინც გაგაბრაზა, მაგრამ...

— შე ყველაფერს ჩემი თვალით დავამტკიცებ, — მუქარით სთქვა სანდრომ.

— სადილი მაინც კამე, წამოდი, მზად არის.

შინ უბრად შევიდნენ...

დანა კბილს არ უხსნიო...

სიჩუმეა, ხოლო ბავშვებმა სუფრაზე მაინც თავისებური მიცოცხლე დაატრიალეს და უბარი დედ-მამა ძლიეს გამოალაპარაკეს, უფროსების.

— ქალი ეშმაკია, — სანდრომ მაინც გამოსთქვი და მისი უფლისტკივილი.

ანოს პასუხის მაგიერ ცრემლები გადმოცვივდა. ბავშვებს პირში ჩასადები ლუკმა ხელში შეაცივდათ. ისინი ხან დედას უცქერიან ხან მამას.

— რა იყო, მამა, რა თქვი? — შეეკითხა უფროსი ბავშვი.

— არაფერი, შვილო, შშიერი არ დარჩეთ, ჭამეთ საჭმელი.

5

შემოდგომის მუდმივმა ქარშოშინმა მოსავალი ერთბაშად სიმწიფეში შეიყვანა.

ყანა მოშწიფდა, ოქროსფრად ლივლივებს. გრძელი და ჩამოკინწული ტაროები პატრონს ელოდება. ამიტომ სანდრომ თავის ამხანაგებს ადრე შეაშაადებია ნამგლები, ურმები და გოდრები.

ერთ დილას სოფელში გლეხები უჩვეულო ხმაურით წამოიშალენ. ყოველი მოსახლისას ხმამალლა ლაპარაკობენ. კაცები ერთმანეთს აფრთხილებენ, საჭირო ხელსაწყო შინ არ დარჩეთო. ქალები კი ბავშვებს აფრთხილებენ: ეზოს არ მოშორდეთ, ყური უგდეთ ყველაფერსო.

სიძინდის სატეხში სოფლიდან ქალები და კაცები ერთად წავიდნენ. ანო დიდ მოუსვენრობაშია...

იგი ქმარს უსაყვედურებს:

— თუ კი სხვა ქალები მოდიენ, მე რალა დავაშავე? რითი ვარ იმათზე ნაკლები?!

სანდრომ ჯერ ყური მოიყრუა, მაგრამ რაკი ანო აღარ მოეშვა და თავისი საყვედურებით ქმარს გული გაუწყალა, გულმოსულად გადაუღაპარაკა:

— ეგ-ლა მაკლია ახლა, რო ყანაში წამოხვიდე...

ანო ამ პასუხმა სულერთიანად ააფორიაქა:

— ხო არ დაგავიწყდა? შენ თითონ ამზობდი, ქალების შრომა უნდა გამოვიყენოთო... სხვის მოჭორილ ამბებს ნუ კი აპყლიხარ, — და მერე მკაცრი კილოთი დაუმატა, — ცხვარი ცხვარია, მაგრამ თუ ვაცხარდა, ცხარეა.

— აბა, თუ ქალი ხარ, არ ვაცხარდე, — ეს სიტყვა სანდრომ ხუმრობის კოლოთი უთხრა ანოს, ხოლო მერე წარბის მოჭუხებით დაუბარა, — ყველაზე მართალი ჩემი თვალია. მე თითონ დავინახავ ყველაფერს.

ანო მიხვდა, რა აზრიც იყო სანდროს გადაკრულ სიტყვებში, მაგრამ მაინც გულს ებჭობა: რატომ პირდაპირ არ მეუბნებაო. იქვით შეპყრობილი ქმარი, ყველაფერს გულში ინახავს; იცის, რომ ცოლთან აშლა კარგი საქმე არაა. ამისთანა ამბავი არც სხვისი მოსწონს. ამ იქვითა და ფიჭ-

რით შეპყრობილი სანდრო ისე მივიდა ტარობებ ჩაკეტილ ფანასთან რომ ვერც კი გაიგო.

იქ ბევრი კაცი და ქალი იყო. მათი სიცილ-კისკისი მთელ ქალს აურუებდა.

— აჰ, სანდრო ბალიაშვილო, მამაშენი ამ ქალაში მოყვანილი სიმინდით არ დეიხრო? — წამოიძახა ერთმა სიცილით.

— ახლა ხო ჩვენია, — უპასუხა სანდრომ.

ისინი წეროებივით გაიშალნენ და ვეება მწყრივად შემოფეინენ ყანას. ქალაში სიცოცხლე დატრიალდა. ისმის ყიჟინა და ტარობების ტკაცუნის ლაპარაკობენ...

ახალ ამბავს ერთი რომ დაამთავრებს, მეორე წამოიწყებს, თითქოს ამბის თქმაშიც მორიგეობა შემოულიათო. ამ მუსაიფით შეიჭრნენ შუა ყანაში. მოულოდნელად ვილაყამ სიტყვა ბათუ გუბელაძეზე ჩამოაგდო... ბათუს ხსენებაზე სანდრომ ყურები დაკეცია.

— კაცო, მაგისთანა ადამიანის მნახველი არა ვარ... მაინც ასე გოურჯელად ამისთანა ჩაცმულ-დახურული რაფერ დეიარება? როგორც ეტყობა, კაი კაცი არ უნდა იყოს, — სთქვა ერთმა ამხანაგმა.

— შერე, მამა მაინც ყავდეს გლახა.

— მამა რა შუაშია, მაგაზე კი ძალიან ცუდი ხმები დადის...

— შე ისიც გამოიგონია, რო ჯიბეებს ამოწმებსო, — გაისმა ვილაყის ხმა გურგუმელა ყანიდან.

— ჯიბეებს... ჯიბეებს! — სხვებმაც გაიშეორეს და სიცილი ხარხარად გადაიქცა. კაცების ხმამალალ ხარხარს ქალების კისკისით წამოძახებული სიტყვები შეუერთდა:

— უი, დედაია, რა კაი ხელობა უსწავლია.

სანდრო აქამდის მდუმარედ იყო, თითქოს არც კი ესმოდა მათი ლაპარაკი. ახლა ისიც ჩაერია საუბარში:

— რატო ლანძღავთ იმ კაცს? რა დაგიშავათ ამის ფასი? მე თქვენზე უკეთ ვიცი რომ ბათუს. ჩემთან სახლშიც კი დეიარება, მარა კი არაფერი მოუპარია...

— არაფერი მოუპარიაო?! — ერთად გაისმა რამდენიმე კაცის ხმა.

— ვინ იცის, იქნებ ყველაზე მეტი შენ მოგპარა. შენი ჭურჭელი მონიშნული გაქვს? — პირდაპირ უთხრა ერთმა მეზობელმა.

სანდროს ენიშნა მეზობლის გადაკრული სიტყვა და უცებ გაივლო გულში: ნეტავ სულ არაფერი მეთქვაო. ტარობებს ალაღბედზე ტეხავს. ისერიის წინისკენ, ვერც კი ამჩნევს, სად ვარდება.

იქვმა უფრო დასძლია...

თავი ფიქრით აქვს დამძიმებული...

გაბრუებულია...

— აბა, რა უნდა ვუყოთ ბათუს? მიდი და მოარჯულე, თუ ვაძა-
ცი ხარ.

— სწორეთ მაგას უნდა შეველა.

— რანაირად უნდა ვუშველოთ?

— რანაირად და საქმე უნდა გოუჩინოთ. პასუხისმგებლობას რო იგრ-
ძნობს, კეკუაში ჩავარდება.

სანდროს ბალიაშვილი ამ ერთხელევე აკვიატებულ აზრს ბათუზე ყვე-
ლას უზიარებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ბათუ გუბელაძე სოფლის პა-
ტარა კოოპერატივის გამგედ დანიშნეს. გამგეობაც უნდა შეესრულებია
და ნოქრობაც.

ეს კოოპერატივი სასოფლო საბჭოზე ცოტა მოშორებით დგას. იგი
გზისპირზეა. ხის ერთ ოთახიანი პატარა სახლია. ეს კოოპერატივი კოლ-
ქეურნებმა სოფლისთვის სახელდახელოდ მოაწყვეს.

ბათუს სანდროს თაოსნობამ უშველა. მას გაუწიეს ანგარიში, რად-
გან მეზობლებსა და პარტიულ ამხანაგებს თვალისჩინივით უყვართ.

ბათუმ სამაგიეროს გადახდა მოინდომა და რაკი თითონ ამ კოოპერა-
ტივიდან მოშორებით არის, მუდმივი ბინა თითქმის სანდროს ოჯახში
ვაიჩინა.

ასე გადარჩა ბათუ სოფლის კბილს.

პირველად სოფლელი ქალიშვილები აღაპარაკდნენ:

— რა ლამაზი ყმაწვილი დოუნინავეთ ჩვენ კოოპერატივში...

მაგრამ გლეხებმა სხვანაირად შეაფასეს:

— არა, ჩემო ძმაო, მაგისთანა კაცი ამ საქმეზე არ გამოდგება, ყვე-
ლაფერს რო თავი დაეანებოთ, ეს ფეხსაცმელი მაინც რანაირი აკვია.

აოცებთ ბათუს ვიწროყელიანი აზიურები. საკვირველია მაინც, ვინ
მოიგონა, ან როგორ იცვამენ ამისთანა ვიწროყელიან ჩექმებს. წვივებზე
რეზინივით აქვს შემოსხებილი.

— აი, ბაბუა, ფულის გემო მაგას ეცოდინება... ყველამ რომ ჩამო-
ათავა ბათუზე ლაპარაკი, მერე სთქვა ეს სიტყვები სანდროს კოლექტივის
უბტყესმა კაცმა, სახიერს რომ ეძახიან. ამ მოხუცი კაცის სახეზე სულ
ღიძობილი დათამაშობს, რაღაც საყვარელი სახე აქვს ამ მოხუცს, ალბათ,
ქაღალდით დაარქვეს სახიერი.

მის ბამბასავით თეთრ წვერ-ულვაშს ქარი ნაზად აბიბინებს. სახიერი
კაცს ერთი შეხედვით სცნობს. ბათუც თავისებურად დაახასიათა.

ბათუ გუბელაძეს ყურშიც კი აგონებენ ზოგიერთ ცუდ სიტყვას, მაგ-
რამ იგი ყურს არავის უგდებს, კოოპერატივის საქმეს თავისებურად შეუდგა-
ირგვლივ მეგობრები შემოიკრიბა. ძალიან უყვარს მეგობრები, ხშირად
სიმღერაშიც კი იმეორებს ზოლმე:

თუ კი ძმაკაცს უძმაკაცებ,

მერე იგიც ვიძმაკაცებ...

შეიძლება ბათუს ყველაფერი დააფიწყდეს, მაგრამ ეს სიტყვები მუდამ ახსოვს, შეუძლებელია მათი დაფიწყება. სიმღერის დღეს, როცა „ქა-კაცებზე“ წამოიწყებს, კისერს კარგი მომღერალივით შეუღებულ ხელმე-

7

კოოპერატივის წინ გლეხები შეგროვილან. ისინი თავთავიანთ საქმეზე ლაპარაკობენ. ამ ლაპარაკიდან ბოლოს ერთის ხმა გამოჩნდა:

— ამხანაგებო, რათ გვინდა ამისთანა კოოპერატივი თუ კი ჩვენ ვერ ვისარგებლებთ.

— არ გვინდა, არ გვინდა, — დაუდასტურა იმ წუთშივე მეორემ.

კოტახანმა რომ გაიარა, მესამე კაცის ხმა გაისმა:

— არა, ამხანაგებო, კოოპერატივი ჭე გვინდა...

გლეხებს შორის კამათი გაიმართა, ხოლო ბათუ ნიშნის მოგებით იღი-მება კოოპერატივიდან. გულში ფიქრობს:

„იყვირეთ, იყაყანეთ, ენა რომ დაგელღებათ მერე ხომ ვაჩუმდებითო“.

მაგრამ გლეხები მაინც არ ცხრებიან, იერიში პირდაპირ ბათუ გუ-ბელაძეზე მიაქვთ. ლანძღავენ, მაგრამ ბათუს სახეს ღიმილი მაინც არ შორდება.

— შენ რო საწვევროს გადახდა გეზარებოდეს, ჩემი რა ბრალია. მე რას მესაყვედურებით! — წამოილაპარაკა ბათუმ მოგვიანებით.

— სტყუი, სტყუი! საწვევრო ყველას გადახდილი გვაქვს! — შეუტიეს ყოველი მხრიდან.

— გუშინ რო ფართალი მიიღე, სად წვევიდა? ჩვენ თითო მეტრა მაინც აღარ გვერგებოდა?!

— რატომ არ გვერგებათ, მობრძანდით ხვალ და მიიღეთ...

— დღეისწორებზე რო იყო?! მაშინ რატო არ მერგო?

— ვინც აქ მევიდა, ყველამ წვილო.

— შე კაცო, ამ კუთხეში ვინც ვცხოვრობთ, ყველანი აქ ვართ. აბა გულზე ხელი დეიდე და შენ თითონ თქვი, რომელმა წვილო.

— არ ვიცი. ზეპირად კი არ მახსოვს.

— თქვი რალა, მე წვევიღეთქო, — გაბედულად შეპყვირა პირდაპირ მდგომმა ახალგაზრდამ.

— ეჰ, ენა უძელოა, — იჭილიკაეა ბათუმ და ამ სიტყვებს სიცილი მიაყოლა.

საეაქროდ მოსული გლეხები ერთნაირი სიტყვებით გაისტუმრა:

— საქონელი დღეს არ გეიყიდება. ფასდასადებია.

მოვიდა ღამე... სავსეა გვიან ამოსული მთვარე. გლეხები ამ დროს ამოსულ მთვარეზე ამბობენ:

„მთვარემ დეივახშმაო“.

მყუდროებაში განაბულ სოფელს მთვარის მკრთალი ნათელი მოეფინა.

გლებები თავიანთ სახლების წინ გამოსულან, მწვანეზე სხედან და მუსაიფობენ.

გზაზე ხეებეს ჩრდილია გაწოლილი...

ბათუს ილღიებში თოფებად დაკეცილი ფართალი აქვს ამოდებული და ჩრდილს ფეხაკრეფით მიჰყვება. ჩუმად მოვიდა სანდროს ეზომდის. ჯერჯერობით მხოლოდ ბავშვებს დაუძინიათ. ანო ზეზეა და ელოდება ქმარს, რომელიც მეზობლებშია წასული.

— ანო! — დაბალი ხმით დაუძახა ბათუმ.

მან ფართალი ხის ძირში მიაწყო და როცა ანო მიუახლოვდა, ჩუმად რაღაც ჩაულაპარაკა, მერე მსხვილ, ფუნთუშა მკლავში ხელი წაატანა, მაგრა მოუჭირა.

— ბათუ! — გოცემით შესძახა ანომ, თან გვერდზე გაიწია, — რას შვრები, ხელებს მოუარე.

— გიხუმრე ანო, არ გეწყინოს. სანდროსა და თქვენი ოჯახის მე დიდი ვალი მაქვს. ეს მხოლოდ ჩემმა სინდის-ნამუსმა უნდა ზლოს, — ვითომ ამ სიტყვებით ბოდიში მოიხადა.

— შენ იცი, როგორც დეიმახსოვრებ. ეს რაღაა ამ ხესთან რომ დაგვიყრია?

— ეჰ, ხო იცი, ანო, რანაირი ხალხია, კოოპერატივის ვატების შეშინია. ამიტომ ერთი-ორი ღამით ეს ფართალი თქვენსა მევიტანე შესანახად, მაგრამ არავის უთხრა.

— რატო ჩვენსა?! თქვენსა რატო არ მიიტანე?! — შეიტხადა ანომ.

— არა, აქ სჯობია, — მოუჭრა ბათუმ, ხოლო რატომ სჯობია ამაზე ერთი სიტყვაც არ დასძრა.

ფართალი შენახული იყო, სანდრო რომ შემოვიდა ეზოში. არ ესიამოვნა ბათუს დანახვა. წარბი შეიკრა და ცალუბად მიესალმა. ფიქრობს: თვალს რომ არ გაუსწორებ, ეგებ ენიშნოს რამ და ჩემი ოჯახიდან ფეხი ამოიდგასო.

აგერ რამდენიმეხანია ანოს მეზობელი ჭალები პირში ეუბნებიან:

— აწი რაღა ვიჭირს, კოოპერატივის ვამგე სახლში გიწვევს.

— თუ გული გწყდებათ, სახლში კი არა, გინდათ უბემშიც ჩეიწვი-ნეთ, — უპასუხებთ ხოლმე ანო.

ჭალები ასტებენ სიცილს, ატკვარცალდებიან.

— ვიციო... ვიციო... ჩემი შენ ვითხარი, გული მოგიკალიო, ისეა შენი საქმე, — ეტყვიან ნიშნის მოგებით.

ამიტომ არც ანოს ესიამოვნა ბათუს მოსვლა, მაგრამ ქმარს მაინც უთხრა:

— იქნებ ერთი საპერანგე მაინც გარგოს.

— მაგეც წყალმა წიკოს და მაგის საპერანგეც, — გულიანად მიაწყე-ლა სანდრომ.

კოოპერატივთან დილით ადრე მოგროვდნენ გლეხები. დიდხანს ელოდნენ ბათუ გუბელაძეს. ბოლოს, ისიც გამოჩნდა (ალბათ უსაქმურად არც ამ დილით გამოუშვეს). წარბშეკმუნულია საქმიანობის მიხედვით გლეხებმა შორიდან დაუწყეს ღიმილით ლაპარაკი. მაგრამ ბათუ ისე შეერია ხალხში, ვითომ ვერც კი იცნო ვინმე.

— რამ მოგიყვანათ ამ უთენია, ვერ იძინეთ?! — ისე უთხრათ ეს სიტყვა, თითქოს სალამის მაგიერიაო.

— აწი სალამი შინ ხო არ დარჩენია? — გლეხებმა ერთმანეთს გადაუჩურჩულეს.

მერე ერთმა გაბედულად მიმართა:

— შე მამაცხოვრებულო, რავა ციდან გადმოვარდნილივით ლაპარაკობ. შენ არ იცი, რო ამის გარდა სხვაც ბევრი გეაქვს სამუშაო.

— შე რა შუაში ვარ, როდის დაგპატივებ? წადით და იმუშავეთ!

— რავა თუ იმუშავებთო. შეზე, სასაცილოდ რო გვიღებ. ერთი ეს გვითხარი, ფართალს გეაძლევ თუ არა? — თანაც მუქარით გავიმულთითს ცხვირწინ უქნევს.

ბათუმ ახლა კი იკადრა ხმის დაწევა.

— იმ ფართლის განაწილება, ამხანაგო, ჩემი საქმე კი არ იყო. გუშინ სალამოს მევიდენ პასუხისმგებელი ამხანაგები და რავარც მითხრეს, მეც ისე მევიქეცი... თითონ დეირიგეს და მე რა შუაში ვარ?!

— მაგასაც გვეიგებთ. შე შენ გიჩვენებ სეირს, — კოლმეურნე გლეხი ამ სიტყვებთან ერთად ციბრუტივით შემობზრიალდა.

ჩოჩქოლი მატულობს, ხოლო ბათუ ერთსა და იმავეს გაიძახის:

— შე რატო მეჩხუბები, შენი ჭირიმე... შე რა შუაში ვარ?

გლეხებმა იჩხუბეს, იყვირეს და მერე დაიშალნენ. ამის შემდეგ ბათუმ თავისუფლად ამოისუნთქა და კოოპერატივიც გააღო. გულცივად შეათვალა დამტვერიანებული ჭურჭლეული და სათამაშოები თაროებზე. ახლა მუშტარი აღარ აწუხებს. დახლში ტრალეებს, უმეტესად კი აქეთიქით დაიარება უსაქმოდ. დიდ მოუსვენრობაშია ჩავარდნილი. სულ ერთი ანდაზა უტრიალებს: „ტყუილს მოკლე ფეხი აბიაო“. ეშინია, დილანდელი ამბავი რო გაუგონ, ტუჩს არაფინ მოუკოცნის.

8

ანო მთელი დღე ელოდა ბათუს ან მის გამოგზავნილ კაცს, რომელიც მიბარებულ საქონელს მოაშორებდა. მაგრამ არაფინ სჩანდა. ამისგამო ვერც სახლი მიატოვა, სულ ეზოში იყო. მეზობლის ქალები ჩავლისას სალამს აძლევენ, მაგრამ თან პირს არიდებდნენ. ანო კარგა ხანია ამას გრძნობს და დღეს ვადასწყვიტა:

„უნდა დავითხოვო... სულ ბათუს ბრალია, ჩემ სახლში ვენა აღარ დავადგმევინებ“.

კულია სახელგატეხილი ადამიანი, ყველა აიბუებს [ყველას ყველაზე] სწორებენ და კუთხე-მეზობლობაც გაინაპირებს. ამ ფიქრში ვაიარა დღემ... მოსალამოვდა...

შეე შორეული მთების მწვერვალებზე ბურთივით დადგა...

დღეს სანდრო რაღაც ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა შინ. მისვლისათხავე თავისი გამჭრიახი თვალი მთელ ეზოკარს შემოაგლო: ღობეს, მარანს, სახლს, თორნეს...

ყველაფერი დიდი გულისყურით დაათვალიერა.

ანო გაბუტულივით ჩამოშვდარა ოდაში ასასვლელი ქვის კიბის ქვედა საფეხურზე. ჩამავალი შხის მისუსტებულ სხივებს, ანოს სახე ნარინჯივით აუფერადებია.

— თორნე რატო არ დახურე, ღამე ცვარი წაახდენს. საქონელს მოვლა უნდა, — სანდრომ მისვლისთანავე მისცა პირველი შენიშვნა.

— თორნე, კი არა, თავი აღარ მახსოვს, — უგუნებოდ უპასუხა ანო.

— რა იყო? რა მოგივიდა?

— მეტი რა უნდა მომივიდეს, სახელის გატეხა თავის გატეხაზე უარესი ყოფილა.

— ძალიან ჭარაგმებით ღაპარაკი ისწავლე ამ ბოლოდროს.

— შენი საყვარელი სტუმრის ხელში მეტიც მოსალოდნელია.

სანდრო მიხვდა, ვისზედაც ღაპარაკობდა ანო. მერე მოგვიანებით იკითხა:

— ფართალი წეილო?

— არა.

— უპ, ეს რა ჭირი გადამეკიდა. ნახავ თუ ეგ ფართალი მოპარული არ გამოდგეს. საბჭოში მაინც უნდა გამოეცხადოთ.

ნავახშებებს მუშაობით მოღლილი სანდრო მალე დაწვა. ანო ყველის ამოყვანას შეუდგა. მალე მსხვილი და ფუნთუშა ყველი ამოიღო პირფართო ქოთნიდან. გაეხარდა, თითქოს დღეს პირველად დაინახაო. ხელში გულმოდგინეთ გამოიყვანა, მერე ფაიფურის მოზრდილ თეფშზე დასდო. გააბრტყელა და ხოშორი მარტილი მოაყარა.

ფრთხილია სანდროს ყურცქვიტა ძაღლი. იშვიათად გამოეპარება ფეხისხმა. ახლაც ყვეფით გაეჭანა ჭიშკარისაკენ, მაგრამ მალე გაჩუმდა.

„აღბათ ბათე იქნება“, — გაიფიქრა ანომ და ჭიშკარისკენ წაიწინაურა.

— დამავიანდა, — მოიბოდიშა ბათემ, — მაგრამ საქმე მაინც გაეკეთე.



ერქონული

განკარგობის ქსელმა

— ოპო, ერთობ საქმის კაცი ხარ, — დასცინა ანომ.

— ვარ, ჩემო ანო, ვარ...

— შენი ანო შინ გყავს, გზა ხო არ დაგბნევი? — მწყურა ლაღად.

— რავე, ანოს რომ გეძახი, ხო არ გეწყინა? — ახლოს ჩაეკითხა. ქალს ღვინის სუნისაგან კინაღამ სული შეეხუთა. განზე გაიწია, მაგრამ საღდა წავიდოდა, როცა ბათუმ მაჯაში მაგრა ჩაავლო ხელი, ხოლო მეორე მკლავი მხრებზე მოხვია და უფრო ახლოს მიიზიდა. ამოდ სცადა ქალმა ხელიდან დასხლტომა.

— ეს მხეცობაა... სირცხვილია...

— კოცნა რა სირცხვილია?! — დააშოშმინა, როცა ტუჩი ლოყას მოაშორა, — და მერე ამ წუთში ჩემი სიხარული სხვანაირად ვერც გამოიხატება... კოოპერატივი დავეწვი, ფართალი თანასწორად გვეყვით და ჩემ ნაწილს ამაღამვე წვევილებ სახლში.

— ეგ როგორ გაბედე, ხო ვაგიგებენ!

— მე და შენ ვიცით მარტო, ვერაფერს ვეიგებს.

ანოს გულისცემა გაუასკეცდა. ყვირილს ისევ დუმილი არჩია.

— ამაღამ ვერსად წახვალ, ნასევამი ხარ და ჩვენთან დარჩი, — შეეპატია ანო.

ბათუმ ამ სიტყვებით უცნაური სიამე იგრძნო და ახლა კიდევ უფრო გულითადად აკოცა ანოს. წელზედაც მოხვია ხელი.

— რა რბილი წელი გჭონია.

— იმისთანა საქმეს ნუ იზამ, ხვალ რომ შემოხედდეს შეგარცხვეს, — გააფრთხილა ანომ.

— კარგი, ანო, არ ვაწყენებ, ამაღამ ისევ თქვენთან დავრჩები, ხოლო დილით ადრე წავალ. ხვალ თუ ვინმემ ფართალი იკითხოს, უთხარი: გუშინ წვილოთქო.

— აგრე ვიზამ, ახლა წამო, მეისვენე.

სწრაფად გაუშალა ლოგინი. სანდროს ძილში ჩაესმა მისი ფეხის ხმა, მაგრამ თვალი არც კი გაუხელია. ბათუმ დაწოლისთანავე დაიძინა. ღრმა ძილმა წაიღო სანდროც.

ანომ ოდის კარი გამოიხურა...

დღესავით ღამეა. იგი ჩამოვიდა ეზოში, თავი მანდილით შეიფუთნა, აიღო გრძელი ჯოხი, ხელში ყავარჯენივით დაიკავა და გზას გაუდგა. არაფრის ეშინია. მიდის ერთნაირი აჩქარებული ნაბიჯით. გორაკზე სულ ქშენით ავიდა. შეამჩნია რომ ყოველი სახლიდან ლაპარაკი ისმის.

„აღბათ, კოოპერატივის დაწვა იციან, თორემ ამ დროს ფხიზლად ვინ იქნება“, — ფიქრობს ანო და უფრო გამბედავი ხდება.

სერიდან უკვე გამოჩნდა საბჭოს შენობა, მაგრამ აქეთ რომ კოპერატივის შენობა იდგა, იგი აღარ ჩანს, იქ მხოლოდ ცეცხლე ეზოლება და ხალხის ხმამაღალი ლაპარაკი ისმის. ანო სირბილით დაემყუდუნებოდა.

ანოს მისვლა აღშფოთებულმა ხალხმა ვერ შეამჩნია. საბჭოს თავმჯდომარეც იქ იყო. მას ხალხი გვერდზე ვაეყვანა, რაღაცას ეთათბირებოდა. თავმჯდომარეს ვილაცის ხელი მაგრად ჩაეჭიდა, უხმოდ ეწეოდა განზე.

— დაგვაცადე, ამხანაგო, — მწყრალად დაიძახა თავმჯდომარემ.

— შე ვიცი, ვინც დაწვა... მარტო შენ გეტყვი.

თავმჯდომარემ ქალი რომ დაინახა, მაშინვე განზე გამოვიდა.

ანომ დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

— მითხრა: მე დაწვეიო... ფართალი შუაზე გვეყვითო. მე უსინდისოდ მომექცა. თავისი ბოროტი საქციელით ქმარსაც დამიღუპავს. წუხანდელი ამბავი ჯერ ჩემს მეტმა არავეინ იცის.

საბჭოს თავმჯდომარემ მაშინვე მილიციონერები გამოიძახა და ბალიაშვილების უბნისკენ დაიძრა.

ჯერ ისევ ღამე იყო, როცა სანდროს ჭიშკართან მივიდნენ. ძაღლმა ვაცოფებულებით დაიწყო ყეფა. ანო დატრიალდა, უწყრება ძაღლს, მაგრამ ის შაინც არ ცხრება. ხმაურობაზე სანდროს გაეღვიძა და აივანზე გამოვიდა. ეზოში კაცები მოდიან, წინ ანო მოუძღვით, გარშემო ძაღლი უტრიალებთ, ყეფით იქაურობას აყრუებს. ბათუს არაფერი ესმის.

— სანდრო, შენ სადა ხარ, ჩვენ ანომ მოგვიყვანა. კოპერატივი ბათუმ დაგვიწვა წუხელი...

— მე არაფერი ვიცი, ფართალი კი ჩვენსას აქვს შენახული. მაშ დეიქირეთ... იქვი გაფანტულია... ფართალს ამ წუთში მევიტან, — სანდრო სირბილით გაექანა ფართლის გამოსატანად.

ისინი ავიდნენ ოდის კიბეზე და სანამ ოთახში შევიდოდნენ, სანდრომ ერთი ზურგი თოფებად დახვეული ფართალი შემოიტანა და იქ დაყარა, სადაც ბათუ იწვა. ამ ხმაურზე ბათუსაც გამოეღვიძა, წამოიწია. თავი სიზმარში ჰგონია, მაგრამ რევოლვერები რომ აჩხარუნდა, უცებ წამოიძახა შეშინებული კილოთი:

— არ მამკლათ, — და ლოგინში ჩაჯდა, — მე არ დამიწვავს.

— ყმაწვილო, როდის გეკითხებით დაწვი თუ არა?

ბათუს თავბრუ დაეხეა...

კოვებიანივით დაიწყო კანკალი...

იგი რაიონში წაიყვანეს...

დილით მთელი უბანი სანდრო ბალიაშვილის ეზოში მოგროვდა. ამბავი გამოიკითხეს. ახლა ყველა აქებს ანოს. განსაკუთრებით ეფერება სახიერი, სულ მასთან ტრიალებს და გულს უშოშმინებს, აქებს:



— შენ ქალი კი არა, ვაჟკაცი ყოფილხარ...

მიხანაც გახარებული მიიჭრა სანდრო ბალიაშვილს. შედიდრეს ვეფხვესალო-
გინგალოთსეკა
ცივით მიახარა:

— იქვი ყოფილა... ანო ცამდის მართალია, — თითქოს ამ სიტყვებით
ბოდიში მოიხადა.

— ბარაქალა შენ ქალობას, — ყოველი მხრიდან მისძახიან და აჭებენ.
ანოც გახარებულია. ძველი, პატიოსანი სახელი კვლავ დაუბრუნდა,
შაგრამ უფრო მეტად ახარებს სოფლის ქონების დამჭკევი რომ აღმოაჩინა.



6. ნაქრასოში

ყ ი ნ ვ ა

უძღვნი ჩემს დას ანა ალექსეევას...

შენ ისევ ისე მისაყვედურებ,
რომ მე ჩემს მუზას ვერ ვუერთგულე,
რომ ყოველდღიურ ვარაზზე ზრუნვას
და დროსტარებას დავემორჩილე.
არა — ცხოვრების სარტა და გრძნება
მე ვერ გამყრიდა ჩემს მუზას მარა,
ეჰ, ღმერთმა უწყის, იქნება ჰქრება
ნიჭი რომელმაც მე მას შემყარა?
პოეტი სულ მთლად არა ჰგავს სხვა კაცს,
მას მერყევი აქვს გზა ეკლიანი.
მე არ ვუფრთხილდი ცილისწამებას,
არც მწამდაღის ვით ზრუნვის საგანი;
მაგრამ ვიცოდი ბნელ უკუნეთში
ვისი ისმოდა მწარე გოდება,
ვის ხედებოდა ის ტყვიასებრ მკერდში,
და მოწამლული ჰქონდა ცხოვრება.
თუ შორი-ახლო მე ჩამიარა
მეხმა ჭვეყანას რომ შიშა ჰგვრიდა, —
მე ვიცი ვისმა ცრემლმა და ლოცვამ
საბედისწერო გეზს ამარადა.
და დროც წავიდა, — მე დავიღალე...
იქნებ მებრძოლი სამაგალითო
არ ვიყავ, მაგრამ მე ვგრძნობდი ძალას
და ბევრი რამე მჯეროდა გულით;
ეხლა კი, — დროა დაეხტკო თვალი
და მიტომ ხომ ვერ გავუღებე გზას,
მოსიყვარულე გულმა რომ კვალად
საბედისწერო განგაში შექმნას...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს მუზას, მშვიდი რომ აქვს იერი
მე თვით უგულოდ ვეალურსები...
მე უკანასკნელ სიმღერას ვმღერი
შენთვის — და შენვე გიძღვენ ლექსები.
მაგრამ იგი ვერ გადაგყრის სევდას,
ის შენ კაეშანს მოგგვრის უფრო მეტს,
მიტომ რომ გულში უფრო დაბნელდა
და მომავალიც უფრო ჰკლავს იმედს...

— . —

ქარი ჰყეფს ბაღში, სახლში იჭრება,
მე შეშინია ის მოსტკლექს, აღგავს
ძველ მუზას მამამ, რომ გააშენა
და იმ ტირიფსაც, დედამ რომ დარგა.
აი, იმ ტირიფს რომელსაც უცხოდ
გადაანასკვე ჩვენი იღბალი,
ლამით რომ ფურცლებს სიყვითლე ეწყოთ,
როცა კვდებოჯდა დედა საწყალი...

— . —

ჩვენი ფანჯარა ტოკავს, ქრელდება...
ჩუ! რა მსხვილ-მსხვილი სცვივა კოხები!
ძვირფასო დაო, შენ გაგეგება —
აქ არ ტირიან მარტოდენ ქვები...

ნაწილი პირველი

გლახის სიკვდილი

1

საერასკა თოვლში ჩაფლული არი —
ლატაკ მარხილზე მოსჩანა საწყლად
ნეჭ გადაფენილ კუბოს ფიცარი
და გაყინული ქალამნის წყვილი.

— . —

მოხუცი ქალი, დიდ თათმანებით,
მიერეკება საწყალ საერასკას.
წარბ-წამწამებზედ თეთრი სხეულები,
აღმათ ყინვისგან დაჰკიდია მას.

2

ჩვეულებრივად პოეტის ფიქრი
წინ გადარბენას მუდამ იჩქარის:
გადახურული თოვლისა ფიფქით
სოფლად ქოხი სჩანს ეულად მდგარი;

— . —

ქოხში ბლავის ხზო თოკით მიბმული,
ფახჯრების ახლო ჰსვენია მკედარი. —
მის სულელ ბავშვებს აქეთ ერიაჩული,
და ისმის ცოლის ქვითინი წყნარი.

— . —

სუდარისათვის ტილოს ნაფლეთებს
ის ხელში ნემსით ჰკერავს ხელშარდათ,
ვით წვიმა, ხან რომ დიდხანს აწვეთებს,
ისე ხანგრძლივად მოსთქვამს, ხმადაბლათ.

3

სამი სამძიმო სვე დაებედა:
პირველი — მონას რომ გაჰყვა ცოლად,
მეორე — მონის რომ გახდა დედა,
მესამე — მონას რომ ემონა მთლად.

ყველა ეს რისხვა ბედის სასტიკის
ქედზე აწვა ქალს რუსული მიწის.

— . —

წლები დიოდენ და ყველაფერი
ესწრაფოდა ბედს,
გამოიცვალა ყოველივე
ბევრჯერ ცისქვეშეთს.
მხოლოდ ერთ — რამის
გამოცვლა ღმერთს ავიწყდებოდა, —
ვლებქალის მწარე ბედი გახლდათ ის
და ჩვენ ვგრძნობთ ტიპი
თუ რა რიგათ ჩიაედებოდა
ლამაზ და ჯანმრთელ სლავიან ქალის.

— . —

ო, შემთხვევითო ბედის ზვარაკო!
ბავშვობიდანვე მაქვს შენი ცნობა,

შენ წარმოადგენ — შიშს ხორცშესხმულსა
და ილაჯმიხდილ ეამთ მოღლილობას!

არა ჰქონია მას მკერდში გული, *ეროვნული
გონიერებისა*
ვინც არ გიცქერდა აცრემლებული!

4

მაგრამ გლებქალზე ჩვენ საუბარი
რომ ჩამოვაგდეთ გვექონდა განზრახვა
გვეთქვა, რომ დღესაც შესაძლო არი
სლავიან ქალთა ტიპის მონახვა.

— . —
თქვენ ნახავთ ქალებს რუსულ სოფლებში
დადინჯებული სახის იერით,
ლამაზ ძალ-ღონით მიხვრა, მოხერებში
და მომხიბლავი დედოფლურ მზერით.

— . —
მხოლოდ ერთი ბრმა მას ფასს ვერ დასდებს,
თვალხილული კი სიტურფეს უქებს:
„გაიარს — ვით მზე შემოგანათებს!
შეგზედავს — თითქოს მანეთს გაჩუქებს!“

ვით სხეები ყველა, ვით მთელი ხალხი,
ისინიც იმავე გზებით დადიან;
მაგრამ ლატაკი ყოფის ტალახი
მათ თითქოს არ სერის მუდამ ჰყვავიან.

— . —
ჰყვავის ლამაზი, ჰვეყნის საოცრად,
თეთრ-ყირმიზი და ტანით კენარი,
ის ტურფა არის რაც გინდ ჩააცვათ,
შრომაშიც მუდამ ხელმარჯვე არის.

— . —
ის იტანს სიმშვილს, იტანს სიცივეს,
მუდამ მომთმენი, არ აჭისი. გარჯა
მინახავს მისი, როცა ხმარობს ცელს:
ერთს შემოუქნევს და — მზად არის ბრჯა.

— . —
ჩამოჰფლატვია ცახოცი თხელი,
ესაა თმები დაცურდეს ლამის.
ვილაცა ბიკმა უტაცა ხელი,
ცულლუტმა ზევით შეისროლა ის.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მძიმე, წითური დალალკაეები
შავვერემან მკერდზე ჩამოეშალა,
უცებ დაჰფარა ტვერმა მუხლები
და გამოხედვაც ქალს შეუშალა.

— . —

მაგრამ ისწორებს დალალებს მარდათ
და ვაჟს მრისბანედ აჩერდება ის, —
თითქოს ჩარჩოდან სახე დიადი,
შფოთით უცქერის და ბრაზით იწვის.

— . —

საქმის დღეს ცუდათ ის არ დაჯდება,
მაგრამ ვერ იცნობთ როცა გულს აღებს,
როცა ეწვევა მზიარულება
და მოაშორებს მას შრომის დაღებს.

— . —

ასეთ გულიან სიცილოს, სიმღერას,
და ასეთ ცეკვას, შუშპარს ფეჭების,
ვერ ნახავთ:

— „ჰაი, დედასა, ჰერი!“
გაიძახიან ხოლმე გლეხები.

— . —

თამაშში მხედარს ჩამოტოვებს შორს,
ჭირში მხნე არის, — მოგეშველება,
გაჭენებულ ცხენს დაადგმიებს ტორს,
თვით ხანძარსაც არ შეუშინდება!

— . —

თეთრი კბილები, ლამაზი, სწორი,
შენის ვით მსხვილი მარგალიტები,
მაგრამ სიმკაცრით მარჯნის ბაგენი
უცხო თვალს იმჯთ შეუქს არიდებენ.

— . —

ის იშვიათად იცინის ხოლმე...
არ უყვარს უქმად ენის ტარტალი,
ვერ გაუბედავს ქოთანის თხოვას
მას მეზობელი მცონარა ქალი.

— . —

არ ეკოდება გლახა მთხოვარი —
ამბობს:

„უსაქმოდ აბა რად დადის!“

მის სახეს მკაცრი საქმიანობის
და ძლიერების ბეჭედი აზის.



მას შეგნება აქვს ნათელი, მყარი,
რომ შორმა არის მხსნელი, ნუგეში;
მთელი ოჯახი იმიტომ არი
გაკვირვების ქვეშ რომ არა ხენეშის.

ქოხი აქვთ იმათ მუდამ გამთბარი,
ჯორგი ბურახი და სკიერში პური,
ბავშვებიც მათი არის მამლარი,
დღესასწაულზეც ბედს არ ემდურის.

ასეთ დედაკაცს ნახავთ წირვაზე
წინ მიუძღვება მთელ ჯალაბობას:
და ორ წლიანი ბავშვი, ვით სკამზე,
ატაკებული მკერდზე უზის მას.

აქეთ კი, დედას, მორთულს მოკაზმულს,
ექვსი წლის ვაჟი კვლავ უმშვენებს მზარს...
და ეს სურათი აუღლელებს გულს,
ვისაც კი რუსი ხალხი ღრმად ეყვარს!

5

შენც სილამაზით ხალხს აოცებდი,
იყავ ხელმარჯვე და შეძლებული,
მაგრამ გაგაშრო დარღმა და სევდამ
მეუღლევ პროკლის მიძინებულის.

შენ ამაყი ხარ — არ გსურს ტირილი,
მაგრდები მაგრამ კუბოს სუღარას
ასველებს შენი ცრემლი დაღვრილი,
როცა ხელმარჯვედ აგვირისტებს მას!

ჰკერავ, ხელს სევდა ველარ აკაეებს,
თუმცა ზედიზედ გცვივა ცრემლები.
ასე ჩემ-ჩემად მწიფე თავთავებს
ჩამოსცვივდება ხოლმე მარცვლები...

6



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელში, საყდრის გალავანს შიგნით,
იმ ადგილს სადაც ქარი ბრხვედა
ჩამოტეხილ ჯვრებს სასაფლაოთა, —
ბებერი კაცი სამარხს არჩევდა.

დაიღალა ის: საქმეა ძნელი,
აქაც ვერას იქმს გამოუცდელი —
რომ სასაფლაოს ჯვარი ჩნდეს გზიდან,
თავს ევლებოდეს მას მზე მცხუნვარი, —
მუხლამდე თოვლში უღვას ფეხი და
ხელში უჭირავს: წალკატი, ბარი.
მთლად დათოვლილი აქვს დიდი ქუდი,
და შევერცხლილი უღვაში, წვერი.
მოხუცი დგანა მაღალ ბექობზე, —
ჩაფიქრებული მიწას ჩასცქერის.
მან გადასწყვიტა. აღნიშნა ჯვარით
ადგილი სადაც გასჭრის სამარეს,
შეუღდა საქმეს იგი სიჩქარით
ეხლა თოვლს აცლის იმ არე-მარეს.

აქ სხვანაირი უნდა ხერხები —
სასაფლაო ზომ არა ჰგავს ყამირს:
ძლიერ ხშირ-ხშირად ზედებოდენ ჯვრები,
თოვლის წმენდის დროს ფართე ბარის პირს.

ჩანდა მოხუცი წელში მოხრილი
და დიდხანს თბრიდა შეუსვენარი, —
ამოთხრილ ყვითელ გაყინულ მიწას
წამსვე ჰფარავდა თოვლის ზეწარი.

მოფრინდა ახლოს, დაგოგდა ყვავი,
მოსინჯა მიწა, ნისკარტი გაჰკრა:
მაგრამ ქვას ჰგავდა მიწა საფლავის
და უარაფროდ წავიდა გაჰქრა...

სამარე დიად კარგი დამზადდა —
— „მე უნდა ეთბრიდე მისთვის სამარეს!
(ბერიკაცს უცებ გულით აღმოხდა)
და განა პროკლი შიგ უნდა ჩაწვეს!..“

წაიფორბილა... დაეცა თოვლში,
გაუსხლტა ბარი მოხუცის ხელს ცივს,
და ჩასრიალდა ვაკურილ ორმოში,
შემდეგ მან იგი ამოიღო ძლივს.



წავიდა... მიდის ნაბიჯით ფრთხილით...
მზე ჩასულა და მთვარე ა.ჩ ჩნდება.
თითქოს სულ მთელი ქვეყანა კედება:
სიწყნარე,
თოვლი,
სიბნელის ჩრდილი...

7

ბებერი კაცი მცირე ღელესთან
თავის დედაბერს დაეწია და
ნელი ჩურჩულით შეეკითხა ის:
— „ნეტავე კუბო თუ კარგი შეგვხვდა?..“

ქალის ტუჩებმა ძლივს წასჩურჩულეს
ბებერს პასუხად:

„არა უშავს რა!“

მარბილი სტეხდა თოვლს სიწყნარეში, —
მოხუცნი დუმდენ, — ენა შეეკრათ,
თითქოს რაღაცის აფრთხობდა შიში...

სოფელში კიდევ არ შესულან ჯერ,
ახლოს კი არის, — მოსჩანა შუქი.
და დედაბერი ისაბავს პირჯვარს, —
ცხენი გაუხტა განზე მსუბუქად...

თავზე უქუდოთ და ფეხშიშველი,
ხელში რომ ჯოხი ეჭირა გრძელი,
წინ შეეგებათ მოულოდნელად
პაბოში მათი ნაცნობი ძველი.

ის ზედატანით ქალის კაბისა
ჭფარავდა ვერიგს აელარუნებულს,
იუროდიემა წვერი, ჯოხისა
დაკრა ხმელ მიწას მთლად გაყინებულს;

შემდეგ იბღაველა გულაძოსკენილად,
ამოიოხრა და სთქვა:

„ეხ რაა!

ის თქვენთვის ხომ ბევრს შრომობდა წინაღ,
პა თქვენი ჯერიც დამდგარა ეხლა!

დედამ შვილს კუბო უყიდა ფიცრის,
მას გაუთხარა მამამ საძარე,
მეუღლემ ტილო შეჰკერა სუდრის, —
სამუშაო გხვდათ სულ ყველას ბარემ!..“

ისევ აბღაველდა — უმიზნო გზები
ბოთემ განაგრძო თავისი კვლად;
აქალონებლად ეღერდენ ჯაჭვები,
წვივები ძონძებს ვერ დაემალათ...

8

ხუფი კარებთან დატოვეს გარეთ,
მაშა და გრიშა გაყინებული
კარის მეზობელს ღამით წაჰგვარეს
და იწყეს მორთვა მიცვალებულის.

აუჩქარებლად, დინჯათ და მკაცრათ
იქ კეთდებოდა საქმე მწუხარე:
ზედმეტნი სიტყვა არა უთქვამთ რა,
და არც ცრემლები არა ჩნდა გარედ.

სძინავს დამაშვრალს შრომით და ჯაფით!
სძინავს, სწვევია ძილი მარადის!
მწოლარეს ფიქვის თეთრ მაგიდაზე
აღარ აწუხებს ზრუნვა და დარდი.

წევს უმოძრაო და წარბშეკრული
თავით უნთია წმინდა სანთლები,
აკვია ტილოს ხალათი სრული
და ქალამნები სუფთა, ახლები.

დაკოჭრებული დიდი ხელები,
რომ ბევრი ჯაფა უნახავს ძნელი,
დამშვიდებული ღამაში სახე
და ხელებამდე წვერები გრძელი...





ეროვნული
პენსიონატი

სანამდი რთავდენ მიცვალეხელსა,
არ ამქლავენებდენ სიტყვებით სევდას,
მაგრამ საწყლები ერიდებოდნენ
ერთმანეთისთვის თვალში შეხედვას.

ახლა კი, როცა საქმე გათავდა,
არ საჭიროებს მალევას ნაღველი,
და რაც კი მდუმართ გულს უხუთავდათ
გადმოიღვარა ვით დიდი ღელე

ქარ-ბუქი კი არ ჰყევს გამძაფრებით,
არც მატარებლის ისმის რახრახი, —
პროკლეს სტირიან ჭირისუფლები,
ზარით აბლავლდა მთელი ოჯახი:

„შენ ჩვენო მტრედო ლურჯფრთებიანო!
საით გაფრინდი! რატომ დაგვეოვე!
თვალ-ტანადობით, მზნეობით, ღონით
სოფელში შენს ტოლს სხვას ვინლა ჰპოებს?“

„მშობლებისათვის იყავ განმზრახი,
ყანაში იყავ მშროშელი მარდი,
სტუმრისთვის ღია გქონდა ოჯახი,
წერილი ცოლშვილიც გულით გიყვარდა...“

„რად დასთმე ასე მალე ქვეყანა?
ჩვენო იმედო რად გაგვამწარე?
რად მიგვატოვე ასე უდროვოდ,
შენ ცივ სამარეს რად ჩაებარე?“

„წადი და ჩვენ კი აქ მიგვატოვე,
მტირალ ობლებათ, ქვეყნად დაგვეარე;
ჩვენ წმინდა წყალით პირს ვერ დაეიბანთ,
უხდა ვიბანოთ ცრემლების ღვარით.“

„დედაბერს შენი დარდები მოჰკლავს,
მამის ღღეებიც არის დათვლილი.
ღიასახლისიც უჭმროდ იმას ჰგავს: —
არყის ხე იდგეს თავგადაჭრილი.“

„არც გეცოდება შენ ის საწყალი,
ბავშვებისათვის არ გტკივა გული?
„ო, თვალის ჩინო, დასძარ ხელები,
და მოიყვანე კვლავ ჭირნახული!



ო, თვალის ჩინო, დასძარ ხელები,
შავარდნის მზერა გვესროლე შენი,
გადააჭანე ხუჭუჭი თმები
და შაჭრის ბაგე ტკბილად გახსენი!

„სიხარულისგან მოვიმზადებდით
თაფლსა და ბურახს, ლხინს გაემართავდით,
სუფრის თავშიაც შენ დაგაუენდით, —
„შენ გენაცვალე, მოდი დაბრუნდი!“

„და ჩვენ კი თავზე დაგადგებოდით —
დამარჩინელო, იმედო ჩვენო!
თვალეებს შენ აღარ მოგაშორებდით
და მივაპყრობდით შენს სიტყვეს სმენას...“

10

მოთქმა-ტირილის ხმაზე თანდათან
იქ მეზობლების კრებოდა ჯარი;
ჩამოჭნილ სანთლებს დასდებდენ ხატთან,
მოწიწებულად მას სცემდენ თავყვანს
და ბრუნდებოდენ სახლებში წყნარად.

ენაცვლებოდენ იმათ კვლავ სხეები;
მაგრამ დაღამდა, წავიდა ხალხი,
ვახშმად ჯდებიან ჭირისუფლები, —
კოტა კომბოსტო, პური, ბურახი.

ბებერი კაცი თავს არ უდებდა
ამაო წუხილს, ვაებას გულის:
თავის ჭალამანს უჩხრიკინებდა
სანათთან ახლოს მიფართხებული.

ისევ ოხრავდა, ოხვრით მალალით,
ღუმელზე მწოლი მოხუცი დედა, —



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დარია კი, ქვრივი ახალი,
წავიდა თავის ბაჭშვებს მიხედა.

მთელ ღამეს იდგა მეტიბიკონე
ლოცვების კითხვად, სანთლების წინა,
მას ბანს აძლედა ღუმელს იქიდან,
ჯულშემზარავი სტვენით ჭრიჭინა.

11

მძაფრად ღმუოდა იმ დღეს ქარ-ბუჭი,
ფანჯრებში თოვლის ფიფქებს პყრიდა ის, —
შემე უხალისოდ ისროლა შუჭი,
მოწმემ მწუხარე სანახაობის.

მარხილში ება უკვე სავრასკა,
ჭიშკართან იდგა ყურჩამოყრილი,
მიცვალებული გამოასვენეს
ჩუმად: არც სიტყვა და არც ტირილი.

აბა სავრასკა გასწიე, მიდი!
ღვედები მაგრად დასკიმე ბარემ.
შენ პატრონს შენ ხომ მუდამ შეელოდი,
უკანასკნელად დღეს მოეხმარე!

უცხო სოფელში გიყიდა კვიცი
ძუძუმწოვარა მან საგანგებოდ,
გიარა, გზარდა და გამოდექი
ცხენი მაგარი და სანაქებო.

ამრავლებდი პურს ზამთრისთენა,
პატრონთან ერთად იყავ შშრომელი,
ბალახით, თივით იკვებებოდი
და ჯანიანი იყავ ტანმრთელი.

რომ მორჩებოდით შინ მუშაობას,
თოვლის მოსელისას, ჩაზამთრებაზე,
შენი პატრონი ტოვებდა კერას,
და მიდიოდით საქირაოზე.

შენ იქაც ბევრი გხვდებოდა ჯაფა —
შენ გადაგქონდა მძიმე ტვირთები,

იყო შემთხვევა — სასტიკ ქარ-ბუქში,
დაგებნეოდით მოღლილებს გზები.



აჩნია მაგ შენ ჩავარდნილ ფერდებს
ზოლები — მათარას რომ ვცემდენ ბევრსა,
სამაგიეროდ დასვენებისას
პატრონი უხეად გაკმევედა ქერსა.

გინახავს ბევრი იანვრის ღამე
როცა საზარლად ღმუოდა ქარი,
და ცეცხლის მსგავსად ანთებდა თვალებს
მშვიერი მგელი ჯაგნარში მდგარი.

გაიყინები, გამოიარ შიშს,
ხედავ — გადარჩი ისევ ცოცხალი!
მაგრამ შენს პატრონს უმუხთლა ბედმა —
ვერ გაუმკლავდა ზამთარს საწყალი!..

12

შეგმთხვა ერთხელ ყიამეთ დარში,
ღრმა თოვლში ურმით მას გაჩერება,
შემდეგ სამი დღე გზაში იყო და
მას შეეყარა ციებ-ცხელება.

ვანსვენებული მიიჩქაროდა
პატრონთან ტვირთის ადრე მიტანას,
ჩააბარა და დაბრუნდა სახლში —
ანთება სწავდა, ხმაც ჩაუწყდა მას.

ცხარ თითისტარით შელოცვილ წყალსა
უნდომს აშხურებს მოხუცი დედა.
მერე უკეთებს ცხელ აბაზანას,
მაგრამ არ იქნა — ვერ მოიხედა!

სოფლის მკითხავენს მათ დაუძახეს —
ასმევენ წაშლებს ნელი ლოცვითა...
არა, არ შეელის... კელავ გაატარეს
ცხენის ხამუტში იგი სამგზითა...



„ავადმყოფს ძელები რომ დაუბეგვოს
 კარგი იქნება დათვის ქვეშ დაღება!“ —
 იქ დამსწრე ფეხზე მოვაჭრე თელომ
 შემოიტანა წინადადება.

მაგრამ დარიამ უნდომის ცოლმა
 მრჩეველი ახლოს არ გაიკარა,
 გულში მას სხვა რამ გადაეწყვიტა, —
 და ლამიანად ის გაიპარა
 ერთ-ერთ შორეულ მონასტრისაკენ
 (განელო მანძილი მან ვერსტი ათი)
 სადაც დედაკაცს ეგულვებოდა
 სახელგანთქმული მკურნალი ხატი.

დაბრუნდა სახლში იგი იმ ხატით, —
 და ქმარს მოუსწრო
 მხოლოდ სულთ მებრძოლს, —
 იწვა მორთული, ნაზიარები;
 ამოიკენესა რომ შეხედა კოღს
 და მოკვდა...

13

...აბა საერასკა მიდი,
 მაგრად დასკიმე ღვედები ბარემ,
 შენ ხომ შენს პატრიას მუდამ შევლოდი,
 უკანასკნელად დღეს მოეხმარე!

ჩუ! გესმის, ორჯერ შემოჰკრეს ზარებს.
 გასწი!.. იქ უკვე იცდიან ღვდლები...
 წინ მიუძლოდა კუბოს დედ-მამა —
 მწუხარე წყვილი შესაბრალები.

კუბოსთან ახლოს ისხდენ ბავშვები,
 ვერც ერთს ქვითინი ვერ გაებედა;
 უძღვებოდა და მართავდა მარხილს,
 ღვედებით ხელში იმათი დედა.

საწყალს თვალები მთლად ჩასცვივნოდა
 და ჩატეტილი ლოყები მისი,

ფერდაკარგული სითეთრით ჰგავდა
სამგლოვიარო ცახოცს მიტკლისა.



დარიას შემდეგ, კუბოს გამყოლებს,
დაინახადით ახლო მეზობლებს.

ლაპარაკობდნენ:

„ცუდი დრო ელის

საწყალი პროკლის დარჩენილ ობლებს!“

„დარიას ბევრი ჯაფა შეხვდება,
მოელის მწარე, შავი დღეები,
შემწე, შემცოდე არ ეყოლება!“ —
ასე მსჯელობდნენ იქ მეზობლები.

▼ 4

ვით წესი იყო პროკლე დამარხეს,
მის კუბოს მიწა გადააყარეს,
იტირეს, ცხარე ცრემლები ღვარეს,
მიცვალებული უხვად შეაქტეს.
და ჭირისუფლებს უსამძიმარეს.

თვითონ ნაცვალი სიღონ ივანიჩ
ასე ამბობდა ხმადაბლა მოთქმით:
„აღინე პროკლე სევასტიანიჩ!
კაცილი იყავ მუდამ მომთმენი.

ცხოვრობდი შშვიდად ამ ქვეყანაზე
და ხელს გიწყობდა ღმერთი მალალა —
იხდიდი მეფის ხარკს შენ ვადაზე,
მებატონესაც აძლევდი ღალას!“

და რომ დახარჯა მჭერმეტყველება,
პატივცემული გლეხი აკვნესდა:
„აი ეს არის ჩვენი ცხოვრება!..“
კვლავ დაუმატა მან ჩვეულ წესად.

„წაიქცა... ეჰა, რა ჯანმაგარი!..
წაიქცა — ჩვენაც ეს ბედი გველის!..“
გამოისახეს ისევ პირუფარი
და დაიშალნენ სახლებში ყველა.

მალალი, ხმელი, გათეთრებული,
 უქულოთ, უტყვად, უძრავად მდგარი,
 უცქერდა პაპა დაბერებული
 მშობლიურ საფლავს, სევდით გულმკედარი.



შემდეგ მოხუცმა თეთრწვერიანმა
 მოიხარა და აიღო ხარი,
 საფლავის მიწა შეალამაზა,
 — დედაბერი კვლავ მოსთქვამდა ხარით.

სასაფლაოდან დაბრუნებულნი
 თავის სოფელში რომ შედიოდნენ:
 „შეხედეთ ბებრებს, დამწუხრებულნი,
 ჰგვანან დამთვრალებს!“ — გლენხნი ამბობდნენ.

15

დარია სახლში დაბრუნებულა —
 რომ ბავშვით აჭამოს და მიილაგოს.
 ეჰ, ქოხი როგორ გაყინებულა,
 საჩქაროდ ცეცხლი სურს გააჩალოს.

ხედავს — არც ერთი ნაპობი შეშა.
 დედას ნალველით გული ევსება;
 მას მიტოვება უმძიმეს ბავშვების,
 უნდოდა მათი მიაღერებდა.

ბაღნი მეზობელს მიჰგვარა ქერივმა,
 დრომ არ აცალა ალერსი მათი,
 ტყეში შეშისთვის ის ვაემგზავრა
 იმავ მარხილით და საერასკათი.

ნაწილი მეორე

16

ყინავს. მიდამო დაუფარავს თოვლს.
 წინ მარტოოდნ ტყე მოსჩანს შავი,
 საერასკა ისევ ხინხილს განაგრძობს,
 სიცალიერგ...
 არ ჩანს არაფერი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა სიწყნარეა, ყურს როგორ ხედება
როცა სოფლიდან ღარღილი ისმის
მარხილის ფერსო ზის ძირს ედება
ექახუნება, წივის, გულს გიღრღნის.

იოგელივ გახედვის არაა ძალა, —
აღმასის მსგავსად ბრწყინავს მიდამო.
დარჩას ცრემლით აევსო თვალი —
აცრემლდა იგი აღმათ მზის გამო...

17.

ველად სიწყნარე იყო, მაგრამ ტყე
უფრო წყნარია, უფრო ნათელი.
შიგნით და შიგნით მალალ ხეების
ჩრდილი ეცემა თანდათან გრძელი.

ხეები, მზე და გრძელი ჩრდილები.
და სასაფლაოს მკვდრული სიწყნარე...
მაგრამ — ჩუ! ისმის ქვითინის ხმები,
გულშემზარავი ბლავილი მწარე.

დაემორჩილა დარია ნალველს
და ტყე გულგრილი მოწმე ხდებოდა,
როგორ მოედო მწარე მოთქმა ველს,
ვით კანკალებდა ხმა და წყდებოდა.

და მზე კი, რგვალი და უსულგულო,
ვით ბებერ ჭოტის ყვითელი თვალი,
გულგრილად სჭერეტდა მალალი ციდან
როგორ ტიროდა ქვრივი საწყალი.

ბედშავ გლეხქალის სულს რაოდენი
დასწყდა სიმები, ვაება-ხვნეშით,
ის სამუდამოდ დარჩა ფარული
იმ მიყრუებულ უკაცურ ტყეში.

უდიდეს სევდა-ნალველს ქვრივისა —
ნორჩი და წვრილი ობლების დედის,
ისმენდენ ლალი ტყის ფრინველები,
მაგრამ ხალხს აღარ გაუგია ის...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა, საყვირით ძაღლს კი არ უხმობს
ტლუ მონადირე ატეხილ ტყეში, —
ტირილს რომ მორჩა საწყალი ქერივი,
სჭრისა და აპობს, ამზადებს შეშას.

და გამზადებულს მარხილზე აწყობს —
ეჰ, დაიტვირთოს ნეტავი მალე,
ფიქრში წასული თვით ვერც კი ატყობს,
რომ გამუდმებით ცრემლებს ღვრის თვალი:

ზოგი წამწამებს უცებ მოწყდება,
პირდაპირ თოვლზე ეცემა მოწყვედ,
დედამიწამდე იგი ჩასწვდება
და სიმხურვალით ორმოს ამოსწვავს.

სხვა დაეცემა ხეზე, ნაფოტზე,
და დაინახავ — ვით უცხო თვალი,
იგი უეცრად გაიყინება,
გახდება მკერივი, თეთრი და მრგვალი.

ზოგიც კი თვალში აბრქყვიალდება,
ლაწვზე ჩამორბის მსგავსად ისარის,
მასში მზის სხივი განავარდდება...
ღარია საქმეს მორჩეს იჩქარის.

სჭრის გამუდმებით ირ გრძნობს სიცივეს,
არ გრძნობს ფეხები რომ ეყინება,
ის თავის ქმარზე ფიქრობს მუდმივად,
იმას ეძახის, ესაუბრება...

19

„გენაცვა! იმ ჩვენს ლამაზ გოგონას,
გამოზაფხულზე, სამაიაში,
ტოლები, ნორჩი ვოგოცუნები,
მოეხვევიან მაშას თამაშით.

„ასწევენ ხელით,
ტკბილი სიმღერით,
ყაყაჩოს წითელს

მას შეარქმევენ,
 შეისროლიან
 და შეარხვევენ!..



„ყაყაჩოს ფერად მაშინ,
 მთლად გაწითლდება მაშა;
 ლურჯი თვალებით და ქერა თმებით.

„დაიწყებს სიცილს
 და ფეხის ცემას...
 გაბარებულნი
 ჩვენ შევბედავთ მას;
 მივუალერსებთ,
 მოვეფერებით,
 ბედნიერები
 მაშინ ვიქნებით!..

20

„მოკვდი... დატოვე შენ ეს ქვეყანა,
 მოკვდი, მიწაში ხარ დამარხული!
 ყველას ახარებს, ყველას შენს გარდა,
 სხივ-მოისარი მზე გაზაფხულის.

„მზემ ყველაფერი გამოაცოცხლა,
 ქვეყნის სიკეთე გამოჩნდა ვრცელი,
 ყამირს მოუნდა ეხლა გუთანი,
 მინდვრის ბალახებს მოუნდა ცელი.

„ადრე ავდექი შევბედიანი,
 არც სახლში ვსჭამე, არც თან მქონდა რა,
 სალამომდისინ ყამირი ეხანი,
 ლამით მე თმები დავივარცხნე და
 სათიბლად წაველ მეორე დილით...

„აბა დადექით მაგრად ფეხებო!
 ნუ შეიზარებთ შრომას ხელებო!
 მომებმარევით ბედშავს მარტოხელს!
 „მინდვრად უტოლოდ მომეწყინება,
 იქ მარტო ყოფნა ძნელი იქნება.
 და მე მეგობარს დავეუწყებ ძახილს:



ქართული
ნიგელიტიკა

„კარგათ დამიხნავს ყამირი ვანა?
მოდი გეთაყვა, აბა გახედე!
ძნები თივისა კარგად თუ ღვანან?..“

„მე ვისვენებდი ფოცხზე, დალილი,
მთელ ამ თიბვის დროს არ მქონდა ძილი.“

ჩემი ნაშრომი ვინ შეაფასოს!
ვინ მყავს დედაკაცს რომ მიწინამძღვროს!..
„დრო დადგა, მინდვრად გადის ნახირი,
დაისხა ჭვავმა თავთავი ხშირი.“

ღმერთმა გვაჩუქა ჩვენ მოსაველი,
კაცს გულზე სწვდობა დღეს პურის ჩალა.
ღმერთმა გვაჩუქა ჩვენ მოსაველი!
მაგრამ სიცოცხლე შენ ჯრ გაცალა, —
მარტოხელს დამრჩა საქმე მრავალი...“

„კოლო ზუზუნებს და იკბინება,
სიცხე გვაწუხებს და გვკლავს წყურვილი.
მზემ რკინის ცელი გააელვარა,
თვალსაც გვიცრემლებს მზე დალოცვილი.“

გვიცხუნებს სხივი თავზე და მხრებზე,
დაგვწვა უწყალოდ ფეხი და ხელი,
ჯეჯილიც ისე გახურებულა,
თითქოს შიგ ენთოს დიდი ღუმელი.“

ზურგი აგვეწვა მუდამ მოხრილი,
აგვეტივდა ფეხი — ჯაფა გვაქვს ძნელი, —
თვალის ქუთუთოს ირგვლივ მოსჩანან
მკრთალი ხაზები წითელ-ყვითელი.“

აბა სასწრაფოდ მომკე ხომ ზედაც
მწიფე თავთავებს სცვივა მარცვლები...
გვერდით რომ მედგე ყანების მომკას
უფრო კარგად და სწრაფად შევსძლებდით...“



„ცხადათ ამიხდა ჩემი სიზმარი,
 უცხო სიზმარი ღამით ნახული:
 მინდორში ვწევარ, — არავეინ არი,
 ნაშუადღევია არის ზაფხული.

ვხედავ ჩემს ირგვლივ მე შემოჯარულს
 ურიცხვ, უამრავ ავსულთაძალებს,
 მემუქრებიან ხელების ქნევით,
 მიბრიალებენ მრისხანე თვალებს.

მინდოდა სადმე გავქცეულიყავ —
 ფეხს ველარ ვიცელი — ვარ შებორკილი...
 მერე: მიშველეთ! დავიწყე ხვეწნა,
 თავგანწირულად მოვრთე კივილი.

„უეცრად მიწა ირყევა ვხედავ —
 პირველად ჩემთან მოირბენს დედა,
 ისმის ბალახთა შრიალის ხმები —
 მომაშურებენ მშობელს ბავშვები.

თუ ქარი არ ჰქრის, წისქვილის ფრთები
 არ ფრიალებენ ისე სისწრაფით:
 ძმამ მოირბინა მარდი ფეხებით
 და მამამთილიც მოდის ლასლასით.

ყველა აქ არის, ყველა მოგროვდა,
 მხოლოდ გულის ტოლს ვერ ხედავს თვალი...
 მხოლოდ ის ერთი აღარ მოვიდა, —
 ვყვირი, ვეძახი რაც შემწევს ძალი:

„ხედავ ჩემს ირგვლივ რა ამბავი აქვთ
 ურიცხვ, უამრავ ავსულთა ძალებს?
 როგორ აღმართეს ჩემზე ხელები, —
 მიბრიალებენ მრისხანე თვალებს.
 რად არ მოდიხარ, არ მეშველები?..

„უცებ მე ირგვლივ მოვაველე თვალი —
 ღმერთო! სად გაჰქრა იმათი კვალი?
 ეპ, ეს ჩემ თავზე ნეტა რა არი?
 არავეითარი არა სჩანს ჯარი!

„ირგვლივ აქ ხალხი არაა უნდო;
და არც თათრების ბოროტი ურდო.
ეს მხოლოდ პურის თაუთავებია,
მარცვლებით თავი დაამძიმებიათ,
და ჩემთან ბრძოლის გამართვა უნდათ.



„მიტევენ რხევით, შრიალ-შრიალით,
მიფხაჭუნებენ ლოყაზე, ხელზე,
ჩალებს ცელის ქვეშ თვით ხრიან ძალათ, —
მათ აღარ უნდათ კვლავ დგომა ფეხზე!

„მკას შევეუდექი მე აჩქარებით,
ემკი და ჩემს ტიტველ კისერს მალმალე
ეცემა მწიფე, მძიმე მარცვლები —
თითქოს კოხის ქვეშ ვიდგე ტიალად!

უნდა ვისწრაფოთ, თორემ ამ ღამით
მთლად ჩამოსცივია ჩვენს პურს მარცვლები...
სადა ხარ პროკლე სევესტიანიჩ?
გეთაყვა, რატომ არ შეშველები?..

ცხადად ამიხდა ჩემი სიზმარი
შეაში აწ ვინლა მომეხმარება!
„არ მეყოლებს ახლოს ერთგული,
მარტო მოეუჭერ ძნას პაგარ ულოს
ჭერივი უბედო, აცრემლებული!

— ხომ მარგალიტის არაა თვალი
ცრემლები საწყალ ქერივის ბედ-მწარის?
მაშ ის რად უნდა ღმერთს აგრე რიგათ,
ასე ძვირფასი მისთვის რად არის?..

23

„ოჰ, რა გრძელია ღამე ზამთრისა,
გულს უსაყვარლოდ მოეწყინება:
უნდა გავერთო ტილოს ქსოვაში
იქნებ შეჩერდეს ცრემლთა დინება.

„ხელსწრაფი შრომით მოვქსოვ ბევრ ტილოს,
გამოვა სუფრა, კარგი კუმაში,

გამხარებელი მთელი ოჯახის
წამოიზრდება ის ჩვენი ვაჟი.



იმის ცოლობას გულით ისურვებს
ჩვენს მიდამოში ყოველი ქალი,
რომ სასძლო კარგი ამოგვიჩიოს
სანდო მოენახოთ ჩვენ მაქანკალი...

თვით დავუვარცხნე ჩვენს გრიშას თმები,
ბიჭია მსგავსი რძისა და ღვინის,
რძე და ღვინოს ჰგავს პატარძალიცა...
მოდი, დალოცე მათი გვირგვინი!..

„ამ დღეს ველოდით ვით დღესასწაულს,
ხომ გახსოვს ფეხს რომ იდგამდა გრიშა, —
ჩვენ მთელი ღამე მასზე ვმსჯელობდით
თუ როგორ ჭორწილს ვადევნდით პირმშოს.
„ჭორწილისათვის ფულს ვაგროვებდით...
აჰა, ამ დღესაც მოვესწართ ღმერთით!

„ჩუ! ისმის დოლი გამხარებელი,
დაბრუნებულა მატარებელი;
შესაგებებლად გამოდი გარეთ:
მზე — პატარძალი და სიძე — მთვარე!
ნეფე-დედოფალს შენ შეეყარე,
პურის მარცვლები გადააყარე!..

„ცხვრის ფარა ტყეში დაეხეტება,
მწყემს აუხდია ქერქები ხისა;
მგელმა დაიწყო თვალის ფეთება:
ნეტავ ცხვარს იგი მოსტაცებ ვისა?

„შავი ღრუბელი, სქელი ვეება,
სწორედ ჩვენ სოფელის თავზე ეშვება,
ჰა, სადაც არის მეხი გასქდება,
ნეტავი იგი ვის სახლს მოხვდება?

ხალხში გავრცელდა ხმა საშინელი,
ჩვენს ახალგაზრდებს ცუდი დღე ელით, —
მათ გაიწვევენ სულ მალე ჯარში.

„ჩვენი გრიშა ხომ მარტოხელია,
ოჯახს მოშორდეს მისთვის ძნელია,
მაგრამ ნაცვალი ჩვენი მტერია —
იტყვის:

„კანონში ასე სწერია!“
„უნდა წააგოს უბრალოდ თავი,
ადექი, შეილი შენ დაიცავი!

„ჰე, შეილს შენ ველარ ექომაგები!..
დაკრებილი გაქვს გულზე ხელები,
დახუჭული გაქვს უკვე თვალები,
ჰე, საცოდავნი ვართ ჩვენ ობლები!..

25

„ღვთის მშობელს განა არ ვევედრე მე?
ზარმაცი, ზანტი, ვიყავი განა?
— არ შემეშინა: წავედი ლამე
ხატი ძლიერი რომ მომეტანა.

„სტვენს ქარაშოტი, ხვეტს თოვლის ზვინებს,
მეფობს წყვედიადი — არა ჩანს მთვარე,
შეხედავ ზეცას — ღრუბლით გამოდის
სანახაობა კუბოს მაგვარი...

„განა მე მისივეის არა ვზრუნავდი?
სხვა ვინლა მყავდა ქვეყნად მის გარდა!
სიტყვით თქმასაც კი ვერ ვუბედავდი
თუ რა ძლიერი გრძნობით მიყვარდა!
ვარსკვლავნი მორთვენ
კვლავ კაბადონს ცის,
გაანათებენ
ისინი ჩვენთვის?..

„აგერ ბუჩქიდან მოხტის კურდღელი,
კურდღელო შესდექ, შესდექ ძვირფასო,
არ გადამიჭრა გზა, არ დამნავსო?

„შადლი ღმერთს! ტყისკენ
მიდის კურდღელი...
შიშს კვლავ ამჩაველეს
შუალამე ბნელი.



მესმის ჩოჩოლო
 ავი სულების,
 ლმუიან ტყეში
 გამოსულები.



„ავ სულებს ჩემთათ
 რა აქვთ საერთო!
 დამიცევ ღმერთო!
 „მე მესმის ყურში ცხენთა ხრამუნნი,
 მესმის თუ როგორ ცმუიან მგლები,
 ვგრძნობ გამოუღდგენ ჩემს კვალს მღვერები,—

„მხეცო შენ მე ნუ დამეტაკები!
 კაცო ბოროტო ნუ შემეხები, —
 ნაოფლარია ჩვენი გროშები!

„მთელი ზაფხული ის მუშაობდა,
 ზამთარშიც ბაღებს არ სჩვენებია,
 მე მთელ ღამობით მასზე ვფიქრობდი
 და ფიქრში გართულს არ მძინებია.

„გზაშია იგი და იყინება...
 და მე კი ამ დროს ვზივარ ბეჩავი
 და თეთრ ბამბის ძაფს ესთავ ნება-ნება, —
 და ვით მისი გზა სავალი ჯაფით,
 სუფთად ნაგრები გრძელდება ძაფი.

„გააქვს ბზრიალი მსუბუქ კვირტავს,
 ბრუნავს, უხტება, ეგ თითისტარი, —
 პროკლე ღრანტეში პირჯვარს ისახავს,
 აღმართში ტვირთი თვით მიაქვს მხარით.

„ასე ვწრომობდით ზამთარ-ზაფხული
 და შევაგროვეთ ჩვენ ჭირნახული!

„ღმერთო მოხედე გლებს გაქირვებულს,
 შემბრალებელი შენი თვალებით!
 „შენთვის არ ვშურავთ საქონელს და ფულს!..

„გზაპირის მივდევდი
ტყეში ვიყავი.

ჰა, ტყეც დასრულდა.

ოქროს ვარსკვლავი
ტახჯვა-წვალეებით!..

შეენიშნე დილით
ცაზე გაცურდა, —

უცებ ის მოსწყდა
და ძირს დაეცა...

მას შეუბერა უფალმა სული,

მე გამეჭანა შიშისგან გული...

მე ვიგონებდი სულგანაბული,

თუ რა ფიქრებში მაშინ ვიყავი,

როცა ცას მოსწყდა ოქროს ვარსკვლავი?

რომ გამახსენდა — ვერ დაესძარ ფეხი.

მინდა წინ წასვლა, არ მყოფნის ძალი:

— მაშინ ვფიქრობდი ალბათ მე პროკლე

აღარ დამავდება სახლში ცოცხალი...

„არა გვიშველის ჩვენ ღვთისმშობელი!

მოარჩენს ხატი ცხოველმყოფელი!

და წიშ ვავსწიე ჩქარა სირბილით...

ვამოვისახე პირჯვარი ფრთხილად.

„მასში ძალაა სასწაულქმედი,

ღმერთი დიდია და გამკითხავი...

წმინდა ადგილთან უკვე მოვედი!

და აჰა, ჩემი ლანდი ლიბრედი,

მონასტრის ბჭეებს ეხება თავით.

თაყვანი ვეცი, დაეხარე თავი,

დავიჩოქე და — ვხედავ წვეთული,

მონასტრის ჯვარზე დამჯდარა ყვავი, —

ამიკანკალდა მე ისევ გული!

„ღიღბანს მომიხდა მე იქ ლოდინი —

ასაფლავებდენ იმ დღეს ისინი

მონაზვნის ცხედარს.



„მე უკვე დამხვდა წირვა დამდგარი,
 ვხედავ მონაზვნებს — დადიან წყნარად,
 მორთულნი შავი ანაფორებით,
 მხოლოდ მკვდარი კი იყო თეთრებში:



წევს უშფოთველად, გულდამშვიდებით,
 იცის მოხვედბა იგი ედემში!
 მიეუახლოვდი ცხედარს უღირსი,
 დაეკოცნე თეთრი ხელები მისი!

„მე ვუცქეროდი დიდხანს მის სახეს:
 ყველაზე ნორჩი, ლალ-მარგალიტი,
 ის დებთა შორის ისე მოსჩანდა
 როგორც უბრალო მტრედებში გვრიტი.

„ხელში აქვს გეშრის კრიალოსანი,
 თავით გვირგვინი უდევს ლამაზი,
 კუმო მორთული არის ძაძებით —
 ანგელოზსა ჰგავს, მშვიდი და ნაზი.

„ჩემო ლამაზო, შენ შემავედრე
 მალალ მეუფეს კუთხეულ პირით,
 ნუ დაგვყრის ოხრად ქერივსა და ობლებს, —
 მოიღოს მადლი გვაშოროს ჭირი!...

საფლავამდე კუმო
 წაასვენეს ხელით
 და დამარხეს იგი
 ტკბილ საგალობელით.

28

„დაიძრა ხატი, წმინდა, ძლიერი,
 ის გააცილეს დებმა სიმღერით,

კრძალვით ემთხვია კაცი ყოველი.
 ხატს პატივს სცემდა დიდი, პატარა,
 საქმე ერთთავად ყველამ დაჰყარა,
 შიაცილებდა მთელი სოფელი.

„განსაკურნად სნეულთ
 ახვედრებდენ გარეთ...
 ვიცი დედალეთისავ
 შენ ბევრს მოეხმარე,
 შენი მეოხებით
 ბევრს მოეშვა გულზე...
 მხოლოდ ჩვენთვის ცრემლი
 'შენ არ შეგიშრია!..



ღმერთო! მე რამდენი
 'შეშა დამიჭრია!
 არც კი დაეტევა
 მთლად ამ საბარგულზე“...

29

დამზადებული შეშებით ქვრივმა
 კარგად დატვირთა თავის მარზილი,
 ცხენს გაუსწორა მოსართავეები
 და წასასვლელად დგას გამზადილი.

მაგრამ უცრად ისევ დაფიქრდა,
 მაშინაღწერად აიღო ცული,
 და გულამოსკენილ მოთქმა-ტირილით,
 ის ნაძეს მიეყრდნო მთლად მოჭანცული.

საწყალს ფეხები ძლივს იმაგრებდენ,
 გულგადაღეულს ვაით და ვიშით,
 დადგა სიჩუმე მწუხარებისა, —
 სიჩუმე მკედრული, მეტად საშიში.

იღვა ნაძვის ქვეშ ის ცოცხალ-მკვდარი,
 უცრემლო თვალი გაშტერებოდა,
 ტყე იყო მყუდროდ, როგორც სამარე —
 დღე იღვა...
 ყინვა ძლიერდებოდა.

30

ქარ-ბუქი კი არ ანცობს ბუჩქნარში,
 ლანქერი კი არ მოედო სერებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა! ეს არის რაინდი ყინვა,
თავის მამულებს ათვალთვრება.

უყურებს — კარგად თუ გადაძვარა
ქარ-ბუქმა ტყეთა გზაჭრილი ყველა?
ან ზომ არ დარჩა სადმე ნაპრალი,
ან ხერელი, ანუ მიწა შიშველი?

თუ აფუნთუშდენ ფიქვთა მწვერვალნი,
თუ ამკობთ მუხებს ორნამენტები?
მაგრად თუ შეჰკრა, თუ გააჩერა,
ხერგმა დიდი და პატარა წყლები?

ის მოაბიჯებს, ისმის ტყაცანი,
ხის ტოტებს გააქვს ლიწინ-ლიწინი,
და მის ბანჯგვლიან ხუჭუჭა წვერებს
ეთამაშება მზე და იცინის.

ჯადოქარს ყველგან ხსნილი აქვს ვხეები.
ჩუ! ის წვერთეთრი მოვიდა ახლოს,
ნაძვზე გასულა თავზე ადგას ქერივს,
პა, ლამის არის ხელები ახლოს.

ნაძვის ტორღალზე წამოსკებული
იგი განცხრომას ეძლევა შეებით,
და თან სიმღერას მღერის თავისთვის,
ტრაბახითა და თავმოწონებით:

31

„შემომხედევი ყმაწვილო ქალო,
რა ვაეკაცი ვარ რაინდი ყინვა!
არა მგონია ჩემზე ლამაზი
და ღონიერი ვაყი ნახო სხვა!

„ქარ-ბუქი, თოვლი, ნისლი ლიბრედი,
სულ ყველა ჩემი შორჩილი არის,
თუ მოვისურვე ოკეანეში
სასახლეს დაედგამ ცივი შოლარის.



„მოვიპრიანებ — ჩემს ტყეობაში
 დიდხანს ვამყოფებ წყლებს დიდზე დიდებზე,
 ხალხი ვერ შესძლებს ისეთის შექმნას
 მე რომ ხორჯისგან გავეჭიმავე ხიდებს.

„სად გუშინ ლალი მდინარე ჩქედდა
 და ზვირთს მისდევდა ახალი ზვირთი,
 დღეს ფეხოსანი გადი-გამოდის
 და საბარგულით გადააქვთ ტვირთი.

„მე მიყვარს ბნელ და ღრმა სამარეში
 მიცვალებულის დასაფლავება,
 ძარღვებში სისხლის გაძიფვა თოშით
 და თავში ტვინის მთლად გაჭევაება.
 „ზარდასაცემად ავი ჭურდისა,
 შესაშინებლად მხედრის და ცხენის,
 მე ძლიერ მიყვარს დაბინდებისას
 ავატკაცუნო კლდენი და ხენი.

„სოფლის დედაკაცო ჭინკა ჰგონიათ,
 შიშით გარბიან, მიიჩქარიან,
 მთვრალეებს, ცხენოსნებს თუ ქვეითებსა.
 მე ვაპამბულეებ და მიხარიან.

„მე გავათეთრებ სახეს უცარცოდ,
 ცხვირი გახდება ცეცხლებზე წითელი,
 წვერს შევაყინავ აღვირზე ისე,
 რომ ცულით გაჭრაც იქნება ძნელი!

„მე ვარ მდიდარი, — არ ვთელი ხაზინას,
 მაგრამ ჭონებას ჩემს არ აკლდება,
 ჩემი სამეფო მორთული არის
 ვერცხლით, აღმასით, იაგუნდებით.

შენ მოდი ჩემთან ყმაწვილო ჭალო,
 ჩემს სამეფოში იყავ დედოფლად,
 ჩვენ ჩინებულად ვილხნთ ზამთრობით
 და ზაფხულში კი დავიძინოთ ღრმად.

„მოდის ვაგათობობ მოგიალერსებ,
 ცისფერს სასახლეს მოგცემ სამყოფად“
 „— ასე მღეროდა ყინვა რაინდი
 და არე-მარე სუსხით გაროფა.“

32

— „თბილად ხარ? ხომ არ გტანჯავს სიცივე?“
 ჭალს ნაძვის ზიდან ეძახის იგი.
 — „თბილად ვარ!“ — პასუხს აძლევს მას
 თან კი იმ საწყალს გააქვს ძიგძიგი.

შალალ ნაძვიდან ყინვა რაინდი
 თანდათანობით ძირ-ძირს ეშვება,
 და უჩურჩულებს ალერსით, მშვიდათ:
 „ხომ თბილადა ხარ, ჩემო შვენებავ?!..“

„თბილად ვარ!“ — ამბობს, მაგრამ კანკალებს,
 ყინვა-რაინდი ქვრივს ეცვრის სულმთლად,
 სახეზე ზედება ქვრივს მისი სუნთქვა
 და სიახლოე მისი აწვალებს?
 მაგრამ ჰა, უკვე მოხვია ხელი.

„ხომ თბილადა ხარ? — კვლავ სიტყვა
 სტყორცნა;
 და უეცარად — პროკლად ქცეულმა —
 გულში ჩაიკრა, დაუწყო კოცნა.“

წვერთეთორმა ჯადომ დაუკოცნა მას
 ბაგე, თვალები და მერე მხრები, —
 და როგორც პროკლე ქორწილის ლხინზე,
 ტკბილი ალერსით ესაუბრება.

ისე ეამა ეს საუბარი,
 ისე მოხიბლა ჯადომ თანდათან,
 რომ ქვრივმა შვებით დახუჭა თვალი
 და გაუეარდა ცული ხელიდან.

საწყალი ქვრივის ჩატეტკილ ტუჩზე
 ღიმი თამაშობს სიამოვნების,



ქართული
ნიგლიტოქა

და წამწამებზე ჩამოჰკიდია
ნემსების მსგავსი კირხლის სხეპლები...

ურემი მოდის კრიალ-კრიალით,
უცებ იჭეთკენ შიაპყრეს თვალი:
ურემს, ნაბიჯით მოჰყვება პროკლე,
გახარებული კარგ მოსავალით.

„ — ღმერთმა გიშველოთ!
— სად არის გრიშა?“
მამამ თავისი ვაჟი იკითხა.
„ცერცეშია!“ — დედაბერმა მიუგო.

მამა ეძახის:
„პაუ, გრიშუხა!“

ზეცას შეხედა — მზე გადასულა!
მწყურია! — ამბობს. დიასახლისი
ადგა და ხელად მიურბენინა
ბურახით სავსე სუფთა სასმისი.

ამ ხანში გრიშაც გამოჩნდა უკვე,
გამოხვეული ცერცვის ნეშოში,
გეგონებოდათ ჩირგვი მორბისო,
როცა მორბოდა ის ცელქი ბოვში.

შეუღლიტინებს ბიჭუნას მამა,
მოეფერება ალერსით დედა, —
არც თუ სავრასკა ამ დროს არ თვლემდა:
ის თავის კისერს სწევდა და სწევდა.

და როგორც იქნა მისწვდა მუხუდოს
და მადიანად შეეხო კბილით,
გრიშუხას ყურსაც შეახო რბილად,
ცხენმა თავისი ლაშები თბილი...

...ჩუ! — ეს ხაცნობი ისმის სიმღერა!
რა მშვენიერი ხმით შემოსძახეს...

უკანასკნელი ნიშანი ტანჯვის
 ეხლა მოსცილდა დარჩას სახეს.

ერეკლე
 შიშველი

ფრთები შეისხა და მისი სული
 გაპყვა სიმღერას, მიფრინავს ცაში...
 ვერ შეედრება ვერრა სიმღერა,
 სიმღერას ჩვენ რომ გვესმის სიზმარში!

ჰე, ღმერთმა უწყის თუ რას გვიქადის, —
 არ შემიძლია მე გამოცნობა,
 მაგრამ ყველასთვის კი არის ცხადი,
 რომ გულს შეიპყრობს სიამის გრძნობა.

მასში სათუთი თანაგრძნობაა,
 იგი უსაზღვრო ტრფობას გვპირდება...
 ბედნიერების ტკბილი ღიმილი
 დარჩას სახეს აღარ სცილდება.

34

და რა ფასადაც არ დაჯდომოდა
 იმ ჩემს გლებს ჭალს თავდავიწყება
 რას ვეძებთ? მას ხომ ელიმებოდა;
 მაშ ეხლა იგი ნუ გვენანება.

განსასვენებელს უფრო ღრმას და ტკბილს-
 ვერ ჰპოვებთ, ვინემ წიაღში ტყისა,
 თუ მარჯვედ დგებარ და არ კანკალებ
 ხმელ სიცივეში ზამთარის ცისა.

არსად ისე ღრმად და ისე შვებით
 არ სუნთქავს ჩვენი მკერდი მოღლილი, —
 და თუ დამთავრდა ჩვენი სიცოცხლე,
 იქ გვიჯობს ვპოვოთ მარადი ძილი!

35

არსაიდან ხმა! ადამიანი
 კვდება. არც დარდი და აღარც ვნება.
 უცქერი და გრძნობ როგორ იმონებს
 სიკვდილის ხელი და მყუდროება.



თანდათანობით ის იყინება,
 თოშით მოსილი დგას უბედური,
 ზაფხულის სიციხე მას ეზმანება —
 შემოსულია ახალი პერი.

შეას უკვე მორჩენ — ახარებს დიდათ,
 გლებება ურმებით გადააქვს ძნები,
 ჩენი დარია კარტოფილს თხრის და
 ხეავები ჰყრია ვით რიყის ქვები.

და დედამთილიც შრომობს მის გვერდით, —
 ლამაზ გოგონას პატარა მაშოს
 დაუჭერია ხელში სტაფილო,
 ცელქობს კუდრაქა, ხტის და თამაშობს.

არსაიდან ხმა! და ხედავ ლურჯ ფერს
 ზეცის კაბადონს, ტყეებს და მზესა,
 მჭრქალ — ვერცხლის თრთოლევით, აღმას კირხლებით
 მორთულ-მოკაზმულთ ულამაზესად:

რომ გამოეცნობ იღუმალებით
 გიტაცებს მაგრამ არ იწვევს ვნებას...
 მაგრამ ჰა, უცებ ისმის ხმაური,
 თრითინა აქეთ მოეჭანება.

ის ნაძვზე შეხტა, თოვლი თამაშით
 დარიას თავზე ვადმოაყარა.
 მაგრამ დარია იყო სიზმარში,
 არ იღვიძებდა უკვე, აღარა...

თარგ. ზრიგოლ ცეცხლაძისა



8. პირობა

ვაჟა-ფშაველას ფაშა-ხევსურეთი

იმ საკმაოდ მდიდარ ლიტერატურაში, რომელიც ქართულ და უცხო ენებზე ფშავე-ხევსურეთის შესახებაა გამოქვეყნებული, ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ წერილებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ; მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ თვით პოეტის შემოქმედებაშიც. ამ წერილებშიც ვაჟა-ფშაველა, უწინარეს ყოვლისა, მხატვრად რჩება; ამ გარემოებას თვით ის განსაკუთრებით აღნიშნავს იმით, რომ თავის უმთავრეს ნაშრომს — „ფშაველს და მის წუთისოფელს“, რომელიც პირველად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულის „ძველი საქართველოს“ II ტომში დაიბეჭდა 1913 წელს, ეთნოგრაფიულ მოთხრობას უწოდებს. მართლაც ეს ნამდვილი მხატვრული ნაწარმოებია, ვაჟას პროზის ერთი საუკეთესო ნიმუში, სადაც მოცემულია ფშაველის ცხოვრების გადამწყვეტი მომენტები დაქორწინებიდან გარდაცვალებამდე (მხოლოდ „შებრუნებული რიგით). სხვა წერილებიც, რომელნიც უმთავრესად „ივერიაში“ დაიბეჭდა 1896 — 1899 წლებში, უფრო მხატვრული ნარკვევის დარგს ეკუთვნის, ვიდრე წმინდა მეცნიერული კვლევა-ძიებისა. მაგრამ რადგან ვაჟა-ფშაველა წარმოშობით ფშაველი იყო და თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ფშავე-ხევსურეთში გაატარა, რადგან ის თავის სამშობლო კუთხესაც მშვენიერად იცნობდა და შეცხიერულ სკოლასაც არ იყო მოკლებული, მისი ეთნოგრაფიული წერილები რაფიელ ერისთავის, ნ. ურბნელის, დ. ხიზანაშვილის და სხვ. შრომების გვერდით საუკეთესო მასალას წარმოადგენენ რევოლუციის წინაღობის დელ ფშავე-ხევსურეთის შესასწავლად; და ამ მასალას უკვე უხვად იყენებს ჩვენი ახალგაზრდა ეთნოგრაფიული შეცხიერება*).

თანამედროვე ეთნოგრაფიის და სოციოლოგიისათვის კი რევოლუციის წინაღობის დელი ფშავე-ხევსურეთი მეტისმეტად საინტერესო ობიექტს წარმოადგენს; აქ მოცემულია ქართველი ერის უძველესი საზოგადოებრივი ფორმაცია, მაგრამ ის მოცემულია არა ეთნოგრაფიული მუ-

* იხ. ს. მაკალათია, ფშავე. ტფ. 1934. — ხევსურეთი, ტფ. 1935.

ზეუმის ექსპონატების სახით, არამედ ცოცხალ ლაბორატორიაში. აქ საჭირო არ არის სასაფლაოთა გათხრა ვაწარმოოთ, რათა საქართველოს პრეისტორიის ნაშთები აღმოვაჩინოთ. თუ კაცობრიობის პირველყოფილ-ტურის შესასწავლად ანტროპოლოგებს, ეთნოლოგებს, ლინგვისტებს და სხ. ხშირად შორეულ კონტინენტებსა და კუნძულებზე უხდებოდათ მოგზაურობა, თუ ხშირად ისინი ე. წ. ველურ და ბარბაროსულ ტომებში სახლდებოდნენ, რათა მათი ენა და ზნეჩვეულებანი, მათი მორალური და რელიგიური წარმოდგენანი შეესწავლათ, აქ სანდო მასალას გვაროვნულ და თემობრივ წესწყობილებაზე გვაწვდის მაღალნიჭიერი მწერალი, რომელიც თვით ამ წესწყობილებიდანაა გამოსული.

თავისთავად ცხადია, რომ ვაჟა-ფშაველას მიერ აღწერილ ფშავ-ხევსურეთს მარტოდენ საქართველოს უძველესი კულტურის ისტორიისთვის როდი აქვს მნიშვნელობა, როგორც სხვა საზოგადოებრივ ისტორიულ ფორმაციებს, როგორც მაგ. ფეოდალიზმს ან კაპიტალიზმს, ისე გვაროვნულ წესწყობილებასაც, გარდა ნათესაობის პრინციპისა, რომელზედაც იგი დაფუძნებულია, აქვს რამდენიმე ძირითადი დამახასიათებელი თვისება, რომელიც თითქმის ყველგან გვხვდება: ესაა თემური მიწათმფლობელობა, კლასობრივ დიფერენციაციის მეტისმეტი სისუსტე, სადათო სამართლისა და ზნეობრივ წარმოდგენათა კონსერვატიულობა, პიროვნების გათქვეფა თემში, ბოლოს ანიმიზმი, ე. ი. ბუნების ყოველი საგნის გასულიერება და „საიქაოს ცხოვრების“ წარმოდგენა, როგორც საიქაოს ცხოვრების უბრალო, უშუალო გაგრძელებისა. ყველა ეს თვისება, რასაკვირველია, ვაჟა-ფშაველას ფშავ-ხევსურეთსაც ახასიათებს მეტნაკლებად. მაგრამ რადგან ფშავ-ხევსურეთი პოლიტიკურად საქართველოს ფეოდალურ მონარქიის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა და ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ყოფილ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ის ასე თუ ისე, საუკუნეთა განმავლობაში, თავისი განკერძოებული გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, მაინც განიცდიდა უშუალოდ ბარის საქართველოდან ან ბარის საქართველოს გზით მომავალი მძლავრ კულტურულ მიმდინარეობათა ზეგავლენას: ბერძნულ-რომაული კულტურისა, მანდიანური ირანისა, ქრისტიანობისა, მაჰმადიანობისა, რუსეთის ბიუროკრატიულ იმპერიისა, ბოლოს, ყველაზე ხანგრძლივად თვით ქართული ფეოდალიზმისა. ამიტომ, ცხადია, ფშავ-ხევსურეთის გვაროვნულ წესწყობილებას თავისი დამახასიათებელი ატრიბუტებით, თემური მიწათმფლობელობით, საზოგადოებრივი დიფერენციაციის უქონლობით, სადათო სამართლითა და ანიმიზმით ჩვენამდე არ მოუღწევია შეურყვნელად: მაგრამ ანალიზის შემოწმებით ყოველთვის შეიძლება დაახლოებით მაინც გავარჩიოთ ის ელემენტები, რომელნიც ხალხის შემოქმედებითი ძალების ნაყოფს წარმოადგენენ და ის ელემენტები, რომელნიც გარედან უნდა იყვნენ შემოტანილი.

როგორც ცნობილია, არც ფშავლებსა და არც ხევსურებს „ბატონყმობის უღელი არ უტარებიათ, მათ ბოლომდე შეინარჩუნეს უფუფრე თავისუფლება, მიუხედავად იმ მძაფრი იერიშებისა, რომელმაც მათ წინააღმდეგ დროგამოშვებით ქართულ ფეოდალიზმს მიჰქონდა. მაგრამ ფშავ-ხევსურეთის თემმა, რომელმაც უკუაქცია ფეოდალიზმის იერიშები, ნაკლები წინააღმდეგობის უნარი გამოიჩინა ბურჟუაზიისა და ბიუროკრატიული სახელმწიფო შემოტევის წინააღმდეგ და რღვევის პროცესი გონივრად XIX საუკუნეში. განსაკუთრებით ფშავში გაჩნდა მსხვილი მესაჭონლეობა და ჩარჩული კაპიტალის ელემენტები, შეძლებული მეკომურები შეეცადნენ მიმძლავრებით ან მიწის აღებ-მიცემობის შემწეობით ხელთ ეგდოთ არა მარტო საუკეთესო სახნავ-სათესი, არამედ სათემო საძოვრები და ტყეებიც. მოსახლეობის ღარიბმა ნაწილმა წინააღმდეგობა გაუწია ამ პროცესს და საშოკიან-სამოცდაათიანი წლებიდან ფშავში ნაწილობრივ კიდევ შეაფერხა ის: შემოღებულ იქნა მიწის პერიოდული განაწილება, ე. წ. „წილის ყრა“. მაგრამ არსებითად ეს პალიატივი იყო, რომელიც საბოლოოდ ვერ შეაჩერებდა ფშავის ბურჟუაზიულ განვითარებას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას არ მოესწრო.

თემურ წესწყობილებას თან სდევს სოციალური ინსტიტუტების სიძლიერე, რაიცა იმაში იხატება, რომ თემის წევრები ერთმანეთს ეშველებიან როგორც მუშაობის დროს, ისე ღზინსა და ჭირში. ნადი, ოჩხარი, შესაწირავი, წასაბურავი და სხ. მთელს საქართველოში გავრცელებული მოვლენები იყო, მაგრამ როგორც ვაჟა-ფშაველას წერილებიდან სჩანს, მათ ფშავ-ხევსურეთში განსაკუთრებით ძლიერ ჰქონიათ ფესვები გადგმული. მეტისმეტად თავისებური მოვლენაა „ხალარჯობა“ — ეს სათემო გლოვა, „სადაც ერთი მრავალის მიცვალებულს ჰგლოვობს და მრავალი ერთისას“. მაგრამ ფშავ-ხევსურული ჭორწილისა და გლოვის აღწერის დროს, ვაჟა-ფშაველა მიუდგომლად გვიჩვენებს ამ სოციალური ინსტიტუტების უარყოფით მხარეებსაც, მათ გადაგვარებასაც, იმ აუტანელი ხარჯების ტვირთს, რომელსაც თემის წევრს ჭორწილი ან მიცვალებულის რიგები აკისრებს.

თუ ფშავ-ხევსურული გვარის ეკონომიურ საფუძველს სათემო მიწათმფლობელობა წარმოადგენს, მისი შემაკავშირებელი იდეოლოგიური ძალა, უწინარეს ყოვლისა, მიცვალებულთა კულტია. საერთოდ ფშავ-ხევსურების რელიგიურ რწმენას, როგორც ჭეშმით დავინახავთ, ეკლექტიზმი ახასიათებს; მაგრამ იმ თავისებური წარმართული კერპებისა, ქრისტიანული წმინდანებისა და გაღმერთებული ისტორიული პირებისაგან შემდგარ პანთეონში, რომელიც ფშაველის და ხევსურის ფანტაზიას შეუქმნია, წინაპრებს ყოველთვის საპატიო ადგილი უკავიათ. ფშავ-ხევსურული თემი მკაცრად ეგზოგამიურია: ვაქს ნება არ აქვს თავისივე თემის ქალი შეირთოს ცოლად. ამასთანავე ერთი თემიდან მეორეში გადასვლა

ფშავ-ხევსურს არ შეუძლია. მაგრამ თემი დაკეტილი არ არის, გარემო პირობების, ამ უკანასკნელს ადვილად შეუძლია თემში ჩაირიცხოს ანუ „თემს გაეფიცოს“. თემთან გაფიცვა კი ნიშნავს არა მარტო ცალკეულთა რიგებში ჩადგომას, და იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომელთაც თავის წევრს თემი აკისრებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმ წინაპართა კულტის აღიარებასაც, რომელთა მთავარი საკუთრებველი ოჯახის კერაა, ხოლო მთავარი მსხვერპლთ შეწირვა ე. წ. „სახელის შადებაში“ მდგომარეობს. კერის ცეცხლის ჩაქრობა, კერის გაციება ფშავ-ხევსურეთისაც უდიდესი უბედურებაა, ისევე როგორც ყველა იმ ერისათვის, რომელნიც წინაპართა კულტს აღიარებენ.

აღამიანის გარდაცვალება ფშავ-ხევსურის რწმენით, სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ მან სრულიად კავშირი გასწყვიტა ცოცხალ თაობებთან და საბოლოოდა გაქრა. ავადმყოფობა და სიკვდილი არის შედეგი არა ორგანიზმის ბუნებრივი დაშლისა, არამედ მასში შტრულად განწყობილი ძალების, შოქშივე გვარებიდან გამოსული და სხეულში ჩასახლებული ბოროტი სულების ზემოქმედებისა; ამიტომ მიცვალებულის გვამი უწმინდურია, მას ყველა ვერ შეეხება, მისი გაბანვა, მოვლა და დასაფლავება ე. წ. „ნარევების“ ვალდებულებაა. შეიძლება ამ შემთხვევაში საქმე გვექონდეს ზოროასტრის რელიგიის გავლენასთან. როგორც ცნობილია, „ავესტა“ სიკვდილს ხსნის როგორც სულის გაყრას სხეულთან, რომელშიც ჯოჯობეთიდან მოსული „გვამის ჭაჯი“ სახლდება, რაიცა მიცვალებულს უწმინდურად ხდის და ყველა აუწმინდურებს, ეინც მას მიუახლოვდება. ამიტომ ფშავხევსურების „ნარევების“ მსგავსად ირანელებსაც ჰყავდათ ე. წ. მიცვალებულთა მზიდავნი, რომელნიც დედამიწის გაუწმინდურების შიშით კი არ მარხავდნენ მიცვალებულთ, არამედ აკლამენტში ათავსებდნენ მათ*).

სიკვდილი ნიშნავს „სამზეოდან“ „ბნელეთში“ გადასვლას. საიქოში არსებობა თავისუფალი არ არის ხორციელი მოთხოვნისაგან, ამიტომ მიცვალებულს სჭირია ანკარა წყარო, ცეცხლი, თუთუნის, საგძალი, ხოლო განსაკუთრებით სულის ცხენი ანუ სულის ტაიზი. მას ხედებიან „მგებრები“, ე. ი. მიცვალებულთა შემხვედრნი და გზის მაჩვენებელნი, მაგზას უნათებს „მკედრის მზე“. განსაკუთრებით პირველი წლის განმავლობაში მიცვალებული კავშირს არ სწყვეტს თავის ოჯახთან, ხშირად ესტუმრება თავის სახლს, თვალყურს ადევნებს მას ხოლო დიდმარხვის მერვე კვირაში შაბათ დღეს, ე. წ. სულთა კრეფას, მიცვალებულთა სულები ერთად იკრიბებიან და სოფელს ეწვევიან. მათი შეხვედრა ამ დღეს ხდება ლუღრთ, სამარხო საქმლით, ნალევი მთვარის (ღვედლის) მსგავსად ან კიდევ ჯვარედინი და რქიანი პურებით: ეს პურები თოფისა და შვილდ-

* ხევსურთა მიცვალებულთა აკლამენტის შესახებ იხ. გ. თვედორაძე „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“, ტფილისი, 1930 წ., გვ. 75 — 76.

ისრის სანიშნოა. მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად იმართება ღაბა-
ხი და დოლი, ეს იმ ბრძოლების გაგრძელებაა, რომელთაც მიცვალებული
მტრების წინააღმდეგ ეწეოდა სააქაოს. თვით სულმობრძელებსაც კი სჭირ-
დება ხმალი, რომელსაც მას სიკვდილის წინ ხელში აძლევენ ან სიკვდი-
ლის შემდეგ გულზე ადებენ, რათა მისი შემწეობით „საიქიოში“ გზა გა-
იკვლიოს მტრულად განწყობილი გენიების წინააღმდეგ. შემდეგ მას სჭირ-
დება მრავალი რიგი — „ცრემლობა“, „სანათლობა“, „წელთავეება“, „თავ-
მოსაპარსიო“, „პირის ახსნა“, რომელიც ძველი ეგვიპტელების „პირის ახ-
სნას“ წააგავს. თუ ამ რიგებს იმ ზემოაღნიშნულ „სახელის შადებას“
დაუმატებთ, რომელსაც დიასახლისი ყოველდღე, ხოლო განსაკუთრებით
ახალწელიწად დღეს ასრულებს, როცა სადილსა, ხილსა და სასმელს ის
სამ ნაწილად ჰყოფს „ოჯახის მიცვალებულთათვის“, „მეგობარ მიცვა-
ლებულთათვის“ და „ოხრის სულისთვის“, ნათლად წარმოვიდგინოთ თუ
როგორ განვითარებული იყო ფშავ-ხევსურეთში მიცვალებულთა კულტი.

თუ ფშავ-ხევსურის ბნელეთის ანუ სულეთი თავის თავად არაფერს
წარმოადგენდა სახარბიელს, მით უმეტეს ეს შეიძლება ითქვას ცოდვილ
სულთა საყოფელზე. „ჯოჯოხეთზე“ მისი ბეწვის ხიდიტა, კუპრის ტბით
და დიაცის უბეში ჩამსხდარი გველებით. ამიტომ მიცვალებული სედი-
ლობს ნაწილობრივ მაინც აღსდგეს „სამშეოში“, იგი „შეპბრუნავს“ რო-
მელიმე მონათესავე ბავშვს, ატირებს და აანჩხლებს მას, სანამ ცოცხლები
შკითხავის შემწეობით არ გამოარკვევენ რომელ მიცვალებულს სურს
„მოსახელე“ გაიჩინოს ამ ქვეყნად და თავის თავს დაამსგავსოს ახლად
შობილი. ამის შემდეგ ისინი ბავშვს მიცვალებულის სახელს არქმევენ.

თუ ფშავ-ხევსურების რელიგიური რწმენის ერთი წყარო მიცვალე-
ბულთა კულტია, მეორე ბუნებრივ ძალთა გაღმერთებაა. ამ ძალების
ტაბიური წარმომადგენელი ე. წ. „ადგილის დედა“, რომლის კულტი ფშავ
ხევსურეთში, როგორც სჩანს, საყოველთაოდ ყოფილა გავრცელებული
და რომელიც ნაწილობრივ ელინთა ნაყოფიერების ღმერთ ქალს ცერე-
რას წააგავდა, ხოლო ნაწილობრივ ქრისტიანების ღვთისმშობელს. ასე-
თივე ეკლექტიკური ხასიათი აქვს იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე
მდგომარე ღმერთებსაც: მაგალითად, „გულთამხილაეი“ და „თვალთ
ფართო“ მამალმერთი მორიგეა, ის წესრიგს აძლევს ქვეყნიერებას, მაგრამ
თვით როდი ერევა მის მმართველობაში; ქრისტე ერთი უბრალო წევრია
ფშავ-ხევსურეთის პანთეონში და მიცვალებულთა ღმერთად გამოდის;
წმინდა გიორგის სახელობის გუდანის ხატი მოლაშქრე ღმერთია, ხა-
მატის ხატი საქონლისა და ჯოჯის გამმრავლებელია; თეთრი სანება მე-
კობრეობის და ნადირობის ღმერთია, პირიმზე ცალრუბლის; კოპალა და
ახსარი დევების, ალების და მაჯლაჯუნების მებრძოლი კეთილი გე-
ნიები არიან, შეიძლება ისინი მაზდეანური დუალიზმის ნაშთს წარმოად-
გენდნენ ფშავ-ხევსურეთში; ბოლოს კვირია ხმელთა მოურავთა და სხვ.

მაგრამ შეიძლება ყველაზე დამახასიათებელი მოვლენა ფშავ-ხევსურეთის სარწმუნოებაში ისტორიული გმირების, სახელდობრ თამარ მეფისა და ლაშა გიორგის გაღმერთება იყოს. თამარ მეფე მეტწილად მღვდელთათვის ითვლებოდა, მას ხალხი განსაკუთრებულ მსხვერპლს, ე. წ. „წაძლის სახსარს“ სწირავდა. მას ხატის ხევე იერის ნაპირას პატარა მონასტერიც ჰქონდა, ერთადერთი მონასტერი საზოგადოთ მთელს ფშავ-ხევსურეთში ოთხმოციანი წლების დასასრულს ამ მონასტერში სამი ქალი, ერთი ბერი-კაცი და რამდენიმე მეცხვარე ყოფილა, რომელნიც „წმინდანებად“ ითვლებოდნენ, დაუღალავად შრომობდნენ. მაგრამ ზნეობის თელასაზრისით, ცოტა არ იყოს, ბოკაჩიოს მონაზნებსა და მწყემსებს წააგავდნენ თურმე. *). თამარ მეფის ხატს ჰყავდა თავისი ცხვრის ფარა, რომელიც ხშირად ათას სულს აღემატებოდა, და ჰქონდა თავისი ზვარი სოფელ ახმეტაში. თამარის ცხვარი იკვლოდა თამარის დღეობაში, ხოლო თამარის ზვრის ღვინით — კულუხით ხდებოდა ფშაველების დამწყალობება; ეს იყო ერთგვარი თავისებური, ქრისტიანული ზიარების მსგავსი მისტერია.

რაც შეეხება ლაშარის ჯვარს, ის უძლიერეს ხატად ითვლებოდა მთელს ფშავში, და მას ლოცულობდნენ აგრეთვე ხევსურები, თუშები, მთიულელი და ყვარელელი კახელები. ის იყო ომის ღმერთი, რომელიც გიშრის ფაფრიან ლურჯაზე იჯდა და მოულოდნელად დახმარებას უწყევდა თავის ყმას მაგრამ მის კულტში იყო რაღაც ვაკჭური. თავიანთ თავაშეებულ დღეობას ლაშარის ჯვრის ხატობაში თვით ფშაველები იმით ხსნიდნენ, რომ ლაშა გიორგისაც ღვინო და ქალები ჰყვარებიაო.

ლაშარის ჯვრის ხევისბერი ანუ თავეხვისბერი, როგორც ეტყობა, ლაშქართ უფროსიც იყო, მოგვიც და მსაჯულიც, ე. ი. თავის პიროვნებაში სამხედრო, საეკლესიო და სამოსამართლო ხელისუფლებას აერთიანებდა. მაგრამ ეს არ ითქმის ყველა ხევისბერსა და ხუცზე საზოგადოთ: როგორც ფშაველების ხევისბერები, ისე ხევსურების ხუცები, უწინარეს ყოვლისა, ხატის მსახურნი, ე. ი. მოგვები იყვნენ. განსაკუთრებით ხევსურეთში ხატისკაცების მთელი იერარქია იყო შექმნილი: უმაღლესი საფეხური ამ იერარქიაში ექირა ხუცს, მას მოსდევდა ხატის მეკალოვე და მებელღე-შულტა, ხოლო სულ ბოლოს მოდიოდა ხატის მზარეული და ლუდის მზარეული — დასტური **). ხუცს ხევსურეთში, ისევე როგორც ხევისბერს ფშავში, თვით ხატი ირჩევდა თავისი მკითხავის შემწეობით, ხო-

*) იხ. ურბნელი, „ჩემის რვეულიდან“. „ივერია“ 1887 წ. № 263.

**) დიდად საყურადღებოა, რომ „ავესტაში“ დასტურები ჰქვია ქურუმთა წოდების უმაღლეს წარმომადგენლებს, რომელნიც ვალდებულნი არიან არა მარტო ზეპირად იკონდნენ სამღვთო წიგნები, არამედ კიდევ უნდა შეეძლოთ მათი ტექსტის განმარტება. ხევსურების დასტურს კი, პირიქით, უკანასკნელი იდგილი უჭირავს ხატისკაცების იერარქიაში.

ლო შულტასა და დასტურს ხალხი აყენებდა მხოლოდ ერთი წლით. ხევისბერები და ხუცები არ წარმოადგენდნენ არც მემკვიდრეობითს კასტას, არც კარჩაკეტილ წოდებას. ყოველი ფშაველი და ხევსურის მემკვიდრეობა ხევისბერი ან ხუცი გამხდარიყო, თუ იგი ამას თავისი უფლებით დაიძახებდა და თუ ხატი „მოუწოდებდა“. მხოლოდ მას უნდა დაეცვა ფიზიკური სიწმინდის ზოგიერთი წესება: კოლოთან არ დაწოლილიყო თვენახევრის განმავლობაში ხატის დღეობამდე, მებოსლე ქალს არ დალაპარაკებოდა, ტანი გაებანა ხატობის წინ, მხოლოდ რქიანი საქონლის ხორც ეჭამა და სხვ. მისი მღვდელმსახურება სრულიად მარტივი იყო და უმთავრესად გამოიხატებოდა სრულიად ბუნდოვანი ფორმულების წარმოთქმაში, სადაც ქრისტიანული და წარმართული ცნებები ერთმანეთში შეუბრალებლად იყო არეული. ამას ზედ ერთოდა წმინდა წარმართული მსხვერპლთ შეწირვა ხატობაში, რომელიც ხევისბერ ხუცების და მათა თანაშემწეების მთავარ საარსებო წყაროს იძლეოდა, ვინაიდან მსხვერპლად შეწირული საქონლიდან მათ განსაზღვრული წილი ერგებოდათ; ხოლო რა ზომისა შეიძლებოდა ეს წილი ყოფილიყო, იქიდან სჩანს, რომ მარტო ხახმატის დღეობაში 500—600 ცხვარი და 20—40 მსხვილი რქოსანი საქონელი იკლოდა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ის სრულიად ჩვეულებრივ მოქალაქედ ითვლებოდა; მხოლოდ ხატობის დროს გამოირჩეოდა ხალხისაგან იმით, რომ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ხატის „საბრძანისის“ გალავანის გარეთ რჩებოდა. ე. წ. საჯარეში, ხევისბერ-ხუცები და მათი თანაშემწეები გალავანში შედიოდნენ, სადაც სხვადასხვა შენობები იყო მოთავსებული. საბერო, სალუდე, სადასტურო, საზარე და სასანათლე და სხ.

ასეთი სახე ჰქონდა ხევისბერობას და ხუცობას რევოლუციის წინა-დროინდელ ფშავ-ხევსურეთში. მაგრამ სანამ თავის დამთავრებულ ფორმას მიაღწევდა, ამ ინსტიტუტმა, როგორც ეტყობა, ხანგრძლივი ევოლუციის გზა განვლო. ამ ევოლუციის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პროცესების გამოსარჩევად, რომლის შემწეობით პირველყოფილ თემში წოდებრივი დიფერენციაცია იწყება. როგორც განსვენებულმა ნ. ურბნელმა გამოარკვია, ხევისბერი თავდაპირველად სრულიად საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლის როლს არ ასრულებდა მთაში. ეს იყო ფეოდალი მოხელე, ლაშქართ-თავადი, მსაჯული, ადმინისტრატორი და პოლიციელი ერთსა და იმავე დროს; იგი ერისთავსა და გამგებელს ექვემდებარებოდა, ხოლო მათი მეშვეობით სამეფო საბჭოს (დარბაზს). მისი თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა, ხოლო თუ გარდაცვლილი ხევისბერის გვარში შესაფერი მემკვიდრე არ აღმოჩნდებოდა, მაშინ ერისთავსა და გამგებელს შეეძლო მეფის ერთგული კაცი გამოერჩია, და დარბაზის ნებართვით ხევისბერად დაეყენებინა. ის მალე იღვა წმინდა სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელსა-ციხის თავ-

ზე, რაიცა იქიდან ჩანს, რომ მაშინ, როცა ამ უკანასკნელს სისხლი 3500 თეთრი ღირდა, ხევსებრის სისხლი 6000 თეთრად ფასდებოდა*).

ხეშობათქემიდან ნათლად სჩანს, რომ მაშინ როცა საქართველოს სხვა უფრო შეძლებულ პროვინციებში ფეოდალური მოხელეობის წარმომადგენლები საუკუნეების განმავლობაში ეკონომიურად მომაგრდნენ და თანდათან მემკვიდრეობით მიწათმფლობელ არისტოკრატებად იქცნენ, საქართველოს მთაში იმავე ფეოდალურ მოხელეობის წარმომადგენლები — ხევსებრები ნაწილობრივ გადაგვარდნენ, დაქვეითდნენ, თუ დროშა არა, ყოველ შემთხვევაში, ცხებ დაჰკარგეს და ბოლოს ისეთი ფუნქცია მიითვისეს, რომელიც თავდაპირველად სრულიად მათ კომპეტენციას არ შეადგენდა, სახელდობრ საეკლესიო ხელისუფლება. ასეა თუ ისე, ხევსებრობა და ხეცობა თავიანთი პრიმიტიული და შეზღუდული პრივილეგიებითურთ წოდებრივობის პირველ სუსტ ჩანასახს წარმოადგენდა გვაროვნულ პრინციპზე აგებულ პირველყოფილ თემში.

თუ საეკლესიო ხელისუფლება ფშავ-ხევსურეთში გამოყოფილი იყო, იგივე არ შეიძლება ითქვას სამოსამართლო ხელისუფლებაზე. უზენაესი სამსჯავრო სახალხო ყრილობა იყო, იგი აწესებდა უმაღლეს სასჯელს, დამნაშავეს ჩაქოლავს ან მოკვებდა თემისაგან: როგორც ეტყობა იგი იყენებდა საშუალო საუკუნეების კანონმდებლობაში თითქმის საყოველთაო შიღებულ გამოსაცდელ ღონისძიებას, გახურებულ შანთსა და მდულარე წყალს. მაგრამ ჩვეულებრივი სამოქალაქო სადავო საქმეების გადასაწყვეტად ფშაველი და ხევსური სამედიატორო სასამართლოს მიმართავდა, შეინავლების მიერ არჩეულ ბიჭებს რომელთა გასამჯელოს მცირე გადასახადი და გამასპინძლება შეადგენდა, ბჭობა სოფლის გარეთ ხდებოდა, ქალაში, წყლის პირას ან გორაზე და იშვიათად გრძელდებოდა ორსამ დღეზე მეტს. იგი საადათო სამართლით ხელმძღვანელობდა.

აქ არ შეეჩერდეთ ამ საადათო სამართალზე, აღვნიშნავთ მხოლოდ რომ ის ადასტურებდა ქალის უფლებრივ დაქვემდებარებას მამაკაცისადმი. მაშინ, როცა ვაჟის სისხლი 80 ძროხა ღირს, ქალისა მხოლოდ 60 ძროხად ფასობს. ქმარს უფლება აქვს მოლაღატე ცოლი „გაახეიბროს“, ე. ი. ფიზიკურად დააშავოს, მას უფლება აქვს იგი „კვეთილში ჩასვას“. ე. ი., სხვაზე გათხოვება პუტრძალოს. დედაკაცობის უფლებრივი და ზნეობრივი დამცირების მაჩვენებელი იყო აგრეთვე მებოსლეობა, ე. ი. ქალის უწმინდურება გამოიხატება მენსტრუაციისა და მშობიარობის დროს მისი მოთავსება ცალკე აგებულ ბოსელსა ან სამრევლოში. ეს შეიძლება ძველ ირანულ ზნეჩვეულებათა გავლენის ნაშთი იყოს: ყოველ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, „ავესტა“ მოითხოვს, რომ დედათა წესის დროს

* იხ. ურბნელი, ეთნოგრაფიული წერილები, „დროება“, 1885 წ. № 165.

ქალი საგანგებოდ მოწყობილ ბინაში მოთავსდეს, რათა მან შეხედვითაც კი არ წაბილწოს ოჯახის კერა *). ბოლოს ფშაველმა და ხევსურმა ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობას მოწმობდა ის, რომ მისი საკუთრების უფლება შეზღუდული იყო საადათო სამართლის მიერ. მეორე მხრივ სხვა მოვლენები, როგორცაა, მაგალითად, წაწლობა ფშავეში, სწორფრობა ხევსურეთში, დიასახლისობის ინსტიტუტი, ქალის მანდილის პატივისცემა შოქიშპე, თვით ხმალამოწვდილი მამაკაცების მიერ, დედაკაცის მიერ მიცვალბულთა კულტის შესრულება და სხვ. სრულიად საწინააღმდეგო კულტურულ გავლენათა არსებობას გულისხმობდა. კერძოდ წაწლობა არ უნდა წარმოადგენდეს რელიგიური პეტერიზმის გამოხატულებას, როგორც ეს მ. კოვალევისკის ეგონა, ის შეიძლება ეგზოგამიურ გვარამდე არსებული წესწყობილების ნაშთს წარმოადგენდეს და ერთგვარა სანაზღაურო იყოს იმ შეზღუდვისა, რომელსაც ფშავესურული გვარა ერთი და იმავე თემის ქალ-ვაჟისაგან მოითხოვდა სქესობრივ ურთიერთობაში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ფშავე-ხევსურეთს რევოლუციამდე ახასიათებდა მკვეთრი წინააღმდეგობა პრიმიტიულობასა და უმაღლეს კულტურულ მისწრაფებათ შორის. ეს ხელოვნურად შეთხზული ამბავი არ არის, რომ ვაჟა-ფშაველა თავის „ფშაველსა და მის წუთისოფელში“ ქეიფით მოწყენილ ახალგაზრდა ფშაველებს „ვეფხის ტყაოსანსა“, „ქალმასობასა“ და გურამიშვილის ლექსებს აკითხებინებს. სხვა მეთვალყურეები და მკვლევარებიც ადასტურებენ, რომ ფშაველი მწყემსები ერთი მეორეს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, და ყველაზე-მედნიერი მათ შორის ის იყო, რომელსაც ჩანთაში „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ ედვაო. თუ ეს ასე არ ყოფილიყო, ეს პატარა ტომი ვერ შექმნიდა ისეთ მდიდარ სახალხო პოეზიას, როგორიც მან შექმნა, და ვერ წარმოშობდა ისეთს დიდს მწერალს, როგორიც ვაჟა-ფშაველა იყო.



*) იხ. М. Ковалевский, закон и обычай на Кавказе. М. 1890 г. стр. 97—98.

გიორგი ჯიბლაძე

ნ. ბარათაშვილი და ი. ლეონიძე

დასავლეთ ევროპაში რომანტიზმმა ოფიციალურად დაგმო პსევდო-კლასიციზმის ნორმატიული კატეგორიები და აღმართა ახალი ხელოვნების დროშა, რომელზედაც წარწერილი იყო: შემომქმედი თავისუფალია, მისთვის არ არსებობს არაერთარი პოეტური კანონები, რადგან იგი თვით ქმნის შემოქმედების კანონებს. ამგვარად, ბუალოს პოეტიკა რომელსაც თავისი საფუძველი არისტოტელეს პოეტიკურ ქვაყანაში პქონდა, საჯაროდ იქნა გამოტანილი საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე. მერამ ბუალოს პოეტიკის წინააღმდეგ ბრძოლა როდი ნიშნავდა მხოლოდ ბუალოს, როგორც პსევდო-კლასიციზმის თეორეტიკოსის, წინააღმდეგ ვალაშქრებას. ეს იყო ოფიციალური „საზოგადოებრივი ბრძოლა პსევდო-კლასიციზმთან, მისი თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, და თუ რომანტიზმის თეორეტიკოსებმა ბუალოს დაუპირისპირეს საკუთარი დეკლარაციები ხელოვნებაში, მოხდა ეს იმიტომ, რომ ბუალოს პოეტიკა წარმოადგენდა მთელი პსევდო-კლასიკური ლიტერატურის თეორიას და პრაქტიკას. „ძირს ბუალოს მთელი თავისი კანონები თ!“ — ასეთი იყო რომანტიკოსების ლოზუნგი ხელოვნების თეორიაში. ამ ლოზუნგს შედეგად უნდა მოჰყოლოდა ერთგვარი ვადატრიალება ხელოვნებაში. და მართლაც, ერთის მხრით, ფიხტეს სუბიექტური იდეალიზმი, რომელმაც ფილოსოფიური ნავსაყუდელი მისცა რომანტიკოსების თეორიულ შეხედულებებს, მეორე მხრით, თვით რომანტიკოსების „კრიტიკული ექსტრემიზმი“ ობიექტურ რეალობასა და ლიტერატურულ ცხოვრებაში სრულიად ახალ ფურცელს შლიდა ხელოვნების დიდ წიგნში. პიროვნების, „მე“-ს ფილოსოფია, რითაც დაიწყო ჰგოტლიზ ფიხტემ, არსებითად წარმოადგენდა რომანტიზმის იდეურ თავშესაფარს, იმ დეკლარაციის თეორიულ დასაბუთებას, რომლის ძირითადი დებულებაც მარტივად ასე შეიძლება გამოიხატოს: „ყველა სისტემა ყალბია, მხოლოდ გენიოსი შეიცავს თავის თავში ჭეშმარიტებას“. ეს გენიოსი, რომანტიკოსების ვაგებით, იმ შემომქმედი, რომელსაც უნდა უკუეგდო პსევდო-კლასიციზმის მიერ გათელილი გზა, დაემსხვრია ბუალოს პოეტიკის პრინციპები და აღე-

მართა თავისუფალი ხელოვნების, თავისუფალი ხელოვნების დირექტორი „ძირს კრიტიკა“, — აცხადებენ რომანტიკოსები, — რომელიც უკანასკნელად მეორე სორბონას სქმნის, ძირს ბუღალო მთელი თავისუფალი ხელოვნების დირექტორი „Comedie francais“, რომელსაც მხარი უნდა დაეჭირა კლასიკური ტრადიციისათვის, მეფის მიერ მისთვის მინიჭებული პრივილეგიებით, ძირს ინსტიტუტი, აკადემია „კანონების წმიდათა-წმიდა და მათი განმარტებული კოდექსი“.

ამგვარად, ლიტერატურული ცხოვრების ისტორიაში შეიჭრა ახალი სტილი, რომელიც რადიკალურად დაუპირისპირდა ძველს. ეს სტილი წარმოადგენდა იმ სოციალურ-ეკონომიური ძვრების გამოძახილს ხელოვნებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის გარიჟრაჟზე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ლიტერატურული სტილის ისტორია არ წარმოადგენს შემთხვევით ფაქტს, რომელიც მოწყვეტილია საზოგადოებრივ-ეკონომიური რიგის მოვლენების კანონზომიერებას. იდეალური ესთეტიკა ლიტერატურული სტილის ისტორიაში ხედავდა დამოუკიდებელ კანონზომიერებას, რომელსაც თითქოს საერთო არაფერი აქვს ცხოვრებასთან. ეს დებულება თავისთავად წარმოადგენდა კანტიანური „ხელოვნება — თამაშის“, ხელოვნების თვით მიზნობრიობის ან კიდევ თეორიის — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ დასაბუთებას. მართალია, ხელოვნებას, თვით სტილს აქვს თავისი განვითარების კანონზომიერება, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს კანონზომიერება გამომდინარეობს თვით სოციალ-ეკონომიური განვითარების კანონზომიერებიდან. ტენის თეორია, თითქოს გეოგრაფიული ფაქტორი არსებითი და ვადამწყვეტი ხელოვნების სტილის დადგენაში, ისე დაშორებულია მეცნიერულ აზრს, როგორც არქტიკა ანტარქტიკას. მართალია, გეოგრაფიული ფაქტორი თავისებურ გავლენას ახდენს სტილზე, მაგრამ მას არასოდეს არ უთამაშნია ვადამწყვეტი როლი ხელოვნების სტილის დადგენაში.

გავიხსენოთ ყველაშათვის ცნობილი ფაქტი, რომელიც განსვენებულმა ფრიხემ მოიყვანა ტენის წინააღმდეგ: დ ა ვ ი დ ი დ ა დ ე უ ლ ა კ რ უ ა. ცნობილია, რომ დავიდი მხატვრობაში ანვითარებდა ფლორენციულ სტილს, რომლის ტიპური ნიშანია მოვლენების ხაზობრივი შემეცნება, ე. ი. ხაზი წინა-პლანით. სულ სხვაა დელაკრუას მხატვრობა, იგი ბოლომდის იცავს მხატვრობის ვენეციურ სტილს, რომელსაც ახასიათებს ფერადობა. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდმა, დავიდის მხატვრობის სახით თავისებური სტილი შექმნა, რომელიც სავსებით შეეფერებოდა რევოლუციის პერიოდს: ეს იყო ფლორენციული სტილი. მაგრამ დელაკრუას დრომ უარპყო დავიდის მიმართულება მხატვრობაში, რადგან მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი ბურჟუაზიის პოლიტიკური გამარჯვებით დავირგვინდა და, რევოლუციის ნაცვლად, ეს კლასი მიისწრაფოდა წყნარი, უშფოთველი და უზრუნვე-

ლი ცხოვრებისაკენ. ამ ისტორიულ ფაქტს საესეებით შეეფერებოდა მხატვრობის ვენეტკური სტილი, რომელმაც ფრანგული მხატვრული სტილი რიაში თავისი პირველი და ამავე დროს სრულყოფილი აქრუას შემოქმედებაში ჰპოვა.

ნუთუ ერთი საუკუნის და მით უმეტეს რამდენიმე წლის განმავლობაში შეიძლებოდა შეცვლილიყო საფრანგეთის გეოგრაფიული ან კლიმატური პირობები? ცხადია, დავიდის დროსაც, პირობითად, ისევე მწვანე იქნებოდა ბულონის ტყე, როგორც დელაკრუას ეპოქაში; მაშინაც ისე იქროლებდა პარიზში ქარი, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს. მაგრამ თუ ბუნებას არ უყვარს არსებობის სტატიური ფორმები, თუ იგი მოძრავი და ცვალებადია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პარიზი რამდენიმე წლის განმავლობაში უდაბნოდან ამწვანებულ ქალაქად გადაიქცევა, ან რადიკალურად შეიცვლება კლიმატური პირობები. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს. აქედან ნათელია, რომ ტენის დებულება პოზიტივისტურ-იდეალისტური ხასიათისაა, რომელსაც არ შეუძლია სტილის განვითარების კანონზომიერების მეცნიერული ახსნა.

და რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული სტილი, ისტორიული ხასიათის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური მოვლენების კანონზომიერების შედეგია ხელოვნებაში. მარქსმა გენიალური დახასიათება მოგვცა: გარკვეულ მატერიალურ წარმოებას შეესაბამება გარკვეული სულიერი წარმოება. „იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ კავშირი მატერიალურსა და სულიერ წარმოებას შორის, — სწერს მარქსი, — უპირველესად ყოვლისა აუცილებელია ეს უკანასკნელი განვიხილოთ არა როგორც საერთო კატეგორია, არამედ მის ცალკე ისტორიულ ფორმაში. ასე, მაგალითად, კაპიტალიზმს შეესაბამება სულიერი წარმოების სხვა სხვ, ვიდრე წარმოების საშუალო საუკუნეების საშუალებას“. და მართლაც საშუალო საუკუნეებში ფეოდალური არისტოკრატის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის დროს სხვა იყო ხელოვნების სტილი, ვიდრე ბურჟუაზიის, როგორც ისტორიულად აღმავალი კლასის, მოძრაობის ეპოქაში. პსევდო-კლასიციზმი, რომელიც ასე განვითარდა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში, წარმოადგენდა ფეოდალური არისტოკრატის სტილს ხელოვნებაში. მაგრამ იმ მატერიალურ წარმოებას, რომელიც შექმნა ბურჟუაზიამ, თავისთავად ცხადია, აღარ შეესაბამებოდა ფეოდალური არისტოკრატის მატერიალური წარმოების საფუძველზე შექმნილი სულიერი წარმოება. ამიტომ ბურჟუაზიის მატერიალური წარმოების ნიადაგზე წარმოიშვა გარკვეული სულიერი წარმოება, რომელიც დაუპირისპირდა წინა პერიოდს.

ლიტერატურაში ბურჟუაზიის პირველი ტალღა, მიმართული ფეოდალური არისტოკრატის ლიტერატურის წინააღმდეგ, იყო სენტიმენტალი-

ზმი. აბსტრაქტული, აისტორიული ტიპის ნაცვლად, სენტიმენტალიზმმა წამოაყენა კონკრეტული პიროვნება, რომელიც არსებულ სინამდვილეს სენტიმენტალურად უყურებდა. ცნობილია, რომ პსევდოჟურალისტიკურმა ლიტერატურამ შექმნა კოსმოპოლიტური ტიპი. ეს ტიპი წარმოადგენდა აბსტრაქციას, რომელიც მოწყვეტილი იყო კონკრეტულ-ისტორიულ პირობებს. საფრანგეთში, სადაც მე-19 საუკუნის ორმოციან წლებამდის თეატრსა და დრამატურგიაში პსევდო-კლასიციზმი ბატონობდა, მის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა თეორიასა და პრაქტიკაში ვიქტორ ჰიუგომ ააფრიალა. ჰიუგომ თავის დრამა-„კომპეელში“, პსევდო-კლასიკური, განყენებული, აისტორიული, ტიპის ნაცვლად, კონკრეტული ისტორიული პიროვნება გამოიყენა. იმავე დრამის წინასიტყვაობაში ჰიუგომ გამოქვეყნა ახალი დრამატურგიის დეკლარაცია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი უნდა ყოფილიყო ისტორიზმი. ამგვარად, ფრანგულ ლიტერატურაში პსევდო-კლასიციზმი განდევნილ იქნა თავისი უკანასკნელი თავშესაფარიდან და ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში გადაიშალა სრულიად ახალი ფურცელი.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში პსევდო-კლასიციზმის წინააღმდეგ მომქმედი ფრთა პირველად სენტიმენტალიზმი იყო. მართალია, სენტიმენტალიზმს არ წამოუყენებია ხელოვნების რაიმე თეორიული პრინციპი პსევდო-კლასიციზმის წინააღმდეგ, მაგრამ სენტიმენტალისტური რომანები შინაარსით და ფორმით პსევდო-კლასიციზმის უარყოფას წარმოადგენდნენ. ანალოგიური ფაქტი განმეორდა რუსეთშიც. ხერასკოვის, სუმაროკოვისა და ლომონოსოვის ნაცვლად, რუსული ლიტერატურის ისტორიაში იჭრება სრულიად ახალი ლიტერატურული სტილი — სენტიმენტალიზმი. კარამზინის „უბედური ღიზა“ და რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვამდის“, — სრულიად ახალი ფურცელი იყო რუსული ლიტერატურის სინამდვილეში. ხერასკოვის „როსიდა“ და ლომონოსოვის „პეტრიადა“ ადგილს უთმობენ კონკრეტულ-ისტორიულ ტიპებს თავიანთი პიროვნული იდეებითა და გრძნობებით, რაც ასე ურცხვად იდევნებოდა პსევდო-კლასიკური ლიტერატურის სინამდვილიდან. როგორც ბელინსკიმ აღნიშნა, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუს საზოგადოებას აღარავეითარი მისწრაფება აღარ ჰქონდა ხერასკოვისა და სუმაროკოვის პოეზიისადმი. ისინი მხოლოდ ლიტერატურის სპეციალისტების საგანს წარმოადგენდნენ. „კორნელისა და რასინის პოეზია ჩვენთვის, — ამბობდა ბელინსკი, — ყალბია, რიტორიული პოეზიაა, და ჩვენ იგი ისევე ტყბილად გვაძინებს, როგორც სუმაროკოვის პოეზია“ *).

* В. Белинский. „Сочинения Александра Пушкина“, кн. I, 1923 г. გვერდი 25.

ქართული ლიტერატურა თავის განვითარების გზაზე ასევე ასევედო-კლასიკური ლიტერატურის გავლენას მხოლოდ იმიტომ, რომ მე-17-18 საუკუნის საქართველო არ იყო პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოკიდებული რუსეთზე ან საერთოდ ევროპულ ქვეყნებზე. ჩვენს ქვეყანაში იყო ირანისა და თურქეთის პოლიტიკური ბატონობის რეალური და ამ ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირებული იდეოლოგიური რიგის მოვლენებიც წარმოადგენდნენ მის ბუნებრივ რეზიუმეს. მე-17-18 საუკუნის ქართული ლიტერატურა ირანულ ლიტერატურის გავლენით იკვებებოდა, ხოლო ამ უკანასკნელის მთავარი დამახასიათებელი ნიშნები იყო: ლირიკა, ელეგია და ბუნების ხატბა. ეს სამი მომენტი, როგორც ვიცით, თავისებური ელფერიტ ახასიათებს მთელს რომანტიულ მიმდინარეობას დასავლეთ ევროპაში, რუსეთსა და საქართველოში. პროფ. მ. ი. ხანდუკელი სამართლიანად აღნიშნავს:

„თუ დასავლეთ ევროპაში და რუსეთშიც რომანტიზმში ერთგვარი რეაქცია იყო ძველი, წინამორბედი ლიტერატურული მიმართულებისა ე. წ. ასევედო-კლასიციზმისა, თუ რომანტიზმს უცხო ქვეყნებში მკაცრი ბრძოლა მოუწია გაბატონებული ლიტერატურის შემზღვევი ტრადიციების დასამზობად და ახლის, უფრო თავისუფალი შემოქმედების უფლებების დასამყარებლად, საქართველოში მის ასეთი ბრძოლა სრულებით არ სჭირდებოდა.“

ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც აღმოსავლეთიდან, განსაკუთრებით ირანიდან, მომდინარეობდა, სრულებით თავისუფალი იყო იმ ნორმებისა და ფორმალისებისგან, რომლებიც ასევედო-კლასიციზმს ახასიათებდა და რომლის წინააღმდეგაც რომანტიზმი ასე მკაცრად ამხედრდა.“

მაგრამ თუ დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ასევედო-კლასიციზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიადაგი რომანტიზმამდის სენტიმენტალისტურმა მიმდინარეობამ მოამზადა, ხოლო რომანტიზმს მის წინააღმდეგ მხოლოდ უკანასკნელი იერიშის მიტანა დასჭირდა, საქართველოში რომანტიულ სკოლას არ დასჭირებია ასევედო-კლასიციზმის რომანტიული კატეგორიების წინააღმდეგ ბრძოლა. წინაპერიოდის ლიტერატურამ მას არა თუ საბრძოლო ფრონტი დაუტოვა, არამედ მეგობრული ხელიც კი გაუწოდა ზრდისა და აყვავებისათვის.

არა მკვლევარის, არამედ დაინტერესებული მკითხველის თვალთ შვებდოთ ამ ფაქტს. ჩვენს წინაშეა დავით რეპტორის ლექსები. აი, ერთი ადგილი ამ ლექსებიდან:

„პა საწუთრო, რად შიამაგდე ესოდენს ჳირსა?
დატყვევდა გული, მოუთმენლად ნიადაგ სტირსა,
ვარ ვპოვე შემწე, მან ნუგემ-მცეს სიციხლეს შწირსა,
ამად მოვეცი დუჯადლად სულ-თქმასა ხწირსა,
ჰოი უწყალოვ, მაქვს ქცევიანი ცვლადნი და ხლათნი“.

უდაოა, რომ ეს ლექსი ძალზე უახლოვდება ნ. ბარათაშვილის „სულ-ბოროტოს“. აქაც კრულვა და ურვაა ცხოვრების მიმართ, აქაც

გოდებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს ის, რაც ბატონი შვილის „სულო-ბოროტოს“. „რად შთაშავდე ესოდენ ჭირსა“, — ეუბნებოდა დავით რექტორი ცხოვრებას. ბატონა შვიდრეცხულქმასვე უსაყვედურებს ბოროტ სულს, რომ ამ უკანასკნელმა მას „წააჭრეს“ სულის სიმშვიდე“ და მოუკლა ყრმაწვილის ბრმა სარწმუნოება“. ეს ელეგიური გოდება, რომელიც ასე მძლავრად ისმის დავით რექტორის პოეზიიდან, ძალიან უახლოვდება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რომანტიულ სკოლას საჭარტველოში. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენ მხოლოდ შემთხვევით ფაქტს წავეწყვით, რომელიც ერთი გავლენების მსგავსად მოსჩანს მთელი ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში? არა, იგივე ჰანგი ისმის, თუ ვნებავთ, სოლომონ მდივანბეგის ლექსებიდანაც:

„მე ვულო კრულო, ისარ კრულო, ბედსა ხარ მწარეს,
გცხმა თოო, ზღვათა შესართაო, რბოდე მის არეს,
სადა ინდოთა, ბნელ ბინდოთა სათნი შესარესა
ღარბად ვლიდე, კართა ვლიდე თუ შეგოწყნარეს.
მონებდე ხლებით, მისის თნებით სტრფოდე ურვილი“.

ასეთივე მოტივები ახასიათებენ ქეთევან ბატონიშვილის პოეზიას. უკიდურესი პესიმიზმი რომელიც სკეპტიციზმში პოულობს თავის სრულყოფილ სახეს, — ასეთია ქეთევან ბატონიშვილის პოეზია. ჩვენი დებულების დასამტკიცებლად არ დაგვიჩივდება შორს წასვლა. დავემყოფილდეთ მხოლოდ ერთი ფრაგმენტით:

„რად არ დაგვიწყდი სოფელო,
არ ხანიერო, ცუდ საყოფელო,
ჩემებრ უბედოთ ცუდ სამყოფელო,
მაგრამ ბედნიერო პირ-დამყოფელო?
ვინ არ გენდობის, ვარ მადლობელი.
პოი ვითარ ვსთქვა“...

განა ესეც შემთხვევითია? განა უეცარ გაელვებად შეიძლება ჩაითვალოს სკეპტიციზმი, რომელიც მარტივად ასეთ უბრალო სტრიქონში გამოხატა პოეტმა: „ვინც არ გენდობის, ვარ მადლობელი“.

მაგრამ ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომანტიზმის წინაპერიოდის ქართულ ლიტერატურაში ვითომ რომანტიზმი ყოფილიყოს გამეფებული, ჩვენ მხოლოდ იმ უტყუარ ფაქტზე მივუთითებთ, რომელიც მარტივად ასე შეიძლება გამოიხატოს: ლირიკა, ელეგია, კონკრეტული ისტორიული იდეა, ხალხური პოეზია, — აი, საერთო ენა, რომელიც ქართულმა რომანტიზმმა გამოიხატა მისი წინაპერიოდის ლიტერატურასთან. ალექსანდრე ჰავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბრათაშვილის პოეზია ამ დებულების აშკარა ილუსტრაციაა.

მაგრამ რა არის რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული სტილი, როგორც ანტითეზა, რეაქცია, პსევდო-კლასიციზმის წინააღმდეგ? უკვე აღენიშნეთ, რომ რომანტიზმი დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ევროპაში თარდა ფეოდალური არისტოკრატისა და ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ეს ის პერიოდი იყო, როცა ფეოდალური არისტოკრატის საუკუნოებრივ განცხრომასა და იდილიას დაუპირისპირდა მისი მესაფლავე კლასი—ბურჟუაზია. პიროვნების თავისუფლება—ასეთი ლოზუნგი გადმოისროლა რომანტიზმმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამ ლოზუნგით გაიშალა მთელი ევროპული რომანტიზმი, რუსული რომანტიზმი, და შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაშიაც პიროვნების თავისუფლების იდეა მოქალაქეობრივ უფლებას მოითხოვს. ესაა აბოლიციონიზმი მთელს რომანტიულ სკოლაში. ინგლისური რომანტიზმის კლასიკური წარმომადგენლის ბაირონის პოეზია ამ დებულების ურყევი დოკუმენტაციაა. ბაირონმა, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო მწვავედ, ძლიერად და მთელი თავისი პოეტური სიღრმით ააფრიალა აბოლიციონიზმის გაცრეცილი დროშა. ჩაილდ-ჰაროლდი, მანფრედი, კენი, — აი ტიპები, რომელნიც ამ დროშის აღებას ცდილობენ, მაგრამ ეს დროშა გაცრეცილია, არ შეიძლება მისი გამოტანა ქარში, ქარი დაჰფლეთს, გაატიალებს ისე, როგორც ძირგამომშალ ზომალდს ალელებულ ოკეანეს მრისხანე ტალღა. ესაა კონფლიქტი იდეალსა და სინამდვილეს. შორის, ისტორიული კონფლიქტი, რომელიც რომანტიკოსების შემოქმედებას წითელი ზოლივით მიჰყვება. ეს კონფლიქტი პირველი მიზეზია, რომელმაც რომანტიკოსების მხატვრულ შემოქმედებაში ერთი დიდი შტრიხი გაავლო — ეს იყო პესიმიზმი.

აბოლიციონიზმთან და პესიმიზმთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ბარათაშვილისა და ლერმონტოვის მხატვრული შემოქმედება, მაგრამ თუ აქ გაკვრით შევჩერდით ევროპულ რომანტიზმზე, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ლერმონტოვის მხატვრული შემოქმედება ისე ახლოა ევროპულ რომანტიზმთან, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ლერმონტოვის პოეზიასთან. აქ შემთხვევითი პარალელი როდია. რუსული „რანონჩინური“ ლიტერატურის ბელადმა ჩერნიშევსკიმ თავის კრიტიკულ-სტატიაში — „შილერი რუსი პოეტების თარგმანებში“ აღნიშნა ლერმონტოვის პოეზიის ნათესაობა ბაირონთან. „ჩვენი ესთეტიკური გემოვნების განვითარებაში, — სწერს ჩერნიშევსკი, — უცხოეთის ლიტერატურის მონაწილეობა ხდებოდა განსაკუთრებით წმინდა თარგმანებით. გამონაკლისია მხოლოდ ერთი — ბაირონის ტულე მიმდინარეობა, რომელსაც ნაწილობრივ პუშკინისა (აქ ნაგულისხმევია პუშკინის მხატვრული შემოქმედების პირველი პერიოდი. — გ. ჯ.) და ნაწილობ-

რივ ლერმონტოვის სახით ჩვენში კყავდა ღირსეული წარმომადგენლები, იმ დროს, როცა თვით ბაირონი ჩვენ ძალიან ნაკლებად ვიცნობდით*¹). შემთხვევითი რედაქტორიცა „ნილილისტების ბელადმა“ ზაიცევიმა ლერმონტოვის ჩვენებაირონი“, „რუსეთის ბაირონი“ უწოდა**²). ეს იყო მართებული დასკვნა, რომელსაც არ შეეძლო გამოეწვია რაიმე კონფლიქტი, მიუხედავად იმისა, რომ ზაიცევის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ხანა იდეებისა და საზოგადოებრივი კლასების მკვეთრი დაპირისპირების, ინტენსიური შეხლა-შემოხლისა და ძველი ქვეყნის წინააღმდეგ რადიკალური ამხედრების ხანა იყო.

ბაირონისა და ლერმონტოვის პოეზიის ეს სიახლოვეცხად მიგვიჩიბებს იმ ურყევ დებულებაზე, რომ რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მოძრაობა, წარმოიშვა განსაზღვრულ ეპოქაში, — გარკვეული საზოგადოებრივი კლასის ლიტერატურად***³). მეცნიერული სიზუსტისათვის ჩვენ ვანსხვავებთ გერმანულ რომანტიზმს ინგლისური ან ფრანგული რომანტიზმისაგან, ისევე, როგორც ქართულ რომანტიზმს — რუსული რომანტიკული სკოლისაგან. რამდენადაც ისტორიულად განსხვავებული იყო ინგლისის ან საფარანგეთის ფეოდალური არისტოკრატის ყოფა რუსეთისა და საქართველოს ფეოდალური არისტოკრატის ყოფისაგან, რამდენადაც, რუსეთთან და საქართველოსთან შედარებით, სხვა იყო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისი თავისი განვითარებული მრეწველობით, იმდენად განსხვავებულია ამ ლიტერატურული სკოლის ხასიათი ცალკე ქვეყნების მიხედვით. მაგრამ ძირითადი ტენდენცია, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის რომანტიკულ სკოლას ერთი ლიტერატურული მოძრაობის სახეს აძლევს, — ესაა ფეოდალური არისტოკრატის კლასობრივი ტკივილები, გამოწვეული ამ კლასის ისტორიულად აუცილებელი დამარცხებით.

რომანტიზმი ევროპის ლიტერატურაში, რუსეთის ჩათვლით, განვითარდა როგორც რეაქცია პსევდო-კლასიციზმის რომანტიკული კატეგორიების წინააღმდეგ და როგორც მისი ანტითეზა. ქართული რომანტიზმი ამ მხრივ ერთგვარი გამონაკლისია მსოფლიო ლიტერატურის რგოლიდან, რადგან ქართული მხატვრული ლიტერატურის ისტორია არ იცნობს პსევდო-კლასიციზმს, როგორც ლიტერატურულ გზას. დასავლეთში რომანტიზმმა ააფეთქა პსევდო-კლასიციზმისა და ბუალოს პოეტიკა. ამ მხრივ ქართულ რომანტიზმს თითქმის არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი.

2

* Н. Г. Чернышевский. „Полное собр. сочин.“, т. III, 1918 г. гл. 1 ხაზი ჩემია. — გ. 28.

** В. Зайцев. „Набранные произведения“, т. I, 1984 г. гл. 51—52.

***) ვეღვან, სადაც რომანტიზმზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ისტორიულად რეაქციური კლასის რომანტიზმს.

რადგან ბესიკის, გურამი შვილის, დავით ივჭიტო-
რის, ქეთევან ბატონი შვილისა და სხვათა ლირიკული
ლექსები, სულხან-საბა ორბელიანის „საქმანთა-საწერი-
სა“, — ყოველივე ეს რომანტიკოსების მხატვრული შემოქმედებისათვის
პრავალ მომენტში უახლოეს ნათესავს წარმოადგენდა.

ჩვენი უშუალო ამოცანაა — ბარათაშვილისა და ლერ-
მონტოვის პოეზიის მეცნიერული ანალიზი არა შიშველი პარალე-
ლიზმის გზით, არამედ იმ იდეებისა და შეხედულებების ერთგვარი სის-
ტემის სახით ჩამოყალიბებით, რომელიც გამომდინარეობს ბარათაშვილისა
და ლერმონტოვის პოეზიიდან. ერთის მხრით — ქართული რომანტიზმის
ტიპური წარმომადგენელი — ბარათაშვილი, ხოლო მეორე მხრით —
რუსული რომანტიზმის მწვერვალი ლერმონტოვი.

დოსტოევსკიმ საღდაც შენიშნა, რომ რუსეთში არასოდეს არა-
ვითარი რომანტიზმი არ ყოფილაო. იგი შეეცადა დაემტკიცებინა თავისი
დებულების მართებულება: რუსი უპირველეს ყოვლისა სინამდვილის ადა-
მიანია, ხოლო დანარჩენი მისთვის შემთხვევითია, — ასეთია დოსტო-
ევსკის არგუმენტაცია. ამ იდეალისტური თვალსაზრისის კრიტიკა არ
წარმოადგენს რთულ ამოცანას. ანდრეევიჩმა თავის წიგნში: „Опыт фиа-
русской литер“. გააკრიტიკა დოსტოევსკის აღნიშნული დებულება. მაგ-
რამ მან წამოაყენა აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთში რომანტიზმი, რო-
გორც „ფილოსოფიური ან საზოგადოებრივი მოძრაობა“, თითქოს არ არ-
სებობდა, რადგან რუსულ რომანტიზმს რუსული პსევდო-კლასიციზმის
წინააღმდეგ არ დაუწყია ოფიციალური საზოგადოებრივი ბრძოლა და არ
წამოაყენებია ხელოვნების გარკვეული პრინციპები. „მაგრამ რო-
მანტიზმს, როგორც ფილოსოფიურ ან საზოგად-
ოებრივ მოძრაობას, ჩვენ, რუსები თითქმის
არ ვიცნობდით“ *) — წერს ანდრეევიჩი. „ჩვენთვის, —
განაგრძობს ქვევით ანდრეევიჩი, — რომანტიზმი უპირველეს
ყოველისა სკოლაა, დიდებულის ლიტერატურულ-
ი სკოლა“ **). ცხადია, არც დოსტოევსკის დებულება, რომელიც
ანდრეევიჩმა გააკრიტიკა, და არც თვით ანდრეევიჩის დებულება არ შე-
ეფერება სინამდვილეს. მართალია, რუსულ რომანტიზმს რუსული პსევ-
დო-კლასიციზმის წინააღმდეგ არ დაუწყია ისეთი ბრძოლა, როგორიც,
ვთქვათ, გერმანიის ან საფრანგეთის რომანტიზმს, მაგრამ ეს როდი ნიშ-
ნავს, ვითომ რუსული რომანტიზმი არ იყო საზოგადოებრივი მოძრაო-
ბა. მართალია, ამ მოძრაობას არა ჰქონია ისეთი მწვავე ხასიათი, როგორც
საფრანგეთში ან გერმანიაში, მაგრამ თავისთავად ის საზოგადოებრივი

*) Андреевич. „Опыт фиа. рус. литер.“, გვ. 60, ხაზი ჩემია. — გ. 28.

***) იქვე. ხაზი ანდრეევიჩისაა.

მოდრაობის გარკვეულ სახეს წარმოადგენდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ, ცხადია, არც ჩვენ და მით უმეტეს არც ანდრეევიჩს ვერ ექნებოდა უფლება ეწოდებინა, მისთვის ლიტერატურულ ღირსებას ენიჭებინა და რა უნდა იყოს ლიტერატურული სკოლა, თუ იგი გარკვეული საზოგადოებრივი მოძრაობის ანარეკლს არ წარმოადგენს? თუ მას არა აქვს თავისი სახელმძღვანელო პრინციპები, თუ იგი არ უპირისპირდება მეორე ძალას? განა ლომონოსოვის პოეზია ან ხერასკოვის ასე მძიმე ლექსი რაიმეთი მაინც უახლოვდება ლერმონტოვის პოეზიას? ცხადია, მათ შორის მხოლოდ იმდენია საერთო, რამდენიც ლეოპარდსა და რასინს შორის.

რომანტიზმი ჩვენ დავახასიათეთ, როგორც ფეოდალური არისტოკრატის ლიტერატურა, რომელიც წარმოიშვა ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობისათვის ბრძოლის პერიოდში. ამიტომ ამ ლიტერატურაში თავისი გამოძახილი უნდა ეპოვა იმ კლასობრივ ტკივილებს, რომლებითაც ხასიათდებოდა ისტორიის ავანსცენიდან მიმავალი კლასი—ფეოდალური არისტოკრატია. ერთი მხრით, არსებობისაღმამისწრაფება, ზრუნვა ცხოვრებისათვის, ბედნიერებისათვის, ხოლო მეორე მხრით, მკაცრი სინამდვილე, რომელიც სამარეს უთხრის ამ იდეებს, — ასეთი იყო ფეოდალური არისტოკრატის საზოგადოებრივი განწყობილება რომანტიზმის ეპოქაში. ყველა რომანტიკოსის მხატვრულ შემოქმედებაში ამ განყოფილებაში თავისი სახე ჰპოვა. ლერმონტოვისა და ბარათაშვილის პოეზია ამ მხრით მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი მწერლების გვერდით დგას. კონფლიქტი იდეალსა და სინამდვილეს შორის თავისებური სახით გამოიხატა ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიაში. რომანტიკოსები გაურბოდნენ ობიექტურ რეალობას, ცდილობდნენ გაქცეოდნენ სინამდვილის მკაცრ ლოგიკას და თავი შეეფარებინათ იქ, სადაც ვერ მისწვდებოდა პრაქტიკული ცხოვრების ფილოსოფია. ასეთი ნაესაყუდელი მათ შემოქმედებაში გამოისახა ირრეალური ქვეყნის სახით. ლერმონტოვმა ჯერ კიდევ ბავშვობის პერიოდში დაწერილ ერთერთ ლექსში შენიშნა:

„Моя душа, я помню, с детских лет
Чудесного некала...“

ამ უცხაური ქვეყნისაკენ შიისწრაფოდა არა მარტო ლერმონტოვი, არამედ ყველა რომანტიკოსი და მათ შორის არა ნაკლები სიძლიერით ნიკოლოზ ბარათაშვილიც. მაგრამ ცნობილია, რომ, როგორც დასავლეთ ევროპის რომანტიკოსებმა, ვერც ლერმონტოვმა და ბარათაშვილმა ვერაფერი ვერ ჰპოვეს ამ იდეალური ქვეყნის ძიებაში. ამიტომ თვით მათი პოეზიიდან გაისმა ამ იდეალური ქვეყნისადმი უკმაყოფილების, მასთან შეურიგებლობის პანგი. ლერმონტოვის პირველი პერიოდის მხატვრული შემოქმედება, გადაჭრით შეიძლება ითქვას, მხოლოდ ამ იდეალური ქვეყნის



ძიების პოეზიაა. მაგრამ მისი პოეზიის თვით ამავე პერიოდში იმის ზეციური სინამდვილისადმი კონფლიქტის ჰანგი. „МОЛИТВА“ ლერმონტოვი „ყოვლისშემძლეს“ სთხოვს, ნუ გაამტყუნებს მას, რადგან უყვარს მიწიერი სინამდვილე მთელი თავისი საშინელებით:

„ყოვლისშემძლეო, ბრალს ნუ დამწამებ
და ნურც დამტანჯავ, გემუდარები,
რადგანაც მოყვარს სამარის მიწის
წყნდიადი თავის საშინელებით“.

აქ გარკვევით იმის მიწიერ სინამდვილესთან დაბრუნების სიმღერა. თუ ამავე წელს დაწერილ ერთერთ ლექსში ლერმონტოვი სავსებით უარყოფს მიწიერ სინამდვილეს და მეგობრულად უწუდის ხელს ზეციურს, — „МОЛИТВА“-ში ეს იდეური ხაზი, როგორც ვნახეთ, გადახნექილია მიწიერისაკენ. მთელი რომანტიზმისთვის, როგორც ერთიანი ლიტერატურული სკოლისათვის, ამ ორი მომენტის დაპირისპირება ტიპურ სიმბოლოდ რჩება, ხოლო ბრძოლა ამ ორი მომენტისათვის, თავისებური ფორმით და შინაარსით ელინდება ყოველი რომანტიკოსის მხატვრულ აზროვნებაში. მაგრამ იქ, სადაც რომანტიკოსი პოეტი არღვევს ლეოპარდისებური პასიონის რკალებს, სადაც მებრძოლი განწყობილება იკავებს სრული დავრომილებისა და უძღურების გაცრეცილ ადგილს, — მიწიერი სინამდვილის ნილილისტური უარყოფა იხსნება და ეს სინამდვილე იჭრება — როგორც ობიექტი, რომელიც ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. ლერმონტოვის პოეზიის განვითარების ხაზი მიწიერი სინამდვილის აბსოლუტური უარყოფიდან ამავე სინამდვილისათვის ზრუნვას უბრუნდება და ამიტომ უერთდება ლერმონტოვი რომანტიკოსების იმ პლედას, რომელიც, ლეოპარდისა და ნოვალისისაგან განსხვავებით, მებრძოლი ტემპერამენტით, მოქმედებისაკენ მოწოდებით გამოირჩევა. ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი „მერანი“-ს ძახილით და „ფიქრი მტკვრის პირას“ ღრმა ფილოსოფიური კონცეპციით რომანტიკოსი პოეტების იმ პლედას ეკუთვნის, რომელსაც ჩვენ ლერმონტოვი მივაკუთვნეთ. ეს ფაქტი შემთხვევითი როდია, „МОЛИТВА“-ს იდეური ხაზი ერთგვარ გარძელებას პოულობს ლერმონტოვის შემდგომი პერიოდის ლექსში — „მკედრის სიყვარული“. აქაც მიწიერი სინამდვილისაგან თავდაუღწველობის ჰანგები იმის, აქაც უკმაყოფილებაა ზეციური სინამდვილისადმი:

„ზენაარ ძალთა ელვარება რა არის ჩემთვის,
ანდა სამოთხის უმანკობა.
თან წარვიტაცე
მიწიერი ყოველი ვნება“.

მიწიერი სინამდვილე ლერმონტოვის პოეზიაში გადაჭრულად აზროვნის საგნად, მაგრამ იგი მაინც აკრთობს მის პოეტურ შემოქმედებას, პეჩორინი ცდილობს გაეჭკვეს პრაქტიკულ ცხოვრებას, რადგან მან ვერ იპოვა საერთო ენა ამ სინამდვილესთან. ესაა ფეოდალური არისტოკრატის მთელი კლასობრივი აგონია, როცა ეს უკანასკნელი თავისი საკუთარი თვალებით ხედავს ისტორიის ავანსცენიდან ჩასვლას. და ის ნეგატიურად უყურებს ამ სინამდვილეს. სინამდვილე მახინჯია მისთვის, ბოროტია, გაუტანელი, დაუნდობელი და მკაცრი. „აღამიანების თვლებში ვკითხულობ ბოროტებისა და ბიწიერების ფურცლებს“, — ამბობს ლერმონტოვი. თვით პეჩორინიც ამ ბიწიერების მსხვერპლია. ცხოვრებამ ისე გადააკეთა მთელი მისი პიროვნული „მე“, რომ პეჩორინს ხშირად საკუთარი თავის ცნობაც კი უჭირს, როცა ასე კარგად მსჯელობს თავის პიროვნულ ნაკლზე. იგი ცხოვრების ბრძმედიდან გამოვიდა „მტკიცე და ცივი, როგორც რკინა“, მაგრამ სამუდამოდ დაქარგა „სიცოცხლის საუკეთესო ყვავილი“. ამიტომ პეჩორინის წინაშე ხშირად ისმის კითხვა, თუ რატომ ცოცხლობს იგი ან რატომ დაიბადა? ეს კითხვა გაცედა რომანტიკოსი პოეტების აზროვნებასა და ლექსებში, ამ კითხვამ მწუხარედ შეჰკრა პეჩორინის შუბლი და აი, გრუზნიცკისთან დუელის წინა ღამეს, იგი უნებურად ეკითხება თავის თავს:

„რატომ ცოცხლობდი მე? რა მიზნისთვის დაგიბადე?.. ხოლო იგი ნამდვილად არსებობდა — და მე მქონდა მოცემული ნამდვილად მაღალი დანიშნულება, იმიტომ რომ ჩემს სულში ფგრძნობ უზარმაზარ ძალას... მაგრამ ვერ მიეუხედა ამ დანიშნულებას, მე გამოიტაცა ჭარაფშუტა და არაკეთილშობილ ვნებათა მიზიდულებამ; მათი ბრძმედიდან გამოვიდი მტკიცე და ცივი, როგორც რკინა, მაგრამ დეკარტე საბუღამოდ კეთილშობილ მისწრაფებათა აღმური — სიცოცხლის საუკეთესო ყვავილი. და იმ დროიდან რამდენჯერ მითამაშნია ნაჯახის როლი ბედის ზელში. როგორც სასჯელის იარაღი, მე ვეცემოდი თავზე განწირულ მსხვერპლთ, ხშირად გაბოროტების გარეშე, ყოველთვის შენანების გარეშე. ჩემმა სიყვარულმა არავის მოუტანა ბედნიერება, იმიტომ, რომ, მე არავითარი მსხვერპლი არ მიმიტანია მათთვის, ვინც მიყვარდა: მე მიყვარდა საკუთარი თავისათვის, საკუთარი სიამოვნებისათვის; მე მხოლოდ ვაკმაყოფილებდი გულის ახირებულ მოთხოვნილებას, გააფთრებით ვთქავდი მათ გრძნობებს, მათ სინაზეს, მათ სიხარულსა და ტანჯვას — და ვერასოდეს ვერ შევიძელი, რომ გაემძლარევიყავი“.

პეჩორინი გრძნობს, რომ მას ნამდვილად აქვს „უზარმაზარი ძალა“. მაგრამ არ შეუძლია ამ ძალის გამოყენება, რადგან ის გაიტაცა „ჭარაფშუტა და არაკეთილშობილ გრძნობათა მიზიდულებამ“, ცხოვრებამ მას დააკისრა ნაჯახის როლი, რომელიც დაუნდობლად უნდა ეკვეთოს მტერს და გაანადგუროს. ეს არის ნეგატიური დამოკიდებულება რეალურ სინამდვილისადმი და მისი უარყოფაც. პეჩორინი ბოროტებს და ვერ ეტევა საკუთარ პიროვნებაში; მთელი ქვეყანა მისთვის რალაც კომედიია, სადაც გამეფებულია უკიდურესი ბოროტება და შური. ამ მომენტში პეჩორინს რომანტიზმის იდეებზე მოახვია ლერმონტოვმა. ჩვენ ვიცით, რომ რომან-



ტიკოსებისათვის ვიწროა მიწიერი ქვეყანა. ბაირონი ^{მისი} ^{გმირის} თავიანთი მწუხარე სახეებით დაეხეტებიან ამ ქვეყნად, მაგრამ აღვიღო მაინც ვერ უპოვიათ. თვით ბაირონისათვისაც ვიწრო იყო მსოფლიო. ლერმონტოვმა ჯერ კიდევ 1829 წელს, როცა მისი პოეტური ფანტაზია თბუთმეტ წელს ეთამაშებოდა, ერთ ლექსში („ლოცვა“) დიდი ტრაგიკოსივით წამოიძახა, რომ მისთვის „ვიწროა მიწიერი ქვეყანა“. ობიექტური რეალობა თითქმის ყველა რომანტიკოსის შემოქმედებაში წარმოდგენილია ნეგატიურად. თანამედროვეობის უარყოფა, არსებულადან არარსებულისაკენ ლტოლვა-რომანტიზმის ტიპიური ნიშანია. ბარათაშვილიც სკეპტიკურადაა განწყობილი თავისი თანამედროვეობის მიმართ:

„არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩემი ცხოვრება რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამოება?“

გვეუბნება ბარათაშვილი. იგი გრძნობს, რომ მისი „დრო ფუჭი და ამბოების განსახიერებაა, მაგრამ მას მიზეზი მაინც არა აქვს შემეცნებული. ისე, როგორც სხვა რომანტიკოსს, ბარათაშვილს შეუძლიან გაბედულად დაახასიათოს არსებული სინამდვილის ყოველი დეტალი, მაგრამ მიზეზის ახსნა საფუძვლის შემეცნება ისევ არ ძალუძს, როგორც რუსეთის ან დასავლეთის რომანტიკოსებს. ბარათაშვილისათვის ყოფა, წუთისოფელი არის „საწყაული აღუვსებელი“, სადაც გამეფებულია უკიდურესი ეგოიზმი, სიცრუე და ბოროტება, უსაშინელები „სულით ობლობა“ და ღალატი, ერთი სიტყვით, თითქოს ჰამლეტმა ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან გადმოსძახა მე-19 საუკუნის რომანტიკოსებს მათ პესიმისტურ დროშაზე წარწერილი სიტყვები: „ქვეყანა არის ბალი გაუმარგლავი, რაშიაც ხარობს მხოლოდ ღვარძლი, ცუდი ბალახი“. და ლერმონტოვის დემონიც ხომ ასეთივე შეხედულებისაა ცხოვრებაზე? თავის შეყვარებულს — თამარს იგი ეუბნება, რომ მიწიერ სინამდვილეში არ არსებობს „ქეშმარიტი ბედნიერება“, არც „ხანგრძლივად მარადიული მშვენიერება“, რომ იქ, სადაც დედამიწაზე, გამეფებულია მხოლოდ დანაშაული, დასჯა, უმნიშვნელო ვნებები, იქ უშიშრად არ იციან არც სიძულვილი და არც სიყვარული. ასეთია მიწიერი სინამდვილე დემონის შემეცნებაში. თითქოს რომანტიკოსის მანტია მოუხურავს დემონს, როცა ასეთი პესიმისტური ჰანგებით მიმართავს თამარს:

„ეთერს შვილი თავისუფალი
აგაფრენ მხარეს ვარსკვლავთს ზემოთ,
იქნე სამყაროს შენ დედოფალი,
უპირველესო დობილო ჩემო.
დედამიწა არ მოგენატრება,
არც სიბრალუღით, არც სიძულვილით,

სად არასებობს ბედნიერება
და არც მშვენიერება მარადვამული.
სად მხოლოდ ცოდვა და სასჯელია,
ცხოვრება წვრილმანს მოუცლავს ვენებას,
შეუძრწუნებლად არ მოელან
არც სიძულვილს და არც შევეყაივებას.

ეროვნული
განჯილქოთხეა

ნ. ბარათაშვილის ლექსიც — „ფიქრი მტკვრის პირას“ რეალობის ასეთი უსასტიკესი კრიტიკაა, სადაც უკანასკნელი ტაების გამოკლებით, დაგმობილია არამარტო ცხოვრება და ობიექტური სინამდვილე, არამედ ამ სინამდვილის ისეთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, როგორიცაა ადამიანი. მისი სული გაუმძღარია, ბრძოლა — უაზრო, რადგან არ შეიძლება გამართლებულ იქნას „იმავე მიწისათვის“ ბრძოლა, რადაც „დღეს თუ ხვალ“ თვით ადამიანი გახდება, — ასეთია ბარათაშვილის თეატალური. ბარათაშვილის ამ გულუბრყვილო მატერიალისტურ თეზაში დაგმობილია ადამიანის ეგოისტური ბუნება, მისი ფილისტერული განსჯა და მოქმედება. თუ ბარათაშვილისათვის არ არსებობს ადამიანი, რომელიც ერთხელ ნატვრით მიღებულს დასთანხმდება, ლერმონტოვი ადამიანის სახეს გვიხატავს და გვეუბნება: ეს ადამიანი სრულებითაც არ არის გამოწაკლილი ან შემთხვევითი:

„Никто не получал, чего хотел,
И что любил...“

ამბობს ლერმონტოვი. ამ მომენტში ბარათაშვილი უფრო მეტად კონკრეტულია. მისთვის ადამიანი არ წარმოადგენს აბსტრაქტულ ცნებას.

ბარათაშვილისათვის არ არსებობს ზოგადად ადამიანი, რომელიც მოწყვეტილია მოვლენებისა და ფაქტების კანონზომიერებას. ის ამ მომენტში არ მიჰყვება ლერმონტოვის უკიდურესი პესიმიზმის გზას. თუ ლერმონტოვისათვის ამ ქვეყნად არ არსებობს არც ერთი ადამიანი, რომელსაც მიეღოს ის, რაც სურდა ან რაც უყვარდა, თუ მისთვის ადამიანი წარმოადგენს სურვილისა და სიყვარულის განუზოროციელებლობის ცოცხალ ილუსტრაციას, ბარათაშვილისათვის არსებობს ადამიანი, რომელსაც სურვილი ან ნატვრა აუსრულდა, მაგრამ უღმობელი კრიტიკოსის მწვევე მათრახით უმასპინძლდება მის ეგოიზმს:

„ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსო,
და რაც მიეღოს, ერთხელ ნატვრით, ისა ეყაროს“.

ამით ბარათაშვილი ნაწილობრივ დაშორებულია ლერმონტოვის უკიდურეს პესიმიზმურ კონცეპციას.

ლერმონტოვი უარყოფს უმოქმედებისა და უწყინარი სიმშვილის ფილოსოფიას. მას არ სურს უმოქმედოდ უცქიროს ცხოვრების ქარიშხლის



ზმალურს, ან ეძიოს განსასვენებელი ადგილი, სადაც არ იქნებოდა პრაქტიკული ცხოვრების დეღვა. ის ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ „მწიფე მოქმედება“ და არ იცის, „თუ რას ნიშნავს დასვენება“:

„Мне нужно действовать, я каждый день,
Бессмертным сделать бы желал как ты,
Великого героя и понять,
Я не могу, что значит отдыхать“

მაგრამ მას იპყრობს შიში: ცხოვრება მოკლეა, შესაძლებელია ვერ შეასრულო ის, რაც გსურს გააკეთო. ლერმონტოვი თვითონვე ამბობს, რომ მასში დიდია ცხოვრებისადმი სიყვარული, თუმცა ეზიზღება სხვა ადამიანების სიციცხლე. „ცხოვრება საძაგელია, მაგრამ საშინელია სიკვდილიც“, — ამბობს ლერმონტოვი. და თითქოს აქ მთელი მე-19 საუკუნის ფეოდალური არისტოკრატია ლაპარაკობს საკუთარ თავზე: იგი ხედავს, რომ მისთვის ცხოვრება საძაგელია მაგრამ სიკვდილიც საშინელია. მან არ იცის: მისთვის ცხოვრება სწორედ იმიტომაა საძაგელი, რომ საშინელი სიკვდილის კლანჭებშია მოქცეული და არ შეუძლიან თავის დაღწევა. ცხოვრება ბოროტებაა, — ასეთია პირველი დასკვნა ლერმონტოვის პოეზიიდან. „ერთში ყველაფერი წმინდაა, ხოლო მეორეში ყველაფერი ბოროტია“, — ამბობს ლერმონტოვი. პირველში იგი გულისხმობს ზეციურ სინამდვილეს, ხოლო მეორეში — მიწიურს. ზეციურისა და მიწიურის ეს დაპირისპირება, ჩინური ზღუდის აღმართვა რეალურ და იდეალურ ქვეყანას შორის ლერმონტოვის პოეზიაში არ არის კალმის შემთხვევითი თამაში. მაგრამ ეს ტენდენცია ბოლოს საკუთარი თავის სრულ უარყოფამდის მიდის, ისევე როგორც ბარათაშვილის პოეზიაში რეალური ქვეყნის სრული დაგმობა, — მის მიღებაამდის.

მაგრამ როგორ უნდა აეხსნათ ლერმონტოვისა და ბარათაშვილის შემოქმედებაში სინამდვილესთან დაბრუნების ტენდენცია? რა უდევს საფუძვლად ამ ლტოლვას რეალურ ქვეყნისადმი? პრაქტიკული ცხოვრებისათვის ზრუნვის ფილოსოფია, რომელიც ბარათაშვილის პოეზიიდან ისპის, იდეალისტმა კ. აბაშიძემ პოეტის ქრისტიანიზმით, ქრისტიანული შორალით ახსნა: „ძლიერებამ ქრისტეს სარწმუნოების გავლენისამ, — სწერს კ. აბაშიძე, — ბარათაშვილშიაც იჩინა თავი და მთელი მისი ლექსები სულითა და გულით ქრისტიანის დაწერილია; ადამიანის, რომელსაც მტკიცედ აქვს თავისი მოვალეობა შეგნებული, ადამიანის, რომელიც კაცთა სისუსტეს სიბრალულითა და მოთმინებით დასცქერის; ადამიანის, რომლისთვისაც ცხოვრების საზიზღრობას გული კი ვერ ატოვრებია ამ ცხოვრებაზე, არა, წინააღმდეგმი-
23. „მნათობი“ № 5—6.



სი განკარგებისა და გაუმჯობესების ცდა იქნება ალად დაუსახავს*"). მიწიერი სინამდვილის ეჭვიმგზავნებისა და ვაკეთილშობილებისათვის ზრუნვა, რომელიც ბარათაშვილის ახასიათებს, შეუძლებელია აიხსნას ამ ულტრაიდეალისტური, წმინდა რელიგიური თვალსაზრისით. ჩვენ არაერთხელ მივეუბნეთ, რომ ფეოდალურმა არისტოკრატამ, საკუთარი თვლით დაინახა რა მოახლოებული განსაცდელი ხელი კი არ აიღო, პრაქტიკული ცხოვრებისათვის ზრუნვაზე, არამედ ყოველმხრივ შეეცადა დაეცვა საკუთარი კლასობრივი ინტერესები და გადაერჩინა თავი ისტორიულად აუცილებელი მოსაპოვისაგან. ამიტომ პრაქტიკული ცხოვრებისათვის ზრუნვის ფილოსოფია ახასიათებს არა მარტო ბარათაშვილს და ლერმონტოვს, არამედ თვით უკიდურეს პესიმიზმსაც კი. ხომ ფაქტია, რომ პეჩორინს თითქოს არაფერი არ აინტერესებს ამ ცხოვრებაში, ცხოვრება მისთვის ხომ უდიდესი უბედურებაა, მაგრამ რა თავდადებით, რა თავგანწირვით ცდილობს იგი დაიკმაყოფილოს თავისი პატარა მისწრაფებებიც კი. კაცობრიობის ისტორია, რომელიც კლასთა ბრძოლის ისტორიაა, ნათლად გვეუბნება, რომ ისტორიის ავანსცენიდან არც ერთი კლასი არ ჩამოსულა ძირს სასიკვდილო ვაბრძოლების, უსასტიკესი ბრძოლის გარეშე. და რომანტიკოსებიც, აღსასრულის წინ მდგარი არისტოკრატის ეს უნიკიერესი პოეტები, თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში, ცხოვრების უარყოფასთან ერთად, მიწიერი სინამდვილისათვის ზრუნვის ფილოსოფიას ანვითარებდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლერმონტოვმა საკუთარი თავის შესახებ ასე კატეგორიულად სთქვა: მე არ ვიცი, თუ რა არის დასვენებაო. ამიტომ იყო, რომ ბარათაშვილმა, პრაქტიკული ცხოვრების უარყოფითი მხარეების გაკიცხვასთან ერთად, „გვესმას სოფლისა“-ს ფილოსოფია წამოაყენა. ამიტომია, რომ პეჩორინს ასე უყვარს საკუთარი თავი, იცავს მას მტრების ყოველგვარი თავდასხმისაგან, როცა სძულს და ეზიზღება კიდევ სხვისი ცხოვრება. სწორედ ამიტომ მიუთითა ბელინსკიმ, რომ პეჩორინი არის „მწუხარე ფიქრი ჩვენი მომავლის შესახებო“.

რომანტიკოსები მიისწრაფოდნენ სულიერი სიმშვილისაკენ. ზევით აღვნიშნეთ, რომ სულიერი სიმშვიდის პოვნას ისინი ცდილობდნენ ირრეალურ ქვეყანაში, მაგრამ ამ ქვეყანამ ვერ მისცა მათ სულიერი სიმშვიდე. ისევე, როგორც ბარათაშვილს ხმა იღუმალმა, რომელიც პირადებოდა ზვედრის პოვნას, ვერ მისცა ეს უკანასკნელი. და აი, ლერმონტოვი, ერთ-ერთ თავის ლექსში პირდაპირ ამბობს, რომ მისთვის თვით სამარეშიც კი არ იქნება სიმშვიდე:

*) ჯ. ბ. ლ. ა. მ. დ. „ბეჭდები“, ტ. I, გვ. 80.



ერეკლესული
ბიბლიოთეკა

„და ეს ხატებაც, მას ჩემთან ერთად
სურს, რომ იხილოს სამარის კარი,
იქ, სად აღმოთქვი, ჩემთვის დაგეთმო
შენ სამუდამო თავშესაფარი.
მაგრამ ვერ ვპოვებ, ვგრძნობ, მოღწენებას
იქაც და აქაც ისარ იქნებ
იმ განუზომელ და საშინელ წლებს.
ტანჯული მარად ვერ დაიფიქვას.“

ბარათაშვილიც მიისწრათვის სიმშვიდისაკენ. მაგრამ ეს ს.მშვიდე რე-
ალურ ქვეყანაში მისთვისაც ისევე არ არსებობს, როგორც ლერმონტო-
ვისათვის. ირრეალური ქვეყანა, რომელიც მოწყვეტილია „საწუთროე-
ბას“, სადაც არ იქნება მიწიერი ცხოვრება თავისი მკაცრი კანონებით და
ყოველდღიურობის პრაქტიციზმით, „ზენაართ სამყოფი“, — აი, სად უნ-
და იქნას მონახული სიმშვიდე, ბარათაშვილის აზრით. მაგრამ იმ ქვეყ-
ნის ზილვა, არსებულისა და არარსებულის ანუ უკეთ, რეალურიდან ირრე-
ალურის ზილვა მისთვის მიუღწეველი ოცნების კლდეა. ბარათაშვილისა-
თვის „ზენაართ სამყოფი“, კანტის ენით რომ ვთქვათ, ნოუმენების
ქვეყანაა, რომელსაც თვით პოეტის ფიქრიც კი ვერასოდეს ვერ მისწე-
დება:

— „ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაწნული!
აწუა რა თვალნი ლაქვარდს გიხილვენ, მუის ფიქრნი შენდა მოისწრათიან!
მაგრამ შენამდე ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!“

მაგრამ თუ ტრანსცენდენტური ქვეყანა, რომელიც ატყვევებს პოეტს.
მიუწვდომელია, თუ მას არ შეუძლიან შეიფაროს მისკენ მსრბოლი არ-
სება, შეიძლება თუ არა იგი გახდეს ზრუნვის ერთადერთ საგნად? / ეს
კითხვა ბარათაშვილისათვის ჩვეული ფილოსოფიური სიღრმით წყდება
და ირრეალური ქვეყნისადმი მიმართული ფიქრები პრაქტიკული ქვეყნის
აღელვებულ ხმაურს უბრუნდება:

„ჰოი საღამოე, მყუდრო საამოე, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს მქუნვარება შემომესცვის, შენდა მოვილტვი განსაქარებლად!
მწუბრი გულისა — სეედა გულისა — ნუგეშა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდას ის განანათლებს.“

ირრეალური ქვეყნისადმი მიმართული ფიქრები პოეტმა ისევ პრაქტი-
კულ ცხოვრებას დაუბრუნა. მაგრამ იგი ვერ ურიგდება ობიექტურ სი-
ნამდვილეს, რადგან მან ვერ ნახა საერთო ენა ადამიანებთან. იგი გულის-
ტკივილით ამბობს, რომ ამ ქვეყნად მან ვერ იპოვა მეგობარი და განიც-
დის „სულით ობლობას“. მისთვის სულიერი ობლობა ბევრად უფრო მწვა-
ვე და აუტანელია, ვიდრე ფიზიკური, რადგან „მეგობართა, ნათესავთ
მოკლებული, ისევ ჩქარა პოებს სანაცვლოს გული“. რატომ განიცდის

პოეტი ამ ობლობას? „ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, — ამბობს ბარათაშვილი, — იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვრჩობდა მუცელს, მგონა, მას სული არა ჰქონია; ვისი გონება მრწამდა ზეგარდნის ნაპირად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდნენ ცრემლად სიბრაღელისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი ცხოვრებისა, წვეთნი, საშინელის საწამლავესა. სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?“*).

მარტოობის ფილოსოფია ბარათაშვილმა გამოხატა თავის ლექსში — სული ობოლი“. ამ ლექსის იდეური კონცეპცია საეხებით იგივეა, რაც მაიკო ორბელიანისა და მიწერილი ბარათისა. ამ ლექსშიაც ჩივილია საკუთარ უთვისტომობაზე“, ჩივილია სულით ობოლზე, რომელსაც ვერ უპოვია თავისი ტოლი, — ერთხელ დაჰკარგა რა ეს უკანასკნელი მისი ყოფა ტანჯვა და ურვა:

„არღრა აქვს მას ნდობა ამა სოფლის!
ეშინიან, ირბაღვის, არღა იცის,
ვის აღწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიჭრება ხელმეორედ მას ნდობა!
ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაჰკარგვა სწორისა,
ოხერა არის შვება უბედურისა“.

ლერმონტოვის პოეზიაში არა ნაკლები სიძლიერით ისმის მარტოობის მწუხარე ჰანგი. ლერმონტოვის „ლოცვა“ თითქმის იგივეა თავისი იდეური მრწამსით, რაც ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“, ამ ლექსებში ერთი ძირითადი იდეა მხოლოდ ისაა, რომ, ირრეალური ქვეყნის ნაცვლად, რეალურ ქვეყანას დაუბრუნდეს ადამიანი. ასეთი იდეური მსგავსებაა ბარათაშვილის „სული ობოლისა“ და ლერმონტოვის „К Пы.....ну“-ს შორის. ეს ლექსი ლერმონტოვმა 1829 წელს დასწერა. აქაც იგივე ტანჯვა და წუხილია, ისეთივე გოდებაა სულით ობლობის შესახებ, როგორც ბარათაშვილის ლექსში. ლერმონტოვი ამბობს, რომ იმ ადამიანს, რომელმაც ყმაწვილობაშივე დაჰკარგა „ოქროს წლები“ და რომელსაც კმუნვის ბეჭელი აზის, ვერავითარ სიამოვნებას ვერ მისცემს ვერც მეგობრობა და სიყვარული და ვერც საბრძოლო განწყობილებით საესე ლექსები:

„მაგრამ მას, ვისაც თავისდასხმია სევდების ჯარი,
ოქროს დღეები ვინც დაჰკარგა სიჭაბუკეში, —
ვერც მეგობრობა, სიყვარული, ხმა საომარი
ვერ შეიძლებენ მის დატბობას, რომ სცენ ნუგეში“.

*) ნ. ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანთან 1842 წლის 31 ოქტომბრის თარიღით.

თითქოს ლერმონტოვის ეს ლექსი წაუკითხავს ბარათაშვილს, როცა მან თავისი „სული ობოლი“ დასწერა. თითქოს ეს ლექსი დაუდგია მას სარჩულად იმ წერილისთვის, რომელიც მაიკო ორბელიანი წერდა: „განა ბარათაშვილი იმასვე არ იმეორებს ამ წერილში, რასაც ლერმონტოვი? „ყმაწვილობაშივე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას, და ვიდრემდის სრულიად გადაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი“. ამავე წერილში ბარათაშვილი უფრო ღრმა პესიმისტური პანგების ტყვეობაში იმყოფება: „შენ წარმოიდგინე, — სწერს ბარათაშვილი მაიკო ორბელიანს, — სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესაეენი და მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში“. რა ღრმა საზოგადოებრივი ტკივილის შემცველია ბარათაშვილის ეს პიროვნული გოდება. იგი ისევე სავსეა საკუთარი კლასის მთელი ისტორიული ყოფით, როგორც ლერმონტოვის პესიმიზმი.

ხევით ავლნიშნეთ, რომ ლერმონტოვი ბავშვობაშივე მიისწრაფოდა უკანასკნელს, მაგრამ ეს უკანასკნელი მან ვერ ჰპოვა. ბარათაშვილიც ტრაგიულად ჰგოდებს, რომ ბავშვობაში:

„ზიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის,
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის“.

და ამ დროიდან მას თან სდევდა ხმა იღუმალის, რომელიც „ცბადად თუ სიზმრად“ ეუბნებოდა პოეტს:

ემიე ყმაო შენ მხვედრი შენი,
ენძლო იპოვნო შენი საშენი“.

მაგრამ ბარათაშვილმა, ისე, როგორც ლერმონტოვმა, ვერ ჰპოვა ეს უკანასკნელი. მან თითქოს წინასწარ იცოდა, რომ იგი ვერ ჰპოებდა თავის „საშენს“:

„მაგრამ მე ხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვებ
და შით კავშანს ვერღა ვიშორებ“.

ამბობს ბარათაშვილი. მაგრამ პოეტი მონურად არ იბრის ქედს ამ იღუმალის ძალის წინაშე. მას სურს გაარკვიოს თავისი სახე ამ ქვეყნად, გაიგოს, რას განუშაადებს მას ხმა იღუმალის, რომ შეიცნოს იგი და გაიგოს ამ სოფლად „თავის წილობა“.

ბარათაშვილი დაუცხრომელ ძიებაშია. მან ჰპოვა „ტაძარი, შესაფერი, უდაბნოდ მდგარი“, სადაც „ენთო მირად უქრობელი, წმინდა ლამპარი“ და ის „მწირი, სოფლისა, და მაშვრალი მისითა ღელვით“, იქ განიზრახავს „განსვენებას წრფელთა ზრახვით“. მას ეგონა, რომ იგი ხედავდა „სასუფეველს აქ დაშენებულს“, მაგრამ მოსტყუვდა პოეტი, რადგან:

„...საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?
 განპქრა ტაძარი — და უდაბნო ჩემდა მდღეობებს;
 • მას იქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასაღარებს;
 მის ნაცვლად სევდა და წყვედიადი დაისადგურებს.“

პეტრეწულნი
 მგზავნიყმუნა

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
 ვერსად აღვანთე ტაშთომილი მისი ლაშპარი!
 ესრეთ დამიბნო უკულმართმა ნუგეშის კარი,
 და დავალ ობლად, ისევ მწირო, მიუსაფარი!“

გახა პეტორინიც „მიუსაფარი მწიროს“ სახით არ დაეხეტება ამ ქვეყნად? განა პეტორინიც ამ მარტოობის ფალოსოფიას არ ანვითარებს, როცა ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მას ამ ქვეყნად არა ჰყავს არც ერთი მეგობარი? ჩვენ ვიცით, რომ პეტორინი მიისწრაფის სიცოცხლისაკენ, მას უნდა ცხოვრება, აზროვნება, შემოქმედება, მაგრამ მისთვის არ არის არც დრო, არც პირობები და საშუალება ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად. აქედან წარმოსდგება მისი უკიდურესი პესიმიზმი და უქნარობა. სწორედ ამიტომ აღნიშნა ბელინსკიმ, რომ „პეტორინი ჩვენი დროის ონეგინია, ჩვენი დროის გმირი“ *). პეტორინს არ შეუძლია შეებრძოლოს არსებულ ყოფას, რომელიც ღრღინს და ანადგურებს მის პიროვნებას; არ შეუძლიან შესცვალოს ისტორიის ჩარხის ბრუნვა, რადგან იგი ვერ ხედავს გამოსავალს მდგომარეობიდან. ესაა პეტორინის დროინდელი მთელი ფეოდალური არისტოკრატიის კლასობრივი ტკივილი, რომელიც ასე მძაფრად ისმის ლერმონტოვის პოეზიიდან. უძლეველი გმირი, აი, რა ესაჭიროება ფეოდალურ არისტოკრატიას ისტორიულად აუცილებელი მოსპობის წინ. მაგრამ ეს გმირი არსადა ჩანს, მის ნაცვლად ონეგინებისა და პეტორინების მწუხარე სახეები იხედებიან ისტორიის დათვლილ ფანჯრებიდან. განა ისინი შესძლებენ ისტორიის შემობრუნებას? არა, ისინი უძლურნი არიან ამ დიდი ისტორიული აქტისათვის, რადგან მათი კლასობრივი ყოფა მოკლებულია ამისათვის საჭირო წინამძღვრებს. ისტორიას ადამიანები ჰქმნიან, მაგრამ პეტორინს თავისი კლასობრივი ყოფის გამო არ შეუძლიან „ისტორიის შექმნა“. აქაა უკიდურესი პესიმიზმის საფუძველი, რომელიც ღრღინს პეტორინის გონებას და ანადგურებს მას. ლერმონტოვი ნათლად ხედავს, რომ პეტორინს არ შეუძლიან შესცვალოს ისტორიის განვითარება. თუ რატომ, ამაზე ნაწილობრივ თვით ავტორი მიგვიითითებს. მაგრამ ეს ხომ თანამედროვეობის დაცინვაა? ეს ხომ მთელი იმ საზოგადოებრივი ყოფის უარყოფაა, რომელსაც ნიკოლოზ პირველი თავისი ეანდარმერის ქუსლით და ხიშტებით იცავდა? სრული სიმაართლეა. სწორედ ამიტომ მიაკერა ლერმონტოვმა მკითხველს ის აზრი, რომ პეტორინი არსებითად წარმოადგენს „ბოროტ ირონიას“ მის თანამედრო-

*) „Избр. соч. Белинского“, т. I, 1907 г., 33-457.

ვე საზოგადოებაზე. პეტროვინი არ არის დადებითი საზოგადოებრივი ტიპი. იგი თვითონვე ამბობს, რომ საზოგადოებამ წაართვა მას ყველაფერი, რაც კარგი იყო მის პიროვნებაში. უკიდურესი პესიმისმანტიანს საზოგადოებრივი ავანტურა, პრაქტიკული ცხოვრებისადმი ინდოქვრული დამოკიდებულება, გულცივობა, ყველას მიმართ, — აი ის, რაც ცხოვრებამ შესძინა პეტროვინს. არ შეიძლება ითქვას, რომ პეტროვინი უნიჭო ადამიანია. არა, მას აქვს ნიჭი, უნარი, ენერჯიაც კი, მაგრამ ნიკოლოზ პირველის ეპოქა ყოველთვის ამბობს მის პიროვნებაში. ისტორიას ადამიანები „ჰქმნიან“, — პეტროვინმა ამის შესახებ არაფერი არ იცის. იგი თვით ადამიანებსაც ვერ ხედავს, რომლებსაც საერთო ინტერესები აქვთ. მთელი საზოგადოება მისთვის მკაცრად განკერძოებული პიროვნებისაგან შედგება, სადაც არ არსებობს საერთო ინტერესები, საერთო აზრი, საერთო ენა. ამიტომ მას არ შეუძლიან ხელი მოჰკიდოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე პრაქტიკულ გავლენას. მის პიროვნებაში ჩანს რუსეთის მე-19 საუკუნის 40-იანი წლების ფეოდალური არისტოკრატის იმ ახალგაზრდობის სახე, რომელიც ასე თუ ისე კრიტიკულად უცქეროდა საკუთარ ყოფას ნიკოლოზ პირველის თვითმპყრობელური რუსეთის ბარბაროსულ კლანჭებში. აქ ჩანს იმდროინდელი მთელი თაობის ის ტკივილები, რომლებიც ასე მძაფრად აისახა ლერმონტოვის პოეზიაში. ამ მხრით ბელინსკიმ სამართლიანად შენიშნა, რომ „ჩვენი დროის გმირი“ — ეს მწუხარე ფიქრია ჩვენი დროის შესახებო“ *). ეს დრო უდევს საფუძვლად ლერმონტოვის პოეზიას. ეს დრო იყო, რომელმაც იქ, ლერმონტოვისაგან მრავალი ასი კილომეტრის დაშორებით, ახალი ფურცელი გადაშალა რომანტიზმის წიგნში — ნ. ბარათაშვილის პოეზიის სახით. ამ დროს უჩიოდა და ჰკიცხავდა ლერმონტოვი. ეს დრო იყო, რომელმაც მწუხარედ შეჰკრა ახალგაზრდა პოეტის შუბლი:

„Нечаянно я гляжу на наше поколение
Его грядущее — как пусто, как темно“.

და ეს მწუხარე ცქერა, თავისი თაობის ეს კლასობრივი ტკივილები ასე ოსტატურად გამოხატა ლერმონტოვმა პეტროვინის სახით. „ცხოვრების ქარიშხალი“-დან პეტროვინმა გამოიტანა „მხოლოდ რამდენიმე იდეა და არც ერთი გრძნობა“. ის „დიდი ხანია ცხოვრობს არა გრძნობით, არამედ გონებით“. ეს უკიდურესი სიძულვილი არსებული საზოგადოებრივი ყოფის მიმართ, ყინულივით გულცივი დამოკიდებულება ადამიანებისადმი ისე ძლიერია პეტროვინის პიროვნებაში, რომ მას ამ ქვეყნად ვერ უპოვია მეგობარიც კი, უკეთ, ეს მეგობარი მისთვის არ არსებობს. გრუნ-ნიცკისთან დუელის წინ, ექიმ ვერნერთან საუბარში პეტროვინმა თავის გატყნევით აღნიშნა, რომ მას არა ჰყავს არცერთი მეგობარი. ისე ცივი და უსულგულოა პეტროვინის დამოკიდებულება მეგობრობის საკითხისადმი,

*) „Избр. соч. Белинского“, 1907 г., გვ. 458.

რომ მას ამის შესახებ არც კი სურს სიტყვა სთქვას, იგი მხოლოდ თავს ვაიქნევს, რომ არა ჰყავს მეგობარი:

„— დასწერეთ თუ არა თქვენი ანდერძი? — უცებ ჰკითხა გიგინეა“

„არა“.

მაგრამ თუ მოგაღეს?

„მემკვიდრეები თვით მოიძენებინა“.

— ნუთუ არა გყავთ მეგობრები, რომლებსაც გსურთ გაუგზავნოთ თქვენი უანსკნელი გამოთხოვება?..

მე თავი ვაიქნივ.

— ნუთუ ქვეყანაზე არ არსებობენ ქალები რომლებსაც თქვენ გსურთ დაუტოვოთ რაიმე სასოფრად?..

„გსურთ თუ არა ეკიპო, — ვუპასუხე მე, — გადავიშალოთ ჩემი სული?.. ხედავთ თუ არა, რომ მე ვაგვიარე ის პასაკი, როცა კედლებიან თავიანთი შეყვარებულის სახელის წარმოთქმისას და მეგობარს უანდერძებენ ვალაქული თუ ვალაქავი თმის კულულებს? მოახლოვებული და შესაძლებელი სიკვდილის შესახებ ფიქრის დროს მე ვფიქრობ მხოლოდ ჩემს შესახებ: სხვები ამასაც კი არ სჩადიან“.

პეჩორინის პიროვნებაში ორი ადამიანი ცხოვრობს. იგი გაორებულია მაგრამ ეს გაორება არ არის მექანიკური ხასიათისა, სადაც ერთი ჩინური კედელითაა გამოთიშული მეორისაგან. „ჩემში ორი ადამიანია ამბობს პეჩორინი, — ერთი ცხოვრობს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით მეორე აზროვნებს და ასამართლებს მას; პირველი შეიძლება ერთი საათის შემდეგ გამოგეთხოვოთ თქვენ და ქვეყანას სამუდამოდ, ხოლო მეორე...“ აქ პეჩორინს აღარაფერი ათქმევინა ლერმონტოვმა, რადგან იმ „მეორე ადამიანის“ განსაზღვრა, რომელიც აზროვნებს და ასამართლებს“ პირველს, ასე ადვილი როდია. ეს „მეორე ადამიანი“ ის პროტესტანტია, რომელიც სეპტიკურადაა განწყობილი მისი თანამედროვეობის მიმართ. მას გონებაც აქვს და გრძნობაც, ხოლო მისი დახასიათება ლერმონტოვის ძალას აღემატებოდა, რადგან ეს იქნებოდა უკვე აშკარად ყოველივე იმის თქმა, რაც რომანის მთელ სიერცეზე ასე მალულად და თავისებური პოეტური ფორმით ვლინდება.

„ცხოვრების ქარიშხლიდან მე გამოვიტანე რამდენიმე იდეა და არც ერთი გრძნობა. მე დიდი ხანია ვცხოვრობ არა ვულოთ, არამედ გონებით“, — ამბობს პეჩორინი. ბელინსკიმ მოხდენილად დაახასიათა ეს „ორი ადამიანი“. მისთვის პეჩორინის პიროვნებაში მართლა „ორი ადამიანია“, მაგრამ პირველიც და მეორეც სუსტი, — პირველი, რომელიც პრაქტიკულია, მოქმედებს, მისწრაფის ცხოვრებისაკენ, ხოლო მეორე, რომელიც კრიტიკულად უყურებს პირველის მოქმედებას, ასამართლებს მას — მსჯავრდებულია. და მართლაც, პეჩორინის პიროვნებაში ეს „ორი ადამიანი“ ის სუსტი რგოლია, რომელიც ლერმონტოვმა თავისი სარკაზმის ქვაკუთხედად აქცია. „...პეჩორინი, მოქმედებს რა არასწორად, უფრო არასწორად ასამართლებს თავის თავს“, წერს ბელინსკი. მართალია

ბელინსკი შეეცადა დაემტკიცებინა თავისი დებულებების სისწრაფი, მაგრამ მან მხოლოდ ნაწილობრივ მიუთითა საკითხის ობიექტურ მხარეზე. მან ვერ შესძლო პეჩორინის მთელი სულიერი ტრაგედია მისი მხარეებისა და აზროვნების სისუსტის ღრმა, მეცნიერულად განმარტებითი ბელინსკი, როგორც პეგელიანელი, პეჩორინის პიროვნებაში ხედავდა არა გარკვეული საზოგადოებრივი კლასის წარმომადგენელს, არამედ პიროვნებას, რომელიც უკმაყოფილოა თავისი თანამედროვეობით. ლიტერატურული ტიპის ასე განყენებულად განზილვა იდეალისტური ესტეტიკის ტიპური ნიშანია და ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ აქ ბელინსკი აშკარად იდეალისტური ესტეტიკის ტყვეობაშია მოქცეული. მან სამართლიანად დაგმო პეჩორინის უმოქმედობა, მაგრამ მეცნიერულად ვერ გაარკვია ამ უმოქმედობის საფუძველი, პეჩორინის გულციობა, უმოქმედობა, უანგარიშო მწუხარება, ერთი სიტყვით, მთელი მისი დამახასიათებელი მხარეები ბელინსკიმ ორგანიზულად დაუკავშირა ნიკოლოზ-პირველის ეპოქის იმ იდეალისტურ გაგებას, რომელიც გამოხატულია დებულებაში: „ჩვენი საუკუნე, უპირველეს ყოვლისა, არის რეფლექსების საუკუნე“ *).

სად უნდა ვეძიოთ ამ უკიდურესი პესიმიზმის, უმოქმედობის, პაროდისტურული კმუნებისა და ობიექტური სინამდვილისადმი ნეგატიური დამოკიდებულების საფუძველი? როგორ უნდა ავხსნათ პეჩორინის, ამ უდაოდ ნიჭიერი ადამიანის სულიერი ტყვიულებების მიზეზები? სად იწყება ამ დიდი ტრაგედიის სათავე და, ბოლოს, სად უნდა იქნას მონახული მისი დასასრული თუ კი იგი არსებობს?—აი, იმ საკითხების, მთელი გაღერეია რომლებიც პეჩორინის პიროვნების ანალიზის დროს ჩვენ წინაშე იჭრება და რომლების გადაწყვეტა მთელი რომანტული სკოლის უმნიშვნელოვანეს საკითხებს გაარკვევს. აქ საქირია მოკლე ლიტერატურული ექსკურსია, რომ უფრო ნათლად გავარკვიოთ ამ საკითხების დედაარსი.

1838 წ. ლერმონტოვმა დასწერა უძლიერესი ლექსი „Дума“, სადაც ისმის არა მარტო თვით ავტორის მთელი სულიერი ქვეყნის ხმაური, არამედ რუსეთის ფეოდალური არისტოკრატის 40-იანი წლების ახალგაზრდობის მთელი კლასობრივი გოდება.

„Дума-“ში ლერმონტოვი თავის თაობას უსაყვედურებს, რადგან ისინი „Перед властью — презренные рабы“. მაგრამ ეს სოციალური მოტივი ლერმონტოვის პოეზიას ჯერ კიდევ ბავშვობის პერიოდიდან მოჰყვება. 1829 წელს, როცა ლერმონტოვი 15 წლისა იყო, მან დაწერა ლექსი „Портреты“, სადაც საკუთარი თავი „თავისუფლების მეგობრად“ გამოაცხადა. ამავე წელს იგი თავის სამშობლოს შესახებ ამბობს, რომ „იქ ოხრავს ადამიანი მონობისა და ჯაჭვისაგან“. ამ ახალგაზრდობას, რომელსაც თვით ლერმონტოვი ეკუთვნოდა, არ ჰქონდა მომავალი. ეს მო-

*) იქვე, გვ. 446.

მავალი ან ბინდით იყო მოცული, ან წარმოადგენდა სიცივედს, ამიტომ იყო, რომ ამ ან-ღვაზრობამ დაკარგა ყოველგვარი რწმენა მომავლისადმი. პესიმინის ქია დაეუფლა მის ყოფას და ჩაატარა მისი ყოველი ცხოვრებისადმი ინტერესი. ამ კლასის მთელი ეს ინტერესი საჭიროა ლერმონტოვმა დიდი მხატვრის ოსტატობით გამოხატა 45 სტრიქონიან ლექსში. აქ არის გენიალური მხატვრის მიერ მითითება ფაქტზე, მისი სრული დახასიათება, მაგრამ უგულვებელყოფილია თვით ფაქტის კაუზალური მხარე:

„И царствует в душе какой-то холод тайный.
Когда огонь кипит в крови“.

ბელინსკიმ სამართლიანად შენიშნა, რომ ეს სიტყვები პირდაპირ პეჩორინს ეხებათ. *) განა პეჩორინის პიროვნებაში მართლაც არ ღრღნის მის ყოფას ეს ორი მომენტი — სიცივისა და ცეცხლის მომენტი? ეს სიცივე ის „პირველი ადამიანია“, რომელსაც თვით პეჩორინმა მომქმედო, — სიცივისაგან მისწრაფი უწოდა, ხოლო ცეცხლი „მეორე ადამიანია“, რომელიც აკრიტიკებს პირველს, მსჯავრი გამოაქვს მის ყოველ ნაბიჯზე, უარყოფს პირველის ინდიფერენტულ მოქმედებას, ინდიფერენტულ სწრაფვას სიცივისაგან. პეჩორინის პიროვნებაში მართლა რაღაც „სიცივეა საიდუმლოების“, როცა მის „სისხლში ცეცხლი დღეს“. ეს მომენტი დამახასიათებელია მთელი რომანტიზმისათვის და ვისაც სურს, ნამდვილად გაიგოს მთელი ამ მოვლენის არსი, ის აუცილებლად საფუძვლიანად უნდა გაეცნოს არა მარტო ქართულ ან რუსულ, არამედ დასავლეთ ევროპის რომანტიულ სკოლის წარმომადგენლებს.

ლერმონტოვის მსგავსად ბარათაშვილი „ცხოვრების წყაროს“ ემუდარება — მისცეს მას „სადგური მყუდროების“. საკუთარი თავი ბარათაშვილს წარმოდგენილი აქვს განსაცდელში, როცა საჭიროა დახმარება. მეგობრული ხელი — არა უძლური, არამედ უძლიერესი არსებისა:

„ნუთუ მამას ატლა ჰქონდეს გულის ტყვილი,
რდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შეილი“.

გულგატეხილი ამბობს ბარათაშვილი. ეს პესიმისტური ჰანგი ზეციურ სინამდვილესთან კონფლიქტის გამოხატელობაა, რაც თავისებურად აისახა რომანტიკოსების მხატვრულ შემოქმედებაში. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ლერმონტოვის პოეზიაში არა „ამქვეყნიურ სინამდვილისაგან“ ღტოლვა თავისი განვითარების მანძილზე ამავე სინამდვილესთან კონფლიქტით დასრულდა, ხოლო საბოლოო ანგარიშში — მისი უარყოფით. ეს უარყოფის ჰანგი არანაკლები სიძლიერით ისმის ბარათაშვილის პოეზიაში. თუ 1840 წელს ბარათაშვილი თავის ლექსში — „ჩემი ლოცვა“ გაუბედავ

*) „Избр. соч. Белинского“, т. I, гл. 447.

საყვედურით მიმართავს არა „ამჭევყენის სინამდვილეს“, 1841 წელს/ლექსში — „სულო ბოროტო“, კატეგორიულ ბრძოლა უცხადებს იმ სინამდვილეს, რომელმაც „სულის სიმშვიდე“ და მოუკლა „ყმწყმწყმის ბრმა სარწმუნოება“:

„ცხოვრების წყაროვ, მასვი წმინდათა წყალთაგან შენთა,
დაშინთქე შათში საღმობანი გულისა სენთა!
არა დაჭროლონ ნაცსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მუდროებისა!“

ბარათაშვილმა შესცვალა რადიკალური დაპირისპირებით „ზეციურ“ „სინამდვილესთან“. მაგრამ ეს „სინამდვილე“ მისთვის შემდგომ პერიოდში ია-ვარდით დაფენილი ან სულიერი სიმშვიდის ნაცსაყუდელი კი არაა, არამედ ბოროტი სულია, რომელმაც წაართვა მას თავისუფლება, სულის სიმშვიდე და ააცდინა ბედნიერების გზას. თუ ერთ დროს პოეტი მუდარით და შემარტივებლური ჰანგებით მიმართავდა იდეალურ ქვეყანას, თუ ამ მიმართებაში გარკვევით ჩანდა დაეკვება და უკმაყოფილება, თუ იგი არწმუნებდა „გულთა მზილავს“, რომ მან წინასწარ იცის მისი ზრახვები და არაფერი დაჩენია მისთვის სათქმელად, რის გამო დუმილიც კი მისადმი ლოცვად უნდა მიეთვალოს, შემდგომ პერიოდში ყოველივე ეს პროტესტის სახეს იღებს და პოეტი მზადაა მე ბრძოლის პირდაპირობით მიმართოს ბოროტ სულს, რომელმაც წაართვა მას ბედნიერება:

„წყვეთიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
შრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი, ჩემთ გულისთქმათა!
მას აქეთ არის დაფუარგე სიმშვიდე სულსა,
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!
განვედი ჩვენგან? ჰე მაცდურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო,
ჰკუთით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვი მას, ვისაცა მოხედეს ხელს შენი მსახვრალი!“

ასე ძლიერია ბარათაშვილის სულიერი ტრაგედია. ამ ტრაგედიასთან ძალიან ახლოა პეჩორინის, თვით ლერმონტოვის სულიერი ქვეყანა. განა პეჩორინიც „ჰკუთით ურწმუნო“, „გულით უნდო“, „სულით მახვრალის“ ფილოსოფიას არ ანვითარებს ყოველთვის, როცა იგი გულწრფელად მსჯელობს საკუთარი თავის შესახებ? განა პეჩორინი იმიტომ არ არის ასე ცინიკურად განწყობილი როგორც საზოგადოების, ისე ცხოვრებისადმი, რომ მას გზა დაუკარგეს, წაართვეს პიროვნული ღირსებები და გადააქციეს „ნაჯახად“, რომელიც უღმობლად ესმის თავს მსხვერპლთ? მაგრამ პეჩორინი მაინც დაშორებულია ბარათაშვილის სულიერ ტრაგედიას. მართალია, იგი მზადაა მტერთან საბრძოლველად, მოხარულია კიდევ, რომ „უყვარს მტრები, თუმცა არა ქრისტიანულად“, ისინი თავს აქცე-

ვინებენ მას, „სისხლს“ უღელვებენ, მაგრამ ესაა პეჩორინის ანტიკონკრეტული აზროვნება და მოქმედებაში, ნაწილობრივ მიდრეკილება ავანტიურიზმისადმი, რომელიც მარტივად თვით პეჩორინისვე დასახელებითაა: „მე ვლპარაკობდი სიმართლეს, — ამბობს პეჩორინი, — სისხლს“ მსჯელობდნენ: დავიწყებ მოტყუილება“. ცხადია, აქ მთელი უფსკრულია ბარათაშვილისა და პეჩორინის შორის. ბარათაშვილის პოეზიას არ ახასიათებს ასეთი ტენდენცია: ბოროტებას ბოროტებით უნდა უპასუხო. მისი პოეტური პროფილის დამახასიათებელია: ან ბრძოლა მოპირდაპირე ძალის წინააღმდეგ („სულს ბოროტო“), ან თავდადებული ზრუნვა პიროვნული და საზოგადოებრივი მორალის დასაცავად, შესანარჩუნებლად. „დაიმარხე მშვენიერება სულისა, — სწერს ბარათაშვილი მ ა ი კ ო ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს, — უმანკოება გულისა, აი ქეშმარიტი ბედნიერება. უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეუმჩნეველნი არიან“. პეჩორინს კი არ შეუძლია გულგრილად უყუროს „სხვათა ბედნიერებათა“. ის მზადაა თავს დაესხას ყველას ბედნიერებას, რადგან მას სძულს სხვისი სიცოცხლე, როცა ასე უყვარს საკუთარი პიროვნული ცხოვრება, „ჩემმა უფერულმა ახალგაზრდობამ, — ამბობს პეჩორინი, — გაიარა ბრძოლაში საკუთარ თავთან და ქვეყანასთან; ჩემი საუკეთესო გრძნობები, მეშინოდა რა დაცინვის, დავმარხე გულის სიღრმეში. და ისინი იმგვარად ჩაკვდნენ“. და პეჩორინი, რომელმაც დაქარგა რა „საუკეთესო გრძნობები“, მიზანტროპულ დამოკიდებულებაშია თავის ირგვლივ მოქმედ თუ მოფუსფუსე ადამიანებთან. მას სძულს, თავდავიწყებამდე სძულს ქედმაღალი, მაგრამ ფრანტი გრუშნიკი; იგი ირონიულად დასცინის მაქსიმ მაქსიმოვიჩის ჰუმანიურ გრძნობებს, სათამაშო ბურთად აქცევს ბელას, მერი ლიგოვსკაიას და ვერას. მოწინააღმდეგის პირველი შეტევისთანავე პეჩორინი მზადაა განადგურებით უპასუხო მას. იგი მკაცრია და დაუნდობელი, პატივმოყვარე და გაქნილი, რადგან თვით ცხოვრებამ ასწავლა მას ყოფილიყო დაუნდობელი და ავანტიურის მოყვარული. პეჩორინს ყველასათვის მხოლოდ უბედურება მოაქვს. ბარათაშვილის პოეზიაში კი მიზანტროპიის ნატამალიც არ მოიპოება, აქ არის დაუცხრომელი ზრუნვა ადამიანებისათვის:

„მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა,
ძის საშოთველოს და საქნჯნავსა“.

ამბობს პოეტი. პეჩორინი კი ბოროტებას ბოროტებით უმასპინძლდება. მტრის პირველი შემოტევისთანავე იგი მზადაა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს მას. ბარათაშვილის მსოფლმხედველობა შორსაა ასეთი კონცეპციისაგან.

პეჩორინის აზროვნებაში ცხოვრება ნეგატიურადაა წარმოდგენილი. ამ მხრით ის ბარათაშვილს უახლოვდება. ისე, როგორც იტალიელი ლე-

ოპარდისათვის ცხოვრება დამნაშავეებისა და დანაშაულის თიგვლია, პეჩორინისათვისაც ეს უკანასკნელი ბოროტი ადამიანებზე უფრო მტრები-საგან შედგება. ეს მტრები შეთქმულებას აწყობენ პეჩორინის წინააღმდეგ, პეჩორინი კი მზადაა დაანგრიოს მათ მიერ „დიდი შრომით“ შექმნილი გაიდვერობისა და ბნელ ზრახვების შენობა. ეს მტრები აიძულებენ პეჩორინს „ყოველთვის იყოს საგუშავოზე, დაიჭიროს ყოველი გამოხედვა, თითოეული სიტყვის მნიშვნელობა, გაანადგუროს შეთქმულება“, — „აი, რას ვეძახი შე ცხოვრებას“, ამბობს პეჩორინი. რადგან ქვეყნად პეჩორინს ვერ უპოვნია მეგობარი, რადგან იგი ირგვლივ მხოლოდ მტრების შეთქმულებასა და მათ ბოროტ სახეებს ხედავს, თითონაც მზადაა ყველას ბოროტებით უპასუხოს, ისე, როგორც გრუშნიცკის. პეჩორინი ხომ თვით ქალებთანაც ავანტიურისტია. ის საკუთარი პირით ამბობს, რომ იმ ქალებისთვისაც კი, რომელნიც მას უყვარდა, არაერთი ბედნიერება არ მოუტანია. სწორედ ამიტომ უსაყვედურებს პეჩორინს ვერა: „მითხარი, — ეუბნება პეჩორინს ვერა, — ... ძალიან გახარებს ჩემი წვალეობა? მე ხომ უნდა მძულდე? იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ, არაფერი არ მოგიცია, გარდა ტანჯვისა...“ „შეიძლება“, გავიფიქრე: „შენ სწორედ ამიტომ გიყვარვარ: სიხარული დაგიწყებას ეძლევა, ხოლო მწუხარება არასოდეს...“ — ასეთ პასუხს აძლევს პეჩორინი ვერას. მისი აზრით, „საოცარი საგანია ადამიანის გული საერთოდ და ქალისა განსაკუთრებით“. როგორც ვთქვით, პეჩორინი ნეგატიურად უყურებს ცხოვრებას. ცხოვრება ამაოა და ფუჭი, — ასეთია პეჩორინის თვალსაზრისი. ექიმ ვერნერთან საუბარში, პეჩორინმა პირდაპირ განაცხადა, რომ საკუთარ დაბადებას იგი უბედურებას უწოდებს. აი, ფრაგმენტი ამ საუბრიდან:

„...დარწმუნებული ვარ მხოლოდ ერთ რამეში...“ — სიტყვა ეჭიმა.

სახელდობ რაში? — გკითხვ: მინდოდა გამეგო აზრი, ადამიანის აზრი, რომელიც აქამდის სდუმდა.

„...ძაში, — მიპასუხა მან, — რომ, ადრე თუ გვიან, ერთ მშვენიერ დილას მოგვადებში“.

ოქვევზე მდიდარი ვარ, — ეუპასუხე მე: — ჩემთვის გარდა ამისა, კიდევ არს რაწენა, სახელდობ ის, რომ ერთ მშვენიერ ღამეს მქონდა უბედურება დაგბადებულეყავი“.

ამბობს პეჩორინი.

განა სკეპტიციზმს ამაზე მეტის თქმა შეუძლიან? ეს არ არის პეჩორინის მხრივ კონტაობა ან ენაზე მომდგარი სიტყვიერი მასალა. იგი ბოლომდის იცავს ამ აზრს, მისთვის ბოლომდის უბედურებაა ამ ქვეყნად ცხოვრება.

ლერმონტოვმა ლექსში — „Папыс“ ძიების მხატვრული სახე შექმნა. მისი იალქანი არც ბედნიერებას ეძებს და არც გარბის ბედნიერებისაგან

ეს აჯანყებული იალქანი ითხოვს ქარიშხალს, „თითქო ქარიშხალში იყოს სიმშვიდე“.

„ქარიშხალის ძმას ვუწოდებდი ჩემს თავს“, — ამბობდა ლერმონტოვი ერთ-ერთ ლექსში. ეს კი მისი „იალქანის“ ლოგიკური დასკვნაა; ეს გაგრძელებაა პეჩორინის იმ გოდებისა, რომელიც ასე ამჯარად ისმის მის სიტყვებიდან საკუთარი თავის შესახებ. პეჩორინმა ხომ თავისი თავი იმ მეზღვაურს შეადარა, რომელიც დაბადებული და აღზრდილია „ყაჩაღთა გემის ბაქანზე“. და რა უნდა უყვარდეს მეზღვაურს, თუ არა მრისხანე ზღვა და მისი ზვირთების დაუცხრომელი ლელვა? რა უნდა შეადგენდეს მეზღვაურისათვის იმაზე მეტ ბედნიერებას, რომ ზღვის ტალღებს ებრძოლოს და გემი უვნებლად მიიყვანოს ნაპირზე? და ლერმონტოვისა ც უყვარს ეს ქარიშხალი. მისი იალქანი, ეს ამბოხებული იალქანი „ითხოვს ქარიშხალს, თითქოს ქარიშხალში იყოს სიმშვიდე“. თვით პეჩორინის პატარა ავანტიურებიც, ეს ხომ ცხოვრების ქარიშხალის ძიებაა, რომელსაც უნდა გაენელებინა პეჩორინის ურვა და მიეცა მისთვის სიმშვიდე. ვერაფერ ვერ იტყვის, რომ პეჩორინი არ გრძნობს ერთგვარ კმაყოფილებას, როცა მისი ავანტურა წარმატებას მოიპოებს. ბელას გატაცება, მასთან ცხოვრება, თვით მისი სიკვდილიც კი პეჩორინისათვის ერთგვარი კმაყოფილებაა. და რა მწვავე უნდა ყოფილიყო ჰუმანიური იდეებით გატაცებული პატარა მაქსიმ მაქსიმოვიჩის დიდი მწუხარება, როცა გლოვის მომენტში მან შეხედა პეჩორინს, რომელიც ასე სარკასტიულად დასცინოდა არა მარტო ცხოვრებას, არამედ ბელას სიკვდილსაც კი? განა გრუშნიცკისთან დღეელი, გრუშნიცკის დაღუპვა, მერი ლიგოვსკაიას ასე სასაცილოდ აგდება იმას არ ნიშნავს, რომ პეჩორინი, ეს თავისებური გავებით ამბოხებული პიროვნება, „ითხოვს ქარიშხალს, თითქოს ქარიშხალში იყოს სიმშვიდე“.

ჩვენის აზრით, თვით ლერმონტოვიც ამბოხებულია, როგორც პიროვნება და პოეტი. ასეთია მისი პოეზია, პროზა, თითოეული მომქმედი პირო, დრამატურგია. მაგრამ არსებობს მეტად ყალბი შეხედულება, რომელსაც სათავე მისცა ა. პ. შან-გირეიმ თავის მოგონებაში ლერმონტოვის შესახებ, იგი სწერს, რომ 1829—33 წლებში ლერმონტოვის მიერ დაწერილი ლექსების პესიმისტური და სკეპტიკური ხასიათი აიხსნება არა პოეტის საზოგადოებრივ-პიროვნული ყოფით, არამედ ბაირონის პოეზიის გავლენით. მოუსმინოთ თვით შან-გირეს: „საერთოდ, ლერმონტოვის ამ ეპოქის, ე. ი. 1829—33 წლამდის დაწერილი ნაწარმოებების დიდი ნაწილი ატარებს სკეპტიციზმის, მოწყენილობისა და უიმედობის დაღს, მაგრამ სინამდვილეში ეს გრძნობები მისგან შორს იყო“ (*). შან-გირეის აზრით, ბაირონმა გამოიწვია ლერმონტოვის ლექსებში პესიმისტური და სკეპტიკური განწყობილება, ხოლო თვით ლერ-

* A. П. Шан-гирей. „М. Ю. Лермонтов“.

მონტოვი შორს იყო ასეთი განწყობილებისაგან. ცხადია, ლერმონტოვმა ბაირონის ძლიერი გავლენა განიცადა, ბაირონის რამდენიმე ლექსი კიდევ თარგმნა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ პოეტურ შექმნების ბუნება ამ განხრით უნდა შევადგასოთ და არ უნდა მოვინახოთ გოდებისა და სექტიციზმის საფუძვლები, რომლებიც ლერმონტოვის პოეზიაშია. კონტრარტი რილევეიც იცნობდა ბაირონის პოეზიას, მაგრამ ბაირონისტული სევდა არ ახასიათებს მის ლექსებს. არ შეიძლება ლერმონტოვი შორს მდგარიყო იმ განცდებისაგან, რომლებიც მის პოეზიაში ასე მძლავრი და ძლიერია. მაშინ ის იქნებოდა არა შემოქმედი, ხელოვანი, არამედ ხელოსანი, ისიც ისეთი ტიპისა, რომელიც, მართალია, ჰქმნის, მაგრამ არ განიცდის შექმნილს. და რა შორსაა ლერმონტოვი ასეთი ტიპის შემოქმედებისაგან! მისი პოეტური სახის ეს უტყუარი თვისება მოხდენილად შენიშნა ტურგენევმა თავის მოგონებაში: „Внутренно лермонтов, вероятно, скучал глубоко“, — ლერმონტოვი მართლაც ღრმად იყო მოწყენილი მაშინაც კი, როცა პეჩორინის მსგავსად „მისი თვალები არ იციზოდნენ, როცა ის იციზოდა“. ტურგენევმა, დაკვირვებული რომანისტის იშვიათი მიხვედრით მიუთითა ამაზე შან-გიჩის.

სულიერი სიმშვიდის ძიება როგორც ბარათაშვილის, ისე ლერმონტოვის პოეზიაში იხრება ქარიშხლისაკენ, მოქმედებისაკენ, და პეჩორინიც, რომელიც რომანტიკოსის მანტიაშია, ვახვეული, სულიერი სიმშვიდის ნაცვლად, ქარიშხალს ეტრფის. პეჩორინი ვერ ურიგდება წყნარ სიბარულს და სულიერ სიმშვიდეს. განა მან თითონვე არ დაგმო მერი ლიგოვსკიას მიერ შეთავაზებული ბედნიერება? მას ხომ შეეძლო მოეპოებინა სულიერი სიმშვიდე მერისთან? მაგრამ არა, იგი ამ სიმშვიდეს ვერ მოიპოებდა.

„და, თი ახლა აქ, ამ მოსაწყენ ციხეში, — ამბობს პეჩორინი — ხშირად, აზრით გავინავარდებ რა წარსულში, ევკითხები ჩემს თავს: ჩატომ არ მინდოდა დავდგომოდი იმ გზას, რომელიც გამიხსნა ბუფმა, სადაც მელოდა წყნარი სიბარული და სულიერი სიმშვიდე?... არა, მე ვერ შეეუფლებოდი ამ ბედობას, ისე როგორც მეზღუადური, მე დაბადებული და აღზრდილი ვარ ყაბალთა გემის ბაჭანზე: მისი სული შეუთვისდა ქარიშხალს და ბრძოლას, და გარიყული ნაპირზე, იგი მოწყენილია და იტანება, როგორც არ უნდა უბზობდეს მას ზეინის ჩრდილი, როგორც არ უნდა უნათებდეს მშვიდობიანი მზე; იგი მთელი დღეების განმავლობაში დადის ჭვიშან ნაპირზე, ყურს უგდებს მოხეთქილი ტალღების ერთფეროვან ხმაურს და ვასკტრის ნისლოვან სივრცეს: ხომ არ გამოჩნდება იქ, მერთალ ხაზზე, რომელიც პყოდს ცისფერ უღსკრულს რუმ ღრუბლებსაგან, სანატრელი იალქანი ზღვის დედამთვრალას ფრთის მსგავსი, რომელიც თანდათან სცილდება ტალღების ქაფს და სწორი სვლით უბლოვდება უდაბურ ნავსადგურს...“

პეჩორინი საკუთარი მზრებით ატარებს თავისი კლასის ტყვიილებს. თვით ლერმონტოვის მხატვრული შემოქმედება ამ ტყვიილების უძლიერესი მხატვრული უკუფენაა. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის არის-

ტროკრატია, რომელმაც 1825 წლის 14 დეკემბერს საკუთარი თვალთ
დაინახა სენატის მოედანზე მომხდარი ამბები, რომელიც უმძიმესად, თუ
როგორ უტყვედა მის ისტორიულ პრივილეგიებს სრულიად ანალი მალა, მი-
სი მესაფლავე კლასი, შეუძლებელი იყო სიმშვიდეს მისცემოდა და გან-
სვენების ადგილზე ფეხი მოერთხა. ამ განწყობილებას გამოხატავს პე-
ჩორინი. ამიტომ სთქვა მან შერი ლიგოვსკაიას სიყვარულზე უარი. პეჩო-
რინისათვის მისი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება „ყაჩაღთა გე-
შია“, და ამ გემის ბაქანზე დაიბადა ის. მაგრამ დაბადება ზომ ჯერ კი-
დეც არაფერს ნიშნავს. „ამავე გემის ბაქანზე აღვიზარდეთ,“ — ამბობს
პეჩორინი. ეს აშკარად აღგვაროებული ფორმით გამოთქმული პროტესტი
თავისი, თანამედროვე საზოგადოებრივი ყოფის მიმართ. ეს პროტესტი
მთელი რომანტიზმის სოციალური სარჩულია, რომელმაც მოგვცა იტალია-
ში ჯაკოპო ლეოპარდის პესიმისტური ლირიკა, ინგლისში ბა-
ირონის მწუხარე პოეზია, ხოლო საქართველოში ნ. ბარათაშვილის „სუ-
ლო ბორბოტო“. პეჩორინი ამბობს, რომ „ჩემი სული შეუთვისდა ქარი-
შხალს და ბრძოლებს“, რომ „ნაპირზე გარიყული“, იგი მოწყენილია და
იტანჯება, როგორც არ უნდა უხმობდეს მშვიდობიანი მზე“. აქ პეჩორი-
ნის პირით ლერმონტოვის მთელი სულიერი და პოლიტიკური ქვეყანა
ლაპარაკობს. ერთი მხრით — გზის ძიება სულიერი სიმშვიდისაკენ, როცა
პეჩორინი ცდილობს მოიგოს შერის გული, მეორე მხრით — ამ გზის უარ-
ყოფა, როცა შერი ლიგოვსკაია მზადაა არისტოკრატიული სინაზე წუ-
თით გვერდზე გადასდოს და დაიძახოს: „Я вас ненавижу...“ — ამავ დროს
პეჩორინის გულწრფელი სიტყვები, რომ ის ვერ შეურიგდებოდა ამ ბედ-
იღბალს, ისტორიულად განწირული ფეოდალური არისტოკრატის მწვა-
ვე კლასობრივი აჟონიაა.

ნ. ბარათაშვილიც მიისწრაფის სულიერი სიმშვიდისაკენ, ეძებს მყუ-
დროების ქვეყანას, მაგრამ იგი ვერ უპოვნია და ბოლოს იძულებული
ხდება მოქმედების ფილოსოფიას დაუბრუნდეს. „ფიჭრი მტკერის პირას“
ეპილოგი და „მერანი“-ს ძახილი, რომ მის მიერ გათელილი „გზა მაინც
დარჩება“, — ლოგიკური დასკვნაა, რომელიც ნათლად გამოხატავს ბა-
რათაშვილის პოეზიის მთელ შინაგან ბუნებას.

ბარათაშვილმა, ცხოვრებისა და ადამიანების მისწრაფებათა უარყოფას
თან ერთად, ამავე ცხოვრების, ადამიანთა მისწრაფებების გაკეთილშობი-
ლების, გაუმჯობესების ოპტიმისტური დევიზი წამოაყენა. თუ ბარათა-
შვილი, ერთი მხრით, იდაყვდაყრდნობილი ყურს უგდებს მტკერის ჩხრი
ალს და გოდებას:

„ვინ იცის, მტკვარო, რის ბუბბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწაშე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი...
არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამოება?..“



მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოდელი,
 ა.ღ არა ოდენ საწყაული აღუცხებელი?
 ვნა არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღვესმარქუნე
 და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ესა ეგმარდს მუქი მისი ქა

მეორე მხრივ იგი რეალური ქვეყნის, ადამიანთა ეგოისტურ მისწრაფებების უარყოფის გვერდით ჯანსაღ, ოპტიმისტურ განწყობილებებს გამოხატავს:

„მვარამ რადგანაც კაცნი გქვიან შეიღნი სოფლისა,
 უნდა კიდევა მივდიოთ მას, გვესმას შშობლისა.
 არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი გვედარსა ეშვაგესოს,
 იყოს სოფელში და სოფლისაღვის არა იზრუნოს!“

თუ „მერანში“, ერთი მხრით, არის გაქცევა ობიექტური რეალობიდან, მეორე მხრით, იქ ისმის მებრძოლი ხმა, არა ქედის მოხრა პრაქტიკული ცხოვრების წინაშე, არამედ მასთან ბრძოლის ფილოსოფია. ბარათაშვილი მიმართავს თავის მერანს — „გაპქვეთოს ქარი, გააპოს წყალი, გადაიაროს კლდენი და ღრენი“ და მოუთმენელ პოეტს „შეუმოკლოს საველნი დღენი“. ასეთი მათორული ძახილით მიმართავს ბარათაშვილი თავის მერანს:

„ნუ შეფეარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიციხესა, ნუცა აედარსა,
 ნუ შემობრალეხ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა;
 რაა მოეშორდე ჩემსა მამულსა, მოგაკლდე სწორთა და შეგობარსა,
 ნულა ვიხილავ ჩემთა შშობელთა და ჩემსა სატრფოს ტბილმოუბარსა,
 ხად დამიღამდეს, იქ გამოთენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
 მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო!
 კენესა გულისა, ტრფობისა ნაშთი, მიგცე ზღვის ღელვას
 და შენს შშენიერს, აღტაცებულს, გიფურსა ღტოლვას!
 გასწი მერანო, შენს ქენებას არ აქეს საზღვარი,
 და ნიავს მიეც ფიჭვი ჩემი, შევად მღელვარი!“

პოეტი შორდება თავის მამულს და მისი სურვილია არ დაიმარხოს „წინაპართა საფლავებს შორის“, არ დაიტვიროს მისმა სატრფომ და „არ დაეცეს ცრემლი მწუხარის“. მას ურჩევნია მდელითა შორის ტიალი საფლავი გაუთხაროს, შევმა ყორანმა და ქარიშხალმა, ძვლებად ქცეულს, შორით, ღრილით მიწა მიაყაროს. პოეტის ოცნებაა, რომ:

„სატრფოს ცრემლის წილ, გვედარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
 ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვანი მყივიარნი!
 გასწი, ვაფრინდი, ჩემო მერანო, გადამატარე ბედის საზღვარი,
 თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!“

პოეტი დარწმუნებულია, რომ მისი თავგანწირული ბრძოლა, მისი მერანის თავდადებული ქენება უქმად არ ჩაივლის და მერანის მიერ გათელილი გზა მაინც დარჩება, რომელზედაც გაუადვილდება სვლა მის მოძმეს:

„უღდად ხომ მიიწვ არ ჩაივლის ეს განწირულის სულს კვუაბა!
და გზა უვალთ, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მიიწვ დაჩრება,
რომ ჩემს შემდგომად მოამესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუნდგე...
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქრბ...“

ასეთია ის ოპტიმისტური იდეები, რომლებიც ბარათაშვილმა ასე მოხ-
დენილად შეათავსა პესიმისმთან, როგორც ლერმონტოვმა რეალური სი-
ნამდვილის უარყოფის ტენდენცია — იდეალურ სინამდვილესთან. აი, ეს-
ორგვარი თვალსაზრისი ანუ მიდგომა მოვლენებისა და საგნებისადმი და-
მახასიათებელია რომანტიკოსების მხატვრული შემოქმედებისათვის. გარ-
დამავალი პერიოდი, როცა ჯერ კიდევ მთლიანად და საეხებით არ არის
მოხსნილი წინა პერიოდი, ხოლო მომავალ პერიოდს ჯერ კიდევ ვერ
უპოვნია თავისი სრულყოფილი სახე, წინაპერიოდის წარმომადგენლის
შემეცნებაში ამ ორგვარობის საფუძველს ჰქმნის. ასე შეაფასეს მარქ-
სმა და ენგელსმა დიდი გოეტეს მხატვრული შემოქმედება.

მარქსმა და ენგელსმა ბრწყინვალედ დაახასიათეს გოეტეს
ორმაგი ბუნება. ეს ორმაგი ბუნება თავისი სპეციფიკური ფორმით ლერ-
მონტოვის მხატვრულ შემოქმედებაში აისახა. თუ ერთი მხრით, ლერ-
მონტოვი თავის ერთერთ უკანასკნელ ლექსში — „მშვიდობით დაუბანე-
ლო რუსეთო“ სამუდამოდ შორდესა ნიკოლოზ პალკინის რუსეთს, თუ
ჯერ კიდევ პუშკინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ლერმონტოვმა
სახეში მიაფურთხა ნიკოლოზ პირველს და მის ირგვლივ შემოკრებილ
ფეოდალურ არისტოკრატობას, მეორე მხრით, ის პათეტიურად ახასიათებ-
იმ ჯარისკაცს, რომელიც სიკვდილის წინ შემდეგ ანდერძს სტოვებს:

„Скажи им, что навязет в грудь
Я пулей ранен был:
Что умер честно за царя,
Что плохо наши лекаря.
И что родному краю
Поклон я посылаю“.

(„Завещание“)

და როგორ უნდა შევათავსოთ ამ შემარიგებლურ პანგთან ასეთი სიტ-
ყები:

„Прощай, немая росня,
Страна рабов, страна господь.
И вы, мушкетеры голубые,
И ты, послушны им народ.
Быть может, за хребтом Кавказа,
Укроюсь от твоих пашей,
От их всевидящего глаза,
От их всеслышащих ушей“.

ლერმონტოვი არ იყო რევოლუციონერი. დეკაბრისტების აჯანყების
ჩაქრობის შემდეგ, როცა გაუგონარი სისასტიკით ამოქმედდა ნიკოლოზ

პალკინის მესამე განყოფილება, „ინტელიგენციის თვალში... ინტელიგენციის მუნდირი თითქოს აერთიანებდა ყველაფერს ნიკოლოზის ეპოქისას. ეს კარგად გამოიხატა ლერმონტოვის ცნობილ ლექსში „მწველნი“ დაუბანელო რუსეთო“, — სწერდა პოკროვსკი. პოკროვსკიმ სამართლიანად შენიშნა, რომ ლერმონტოვი არ იყო რევოლუციონერი, მაგრამ მის პოეზიაში თავისებური გამოძახილი ჰპოვა დეკაბრისტების იდეებმა. ახალგაზრდა ლერმონტოვის ლექსი „ჩუგუნა“, სადაც ის აკრიტიკებს პუშკინს ცარიზმთან შემარიგებლობისათვის, ამ დებულების ნათელი ილუსტრაციაა. ამასვე ადასტურებს მისი მთელი რიგი ლექსები და განსაკუთრებით ლექსი „პუშკინის გარდაცვალებაზე“.

როგორც აღვნიშნეთ, ორი დიდი ისტორიული ფაქტი უძლოდა წინ ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიას: დეკაბრისტების აჯანყება სენატის მოედანზე 1825 წელს და 1832 წლის თავადაზნაურული შეთქმულება საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. პირველმა თავისებური გავლენა იქონია და თავისებური კვალი დააჩნია ლერმონტოვის პოეზიას, ხოლო მეორეს არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ბარათაშვილის პოეზიისათვის. როცა ლერმონტოვი ამართახებდა ნიკოლოზ პალკინის თვითმპყრობელურ რუსეთს და რომანტიულად, ერთგვარი სიამაყით წარმოიდგენდა ბოროდინოს ბრძოლას, ბარათაშვილი მუხლმოდრეკილი იდგა მეფე ირაკლის საფლავთან და სოფიოს სიტყვებით აღფრთოვანებული ძველ დედებს მოუხმობდა ასე ღრმა და გულწრფელი სიძპარტით:

„თი დედანო, მარად ნეტარო,
კურთხევა თქვენდა, ტბილ-სასოვარნო!
თა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ“

რომანტიკოსებმა გააიდვალეს წარსული და კერპად აქციეს მისი ადამიანები.

წარსულის გაიდვალებამ ისევე ვერ მისცა რომანტიკოსებს ვერაფერი, როგორც იდეალური ქვეყნის ძიებამ. ისინი ბუნებასაც მიმართავენ სულიერი წუხილისა და ურვის დროს. ბუნება მათთვის მეგობარი და სულის მესაიდუმლე იყო. ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“ ბარათაშვილმა ხომ პირდაპირ განაცხადა, რომ მისთვის მთაწმინდა „გულდახურულთა მეგობარია“:

მთათ ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვის ფიჭვთა შევბა
ირა იპოვნოს და არ დახსნას გულსა ვაება,
გულდახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!“

და არა მარტო ბუნება, სიყვარულიც გაიდვალებულა რომანტიკოსი პოეტების მხატვრულ შემოქმედებაში. ლექსში „ღამე ყაბახზე“ ბარათაშვილი ამბობს:

„გმადლობთ, მითხრა მან, რომ თქვენ მაინც გახსოვართ კიდევ ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“.

„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდებოდნენ“

ვერ მაიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროებდნენ

დრო ხომ ყველაზე უფრო მეტად აშინებდა რომანტიკოსებს; დრო ხომ ყოფის ის უძლიერესი პირობაა, რომელმაც ნაპოლეონი კუნძულ ელბაზე გადაიხროლა, სენატის მოედანზე გაათამაშა დეკაბრისტების შეადორწუხებელი ტრაგედია, გილიოტინის სათამაშო ბურთად აქცია ერთ დროს მისი მბრძანებელი რობესპიერი და მრავალჯერ ძირს დაამხო მეფეების გვირგვინი, — ასეთია დრო რომანტიკოსების გაგებით. მაგრამ მის წინაშეც არ უნდა იცვლიდეს სიყვარული თავის სახეს. ამ ძალისაც არ უნდა ეშინოდეს მას და თუ შეეშინდება ან შეიცვლის სახეს, იგი დაპყრობავს უფლებას თავის თავზე, — ასეთია სიყვარული ბარათაშვილის შემეცნებაში. მაგრამ ასეთ სიყვარულს რომანტიკოსებმა ვერ მოუნახეს ადგილი რეალურ სინამდვილეში. ისინი მაინც მარადიული სიყვარულის ძიებაში იყვნენ, და თუ ლერმონტოვი, ერთი მხრით, სარკასტიულად დასცინის თავის შეყვარებულს, ირონიულად მადლობას უძღვნის მას ყველა იმისათვის, რითაც ის მოტყუებული იყო ცხოვრებაში, მეორე მხრით, უმღერის „მკვდრის სიყვარულს“ და ეფიციება თავის სატრფოს: „ო, მეგობარო, ჩემი სული ყველგან და ყოველთვის შენთან არის“. მაგრამ ლერმონტოვი მარტო ამით როდი კმაყოფილდება. ის კატეგორიულად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ მის სატრფოს არა აქვს სხვა ადამიანის შეყვარების უფლება: „შენ არ უნდა გიყვარდეს სხვა, არა, არ უნდა გიყვარდეს“, — ეუბნება ლერმონტოვი თავის სატრფოს.



ლეოპარდის, ნოვალისის, მიუსესა და ტიკოს აგან განსხვავებით, ლერმონტოვისა და ბარათაშვილის პოეზია საბრძოლო განწყობილებით გამოირჩევა. იქ, სადაც ლეოპარდი გულზელდაკრეფილი უყურებდა ობიექტურ სინამდვილეს, სადაც მას არ შეეძლო მაღალი სიტყვა ეთქვა და წარსულის ნაცვლად მომავლისაკენ მიეთითებინა საზოგადოებრივი აზრისათვის, ბარათაშვილი და ლერმონტოვი, თუ ერთი მხრით, წარსულისაკენ იქიჩებოდნენ, აიდეალებდნენ მას და უგალობდნენ დიდებას, მეორე მხრით, ოცნებობდნენ მომავალზე. ლერმონტოვმა მონურად როდი მოიხარა ქედი ნიკოლოზ პალკინის ბარბაროსული რეჟიმის წინაშე; მან თვალში მიაფურთხა დეკაბრისტებისა და პუშკინის სისხლით მოსერილ მეფეს. ბარათაშვილმა ცხოვრების, ადამიანის ბრმა, პარპაგონისებური მისწრაფებების უარყოფასთან ერთად, მოქმედების, წინსვლის, ბრძოლის ფილოსოფია შეიმუშავა, რითაც თითონვე შე-



უნგრია მკერდი თავის პოეზიაში ოკეანის ზომალდევით შეჭრილ პესი-
მიზმს. ასეთია ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიის მსგავსება, ამ
ორი დიდი პოეტის მხატვრული შემოქმედების სპეციფიკუმი



ლიტერატურის ისტორიას, რომ არ მოეპოებოდეს ოფიციალური დო-
კუმენტი, რომელიც ცხადყოფს ლერმონტოვის გავლენას ბარათაშვილზე,
ჩვენ შეგვეძლო ბარათაშვილის მხატვრული შემოქმედების მეცნიერული
ანალიზით დაგვემტკიცებინა ეს დებულება. თუ ქრონოლოგიას მოვიშვე-
ლიებთ, დავინახავთ, რომ ბარათაშვილს სრული შესაძლებლობა ჰქონდა
გაეცნო ლერმონტოვის პოეზია და პროზა, რადგან ლერმონტოვის ლექ-
სები და „ჩვენი დროის გმირი“ 1840 წელს ცალკე წიგნებად დაიბეჭდა.
ბარათაშვილმა უდაოდ განიცადა ლერმონტოვის გავლენა. გრიგოლ ორ-
ბელიანთან მიწერილ ბარათში 1843 წლის 21 აგვისტოს თარიღით იგი
სწერს: „სხვა რაღა მოგწერო, მეც სამსახურში მოვეშურები и вообще
здесь

и скучно, и грустно, и некому руку подать в минуту душев-
ной невзгоды.

„ჩემი ახალი ლექსი ეს არის“ — „სულა ბოროტო“.

აქედან ნათელია, რომ ბარათაშვილი არა თუ იცნობდა ლერმონტო-
ვის პოეზიას, არამედ ადგილებიც კი ზეპირად იცოდა მისი ლექსებიდან.
ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ბარათაშვილმა ლერმონტოვის გავ-
ლენით დაიწყო ლექსების წერა, მაგრამ არც იმას ნიშნავს, თითქოს ლერ-
მონტოვს არავითარი გავლენა არ მოეხდინოს ბარათაშვილზე.

ყოველი ხელოვანი, გენიოსია იგი თუ პატარა გაქანების შემომქმედი,
თავისი მხატვრული აზროვნების გარიჟრაჟს რომელიმე ხელოვანის გავ-
ლენით იწყებს. მაგრამ მათ შორის მანაც რჩება განმასხვავებელი ტენდენ-
ცია. ლიტერატორთა ერთი კატეგორია განიცდის რა რომელიმე
დიდი შემომქმედის გავლენას, ბოლომდის რჩება მის ტყვეობაში,
ვერ სცილდება ამ გავლენის საზღვრებს. ლიტერატორთა მეორე კატე-
გორია კი, მართალია, ჯანსაღი ბავშვებით, ფეხის ადგმის დროს მოით-
ხოვს დედის დახმარებას, მაგრამ როცა იგი ფეხს აიდგამს, არა თუ სია-
რულში, სირბილშიაც აღარ საჭიროებს დედის წამოშველებას. აი, ამ
ჯანსაღ ბავშვს შეიძლება შევადაროთ ლიტერატორთა მეორე კატეგო-
რია. ისინი, მართალია, სხვა მწერლით იწყებენ ფეხის ადგმას, მაგრამ
სიარულის დაწყების შემდეგ აღარ საჭიროებენ თავიანთ მასწავლებელს.
ცნობილია, რომ პუშკინმა ბაირონის დიდი გავლენით დაიწ-
ყო თავისი პოეზია, ისიც ცნობილია, რომ პუშკინის შემოქმედებაში ამ
გავლენამ თვალსაჩინო პერიოდი შექმნა, რომელსაც ლიტერატურის ოფი-

ციალური ისტორიკოსები პუშკინის შემოქმედების პირველ პერიოდს ანუ ბაირონისტულ პერიოდს უწოდებენ. მაგრამ გადაავლეთ თქვენს პუშკინის მხატვრულ აზროვნების განვითარებას: რა ორიგინალურია მისი შემოქმედის შეუპოვრობით იდევნება ბაირონი პუშკინის მხატვრული შემოქმედებიდან და მის ნაცვლად როგორი სიძლიერით ყალიბდება პუშკინის პოეტური სახე. მართალია, ლერმონტოვი პოეზიაში ბოლომდის ბაირონისტად დარჩა, მაგრამ მხატვრულ პროზაში მან შეძლო რომანტიზმისა და რეალიზმის სინთეტური შეერთება, ისე, როგორც ვიქტორ ჰიუგომ რომანტიზმის გვერდით ასე ორგანიულად მოათავსა რეალიზმი.

ბარათაშვილის პოეზიაში, პოემა „ბედი ქართლისა“ წარმოადგენს იმ უღელტეხილს, სადაც რომანტიზმი თავისუფალ ადგილს ტოვებს რეალიზმის მოსათავსებლად. მაგრამ, პარადოქსად ნუ ჩამოგვერთმევა, თუ ეს პოემა ჩვენ მიგვაჩნია რომანტიული ხასიათის პოემად, მიუხედავად იმისა, რომ მასში არის რეალისტური ელემენტები. პოემის ფაბულა, ჩვენის აზრით, აშკარად რეალისტურია. რეალისტურია თვით ფაქტი. მაგრამ რომანტიულია პოემის იდეური ტენდენციები, რომანტიულია პოეტის მიდგომა დასამუშავებელი თემატიკისადმი, რომანტიულია თვით მოქმედი გმირების დახატვა.

თუ აღნიშნული დებულებები გამოხატავენ ისტორიული სიმართლის შინაარსს, თუ მათ გააჩნიათ არსებობის ობიექტური საფუძველი, მაშინ როგორ უნდა მოთავსდეს ერთად ცეცხლი და წყალი, მზე და ყინული ისე, რომ ცეცხლმა არ ააოროთქლოს წყალი, ხოლო მზემ არ გამოიწვიოს ყინულის გადნობა? არა, ცეცხლი ყოველთვის ააოროთქლებს წყალს, მზე ყოველთვის გააღნობს ყინულს, თუ ურთიერთგაველენის დამოკიდებულებაში მოთავსდებიან, მაგრამ ვინ არ იცის, რომ წყლის აოროთქლებისათვის, ისევე, როგორც ყინულის გადნობისათვის, აუცილებელია კალორიების განსაზღვრული რაოდენობა. და თუ ლერმონტოვის შემოქმედებაში შეჭრილი რეალიზმი ვერ ამარცხებს რომანტიზმს, ხოლო ბარათაშვილის პოეზიაში რეალისტურ ტენდენციებს არ შეუბღალავს რომანტიზმის ისტორიული უფლებები, მოხდა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი და მეორეც საჭიროებდა დროისა და ისტორიული გარდატეხის გარკვეულ პერიოდს, რომელსაც ვერც ლერმონტოვი მოესწრო და ვერც ბარათაშვილი.



გტიუდის წინა ნაწილში ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზია დაეხასიათეთ, როგორც ფეოდალური არისტოკრატიის კლასობრივი სახის უკუფენა მხატვრულ შემოქმედებაში. მაგრამ რომანტიზმის საერთო ხაზიდან ეს პოეზია ჩვენ განზე დავაყენეთ, როგორც საბრძოლო განწყობა-

ბილებებისა და მომავლისათვის ზრუნვის პოეზია. მაგრამ რა უდევს საფუძვლად ამ ბუნებრივ ისტორიულ ფაქტს? სუბიექტური კვყანა თუ ობიექტური სინამდვილის კანონზომიერება? პიროვნული თუ კლასური არა-პიროვნული კვყანა? მეტაფიზიკური თვალსაზრისის წინააღმდეგ, ამ ფაქტს საფუძვლად უდევს ერთი და მეორეც, ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებაც და მით განსაზღვრული სუბიექტური კვყანაც პოეტიკისა. თუ ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ეპოქა იყო გარდატეხის, წინააღმდეგობათა მკვეთრი დაპირისპირების ეპოქა, ეს გარდატეხა, ობიექტური სინამდვილის განვითარების ეს გარდამავალი ხასიათი თავისებურად უნდა ასახულიყო იდეოლოგიაში. და მართლაც, ფეოდალური არისტოკრატის წრიდან გამოსული, ამავე არისტოკრატის პრივილეგიების დაცვის სადარაჯოზე მდგომი ბარათაშვილი და ლერმონტოვი აშკარად გრძნობენ საკუთარი კლასის მზის ჩასვლას, მაგრამ ამავე დროს მისი მუსაფლავე კლასის ძალასაც. მართალია, ამ მუსაფლავე კლასს, რომელიც ფეხს იდგამდა, ბრძოლას იწყებდა პოლიტიკური ბატონობისა და კლასობრივი პრივილეგიებისათვის, ჯერ არ მოუხდინა დიდი გადატრიალების აქტი, როცა მთელ პოლიტიკურ ბატონობას წაართმევდა ფეოდალურ არისტოკრატისა და თვით დაიწყებდა ისტორიის საჭის მართვას, მაგრამ მისი ძალა იმდენად შესამჩნევი და აშკარა იყო, მისი იდეოლოგიური, „სულიერი წარმოების“ გავლენა ისე ნათელი, რომ მან თავისებური გავლენა მოახდინა ლერმონტოვის შეხედულებებზე. ეს კლასი ბურჟუაზია იყო. მაგრამ ლერმონტოვის აზროვნებაში თავს იჩენს არა მსხვილი, არაშედ წვრილი-ბურჟუაზიის იდეოლოგია, რადგან მისი სოციალური პროფილი უფრო ახლოა ლერმონტოვის კლასობრივ სახესთან. ესაა საფუძველი, რომელმაც ლერმონტოვის პოეზიაში მომავლისათვის ზრუნვისა და საბრძოლო განწყობილებების ტენდენციას მისცა ნაესაყუდელი. ისტორიის განვითარების კანონზომიერებამ, რუსეთისაგან თავისებურად განსხვავებულმა ყოფამ, ბარათაშვილის იდეოლოგიური ასპექტის შემუშავებაში რუსულმა იმპერიალიზმმა და საქართველოს რუსეთთან „შეერთების“ აქტით გამოწვეულმა სინამდვილემ შეასრულა ისეთივე როლი, როგორც ლერმონტოვის აზროვნებისათვის რუსეთის ბურჟუაზიამ.

თუ ეს დებულება ნამდვილად გამოხატავს ჩვენს მიერ დასაბუღებულ ფაქტის შინაგანი და გარეგანი შინაარსის შემოკლებულ აზრს, მაშინ მეორე დებულება უცილოდ ასეთი იქნება: ლერმონტოვისა და ბარათაშვილის რომანტიზმი არის ფეოდალური არისტოკრატის კლასობრივი ვოდება, ზოგჯერ გახვეული „მსოფლიო“ „კაცობრიულ“ სამოსელში, მაგრამ იდეოლოგია, რომელმაც თავის-თავში ადგილი დაუთმო წვრილ ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებსაც.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგიის იერიშმა ვერავითარი ძერა ვერ მოახდინა იტალიელი რომანტიკოსის ლეოპარდის მსოფლ-

მხედველობაზე. ამიტომაც, რომ ლეოპარდის პოეზიაში მხოლოდ წარსული-სა და მისკენ დაბრუნების მწუხარე ჰანგი ისმის, მომავლისკენ უტარყოფილია. ჰეგელის მეგობარი, გერმანელი პოეტის *„ფრაუნკენსპიხჰელდერლინიც“* ასეთივე იდეური უსასაოობის რკალში იყო მომწყვდეული. მართალია, ჰელდერლინი არ იყო რომანტიკოსი, მაგრამ სინამდვილესთან კონფლიქტით, ობიექტური ქვეყნის უარყოფის ტენდენციებით იგი უახლოვდებოდა გერმანული რომანტიზმის იდეურ კონცეპციას, როგორც სამართლიანად შენიშნა განსვენებულმა ა. ვ. ლუნაჩარსკიმ ჰელდერლინმა გერმანულ რომანტიკოსებზე უფრო მწვავე სარკაზმით უარყო თავისი თანამედროვეობა. „არ არსებობს უფრო საცოდავი ხალხი, — სწერდა ჰელდერლინი, — ვიდრე გერმანელები. თქვენ მათ შორის ნახავთ ხელოსნებს, მაგრამ არა ადამიანებს, მოაზროვნეებს, მაგრამ არა ადამიანებს, მღვდლებს, მაგრამ არა ადამიანებს, ბატონებს და მონებს, ახალგაზრდებს და მოხუცებს, მაგრამ არა ადამიანებს“.

პოლიტიკა უაზროო, — სწერდა ჰელდერლინი, — ადამიანს, როგორც ბატს, თანამედროვეობის ჭაობში უხდება დგომა“. ასეთი ნილილისტური, შეიძლება ითქვას, მკაცრი დებულებები არ გამოუთქვამს არც ერთ გერმანულ რომანტიკოსს. ისე, როგორც ლეოპარდის იდეოლოგიურ მრწამსზე, ჰელდერლინზედაც ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა ბურჟუაზიის ძლიერმა მოძრაობამ იდეოლოგიაში და იგი ბოლომდის დარჩა თავისი თანამედროვეობისა და ობიექტური სინამდვილის არამართო კრიტიკოსად, არამედ შეურიგებელ მოწინააღმდეგედ.

ლერმონტოვი და ბარათაშვილი, წინააღმდეგ ლეოპარდ-ჰელდერლინისა, მომავლისაკენ იხედებოდნენ და თავიანთი თანამედროვეობის სასტიკ კრიტიკა-უარყოფასთან ერთად, მისი შეცვლის, გაუმჯობესებისა და გარდაქმნის ფილოსოფიას ემსახურებოდნენ.

ამგვარად, მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი, როგორც გარდატეხის ეპოქა, თავისი დამახასიათებელი მხარეებით, ძირითადად თითქმის ყოველმხრივ აძახა ლერმონტოვისა და ბარათაშვილის შემოქმედებაში, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ უცილობელ დებულებას, რომ გენიოსი სწორედ ის ადამიანია, რომელიც ყველაზე უფრო მეტად მიხვდება მსჯავრს დასდებს, ვაიგებს, იგრძნობს და შეიმეცნებს ისტორიის კანონზომიერებას, ისტორიის დიალექტიკურ წინსვლას და განვითარებას.

6. უკუხაბი

„ნიბელუნგები“ ქართულად

ქართული კულტურა და ლიტერატურა დღითიდღე მდიდრდება რუსული და მსოფლიო ლიტერატურის საგანძურის თარგმანებით. დანტე, შექსპირი, გოეტე, ბალზაკი, პუშკინი და მსოფლიო ლიტერატურის სხვა მრავალი ძეგლი ქარველი მუშის, კოლმეურნის, სტუდენტის და მოსწავლე ახალგაზრდის გონებრივი პორიზონტის გაფართოებისა და კრიტიკული ათვისების პუცილებელ წყაროდ იქცა.

რუსული და უცხო ლიტერატურის მხატვრული შემოქმედების კორიფეების თარგმნის საქმეს მკვიდრი საფუძველი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიეცა გეგმიანი და სისტემატიური ხასიათი, რაც წინ გვიშლის მსოფლიო ლიტერატურის საგანძურის ათვისების უდიდეს პერსპექტივებს. ამ დარგში უკანასკნელი წლების მიღწევად უნდა ჩაითვალოს „ნიბელუნგების“ თარგმანი.

პოემა-რომანი „თქმულება ნიბელუნგებზე“ დაწერილია 1200-იანი წლების ხანებში. ავტორი ეპოსისა დღემდე უცნობია (იგი როგორც ფიქრობენ ავსტრიელი გერმანელი უნდა იყოს). პოემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საშუალო საკუნეების რაინდულ-კურტუაზიულ ლიტერატურაში. მისი შემეცნებითი და მხატვრული ღირებულება მეტად დიდია.

პოემა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი გამოხატავს ნიდერლანდის მეფის შვილის ზიგფრიდის რაინდულ-გმირულ თავგადასავალს და მის ტრაგიკულ დასასრულს, მეორე ნაწილი — ბურგუნდელების დაღუპვას ქუნების ქვეყანაში ბურგუნდიის მეფის ქალის კრიმპილდას შურისძიების ნიადაგზე.

პირველი ნაწილის საფუძველი მითეოლოგიური წყაროა, რომელიც გამოხატავს გერმანელების ადრინდელი ეპოქის მსოფლმხედველობას. ნიბელუნგელი გმირის ზიგფრიდის ცხოვრება გამოხატულია სკანდინავიურ საგებში — დიდი ედის ნიფლუნგების ციკლში, სადაც იგი ზიგურდად იწოდება, და გენეალოგიურ საგაში ფოლსუნგების შესახებ. სკანდინავიური საგების ზიგურდი (ზიგფრიდი) „ღეთაებრივი“ წარმოშობისაა, ხოლო მისი თავგადასავალი ფანტასტიურ ხასიათს ატარებს. სკან-

დინაევურ ედებში ზიგურდის მითოლოგიური თავგადასავალი დაკავშირებულია ბურგუნდელების დაღუპვასთან ჰუნეთში „ნიბელუნგების“ სიუჟეტიც ისეთივეა, როგორც „ნიფლუნგებისა“, მაგრამ „ნიბელუნგების“ ციკლშიც ზიგურდი ბრუნჰილდის შურისძიების მსხვერპლი ხდება, მაგრამ გუდრუნა (კრიშტილდა „ნიბელუნგებში“) შურს იძიებს არა ძმების წინააღმდეგ, რომელთაც მას საყვარელი ქმარი ზიგურდი დაუღუპეს, არამედ ატილას წინააღმდეგ, რომელმაც, ნიფლუნგების განძის ხელში ჩაგდების მიზნით, ვერაგულად დაღუპა მისი ძმები და ბურგუნდელთა ლაშქარი. გუდრუნა თავისი შურისძიების დროს ხელმძღვანელობს არა თავისი პირადი — ოჯახურ-ინტიმური ცხოვრების დაცვის მოტივებით, არამედ თავისი გვაროვნული შთამამავლობის დაცვის ინტერესებით. ამ მხრივ ედების — ნიფლუნგების საგმირო ციკლი გვაროვნული ურთიერთობის რღვევისა და ფეოდალიზმის დასაწყისი ეპოქის ამსახველი მხატვრული დოკუმენტია. იგი ასახავს სკანდინავური ხალხების IX — XI საუკუნეების სოციალ-პოლიტიკურ წყობას და ფსიქო-იდეოლოგიურ სამყაროს, რომელიც ანალოგიური იყო V საუკუნის გერმანელი ტომების მდგომარეობასთან.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ სკანდინავური საგების „ნიფლუნგების“ ციკლი წარმოადგენს გერმანულ თქმულებათა სიუჟეტის გადამუშავებას. მასში ზიგურდის მითოლოგიურ-ფანტასტიკური თავგადასავალი დაკავშირებულია ჰუნების მიერ ბურგუნდელთა განადგურების ისტორიულ ფაქტთან V საუკუნეში, რაც გადაიქცა გერმანელი ხალხების ეპოსის წყაროდ. ჩვენამდე მოაღწია ამ ისტორიული ფაქტის სიუჟეტზე აგებულმა რამდენიმე მხატვრულმა დოკუმენტმა, რომლებიც გამოხატავენ სიუჟეტის დამუშავების ადრინდელ საზოგადოებრივ პლასტებს.

„ნიბელუნგების“ უცნობი ავტორი ფეოდალურ-რაინდული ეპოქის სასახლის მწერალია. მისი სოციალური დაკვეთაც ამით განისაზღვრება. პოემას იმით უჭირავს განსაკუთრებული ადგილი საშუალო საუკუნეების რაინდულ-კურტუაზიულ მწერლობაში, რომ ის თავისუფალია ამ უკანასკნელის დამახასიათებელი ფანტასტიკისაგან. „ნიბელუნგების“ გმირებში ჩვეულებრივი ადამიანები არიან — მეფეები და მათი ვასალები. მისი მთავარი იდეა აგებულია ფეოდალურ-ვასალური ურთიერთობისა და ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ცოლქმრული ერთგულების პრინციპების შეუბღალავად დაცვის მოტივებზე.

პოემის სტრუქტურა სიუჟეტიც აშკარად ნათელჰყოფს ავტორის ასეთ კლასობრივ მიმართებას: ნიდერლანდის მეფის შვილი, ნიბელუნგების განძის მფლობელი, სახელგანთქმული რაინდი ზიგფრიდი, შეიყვარებს ბურგუნდიის მეფის გუნთერის დას — სილამაზით სახელგანთქმულ კრიშტილდას. ზიგფრიდი თავისი გმირობით მეგობრულ დახმარებას უწევს გუნთერს საჭიბის წინააღმდეგ ბრძოლასა და ისლანდიელი მეზობლი



ქალწულის — სახელგანთქმული ბრუნპილდას ცოლად შერთვაში და ამ გზით თავის მიზანს აღწევს. მაგრამ სიგფრიდისა და ეკუტუმიტის ბედნიერი ცხოვრება დიდხანს ვერ გაგრძელდა. ფერდელეჟიანის კრატული მედიდურება იწვევს გმირის ზიგფრიდის ვერაგულ დაღუპვას. მას დაღუპავს გუნთერის ერთგული ვასალი — მისი პირველი კარის კარის კაცი ჰაგენი. ეს უკანასკნელი დაღუპავს აგრეთვე ნიბელუნგების განძს. კრიმპილდა დიდხანს ატარებს შურისძიების გრძნობას და ამ მიზნის განსახორციელებლად იგი ცოლად მიჰყვება ჰუნების სახელგანთქმულ მეფეს ატილას, რომელიც კრიმპილდას სრულიად არ უყვარს. კრიმპილდა ჰუნების ქვეყანაში მიიწვევს თავის ძმებს და მათთან ერთად ჰაგენს და სასტიკ შურს იძიებს მათზე. შურისძიებისათვის კრიმპილდა მიმართავს ყოველგვარ საშუალებას, გასწირავს თავის სასახლის რაინდებს, თავის საკუთარ შვილს, გადასწევს მეფის სასახლეს და, ბოლოს, საკუთარი ხელით თავს მოჰკვეთს ზიგფრიდის ვერაგულად დამღუპველ ჰაგენს. თითონ კი ასეთი უსაზღვრო შურისძიებისა და ამდენი სისხლის დაღვრისათვის გაიგმირება თავისივე კარის კაცის ჰილდებრანდის მიერ.

როგორც ამ სქემატური სუჟეტიდან სჩანს, ფანტასტიურ-მითოლოგიური ელემენტი არ წარმოადგენს ნაწარმოების სუჟეტის განვითარების ზერხებმალს. ავტორი მხოლოდ გაკვრით აღნიშნავს ნიდერლანდელი გმირის სასწაულებრივ თავგადასავალს, რომელიც დაკავშირებულია ნიბელუნგების განძის დაუფლებასთან. სხვა მხრივ სკანდინავური საგების მითური გმირი აქ ჩვეულებრივი თვისებებით არის აღჭურვილი. ავტორი არ იშურებს პოეტურ ფანტაზიას ზიგფრიდის გმირობის, მეგობრული გრძნობებისა და გუნთერის მიმართ ვასალური ერთგულების გამოსახატავად, სკანდინავური საგების ლეთაებრივი წარმოშობის ზიგურდი აქ ვამოყვანილია ოჯახურ-იდილიური ცხოვრების დამცველად და ნაზი გრძნობების მატარებელ ქმრად. პომის მთავარი გმირი-ქალი კრიმპილდა უაღრესი დამცველია ცოლქმრული ერთგულებისა დამტარებელი სიყვარულისა. მაგრამ რამდენადაც ძლიერია მისი სანტიმენტალური-იდილიური გრძნობა, იმდენად უსაზღვროა იგი შურისძიების გრძნობების განხორციელებაში. კრიმპილდა შურს იძიებს ძმებზე თავისი საყვარელი ქმრისათვის. აქ ავტორი გვერდს უხვევს როგორც ისტორიული ფაქტის სისწორეს, ისე სკანდინავურ საგებში მოცემული ტრაგიკული კოლიზიის ვახსნას. მისთვის მთავარია არა გვაროვნული პრინციპის დაცვა, არამედ ცოლქმრული ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობის სიწმინდის ამაღლება. პომის ასეთი მიზანდასახულება შეეფერება ფეოდალურ-რაინდული ეპოქის საზოგადოებრივ იდეალებს. უსაზღვროა კრიმპილდას შურისძიების გრძნობა, რომელიც ადამიანური გრძნობის ყოველგვარ ფარგალს სცილდება, მაგრამ ავტორის თა-

ნაგრძნობა მაინც მის მხარეზეა. ეს აშკარაა კრიმპილდას შემდეგი სიტყვებიდან, რომლითაც იგი პაგენს მიმართავს:

„შემენახა მსურდა მაინც
მე ზიგფრიდის კარგი ხმალი,
ატარებდა იმას, ოდეს
უკანასკნელ იგი ვნახე.
მე მის გამო შემხვდა დიდი
ნაღველი და სივავლაზე“.

ერკუნესული

გინგლმონთსჟა

ამ სიტყვებში გამოხატულია კრიმპილდას სიყვარულის ურყევი და მეტად სანტიმენტალური გრძობა, რითაც, ჩადენილი შურისძიების მიუხედავად, როგორც ავტორის, ისე მკითხველის სიმპატიას ზმსახურებს.

მაგრამ პოემის ფეოდალურ-არისტოკრატიული პოზიცია მარტო ამით არ შემოიფარგლება. ავტორი იძლევა ბურჟუაზიის მეფის გუნთერის და მისი ძმების — გერნოტისა და გიზელჰერის მიშხიდველ სახეებს. ავტორი სიუბვეს იჩენს მათი გმირობისა და მაღალკეთილშობილების გამოხატვის საქმეში და ამისათვის იგი არ იშურებს თავისი პოეტური შემოქმედების დამახასიათებელ ეპითეტებს.

აღნიშნული გმირების გარდა, ავტორი იძლევა მთელი რიგი რაინდების იდეალიზებულ სახეებს, როგორც ბურგუნდელების, ისე ჰუნების ბანაკიდან. ავტორი საუკეთესოდ იცნობს სასახლის ცხოვრებას და მის კურტუაზიას, რასაც იგი თავის პოემაში რეალისტური სისწორითა და ეპიური სისადავით გამოხატავს. მკითხველს თვალწინ წარმოუდგება ფეოდალური ეპოქის სასახლის ტურნირები, ბრწყინვალე დღესასწაულები, ქორწილები, რაინდების თავგადასავალი, მათი გმირობა, სტუმართმოყვარეობა და სხვა მრავალი. ამ მხრივ მაღალია პოემის შემეცნებითი ღირებულება, რომელიც განსაზღვრავს მის ესთეტიკურ ღირებულებას.

პოემაში, ზიგფრიდს გარდა, მოცემულია პაგენის, რუდიგერის, დიტრიხ ბერნელის და სხვა რაინდების მკვეთრი სახეები. განსაკუთრებით პირველი წარმოადგენს ეპიკური ერთგულების განმსახიერებულ კლასიკურ სახეს, რომელიც თავის მოვალეობის შესრულებისათვის ვერაგობასაც კი სჩადის.

მოცემული ანალიზიდან ნათლად სჩანს პოემის ავტორის ფეოდალურ-არისტოკრატიული იდეური მიმართება. მაგრამ პოემაში აშკარად მოსჩანს აგრეთვე ფეოდალიზმის წინა ეპოქის პლასტები. პოემაში გამოხატულია გმირების ენების უსაზღვრო სიმკაცრე; მეტროპოლი ქალწულის ბუნპილდას სახე, პოემის დასაწყისში გადმოცემული ზიგფრიდის მითოლოგიური თავგადასავალი და სხვა. ყოველივე ეს ფეოდალიზმის წინა ეპოქის გამოხატველი პლასტებია.

„ნიბელუნგები“ ძველი გერმანული ეპოსის ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს და მას სამართლიანად უწოდებენ გერმანელების

„ილიადას“, რაც რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ იგი თავისი შემცნებითი და მხატვრული ღირებულებით შეედრებოდეს ჰომეროსის ქმნილებას. კარლელი სწორად შენიშნავს, რომ „ნიბელუნგებში“ ავტორს:

ნიბელუნგები

„არა აქვს ის მცხოველმყოფელი წარმოსახვა და შეურყვეველი ენერჯია, რომელიც ჰომეროსის განუყრელ თვისებას წარმოადგენს. გერმანელი მომღერალი შედარებით ძალზე უბრალოა და ცხოვრებაში ისე ღრმად ვერ იცქირება. იგი ნდობით უცქერის გარსშემოხვეულ ქვეყანას და ხატავს ამ ქვეყანას იმგვარად, როგორც მას ეჩვენება... მას არ ემჩნევა ხასიათების შექმნის დიდი ნიჭი. მათ აქ ზერელედ ეცნობით... ისინი შესანიშნავი არიან მხოლოდ როგორც პორტრეტები... მისი პოეტური წარმოსახვაც არ არის მდიდარი... მას არა აქვს ბრწყინვალე და სიმპატიური ლექსი, არც მდიდარი ულვეი ფანტაზია, მაგრამ მას სხვა თვისებები აქვს, რომელთა გააუმჯობეს არ არსებობს პოეზია: კეთილშობილება და ღრმა პოეტური გრძნობა. იგი აღფრთოვანებულია რაინდული სულით, სიყვარულითა და გმირობით... ჩვენთვის ის ძვირდამაა, როგორც კაცობრიობის ადრინდელი დროების ამსახველი ძეგლი. თანამედროვე მკითხველს მასში შეუძლია იპოვოს ღრმა ინტერესი... ამ პოემას აქვს ის, რაც აქლია მის მსგავს ძველ და ახალ ნაწარმოებებს. მასში არის თავისი საფუძველი, თავისი ორგანიული მთლიანობა, დასაწყისი, შუა ნაწილი და ბოლო. არ შეიძლება მასში არ გაგაჩრბოთ მთავარი იდეა — არსებითი, რომლის გარშემოც მთლიანად ჯგუფდებიან შრავალფეროვანი ნაწილები და უმნიშვნელო წერილობები“.

კარლელი ხაზს უსვამს აგრეთვე პოემის რიტმის ჰარმონიულობას და მასთან ერთად სწორად შენიშნავს, რომ პოემაში ზოგ შემთხვევაში ადგილი აქვს ეპიური თხრობის გაჭიანურებას, უადგილო განმეორებას და შრავალსიტყვაობას.

ამგვარად, პოემა არ ბრწყინავს უდიდესი მხატვრული ღირსებებით, მაგრამ მასში ყველგან დაცულია ეპიური თხრობის სიმარტივე-სისადავე და სიღინჯე. ავტორი პოემის სუყეტის გაშლასთან ერთად, შეუდარებელი სიძლიერით გადმოგვეცემს ტრაგიკული გრძნობის განცდის აღმავლობას. პოემაში ძლიერია დრამატიზმი და სამართლიანად შეიძლება ცალკე ავენტიურებს ტრაგედიის ცალკე სცენები ვუწოდოთ.

პოემაში ძლიერია აგრეთვე რაინდული ეპოქისათვის დამახასიათებელი სანტიმენტალობა და რომანტიკა, რაც მას თავის დროზე შალაა წრეებისათვის ძალზე მიმზიდველ ნაწარმოებად ხდიდა. მაგრამ პოემისადმი ინტერესი შესუსტდა შემდგომ საუკუნეებში, რაც დაკავშირებული იყო პოემის ენასთან, რომელიც გაუგებარი იყო ფართო მასებისათვის. ამიტომ პოემა დავიწყებას მიეცა. პოემისადმი ინტერესი გაცხოველდა რომანტიზმის ეპოქაში. ეს აიხსნება იმით, რომ გერმანელმა რომანტიკოსებმა „ნიბელუნგებში“ სამართლიანად დაინახეს ფეოდალური საშუალო საუკუნეების იდეალიზაცია. რომანტიკოსებმა სთარგმნეს პოემა საშუალო ზემო გერმანულიდან ახალ გერმანულზე და იგი მასებისათვის კვლავ მისაწვდომი გახადეს, რის შემდეგაც აღიძრა უდიდესი ინტერესი პოემის კვლევა-ძიებისადმი და შეიქმნა უმდიდრესი მეცნიერული ლიტერატურა.

საშუალო ზემო გერმანულ ენაზე დაწერილი პოემის ლექსის წყობა-ში ძლიერია სილამაზე და მელოდიურობა, რასაც ხშირად აძლიერებს ლექსის შინაგანი რითმები. ავილოთ, მაგ., პირველი ტაეპეტიკული ნაწილი:

Uns ist in alten maeren
Von heleden lobbaeren,
Von frouden hochgeriten,
Von küener recken striten

wunders vil geseit.
von grozer arbeit:
von veinen unt von hlügen
muget ir nu wunder
hoeren sagen.

პოემის ყოველი ტაეპი შესდგება ოთხი ლექსისაგან და შუაზე იყოფა ცეზურით. ტაეპში ვართმუელია პირველი და მეორე — მესამე და მეოთხე ლექსები. ტაეპის ოთხივე ლექსის წინა ნაწილები შეიცავენ ოთხ-ოთხ მთავარ ხმის ამალლებას (Haupthebungen). პირველი სამი ლექსის მეორე ნაწილები შეიცავენ სამ-სამ ხმის ამალლებას, ხოლო მეოთხე ლექსის მეორე ნაწილი — ოთხ ხმის ამალლებას.

ჩვენ მიერ მოყვანილ ტაეპში ხაზგასმულია აგრეთვე ლექსის შინაგანი რითმები, რომლებიც აძლიერებენ ლექსის მუსიკალობას. ზიმროკის მიერ შესრულებული თარგმანი პოემისა და ახალ გერმანულ ენაზე შესაძლებლობის ფარგლებში იცავს ორიგინალის ზომას, მაგრამ იგი მოკლებულია ორიგინალის მუსიკალობას და შედარებით ღარიბია როგორც შინაგანი, ისე გარეგანი რითმებით.

„ნიბელუნგების“ ქართული თარგმანი კ. ჭიჭინაძის მიერ შესრულებულია ზიმროკის თარგმანიდან, მაგრამ მთარგმნელი ხელმძღვანელობდა არ უშუალოდ გერმანული ტექსტით, არამედ ზიმროკისაგან შესრულებული ქართული პროზაული თარგმანით. თარგმანის ანალიზი ნათელჰყოფს, რომ მთარგმნელი ხელმძღვანელობდა აგრეთვე „ნიბელუნგების“ რუსული თარგმანით, რომელიც შესრულებულია კუდრიაშევის მიერ უშუალოდ საშუალო ზემო გერმანულიდან. კუდრიაშევი იცავს ორიგინალის ლექსის ზომას.

„ნიბელუნგების“ ქართულ ენაზე მთარგმნელი ამ მხრივ უფრო ცუდ პირობებშია, რადგან იგი მოკლებულია საშუალებას უშუალოდ განიცადოს ორიგინალის მუსიკალობა-მელოდიურობა და მისი რიტმი. ასეთ პირობებში თარგმანს ვერ მოვთხოვთ, რომ მასში დაცული იყოს ორიგინალის პოეტური ნუანსები; სავალდებულოდ უნდა იქნას მიჩნეული შინაარსის შესაძლებელი სიზუსტით ვადმოცემა და ლექსის ზომისა და რიტმის დაცვა; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზომისა და რიტმის დაცვა ხშირად შესაძლოა ნაწარმოების მხატვრული მხარისათვის საზიანოც იყოს.

ასეთი პრინციპით არის შესრულებული „ნიბელუნგების“ რუსული თარგმანი კუდრიაშევის მიერ, თუმცა „ნიბელუნგების“ ლექსის ზომა ისევე უცხოა რუსული ენისათვის, როგორც ქართულისათვის.

ქართული თარგმანი არ იცავს ლექსის ზომასა და რიტმს. იგი შესრულებულია ქართული ეპოსისათვის დამახასიათებელი ლექსითა წვობით: მაღალი და დაბალი შაირით.

აეილოთ ქართული თარგმანის იგივე პირველი ტაქტი:

„საკვირველ ამბებს გადმოგვეცემს
გარდასულ დროთა საგები!
გაბედულ გმირებს ჰქონიათ
მზნეობა თუ რა საქები,
რა ცრემლები და გოდება,
რა საზეიმო კრებანი
გულად რაინდთა ბრძოლებზე
ისმინეთ საოცრებანი“.

მოყვანილი ტაქტი შესრულებულია დაბალი შაირით. თარგმანის შედარება გერმანულ და რუსულ ლექსებთან ნათელჰყოფს ტაქტის შინაარსის მაქსიმალურად შესაძლებელ სიზუსტეს, გადახვევა მათგან მხოლოდ ლექსის ზომაშია, მაგრამ თავისი კეთილზმოვანებით, ქართული თარგმანი არ ჩამოუვარდება არც კულდრიიანის თარგმანის ტაქტს და არც ზომროკის ტექსტს. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ თვით ქართული შაირის მუსიკალობაში და, რაც მთავარია, მთარგმნელის მიერ ამ შაირის ოსტატურ დაუფლებაში.

თარგმანის სიზუსტის ნიმუშისათვის მოვიყვანოთ კიდევ ტაქტი 68.

Sshön waren ihre Rosse
Wenn wer sich höher dauchte,
Als der Degen Siegfried
Nun hielt er um Urlaub

Ihr Reiterzng golderozt;
so war es ohne Not,
und die ihm untertan
zu den Burgunaen an“.

იგივე ტაქტი ქართულად:

„ოვალს იტაცებდნ ოჭროთი
ტანდარაბტული მერნები
ქვეყნად ვინ იამაყებდა,
მათზე უმეტეს მშვენიებით?
გამოეთხოვა ზიგფრიდი
შშობლებს და შშობელ არესა
და გაემართა ყმებითურთ
ბურგუნდულების მხარესა“.

ტაქტის ქართული თარგმანი ზუსტად გადმოსცემს ორიგინალის შინაარსს. მუსიკალობის მხრით იგი არა თუ არ ჩამოუვარდება, არამედ კიდევ აჭარბებს მას.

აეილოთ იგივე ტაქტი რუსულად:

„Прекрасны были кони
Со спутниками Зигфрид
На то он права больше,
С Сигмундом и с Сиганундой

в их сбруе золотой,
гордится мог собою,
чем кто вибует —
проститься *შეშინებულნი* *შეშინებულნი* *შეშინებულნი*.

ქართული და რუსული თარგმანების სიტყვიერი მასალა სავსებით არ შემთხვევა ორიგინალს. რუსულში მოცემულია მშობლების სახელები, ქართულში კი სიტყვები: მშობლები და მშობელი არც არის ზიმროკის ტექსტში, სადაც აღნიშნულია, რომ ზიგფრიდმა მიიღო ბურგუნდიაში გამგზავრების ნებართვა — იგულისხმება მშობლებისაგან. ამით არც ქართველი და არც რუსული მთარგმნელი არ ღალატობს ორიგინალის შინაარსს. ამის გარეშე თარგმანი შეუძლებელია. კერძოდ, ქართველი მთარგმნელის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ის როგორც აქ, ისე მთელი პოემის სიგრძეზე თარგმანს ამნაირი შინაარსობრივი სიზუსტით ასრულებს და არც ერთი ტაეპის შინაარსს არ ებყრობა თავისუფლად, რაც არ უარყოფს საკუთარი სიტყვიერი მასალის გამოყენებას ლექსის გამართვისათვის.

ასეთივე, მაგალითის, ნიმუშად გამოდგება 482 ტაეპი. ბურგუნდიაში გამგზავრების წინ ზიგფრიდი წყლის პირას იპოვნის ნავს და შიგ ჩაჯდება ჰეორე ნაპირზე გადასასვლელად.

„Darin stand verborgen
Er führte es Siegfried,

König Siegmunds Kind.
der sehöne Siegmunds Kind“.

ქართულად ასეა თარგმნილი:

„ზე ავიდა ზიგმუნდის ძე, უსხეულო ეშმის დარი.
ნავი სწრაფად გაემართა, უბერავდა თითქოს ქარი“.

აქაც და სხვა შემთხვევაშიაც მთარგმნელს გამოყენებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვიერი აპარატი. ამირგად, სიტყვიერი მასალის მხრივ არის დაცული ორიგინალის სიზუსტე, მაგრამ ეს ოდნავადაც არ სცვლის ტაეპის შინაარსს და არ ამცირებს თარგმანის მხატვრულ ღირებულებას. ამაზე შორს თარგმანის არასიზუსტე არასოდეს არ მდის, მიტომ სხვა მაგალითების მოყვანა სრულიად ზედმეტია.

იმისათვის, რომ ნათელეყოთ თარგმანის მხატვრული ღირებულება ზიმროკის ტექსტთან და რუსულ თარგმანთან შედარებით, მოვიყვანოთ უფრო მხატვრული ადგილები გერმანულ-რუსულ-ქართულ ენაზე. ასეთ ადგილებად პოემაში ითვლება ბრძოლის აღწერილობები და საერთოდ მოძრაობის გამომხატველი სურათები.

აიღოთ მაგალითისათვის 1528 ტაეპის მესამე ლექსი:

„Das Wasser ist ergossen,

zu stark ist seine Flu“.



ქართულად ასეა თარგმნილი:

„რა ტალღებად აგრაგნილა საშინელი ქვეყნის ქვეყნის“.

ქართული ლექსი უფრო ძლიერი მოძრაობის სურათს იძლევა. ის სჯობია ორიგინალს.

პოემაში უფრო ძლიერი პოეტური პათოსით არის გადმოცემული ბრძოლის სურათები. ასეთია 2041—42—43—44 ღა მათი მომდევნო ტაეპები.

ამ ბრძოლების ამსახველ ტაეპებში პოემის დრამატიზმი უმაღლეს წერტილს აღწევს. მთარგმნელსაც აქ ესაჭიროებოდა ძლიერი შემოქმედებითი გაქანება და საკუთარი პოეტური ალლო. თუ რა შედეგს მიაღწია ამ შემთხვევაში მთარგმნელმა, ამას ნათელყოფს თარგმანის შედარება ორიგინალთან. ავიღოთ ნაწყვეტი ორიგინალის 2041 ტაეპიდან.

„Da schlug der Fiedelspieler,
Das Gepräge wirbelte

dass von des Schildes Rand
von Volkers starkers Hand“.

შევიდაროთ ქართული თარგმანი:

„მამინ მოხდა ისე მძლავრად
ნაგეირი დარტყმა გვირის,
რომ ბალთები დაწყვეტილი
აზრიალდენ ფარის პირის“.

ან კიდევ 2043 ტაეპი:

„Gunthern liess er stehen
Das Feuer aus den Ringen

und lief Gernoten an.
er ihn zuhauen begaun“.

იგივე ქართულად:

„მან დასტოვა გუნტერი და
მაშურა გერნოტს, მალე
აყრევიდა იმის რგოლებს
ნაპერწყლები მოზრიალე“.

იგივე ადგილი რუსულად შემდეგნაირად არის გადათარგმნილი:

„Он Гунтеръ оставил.
И выскать из колец

к Герноту побежал,
его огонь он стал“.

ასეთი ძლიერი ბრძოლის სურათების გადმოცემის დროსაც თარგმანი შეიძლება პოეტურ დონეზე დგას და რუსული თარგმანი მუსიკალობის მხრივ მასზე მდებარე გვეჩვენება. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ რუსი მთარგმნელი ცდილობს დაიცვას ორიგინალის ზომა რიტმი, რაც შას, მეორე მხრით უპირატესობას ანიჭებს ქართულ თარგმანთან შედარებით, რადგან შინაარსეულ სიზუსტესთან ერთად ფორმითაც აბლოდგას ორიგინალთან.

საერთოდ, მთარგმნელი კარგად დაუფლებია ქართული შაირობის ორივე სახეობას: მონოტონობის თავიდან ასაცილებლად მისი მხარს მათ ხშირ ცვალებადობას, რითაც მკითხველის ინტერესს უზრუნველყოფს მაღალდონეზე იჭერს, ამის მეოხებით პოემა ქართულად უფრო ადვილად იკითხება, ვიდრე რუსულად. ეს თარგმანის ღირსებას შეადგენს.

მაღალ შაირს ავტორი განსაკუთრებით იყენებს ისეთ შემთხვევაში როდესაც გამოხატულია მოძრაობა და ბრძოლის სურათები. აქ ის მაღალ მხატვრულ ეფექტსაც აღწევს, ამის საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ავილოთ, მაგალითად, 2044 ტაეპი:

„მაშინ მოსწყდა იგი თავადს,
ის საკმაოდ იყო მაღი.
ელეასავით კრიალებდა
მოთამაშე მისი ხმალი.
ოთხი მოკლა ბურგუნდელი,
მწე მებრძოლი ვორმსიდანა,
დე გიზელჰერს, ამის მნახველს,
თითქოს გულში მოხვდა დანა“.

როგორც ვხედავთ, მუსიკალობითა და რითმების სიმდიდრით თარგმანი მაღალ დონეზე დგას. პრინციპული თვალსაზრისით სადავოა მხოლოდ ლექსის ზომა.

მთარგმნელისა და მისი თანამოაზრეთა დებულება შაირის დაცვისათვის ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ქართული შაირი უფრო მისაღები ფორმაა ეპოსისათვის; ამასთან ერთად ისინი აღნიშნავენ, რომ „ვეფხისტყაოსნისა“ და „ნიბელუნგების“ ეპოქა, სოციალური გარემო და იდეოლოგიური მიმართულება ერთმანეთს ემთხვევიან.

ამ მოსაზრებით არის „ნიბელუნგები“ თარგმნილი ქართული შაირით, რითაც ის გავეფხისტყაოსნებულა და ჰკარგავს გერმანული ეპოსისათვის „ნიბელუნგების“ ეპოქაში გამომუშავებულ დამოუკიდებელ ნაციონალურ ფორმას. ამით თარგმანი ჰკარგავს თავის საკუთარ სახეს და ქართული ეპოსის გენიალურ ქმნილებას გვერდში უდგება სუსტ კონკურენტად. ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ პრინციპულ მოსაზრებას, რომ ქართულ თარგმანს უნდა გაემიჯნა „ნიბელუნგები“ „ვეფხისტყაოსნისაგან“. ყოველი დიდი ხაწარმოების მხატვრული თარგმანის უეჭველ ღირებულებას შეადგენს ლექსის ზომისა და რიტმის დაცვა შესაძლებლობის ფარგლებში.

მთარგმნელს კ. ქიქინაძეს უცდია ორიგინალისათვის მიახლოებულ ზომის დაცვით სანიმუშოდ ეთარგმნა ტაეპი, სახელდობრ 276. მოვიყვანოთ იგი:

„ამოიღეს სკივრებში
მშენიერი სამოსი,
მოსაველები, ბალთები,
მოიკაზმა ლამაზად

ჩაწყობილი ბარგი,
სამკაული კარგი,
ბევრი ტურფა და
იქ მრავალი კობტა ქალი“.



იგივე ტაეპი პოემაში მაღალი შაირით არის თარგმნილი:

„სკივრებიდან ამოიღეს
ჩაწყობილი შიგან ბარგი,
მშენიერი სამოსი და
სამკაული მტად კარგი;
მოსაველები და ბალთები
შესაბამი ბევრი თვალი,
მოიკაზმა უტურფესად
იქ მრავალი კობტა ქალი“.

აქ ერთი და იგივე ტაეპი ორი სხვადასხვა ზომითაა თარგმნილი: ორიგინალის მახლობელ ზომითა და მაღალი შაირით. შედარება ნათელყოფს, რომ მუსიკალობის მხრით მეორე პირველზე უფრო დაბლა დგას.

სანიმუშოდ თარგმნილი ტაეპი დიდი ვირტუოზობითაა შესრულებული, რაც იმას ადასტურებს, რომ ამ ზომით შესაძლებელი ყოფილა „ნიბელუნგების“ ქართულად თარგმნა, მაგრამ ეს ზომა ქართული ლექსისათვის უჩვეულოა და ამდენადვე მთარგმნელს შემოქმედებითს მუშაობაში მეტი სიძნელები ეწებოდა დასაძლევად.

ამგვარად, უნდა დაისვას „ნიბელუნგების“ თარგმანის ლექსის ზომის საკითხი, რაც სრულიად არ უარყოფს შაირით შესრულებული თარგმანის უაღრესად მაღალ კულტურულ ღირებულებას.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს ზოგიერთი კერძო ხასიათის ნაკლი და მუსიკალობის მხრივ შედარებით სუსტი ადგილები. ავიღოთ, მაგ., ტაეპი 1072:

„მაგრამ დიდხანს არ შეეძლოთ
ყოფილიყენენ ამდაგვარად;
განეკურნათ გული შემდეგ
როგორც ესე ზედა მარად“.

ან კიდევ 338 ტაეპი:

„იყო ეს უჩინმაჩინი
კარგი და მოსაწონები.
კაცი იქმოდა ყველაფერს,
რისაცა იყო მგონები
მასში იღუმალ; ასე ის —
გახდა ბრუნპილდეს მშოველი,
შემდეგ ამ საქმეს თან მოჰყვა
უბედურება ყოველი“.

მოყვანილი ტაბებში სუსტია მუსიკალობით. აქ შეუფერებელია გამოთქმები „მგონები“ და „მშოველი“. ასევე შეუფერებელია გამოთქმა: „ძალით მოვიბვექ ქალწულსა“ (155 ტაბი) ან კიდევ „ქალწულის მოხვექა“ (157 ტაბი) და სხვა ამგვარი.

თარგმანში საკუთარი სახელები მეტნაწილად სწორად არის მოცემული, მაგრამ უფრო სწორი ქნებოდა ქართულად გუნთერი, ვიდრე გუნტერი, და გერნოთი, ვიდრე გერნოტი; ან კიდევ საქსები, ვიდრე ზაქსები როგორც ეს ჩვეულებრივად მიღებულია ქართულში და რუსულშიც.

ორიგინალში ნახსენებია ქალაქი „Santen“ ქართულად ის რატომღაც ქსანტენად არის თარგმნილი. სადაოდ უნდა იქნას მიჩნეული აგრეთვე Krimhild-ისა და Brunhild-ის თარგმნა კრიმპილდედ და ბრუნპილდედ. შესაძლოა ეს ძველი ქართულის მიხედვით უფრო სწორი იყოს, მაგრამ უმჯობესია ენაში დაკანონდეს კრიმპილდა, ბრუნპილდა, ვიდრე კრიმპილდე, ბრუნპილდე.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა გ. ხ ა ვ თ ა ს ი ს წერილის შესახებ, რომელიც თარგმანს წინ უძღვის.

ბუნებრივია, რომ „ნიბელუნგების“ თარგმნამდე ჩვენში არ არსებობდა არავითარი კრიტიკული ლიტერატურა ამ ნაწარმოების შესახებ. თარგმანის შემდეგ კრიტიკის საჭიროება უქვევლია და ჩვენთვის მეტად აქტუალური, რადგან „ნიბელუნგების“ შესწავლასთან დაკავშირებით შექმნილია მდიდარი ლიტერატურა, რომელშიაც გარკვეულია „ნიბელუნგების“ მრავალი პრობლემა. ქართული თარგმანის წინასიტყვაობას მკითხველისათვის უნდა მიეცა წარმოდგენა ამ პრობლემათა შესახებ, რაც საინტერესო იქნებოდა „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო წარმოებულ მუშაობის თვალსაზრისითაც. სამწუხაროდ, გ. ხ ა ვ თ ა ს ი ს წერილის ფარგლები ამის საშუალებას არ იძლევა. წერილი არკვევს ნაწარმოების სოციალურ ბუნებას და ავტორის კლასობრივ გამიზნულებას. წერილში წამოყენებულია სწორი მოსაზრებანი. ამ მხრივ წერილი პირველი მარქსისტული ნაშრომია, რომელიც დასავლეთ ევროპის ლიტერატურიდან თარგმნილი ნაწარმოების წინასიტყვაობის სახით არის მოცემული. ეს განსაკუთრებით არის აღსანიშნავი, რადგან დასავლეთ ევროპის ლიტერატურის თარგმანთა წინასიტყვაობანი დღემდე ჩვენს სინამდვილეში ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ მარქსისტულ-ლენინურ კრიტიკის მოთხოვნებს. ასეთი წინასიტყვაობები იწერება მეტწილად მთარგმნელების მიერ, რომელნიც მეტად შორს არიან მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობისაგან და ანვეითარებენ ყოვლად მიუღებელ შეხედულებებს (მაგ., დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ წინასიტყვაობა კ. გამსახურდიასი, თ. სახოკიას წინასიტყვაობა მოპასანის მოთხროშების თარგმანის გამოცემაში და სხვ.).

გ. ხავთასის წინასიტყვაობა ამ მხრივ გამოჩაყლის წარმოდგენს. ის სწორად არკვევს „ნიბელუნგების“ ავტორის კლასობრივ პოზიციას, მაგრამ, სამწუხაროდ, წერილი არ სცილდება სოციოლოგიურ განმარტების ფარგლებს და არ არკვევს ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას. წერილში მხოლოდ დეკლარაციულად არის აღნიშნული, რომ „ნიბელუნგები“ გერმანული ეპოსის მნიშვნელოვანი ძეგლია, მაგრამ არ არის ნაჩვენები, თუ რატომ არის იგი ასეთი.

წერილში აგრეთვე ვკითხულობთ, რომ „ნიბელუნგები“ შეიცავს სხვა დასხვა ეპოქის პლასტებს, მაგრამ არ არის გარკვეული, თუ რაში გამოიხატება ეს პლასტები.

დასასრულ, ორიოდ სიტყვა თვით თარგმანის სათაურის შესახებ.

პოემის სათაური გერმანულად არის „Das Nibelungenlied“.

ქართულად მას რატომღაც ეწოდება „თქმულება ნიბელუნგებზე“ და არა „ნიბელუნგების სიმღერა“, რაც უფრო სწორი იქნებოდა. ქართული თარგმანის სათაური არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს იმ უბრალო მოსაზრებით, რომ თქმულება ნიბელუნგების შესახებ დამუშავებულია მრავალ მხატვრულ ნაწარმოებში და ის უფრო ამ თქმულების დამუშავების საერთო შინაარსის გამომხატველია, ვიდრე მის სუბიექტზე აგებული ჩვენი ძეგლის შინაარსის სათაური. „ნიბელუნგების სიმღერა“ შეიცავს ამ ძეგლის გამიჯვნას სხვა ძეგლებისაგან და ამიტომ იგი უფრო სწორად უნდა ჩაითვალოს.



იონა მუხარბია

ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან

ვისაც ი. მელენარგიას შრომები (ვეფლისხობა მწერალთა ბიოგრაფიებს) წაუკითხავს, გაეცნობოდა, თუ როგორ დაწერილებით გადააღებდა ზოლმე იგი ქალაქზე იმ ფაქტებს, რომლებიც მას ამითემ მწერლის გარშემო ჰქონდა დაგროვილი თავის უბის წიგნაკში, როგორც თვითონ უწოდებს „სამახსოვრო წიგნში“.

საფრანგეთის მე-19 საუკუნის კულტურაზე აღზრდილმა, საფრანგეთის უდიდესი მწერლის ე. პიუგოს პირადმა მეგობარმა ი. მელენარგიამ, საქართველოში სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, გარდა „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობისა, ეს სრულიად უცხო და ჩვენი მწერლობისათვის მეტად უჩვეულო დარგი — მწერალთა ბიოგრაფიების წერა — შედგენა აირჩია. ქართულ მწერლობაში ასეთი ტრადიცია კი შემუშავდა: თუ რომელიმე მწერლის სრული თხზულებების გამოცემა განიზრახებოდა, ბიოგრაფიის შედგენისათვის უთუოდ იონას მიმართავდნენ, რის დასადასტურებლად არა ერთი და ორი პირადი ბარათი მოიპოვება მის არქივში — ამდაამ მწერლის თხზულებას ესცემთ, ბიოგრაფიის შედგენა თქვენ დაგეგვალათო და სხვა (მაგალ., ნ. ბარათაშვილზე, ი. შანაშელზე, გ. ჭალაიდიძეზე და სხვა).

ჩვენ მიერ ამჟამად გამოსაქვეყნებლად მიჩნეული ხელთნაწერი: „ნანახი და განაგონი ილიას შესახებ“, ილიას სრულ ბიოგრაფიას არ წარმოადგენს; ეს უფრო მასალა ბიოგრაფიისათვის და მეტად ძვირფასი, უტყუარი და საინტერესო მასალაც, რადგან მელენარგია თავისებური სიღინჯით „ნაჭრებ“ ფაქტებს თავისი „სამახსოვრო წიგნიდან“ გვაეცნობს. თვითონაც ხომ ამბობს: „...მე აქ ილიას ცხოვრებას არა ვწერ, ილიას ცხოვრების მასალას ვაქტებ, რომელიც ან თითონ ილიასაგან გამოვიგონა, ან მის თანამედროვეთაგან შამენია, ან მე თითონ ჩემს თვალთ მინახავს და ამიტომ ჩემს ნაწახს და განაგონს ილიას ცხოვრებიდან მე აქ მხოლოდ დაახლოებით ქრონოლოგიურად, მაგრამ მაინც უსისტემოდ ვწერ. მე ხომ მეწერილმანე ვარ ქართულის მწერლობისა და თუ ჩემგან შეკრებილის წერილმანებით მე თქვენ ილიას სურათი, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, ნათლად დაგანახეთ, ჩემს ვალს ქართულს მწერლობაში მოხდილად მიგიჩნევ“—ო.

ასეთი „წერილმანები“ საკმაოდ სხვილ ღირებულებათა შემცველი დაწ-
ტერესებულ მკვლევართათვის. აქ ჩვენ ენახეთ ილიას: სტუდენტი, საზოგადო
მოღვაწეს, სახელმწიფო მოხელეს, ბანკირს, მემამულეს, რედაქტორს; ილიას
ოჯახში, შინაურბანში; ილიას ხასიათს და სხვა, რაც არ შეიძლება მსაქმენარ-
გის კარგად არ ცოდნოდა, როგორც ილიას გაზეთის „სამაზსოვრო წიგნებში“
თანაშრომელს (რაც ხელნაწერიდან ჩანს — ილიას იმ კერძო წერილიდან,
რომელიც მას ი. მენუნარგიასათვის მიუწერია 1885 წლის 20 დეკემბრის თარი-
ღით) და ქართველთა შორის წ.-კ. გამ. საზ-ბის პირველ მდივანს.

სამწუხაროდ, მასალა ილია — პოეტზე, მწერალზე ამ მოგონებებში ძენწადაა
წარმოდგენილი, ხოლო ილიას მსოფლმხედველობაზე, მის კლასობრივ სახეზე
სრულებით არაფერია ნათქვამი.

ი. მენუნარგის არ უყვარდა ყურმოკრულს, საეკვო ნათქვამის და განაგო-
ნის ერთბაშად დაჯერება და ჩაწერა, გავრცელებული ჭორებისა და მითქმა-
მოთქმის შეუმოწმებლად მიღება. იგი ცოცხალ მწერალს პირადად ეცნობოდა,
უახლოვდებოდა, მის ცხოვრებას კვლადაკვალ სდევდა, მისთვის ყოველ წუთში
მზად ჰქონდა უბის წიგნაკი ფანქრით. იგი მწერლის ყოველ შეხვედრას იყენებდა,
არც ერთ წუთს არ ჰკარგავდა უშედეგოდ, თუ რას იტყოდა ესა თუ ის მწერალი
ამათხმე საკითხზე, პიროვნებაზე, ნაწარმოებზე, თავის თავზე თუ სხვა რამეზე
და როგორ იტყოდა, რამდენად მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივი ხასიათის
მატარებელი იქნებოდა ეს თქმა, რა ფორმებში გამოხატავდა მას მოქმედი და
სხვა. ყველაფერი ეს იმ ნახსენებ „სამაზსოვრო წიგნში“ შედიოდა, იქ იწერებო-
და, სტრიქონებდა ყალიბდებოდა, ზოგს ნაკვეთს, ზოგსაც მომხდარი ფაქტის
სახე ეძლეოდა, და ამგვარად მდიდრდებოდა და ივსებოდა ეს წიგნაკები. დაუს-
რულებელი იყო მათი გვერდების რაოდენობა.

„ნანახი და განაგონი“ არსებითად მოგონებია ილიაზე, როგორც თვითონ
მენუნარგია უწოდებს, და არა ბიოგრაფია. ილიას ბიოგრაფიის შედგენა მას
განზრახული ჰქონდა „შემდევში, როცა მე მივეყავი ხელი ობზელიანის, ბარა-
თაშვილის, კ. ერისთავის და სხვათა ცხოვრების აღწერას, მე ყოველ შეყარზე
ილიას უჯურობდი, როგორც მსხვერპლს, „მეშტრის თვალით“, და როცა იმესა-
გან მოვდიოდი შინ, მის ნალაპარაკებს ვწერდი ჩემს „სამაზსოვრო წიგნებში“, —
სწერს თვით ი. მენუნარგია ამავე შრომაში. ცხადია, აქ გამომეღვანებულა აზრი,
რომ მას განზრახული ჰქონდა ილიას ურცელი ბიოგრაფიის შედგენა, ჰქონდა
საამისოდ დაგროვილი მასალა, პირველი წყაროები, რომლებიც მის სამაზსოვრო
წიგნებს ამწვენებდენ და რომლებიდანაც მან ამოსწერა ჩვენს წინ მდებარე ფურ-
ცლები სახელდახელოდ, მოგონებების სახით ფოთში გამართულ ილიას საღამოზე
წასაკითხავად. ხოლო დანარჩენი, რაც ბიოგრაფისათვის სისრულის მომცემად,
მისთვის აუცილებლად და დამამწვენებლად მიაჩნდა, როგორც თვითონ აცხადებს,
დასტოვა იმ სამაზსოვრო წიგნაკებში, რომელთა კვალ, გარდა თითო-ორილია
გვერდის ნაფლეთისა, მის არქივში აღარა ჩანს.

ხელნაწერი, როგორც თვით ავტორის ხელით სქოლიოდ მინაწერი გეაცნო-
ბებს, დაწერილია და წაკითხული მოხსენებდა კ. ფოთში (და, მგონი, ქუთაის-
შიაც, როგორც გეაცნობს ხელნაწერის ერთი მინაწერი) 1908 წელს ილიას სა-
ღამოზე.

ცხადია, ეს ის ხელნაწერი ან ლექტია უნდა იყოს, რომელსაც შემდეგ
ი. გოგებაშვილი გამოებმურა პრესაში და თავისი რჩეული ნაწერე-
ბის პირველ ტომშიაც კი შეიტანა „მენუნარგის ჭორები ილიას შესახებ“-ის სა-
თაურით. თუ რამდენად არის ჭორები ამ მოგონებაში მოყვანილი ფაქტები, ამა-
ზე მიუდგომელი და დაკვირვებელი მკვლევარი იტყვის, თუ რა სარჩული უდევს

ოჯახს ეძახდნენ. სხვების სიმდიდრე მარტო პური და ლუწო იყო. ილიას მამა გრიგოლიც, შექაპირის თქმისა არ იყოს, მარტო სისხლით იყო მდიდარი და არა ქონებით. მეტსახელად გრიგოლს პაჭუას უწოდებდნენ. გრიგოლი ერთ დროს ოფიცრად მსახურობდა ნიქეევოროდის დოაგუნის პოლკში და რამდენადმე განათლებული კაცი იყო. დედამისი, სახელად მაგდანი, იყო სომხის ქალი, ბებურიშვილის ასული.

როგორც დავით ერისთავს, ილიასაც არაერთხელ სმენია მისი ხასიათის თვისების ახსნა სომხის ქალის შვილობით.

ერთხელ, როდესაც ილია დღეშეთში მომრიგებელ მოსამართლედ იყო და ერთს სადილზე რალაც შემთხვევის გამო სიტყვა წარმოსთქვა, ეს სიტყვა სხვაზე უფრო ერთს სომეხს მოეწონა.

— უპ, შენი ჭირიმე, კნიაზო, კარგი იმიტომა ხარ რომ დედა სომეხი გყავსო, უთხრა იმას სომეხმა.

— საკვირველია, თქვენმა მზემ, თქვენ დედაც სომეხი გყავს და მამაც და ასეთი თავხედი გამოსულხარ, მიუგო გულნაკებნმა პოეტმა.

ილიას პატარაობაზე თითონ მისგან არა ერთხელ გამიგონია, რომ იმან წერა-კითხვა სოფლის მთავრისაგან ისწავლა, რომ დედამისი სხვადასხვა მოთხრობებს და „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავდა იმას და სხ. მაგრამ ამანებზე მე აქ არ ვილაპარაკებ გრძლად რადგანაც ამანზე თითონ მან დასწერა თავის მოკლე ავტობიოგრაფიაში.

მეთერთმეტე წელი რომ დაუდგა ილიას, ის ქალაქს ჩამოიყვანეს და ვილაც რაევსკის პანსიონში მისცეს. აქედამ იმან იწყო სიარული — გიმნაზიაში და რა დაამთავრა მერვე კლასი, გაემგზავრა პეტერბურგს — 1857 წელში, საცა შევიდა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტში.

სანამ ქალაქს ჩამომიყვანდნენ, — გვითხრა ერთხელ პოეტმა (ვოგებაშვილთან, სადილზე), მე ხშირად მაციებდა და ტყლიპი გამიდიდდა (აბსტრუქცია მჭონდაო, თქვა). ქალაქს რომ ჩამომიყვანა მამაჩემმა, ყველა ექიმები დამასიტს, მაგრამ ვერას გახდნენ რა. მაშინ ვილაც ერთი ფერშალი მომიყვანეს აელაბრიდამ, კაბა ეცვა, თავზე კარტუზი ეხურა, ჩოფურა იყო. რომ ხატვა ვიციოდე, დავხატავ ისე ცოცხლად მახსოვს იმის სურათი. იმან წამალი დამალეგია, წამისვა ტყლიპზე რალაც და სთქვა: თავის დღეში ამას არ გააციებსო და მართლა მის აქეთ ჩემთვის არ გაუციებიო, გაათავა პოეტმა.

ჩვენ რომ რუსეთს მივდიოდით და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა, გვითხრა სხვა დროს ილიამ, მღეთის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა თბილისს. გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელ-შეწყობილი, პირ-მლიმარე, დაფიქრებული; დაშორებით მოსდევდა მას ნელის ნაბიჯით ეკიპაჟი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თავისის ელემენტით — კავკასიის მთებით და ღრუბლით გარშემოზღუდვილი, ალტაცებით ვთქვით ერთმა-

ნეთში: სწორედ ესაა ამ დამშვიდებულ გულზე ლექსის რასმე ვერსის ამ მშვენიერს ბუნებასაო, და იმ დროიდან დაწყებული სიკვდილამდის ილია იყო თავყანისმცემელი გრ. ორბელიანისა.

ქართული
განმანათლებელი

როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში ილიას ყოველისფრით განსხვავებული დრო ზეხებდა. თბილისში ის რომ ჩამოვიდა პირველად, აქ ვარახტოვისაგან დანერგვის ხეს ნაყოფი გამოეღო, „ცისკარი“ გამოიცა.

ქართული თეატრი დაარსდა.

ჟურნალმა და დრამამ კოტაიდან ქართული საზოგადოება გამოაღვიძა.

თუ ეს გამოღვიძება ყველგან თვალსაჩინო არ იყო, თუ დაბლა ხალხს სულ ისევ სძინავდა, მაღლა წრეებში, განათლებულ საზოგადოებაში ქართველმა კაცმა თვალი გაახილა. ამ საზოგადოებას ილიაც ეკუთვნოდა, რომ გორც გიმნაზიის მოწაფე.

ნიადაგი და ატმოსფერა კარგი ჰქონდა მომავალს მგოსანს, რომ ამ პირობებში მას ჩანერგოდა გულში მამულის და ენის სიყვარული.

ილიას რუსეთშიაც განსხვავებულ დროს ზეხებდა მისვლა, როგორც ჩვენს დროში, შემდეგ იაპონიასთან წაგებულის ომისა, სულ ყველაფერი რყევაშია და მიისწრაფის ახალის საუკეთესო ცხოვრებისადმი, ისე იმ დროს, შემდეგ ევროპის კოალიციისაგან დამარცხებისა, რუსეთი ახალის წესწყობილებისადმი მიისწრაფოდა. თავიდათავი მოთხოვნილება მაშინდელის საზოგადოების საუკეთესო ნაწილისა იყო გლეხთა განთავისუფლება.

უნივერსიტეტი სათაურში უდგა იმ დროისთვის საქირო რეფორმების შემოღების საქმეს და სწორედ მაშინ, როცა გლეხთა განთავისუფლების საქმე თავდებოდა, სტუდენტებმა არეულობა მოახდინეს.

ამ არეულობას მოყვა ილიას საქართველოში დაბრუნება.

რეფორმის წინააღობებში აქ ილიას ან რა ადგილის ზოენა შეეძლო თავის ცოდნისა და ჰაზრების საქმეში გამოსაყენებლად. ჟურნალ-გაზეთობა ამ დროს ჯერ საქმე არ იყო.

„ცისკარი“ კი იბეჭდებოდა, მაგრამ ჟურნალს მკითხველი არ ყავდა. დაბეჭდილ ნომრებს რედაქტორი თითონ უგზავნიდა გავლენიან, მწველობის მოყვარე ნაცნობებს — გრიგოლ ორბელიანს, გიორგი მუხრან ბატონს, * მიხეილ თუმანოვს, ** კოლხიდელს, *** პლატონ იოსელიანს და მათი შემოწმებით დიდი გაჭირვებით სარსებობდა ის თითონ, მისი მესტამბეები და მისი ჟურნალი, თანამშრომლებისათვის ფული არ მოეძებოდა რედაქ-

* ცნობილი მემამულე. წიგნის ავტორი.

** პოეტი. „ცისკარის“ თანამშრომელი „მოლაყბის“ ფსევდონიმით (1818—1875)

***) გრ. დადიანი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ძმა.

ტორს და არც იყო მოსალოდნელი ახლო მომავალში, რადგან საზოგადო ცხოვრების პირობები ასეთი იყო მაშინ საქართველოში.

სამშობლოში ჩამოსულ ილიას გზაზე სვეტი დაუნდა, მისივე ზედაც ეწერა: მარჯვნივ წახვალ ჩინოენიკი იქნები და მადლარი, მარცხნივ წახვალ, მწერალი იქნები და მშიერი.

რომ მარჯვნივ წასვლა ე. ი. შესაფერი ადგილის შოვნა არც ისე ადვილი იყო იმ დროს, ბუნებრივმა მიდრეკილებამ ილია წაიყვანა მარცხენა გზით. ილიამ ჯერ ცოტა ხანს „ციცქარში“ ბეჭდა მისი ნაწერი და შემდეგ 1863 წელში საკუთარი ჟურნალი გამოსცა „საქართველოს მოამბე“.

ამ ჟურნალში დაბეჭდა პირველად ილიამ „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და ბევრი სხვა ჩინებული ლექსები.

აქვე დაიბეჭდა ნაწერები ვიქტორ ჰიუგოსი, პრუდონისა, ბასტიასი, ბელინსკისა.

ახალმა ჟურნალმა ახალი სიტყვა გააგონა ქართველ საზოგადოებას. ეს სიტყვა მით უფრო დიდი მნიშვნელოვანი იყო და დროზე ნათქვამი, რომ საქართველოშიც მზადდებოდა ამ დროს გლეხთა განთავისუფლება ორის წლისწინათ რუსეთში მომხდარი.

ახალი სიტყვა ძველებს არ მოეწონათ.

და ასტყდა ძველსა და ახალს შორის კამათი, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ გამოიწვია ილიასი და გრიგოლ ორბელიანის ცნობილი პოლემიკა.

ძველ თაობას არ მოსწონდა არც ილიას ჟურნალი და არც ილიას სიტყვები ამ დროის თავად-აზნაურთა ყრილობაზე. როგორც ქრისტეფორე მამაცოვი *) მოწმობს ერთს კრებაზე, საცა ილია ამტკიცებდა, რომ — გლეხი მიწიანად უნდა განვითავისუფლოთო, ვილაც თავადი იმას ხანჯლით თურმე მივარდა ისე, როგორც გაბრიელ ებისკოპოსს, დაუპირა მოკვლა ვილაც კანდელაკმე ქუთაისში იმავე მიზეზის გამო.

„საქართველოს მოამბე“ რომ გამოვიდა, ბატონიშვილს ერეკლეს წაეკითხა ჟურნალი და ეთქვა თავისიანებში: დემოკრატიული ჟურნალი არისო.

სასახლის კაცს, გიგო სუმბათოვს, ამისთვის ყური მოეკრა, დაეხსოვებია და როცა შემთხვევამ ნება მისცა, ეთქვა ილიასთვის:

— ილიავ, წავეკითხე შენი ჟურნალი და უნდა გითხრა დემოკრატიჩესკი არის.

— როგორ თუ დემოკრატიჩესკი?

— ისე დემოკრატიჩესკი.

— მაშ რა გინდა იყოს?

*) სამხედრო პირი, მახლობელი ნათესავი კონსტ. მამაცაშვილისა.



— არისტოკრატიჩესკი.
 — ეს თუნდ ბატონიშვილს ერეკლეს ეთქმის, მაგრამ შენ როდ ჩემო?
 — ვითომ და რათაო?
 — აბა რა ვაქვს შენ არისტოკრატიჩესკი, აი თუ გინდა თავი (დიდი
 შნოს პატრონი არ იყო).

— თავი კი განზე იყოს, მაგრამ შენი ჟურნალი კი მაინც დემოკრატი-
 ჩესკი არის, განუმეორა სუმბათოვმა.

„საქართველოს მოამბემ“ შემოთქმული მიზეზების გამო დიდხანს ვერ
 იცოცხლა. საშეალება რომ შემოაკლდა, ილიამ „საქართველოს მოამბის“
 გამოცემას თავი ანება. მარცხენა გზით სიარულისაგან რომ არაფერი გამო-
 ვიდა, ილია მარჯვენისაკენ გაემართა.

„ლიბერალობა ოქროს ჯაჭვზე გასცვალა“.



1864 წლის დამლევს ილია ვაგზავენს იმერეთს ქუთაისის გენერალ-
 გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ, რომელმაც დაავალა
 მას გამოერკვია რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა
 შორის, ბატონ-ყმობისაგან წარმომდგარი.

როცა ბატონ-ყმობა მოისპო და საგლეხო დაწესებულებები დამკვიდრ-
 და თბილისის გუბერნიაში (4 ნოემბერი 1864 წ.), ილია დანიშნეს მომრი-
 გებელ შუამავლად დუშეთის მაზრაში.

ამაზე უკეთესს ადგილს ილიასთვის კაცი ვერც კი წარმოიდგენდა. მო-
 შრიგებელი შუამავალი, კანონმდებლის აზრით, გლეხ-კაცის მამაა, მისი
 „მფარველი ანგელოზი“ როგორც ამბობდნენ იმ დროებში, როცა თანამ-
 დებობა არსდებოდა. კანონი იმას სდებს იაროს სოფელ-სოფელ და ად-
 გილზე გააჩიოს ნაბატონეეთა და გლეხთა შორის მომხდარი ცილობა.
 ისარის ომლის პატრონი, სოფლის მართვა-გამგეობის მეთვალყურე, მას-
 წავლბელი და მოძღვარი გლეხკაცობისა. ილიაც სწორედ საამისოდ იყო
 დაგეზილი და შერე ის დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად არა სადმე
 სომხეთში, როგორც დღეს არის მაგალითად, გადავარდნილი, ილია ჟყო-
 ნია*), დუტუ-მეგრელი, არამედ თავისიანებში, არაგვის პირად, მცხე-
 თიდან ორ ნაბიჯზე, მთიულეთს ახლო, მყინვარის კალთებზე, სადაც ის
 პოვნოდა ყოველგვარ მასალას, როგორც მგოსანი, ენის მოყვარე, მამულის
 ერთგული; მარტო მთიულეთი და მისი პოეზია რად ღირდა მგოსნისთვის
 და ილიას მისი ადგილი არა სხვა სახელმწიფო სამსახურზე არ უნდა ვაე-
 ცვალა, მაგრამ არ ვიცი რა იყო მიზეზი, როცა ჩვენში შემოვიდა სასამარ-
 თლოს რეფორმა (1868), ილიამ შუამავლობას თავი დაანება და ის და-
 ნიშნული იქნა დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ.

*) საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი.

მომრიგებელ შუამავლად ყოფნის დროის ამბავი მე არა ვამიგონია რა ილიასაგან. მხოლოდ, ერთხელ, როცა ჩინოვნიკების ქუჩაში სტრუდაზე ჩამოვარდა სადღაც ლაპარაკი, ილიამ მთიულეების გულსტრუსტორების ნიმუშად ვვიამბო, თქვენთან პატივი, ბატონებო, შემდეგი:

პოსრედნიკად რომ ვიყავი ერთხელ ანაზღვეულად მთიულეთს მომიხდა მისვლა, საცა კვირა დღეს ზალხი მოგროვილიყო ერთს სოფლის სასამართლოში. რაღაც საქმის გამო მე მამასახლისს ვუბრძანე დაებარებია ერთი გლეხი, რომელიც შორი-ახლო იდგა იქიდან. მამასახლისმა ბრძანება გზირს გადასცა. გზირი იქვე მიდგა განზე, და რაც ძალი და ღონე გააჩნდა, ზმა-მალა დაუძახა დაბარებულს. დაბარებულმა დაბლიდამ იყო თუ მალ-ლიდამ ზმა მისცა გზირს და მათ შორის გაიმართა ამ გვარი მიძახილ-მოძახილი:

— ვიბარებენ ჩქარა.

— ვინ მიბარებს?

— ჩინოვნიკი.

ვინ ჩინოვნიკი!

— აი ქუღზე რომ ქათმის... რაღაცა აქვს ის ვიბარებს.

ამის გამგონე ილია იტყოდა, ვითომ და ნაპოლეონის გენერალმა ვაეტრლოოს მინდვრიდამ სიტყვა რომ შეუთვალა ინგლისელებს რით იყო ამ სიტყვაზე უფრო ვემრიელიო? *).

მომრიგებელ მოსამართლედ ყოფნის დროიდან მოგონება უფრო საინტერესოა.

თვითონ ილიამ ვვიამბო:

მოსამართლედ რომ ვიყავი ერთი გლეხი მიწას ედავებოდა ყაზიბეგს. — ბატონო, მიწა ჩემია, თეიმურაზ მეფის დროსა მაქვს ნაყიდი, მოწაშეცა მყავს და ახლა ყაზიბეგი მართმევს, მიშველე დამიფარეო, შემომჩიელა გლეხმა.

მე დაეიბარე გლეხისაგან ნახსენები მოწამე.

— შენ მოწამე ხარ, რომ ესა და ეს მიწა ამ გლეხსა აქვს ნაყიდი — თეიმურაზ მეფის დროს?

— დიახ, შენი ჭირიმე, მოწამე ვარ, თუნდ დამაფიცეთ, ფრჩხილის საკვეთი ამილია.

თურმე ძველი ჩვეულება ყოფილა, როცა მიწას იყიდდა ვინმე, დამსწრე მოწამეს ფრჩხილს მოსჭრიდნენ — ამისთვის გასამრჯელოს აძლევდნენ იმას — და ეს მოწამე ვალდებული იყო უფროსი შვილისთვის — ეაზბნა ამ ნასყიდობის ამბავი. შვილი შვილიშვილს გადასცემდა და ამგვარად ნასყიდობის ისტორია გადადიოდა მოდგმიდან მოდგმაზე. თუ ვისმეს

*) აეტროს ეს სტრიქონები გამოყოფილი აქვს ასეთი მინაწერით: „უწამაწა და არ წამიკითხავსო“. ს. 6.

შეილი არ ეყოლებოდა იმათთვის უნდა ეამბნა ვინც გვარში უფროსი იქნებოდა.

ილიას ეს ჩვეულება მეტად არ გაეგონა, ძლიერ შეეწინააღმდეგებოდა და მოწმის ჩვენების თანახმად სადაო მიწა გლეხს მიუსაჯა.

ყაზიბეგმა აპელაცია გადაიტანა, საცა სწერდა: მომრიგებელ მოსამართლემ მკვდრები ააყენა მიწილამ და ჩვენება ჩამოართვაო, Мертвых допрашивает-ო.

ამაზე ილია იტყოდა: ბაბილონში აგურზე იპოვეს წარწერა ესადა ეს მამული ნასყიდია და ამ ნასყიდობის მოწმეა ესა და ეს, რომლის ფრჩხილი ამ აგურში არისო. გატეხეს აგური და შიგ ფრჩხილი ნახესო.

მეორე მოგონება მოსამართლისაგან განაგონი: ერთჯელ ილიამ ერთი ძმის მაგიერ მეორე გაასამართლა და საპატიმროში დასვა.

ვილაც ზაქარიას ბრალდებოდა ხეების მოპარვა. საქმის გარჩევის დროს მოსამართლემ ბრალდებულის გვარი მოიკითხა.

— მე გახლავარ ბატონო, წამოიძახა გლეხმა.

— შენ წაილე ხეები?

— დიახ, ბატონო წავილე.

რაკი დანაშაული ექვს გარეშე იყო, იქვე განჩინება დაესწერე და ბრალდებული საპატიმროში გავგზავნე. ჯერ კიდევ საპატიმროში ყოფნა არ გაეთავებინა დასჯილს, რომ ჩემთან მოვიდა მისი ძმა.

— შენ ვინა ხარ?

— ესა და ეს ზაქარია გახლავართ ბატონო.

— როგორ ზაქარია, ის ხომ ციხეში არის?

— არა შენი კირიმე, ციხეში ჩემი ძმა გავგზავნე. მე საქმეები მჭონდა ქალაქში და არ მეცალაო, უპასუხა გლეხ-კაცმა.

მომრიგებელ მოსამართლედ ილია დარჩა 6 თუ 7 წელი.

•••

1874-წელს ილიამ სულ დაანება თავი სახელმწიფო სამსახურს და შეუდგა თბილისის საადგილ-მამულო ბანკის საქმეს. ამ წელს თბილისის თავადაზნაურთა კრებამ ის აირჩია კომისიის წევრად, რომელსაც დაევალა ბანკის წესდების შედგენა და როცა ეს წესდება თავადაზნაურობამ მოიწონა, ილია მათსავე მინდობილობით გაემგზავრა პეტერბურგს და იქ მისი მეცადინეობით ეს წესდება დამტკიცდა. შემდეგ 1875-წელში ამ წესდების თანახმად თბილისში გაიხსნა საადგილ-მამულო ბანკი და ილია არჩეულ იქნა ამ ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ.

ამის შემდეგ ილიას გაეხსნა ფართე ასპარეზი მოღვაწეობისა საქართველოს საქმეთა სასარგებლოდ, ამ დღილამ მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში თბილისში ქართული საზოგადო. საქმე ისეთი არა დაწყებულა რა, საცა ილია თავკაცად არ ყოფილიყოს, თავ-მრჩეველად, საქმის გა-

დამწყვეტად. ვიდრე დიმიტრი ყიფიანი ცოცხალი იყო, ვიდრე გაბრიელ-ეპისკოპოსი მეტყველებდა, ვიდრე გრიგოლ ორბელიანი¹ ზემოაღნიშნულ დაყუ-
რებდა ახალთა თაობათა, ილია ქაეჭავაძეზე მალლა კიდევ თუ იხსენებოდა
სხვისი სახელი, მაგრამ მას შემდეგ რა კი ესენი მიიცვალნენ ილია დარ-
ჩა პირველ კაცად საქართველოში.

ამას იქით ილია არის: ილია ბანკირი, ილია რედაქტორი, ილია წერა-
კითხვის საზოგადოების თავმჯდომარე, ილია დრამატული საზოგადოების
თავმჯდომარე, ილია სათავადაზნაურო შკოლების გამგეობის წევრი, თავ-
მჯდომარის ამხანაგი, ილია მწერალი, ილია მოლექსე, ილია წარმომად-
გებელი ქართულის მწერლობისა, მასპინძელი უცხოელთა სტუმარ-მწე-
რალთა და სხვადასხვა.

მე აქ ილიას ცხოვრებას არა ვწერ, ილიას ცხოვრების მასალას ვა-
ჭუჭნებ, რომელიც ან თითონ ილიასაგან გამიგონია, ან მისთა თანამედრო-
ვეთაგან მსმენია, ან მე თითონ ჩემის თვალით მინახავს და ამიტომ ჩემს
ნანახს და განაგონს ილიას ცხოვრებიდან მე აქ მხოლოდ დაახლოვებით
ქრონოლოგიურად, მაგრამ მაინც უსისტემოდ ვსწერ. მე ხომ მეწერილმანე
ვარ ქართულის მწერლობისა და ჩემგან შეკრებილი წერილმანებით მე
თქვენ ილიას სურათი ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ნათლად დაგანახეთ,
მე ჩემს ვალს ქართულს მწერლობაში მოხდილად მივიჩნევ.



მე გავიცანი ილია პირველად 1879-წელში.

ამ წლიდან დაწყებული დღემდე მისის სიკვდილისა მე ილიას კე-
თილგანწყობილებას არ მოვკლებივარ. პირველს ოთხ-ხუთ წელში, რო-
დესაც თბილისში ვცხოვრობდი, მე მასთან უფრო ხშირი მისვლა-მოსვლა
მქონდა ჯერ როგორც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრს
და საქმის მწარმოებელს და შემდეგ როგორც გაზეთების თანამშრომელს.

სამწუხაროდ, იმ დროებიდან ჩემს სამახსოვრო წიგნში თითქმის —
არაფერი არ ჩამიწერია ილიას ცხოვრებიდან. მაშინ ჯერ არ მქონდა გან-
ზრახული შემედგინა ჩვენი მწერლების ცხოვრების აღწერა და ბევრი რამ
ილიას ცხოვრებიდან, რასაც დღეს შეეძლო მისი ბიოგრაფიის გახალისე-
ბა მე მიმავიწყდა. მხოლოდ შემდეგში, როცა მე მიეყავი ხელი ორბე-
ლიანის, ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის და სხვათა ცხოვრების აღ-
წერას, მე ყოველს შეყრაზე ილიას ვუყურებდი და ვუსმენდი, როგორც
მსხვერპლს „მუშტრის თვალით“ და როცა იმისგან მოვდიოდი შინ მის
ნალაპარაკებს ვწერდი ჩემს სამახსოვრო წიგნში.

სულ ყველაფერი რასაც აქ მოვახსენებ მსმენელს, ან არის ამოღებუ-
ლი ჩემის სამახსოვრო წიგნიდან, ან თითონ საკუთარის ჩემის მეხსიერები-
დან, და არაფერი არ ურევია აქ, რაც სხვის კალამს ეკუთვნოდეს სხვისი
ნაწერებიდან იყოს ამოღებული.

დიმიტრი ყიფიანმა მოსწერა იძას ერთხელ ქვეშეაიღებამ სამღერავი, რას უგვიანებ წერა-კითხვის საქმეებსო. სხვა რომ ვერა მოახერხა/რა თავის გასამართლებელი, ილიამ პასუხად მისწერა მსჯოვამს/მატნამოტს, არაფერია, ყველაფერს მოვასწრებთო, — რუსთველმა სთქვენო: *Можно же*

„თქმულა, სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“.

მეორე მაგალითი: 1890-წელში, როცა ქალაქმა ბათუმმა ითხოვა, თბილისის სააზნაურო ბანკს ნება მისცემოდა მიეღო გირაოდ ბათუმის შამულები ფინანსთა მინისტრი ქალაქს ჩამოვიდა, მაგრამ ილია არ წარსდგა მასთან და არ წარუდგინა ამ საგანზე მოხსენება. როცა ამის გამო საქმის გარდაწყვეტა დაგვიანდა და ილიას უსაყვედურეს რატომ მინისტრი არ ნახეო, პასუხად სთქვა: „ვერც ჩემი მისვლა დააჩქარებდა საქმეს და ვერც ჩემი — მიუსვლელობა დააბრკოლებდაო“.

•••

მაგრამ ილია, როგორც ეს შეეფერება პოეტს, ხშირად და ადვილად მოდის ალტაცებაში და ეძლევა პათოსს ხანდახან სულ უბრალო მიზეზების გამო.

— ვაა... ვერ წარმოიდგენ... მითხრა ერთხელ იმან რალაც შემთხვევის გამო, ბრაზილიის იმპერატორმა ღონ-პედრომ შეუთვალა ვიქტორ-ჰიუგოს (აქ მგოსანი წამოდგა ზეზე და გამოიჭიმა მთელის მისის სიმაღლით) შენი ნახვა და გაცნობა მწადიანო. ამის პასუხად ჰიუგომ შეუთვალა მეფეს: მე სადარბაზოდ არავისთან არ დავედივარო. მაშინ იმპერატორმა და მისმა ტახტის მემკვიდრემ თითონ ინახულეს დიდი მგოსანი. ვიზიტის დროს, როცა მასპინძელმა სიტყვაზე „თქვენო უდიდებულესებო“ უთხრა მეფეს, მეფემ სიტყვა შეაწყვეტინა მგოსანს და უთხრა თავის მემკვიდრეს: — *Сын мой, помни, здесь нет другого величества кроме Виктора Гюго...* ეს სიტყვები ილიამ დიდის ამბის ყოფით წარმოსთქვა, ეტყობოდა სიხარული, რომ ქვეყნის მბრძანებელი ასეთგვარად ემორჩილებოდა სიტყვისა და ლექსთა მეფეს, როგორც იყო ჰიუგო.

•••

ლაპარაკში ილია უძლეველი იყო. მის დიალექტიკას, მის მოსწრებულ სიტყვებს, მის მდიდარს ლექსიკონს ჩვენს ქართველობაში წინ ვერავინ უდგებოდა. ვის არ ახსოვს მისი სიტყვები საადგილმამულო ბანკის წვერთა საზოგადო კრებებზე წინააღმდეგ ძმათა მაჩაბელთა, ბევრნი გრძნობდენ, რომ სიშართლე ვანო მაჩაბლისაკენ იყო, მაგრამ ილიამ გაჰკეცა ის თავის დიალექტიკით და მოსწრებული სიტყვებით.

აი ერთი მაგალითი ილიას უძლეველობისა ლაპარაკში. „ვის-რამიანის“ ბეჭდვა რომ იწყებოდა, უკანასკნელი რედაქციის დადგენა და ვარიანტების ერთიერთიდანეთთან შეთანხმება მიწინდევს ილია ჰაეკავაძეს, პეტრე 16. „შნაობი“ № 5—6.

უშიკაშვილს და ალ. სარაჯიშვილს. ერთს უძველეს ვარიანტში იმით დაინახეს, რომ უ-ს ბრჯგუ არ აქვს. ილიას მეტი რა უნდოდა, ჩვეულებრივის ალტაცებით იმან დაიჯინა უ უბრჯგუოდ დაებეჭდათ. უშიკაშვილი თითონ თაყვანისმცემელი იყო ყოველგვარის არქაულის ფორმისა, მაგრამ ასე გასინჯეთ იმასაც კი შეეშინდა ამგვარის გარდაწყვეტილებისა. რადგანაც კორექტორი ის იყო, ეშინოდა ბრჯგუს განდევნა იმისთვის არ დაეწამებიათ, იმან დასწერა ამ საგანზე დადგენილი გადაწყვეტილება და ხელი მოაწერინა ილიასა და სარაჯიშვილს. მერე წიგნი დაიბეჭდა.

მაგრამ შენი მტერი, ის რომ დაიბეჭდა, თქვენ თითონ გადაშალეთ წიგნი და დაინახეთ შიგ რაები სწერია. წარმოიდგინეთ რა სიტყვები გამოვიდოდა თუ ბრჯგუ არ ექნებოდა უ-ნით დაწერილ სიტყვებს: ჩვენ, — ჩუნ; მოსვენება — მოსუენება; გამოკება — გამო...

ილია, ეს რა გიქნიათ, როგორ დაგიბეჭდიათ — ჰკითხეს პოეტს.

— წარმოიდგინეთ: მე რომ რუსეთში ვიყავი პეტრეს გაუკეთებია. პეტრე, ეს რასა ჰგავს, როგორ დაგიბეჭდნია?

— მე ისე დაებეჭდე, როგორც შენ გადასწყვიტე.

— თავის დღეში მე ამგვარი დაბეჭდა არ მიფიქრია.

გიფიქრია კი არა, გითქვამს კიდევ და ხელიც მოგიწერია, უთხრა გავჯავრებით პეტრემ და გაიხსნა პეტრემ უბის ჯიბე. ამოიღო მანდედამ ხელმოწერილი ბარათი და თვალწინ დაუდგა.

— თავის დღეში მე ეს არ მითქვამს, მე სხვა რიგად დაწერილი შეგონა, უთხრა მაინც ილიამ და იმდენი ილაპარაკა, სანამ საწყალი პეტრე დამნაშავედ არ გამოიყვანა.



ილია ხელმოწერილი კაცი იყო, სულ იმას სჩიოდა მეტი აღარა ვართ ამ საქველმოქმედო საღამოებისგანო, საცაა ჩვენდა სასარგებლოდაც უნდა გავმართოთ წარმოდგენაო და სხვ. ამგვარები. უცნობი ქალი ან კაცი რომ მოვიდოდა მასთან იმას სულ იმის ეშინოდა ვაი თუ ფული მთხოვოსო. ერთხელ საადგილ-მამულო ბანკში მასთან მოვიდა პლატონ იოსელიანის ცოლისაგან მოგზავნილი ქალი. ილიას ეგონა მთხოვნელი არისო და მილების უარზე დადგა, მაგრამ მოგზავნილში შემოუთვალა: პლატონ იოსელიანისგან დარჩენილი ნაწერი მომაქვს თქვენს ჟურნალში დასაბეჭდათო და პოეტს გადასცა — „მეფე გიორგის ცხოვრება“, იოსელიანისაგან შედგენილი, შემდეგში „ივერიის“ ნომრებში დაბეჭდილი *).

მაგრამ ამ ხელმოწერილ კაცს სულ არაფრად მიაჩნდა ასობით და ათასობით ფულის წაგება ბანქოს თამაშში.

*) ვანო მაჩაბლისგან ვანაგონი.

ოთხმოციან წლების დამდეგს ილია თითქმის ყოველ საღამოს/თამაშობდა. ჩვეულებრივი მისი პარტნიორები იყვნენ: ვიოლეტა, მარტინი (*), (დიმიტრიჩი), კონსტანტინე რეიტერი, **) კოლა ერისთავი, ალექსანდრე შვილი. კრუეოკში ან კლუბში ის ხშირი სტუმარი არ იყო. იქ თუ წავიდოდა ის მხოლოდ ზაფხულობით. მე ხშირად გამოვსულვარ დილა ადრინად ალექსანდრეს ბაღში და შევეყრთივარ ილიას კუკიიდან მომავალს შემდეგ მთელის ღამის თამაშში გატარებისა.

განსვენებული ილია ხონელისაგან გამოვივონია: ილიამ მთელი ღამე თურმე ითამაშა საღლაკ კლუბში და ათას-ხუთასი მანეთი წააგო. შინ რომ დაბრუნდა და ეტლის გასასტუმრებლად ქისა ამოიღო. შიგ ნაშალი ვერ იპოვა, ერთი თუმნიანი-ლა შერჩენოდა იმას გაუტეხელი.

— ეჰ, საცა სხვა წავიდა ესეც წავიდესო, გაივლო მგოსანმა გულში და გაუწვდინა ქუჩერს თუმნიანი.

— აჰა წაიღე, უთხრა პოეტმა.

— ბატონო აქ ერთი თუმნიანია.

— არაფერია, წაიღე განუმეორა მან.

— გეტყობა, კნიაზო, წუხელის მოგივიათ, ღმერთმა ყოველთვის ასე მოგაგებიოსო, დაუმაღლა სულგრძელ მგოსანს თვალგაპრიალებულმა ქუჩერმა.



ახლა უნდა გადავიდე ილიას რედაქტორობაზე და ვაზეთზე, მაგრამ ვერ მოისმინეთ ეს რამდენიმე ნაწყვეტიც ჩემის დღიურიდან à bâton rompu.

ვაზეთის, „ივერიის“ გამოცემას რომ მოკიდა ხელი ილიამ, ის დიდს ფაცა-ფუტსში იყო. მე იმ დროს პეტერბურგში ვიყავი დროებით და — რადგანაც ვაზეთში თანამშრომლობა მჭონდა აღთქმული (სხვათაშორის ვაზეთში უნდა დაწყებულიყო ჩემგან შეკრებილი ისტორიული და სამწერლო ნაკვეთების ბეჭდვა, რომელზედაც ფსევდონიმად ლელო ეწერათ. თითონ სათაური „ნაკვეთი“ ილიასაგან არის გამოვონილი, მაგრამ ფსევდონიმი არ მოსწონდა) 20-დეკ. 1885-წელს ილია მწერდა თბილისიდან:

„დაგვანებე, ჩემო იონავ თავი და დაგვაობლე ამისთანა გაქირვების დღეს... მაგრამ რა ვაუწყობა?, თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მანც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩიარკედელაობთ 1-ს იანერისთვის. ვნახოთ ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალსო. გოგზაფნი გამოცხადებულს და ყველგან ვაგზაფნილს უწყებას ჩვენის ახალის ვაზეთის გამოცემის თაობაზედ. ზოგიერთმა ჩვენგან ახლად შემო-

*) აფხაზეთის მთავრის მემკვიდრე. მწერალი, დრამატურგი.

**) რუსი მოხელე.

ლებულმა სიტყვებმა და ტერმინებმა მოწონების და დაწუნების დალადი მოპოვინეს ჩვენს სალიტერატურო არე-მარეს. ჩვენ ვნუგეშობოდ ვამბობთ: Значит, свет пал на металл. უარააობას კარტეგ²ქსას³ყურბია. ახ, ნეტავი ეხლა ჩვენთან იყო. ყინვამ მაგ უმადურ და უსიხარულო ქვეყნი-სამ გული არ გაგიყინოს და არ დაგვლუპოს შენდამი მსასობელნი.

შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევ-დონიმი: 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ თუმცა გრძელია, მაგრამ შენზედ ზედ გამოჰკრილია;

2). „აბედი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა როგორც აბედს და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერე-თელს საბუთს მისცემს ქართული აბედი რუსულ ინტ-ად გადააქციოს; მაინც შენ სხვის სადილებს მაძებარს გეძახოდა და დაგვცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრამით მაცნობე.

ნიკოლაძესა სთხოვე და შეეხვეწე ჩემ მაგიერ ჩვენს გაზეთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტევეს ამ ეშამად, რომ საკუთარს წერილს არა ესწერ. ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის გამო გაგვიწბილდეს და გუ-ლიდან ამოიღოს ჩვენი გაზეთი, წერილმანმა წერილმანს მოუკიდოს ცეც-ხლი.

კაკო, რატომ არა გვწერ, — ეგ ჩვენი მუხრან-ბატონი რას სჩადის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეები. შენგან მიკვირს და მეოცება. ღმერთსა ვთხოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემთხვას შენგან და არც მეორე. ასე, ჩემო იონავ, იყავ მშვიდობით და დღევგრძელობით და არ დაივიწყო, რომ შენ ერთად ერთი მეგობარი გყავს და ის ერთად ერთი — შენი ილია ჭავჭავაძე.“

„ივერიის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1 იანვარს 1886-წ.

„ივერიის“ რედაქცია ამ დროს ანდრიას ქუჩაზე იყო მოთავსებული პო-ეტის დის ლიზა საგინოვის სახლში. დაბლა იყო გამართული გაზეთის სტამბა, მაღლა იყო რედაქცია და იდგა თვით რედაქტორი.

რომ ახვიდოდით მეორე სართულზე მარცხენა კარებს შეყავდით თქვენ გაზეთის რედაქციაში და მარჯვენას ილიას სადგომში. სადგომის ყურეში, შესვლისთანავე, მარცხნივ იყო რედაქტორის კაბინეტი — პატარა ტანის ოთახი — სწორედ ისე იყო მოწყობილი როგორც ესმეფერებოდა მის პატრონს — პოეტს და მამულის მოყვარე რედაქტორს.

შეხვიდოდით თუ არა კაბინეტში, ყველაზე უწინ თქვენს ყურადღე-ბას იქცევდა ფერადის სურათებით აჭრელებული ჭერი ოთახისა. ჭერის ოთხ კუთხეზე იყო დახატული ფართე მედალიონები მეფის ლუარსაბისა დიმიტრი თავდადებულის, გიორგის თამარის მამისა და დავით აღმაშე-ნებლისა, შუაში იდგა წმინდა ნინოსი.

კედლებზე ეკიდა: მეფე ერეკლე, გორგასლანი.

კედლებზედვე: სოფლის გლეხკაცი და ყასაბი გაბავერსა, მეოცლოის გრავიურა, მიფოლოგიური სურათები.

კაბინეტი საესე იყო შკაფებით, სტოლებით, წიგნებით, ქაღალდებით. რომ მიიხედ-მოიხედავდით, დაინახავდით: ერთგან შექსაირის ბიუსტს, სხვაგან გიოტესას, კიდევ სხვაგან რუსთველისას, გარიბალდისას.

იქა-აქ კედლებზე: კაკაბს და ხოხობს.

და რადგანაც ნამდვილს ქართველს ძველთაგან ანდერძად უწერია, თქვენ ამ კაბინეტში ნახავდით რვა ყანწს, ერთს მეორეზე უდიდესს.

მთავარი სტოლი კაბინეტში საესეა რაგინდარათი: წიგნებით, გაზეთებით, სამწერლო იარაღებით, სულ ყველაფერი ამ დიდ სტოლზე არეულ დარეულია, რომ აქაც გამართლებულიყო ნათქვამი პოეტურს დაუდევნელობაზე. აი აგერ დიდი ამომშრალი საწერელი, რომელშიაც ვილაცას მეორე მომცრო ტანის საწერელი ჩაუდგამს, აი შველის ქანდაკება, რომელსაც რქაზე პოეტის ჩაჩი აქვს წამოცმული. აი გადაშლილი წიგნი, პაპიროსის ნამწვრით შუა ვულში, აი გლობუსი, საანგარიშო ჩოთქი, სათვალე, გაზეთის ორიგინალები. ვეებერთელა წითელი კარანდაში...

თუ საღამოა ამ სტოლთან თითონ რედაქტორი ზის და აქ ამ ვიწრო ქარხანაში მზადდება დღეს ის აზრი, რომელიც ხვალ შეიძლება სახელმძღვანელოდ გახდეს ყველა ქართველებისათვის ბაჭოდამ დაწყებული სოხუმამდის და კავკასიის გარეთაც.

როგორც გაზეთის თავი — მესვეური ილია დიდად ნაყოფიერი იყო. ის ბევრსა სწერდა და გრძლად სწერდა. გრძლად წერა, სამწუხაროდ, მისი ნაკლულეგანება იყო.

გაზეთი წიგნი არ არის, რომ კაცი დაუჯდეს იმას და იკითხოს. გაზეთის სტატია თუ ჟურნალის სტატიად გახადა კაცმა რაც უნდა კარგად იყო ის დაწერილი, თვისს ღირსებას კარგავს.

გაზეთი თქვენ ბულვარზე სადმე იყიდეთ, გზა-გზა მიმავლად იმას თვალი გადაავლეთ ან მიჯექით სადმე, რომ ზელტერის წყლით სიციხი-დამ სული მოიბრუნეთ და უფრო მეტი ხანი მოანდომეთ იმას, რომ წაიკითხოთ ტელეგრამები, ახალი ამბები, მცირე შენიშვნები და ბოლოს თუნდ მეთაური წერილიც თუ ის მოკლედ არის დაწერილი. მაგრამ თუ ეს წერილი გრძელია არა ადვილად საკითხი, გაყოლებით დაწერილი, წინასიტყვაობით. სხვადასხვა წინადადებით ერთმანეთში აცმულ გადაბმული, რომელსაც აქრელებენ: „როგორცა ვთქვი“, „რომელიც რომ“ და სხვა ამგვარები თქვენ იმას ვერ წაიკითხავთ.

და თუ წაიკითხავთ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ბევრი ღრო გქონიათ.

უმეტესობა კი ათის მკითხველიდამ ცხრა, ამ სტატიას არ წაიკითხავს.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის თუ შაირზე მარტო სიტყვა იქნება. იმიტომ ალბათ რომ მეთორმეტე საუკუნეში არც გაზეფუტურუეტუფუტუ არც მოწინავე სტატიები.

მე ხელთ არა მაქვს ილიას ვაზეთის „ივერიის“ კოლექცია და მაგალითს აქ ვერ მოვიყვან, მაგრამ ისე მახსოვს, რომ იშვიათია ილიას მოწინავეს არ ეკიროს ვაზეთში ორი-სამი სვეტი, ხან ოთხი, ხუთი, ექვსი.

ვაზეთს ქვეყანა კითხულობს და ქვეყანას ამ გაუთავებელის სტატიებისათვის არა სცალია:

ფრანკულუბი იტყვიან: quand vous voulez dire: il pleut, dites il pleut. ეს ქართულად ასე ითარგმნება: თუ გინდათ სიტყვით, რომ წვიმს, სიტყვით წვიმს. და ნუ მოყვებით ათადამ-ბაბადამ, ნუ დაიწყებთ ცილამ, ღრუბლიდამ, ჰაერიდამ, სიტყვით მოკლედ: წვიმს.

ისევე ითქმის საზოგადოდ იმ გვარ მეთაურ წერილებზე, რომელსაც ეკუთვნოდა ილიას წერილები. ეს წერილები მოკლედ და პირდაპირ ვერ ეტუნებოდენ მკითხველს იმას, რისი თქმაც მის დამწერს უნდოდა და რაც როგორც პოეტს მას შეეძლო.

მეშინია მეტის თქმა არ გამოვივიდეს, მაგრამ არ შემოძლია შემთხვევით ზრ ვისარგებლო და ამ გრძელ მოწინავეებზე ორი-სამი სიტყვა კიდევ არა ვსტყვა. ყოველი ვაზეთის ნომერი, რომელშიაც გრძელი მოწინავე წერილია დაბეჭდილი წვალებაა ჩემთვის.

ერთი დიდი საფრანგეთის ფილოსოფოსი, ოგიუსტ კონტი ამბობს: მწერალს არ უნდა ჰქონდეს უფლება ათამაშოს მკითხველი თავის სურვილისამებრ, სწეროს როგორც იმის უნდა. ყველაფერი კანონს და ზომას უნდა ემორჩილებოდეს, უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ყოველს ფრაზაში ქვემდებარე იყოს, შესმენილი, დამატებითი სიტყვა და კიდევ არ მახსოვს რა და შემდეგ ფრაზა თავდებოდეს, მძიმე დაესმოდეს. როცა მე უხედავ ოთხი-ხუთი სვეტიან მოწინავე წერილებს ვაზეთში, მეც ის ცხოვრებაში განუხორციელებელი ფიჭვი მომდის, როგორც კონტს, რომ შეიძლებოდეს ამ გრძელი მოწინავეების შემოკლება თუნდ ისეთ გვარად როგორმე, როგორც მაგალითად სახელმწიფო სათათბიროში ამოკლებენ ორატორის სიტყვებს ხუთი წამის ლაპარაკის შემოღებით.

ჩემი იდეალი ვაზეთის მოწინავე წერილების მწერლისა არის საფრანგეთის ფურნალისტი ჟირარდენი. აი როგორ ახასიათებს ჟირარდენის წერას საფრანგეთისავე მწერალი დანკური:

„ის (ჟირარდენი) იწყებს რამე საგანზე ლაპარაკს, წამოაყენებს წინ ერთს აზრს, ტეზისს. მოუსვამს კალამს და ორ სტრიქონში — საქმის ექსპოზიციკა მხად არის. ორი-სამი სტრიქონი და ჟირარდენი შუაგულ კითხვამდის არის მიწეწილი. ამის შემდეგ ის გადადის დასკვნაზე, ის წინდაწინ ხედავს თუ თქვენ მასთან არა ხართ თანახმა და თქვენსკენ მოიწევა. თქვენ შეიძლება ამაზე ესა და ეს მითხრათ; ახ, რა გვარად მებრალებით

და ის მტვრად ატყვევს თქვენს ნათქვამს ან დაინახებებს სხვებს რომ ჩქვენი ნათქვამი მტვრად ატყია და გასწევს და გასწევს. კიდევ ორი სტრიქონი. გათავდა? არა იმას კიდევ აქვს სათქმელი უკანასკნელი სიტყვა: „მეწივე უნდა ვაისროლოს უკანასკნელი ისარი. ახლა მაინც გათავდა?“ არა. ერთი სტრიქონი კიდევ და ამ სტრიქონში სულ ბევრი-ბევრი საში სიტყვა, ხანდახან ორი და ხშირად ერთი. ჰა, და გათავებულ მოწინავეს ხელი მოაწერა.

ამგვარად ილიას არ უწერია.

ილია რედაქტორი თავის ნაწერს სანამ დასაბეჭდად გაგზავნიდეს, უკითხავს თავის თანამშრომლებს და ყოველგვარ რჩევას სიამოვნებით ითვისებს.

ნინო მუხრან-ბატონის *) დასაფლავების გამო მოწინავე წერილი რომ დაბეჭდა ილიამ „ივერიაში“, მეორე დღეს მკითხა.

— წაიკითხე ჩემი წერილი?

— წავეკითხე გუშინღამვე ტიპოგრაფიაში და ძალიან მომეწონა. მხოლოდ რომ გენებებიათ და სამღვთო წერილის სიტყვაც ჩაგეტნევიათ — შიგ შრომის მოყვარე ქალის თაობაზე დაწერილი, წერილი ბევრს მოიგებდა.

— რა სიტყვები?

— ოფლითა შენითა სკამდე პურსა შენსა.

— ოხ, მართლა რომ კარგი იქნებოდა. და რატომ ეს სიტყვები არ მიაწერე რაკი ტიპოგრაფიაში მოხვედრიხარ, მითხრა ნაღვლით რედაქტორმა, ბაზოგადოდ დეკლამაციის მოყვარემ.

სხვის ნაწერებს ის თავაზიანად ეპყრობა, მხოლოდ ენის მხრით კი რედაქტორი უღმობელია, მეტადრე იმერეთილამ გამოგზავნილი კორესპოდენციების და წერილების კითხვის დროს.

ენის მხრით ილია მართლა რომ კანონმდებელია ქართულის ენისა.

ვილაცამ უსაყვედურა ვიქტორ მიუგოს: ეს სიტყვა ფრანგული არ არისო.

— არ არის, მაგრამ იქნებაო, თავმოწონებით უპასუხა დიდმა, საფრანგეთის შგოსანმა.

იგივე ითქმის ილიაზე და ქართულ ენაზე.

სანამ ილიამ არ დაუშალა ჩვენებს, ჩვენში ამბობდენ: უფალი კერესელიძე, უფალი მესხი, ეს უფალი ან იყო ამოღებული სამღვთო წერილიდამ, ან იყო ნათარგმნი რუსული სიტყვიდამ „Господин“. ილიამ სიტყვა: „უფალი მესხი“-ს თქმას „ბატონი მესხი“-ს თქმა არა სჯობიაო? და ეს სიტყვა მას აქეთ დაკანონდა ჩვენში და ამ სიტყვას ისე მაგრად აქვს მოკიდებული ფესვი ჩვენს ენაში, რომ მას ვერ განდევნის ეხლა ჩვენის ენიდამ ვერც „ამხანაგი“ და ვერც „მეგობარი“ ისე, როგორც ვერ განდევ-

*) დავ. დადიანის და, ივანე მუხრანის ბატონის მეუღლე.

ნეს ფრანგულის ენიდამ „monsieur“ ვერც დიდი რევოლუციის citoyen-მა და ვერც კომპუნის Compagnon“-მა *).

მისგან მოგონილი სიტყვებთაგან მახსოვს: სულთმაცემი ველთა ხედვის ისარი.

იმას არ მოსწონს იმერულ წერილებში სიტყვები—„ველებულობა“, „ამნაირად“, საცა ეს სიტყვები მოხედება ილიას მაშინვე შლის და სამაგიეროდ ზემოდამ აწერს, სიტყვებს: „ვილებ“, „ამ გვარად“.

საცა ჩვენ ჩვეულებრივად ვწერთ „მაგრამ“ს ილია ხშირად—„გარნა“ს სწერს.

იმასვე ეკუთვნის, მგონია, ეს „ჰსჩადის“, რომელსაც ეხლამდის ვერ შევთვისებთ, რომელიც არც ერთს ძველს წიგნში სადმე არ წამიკითხავს, არც ხალხში გამიგონია სურამის აქეთ მაინც. გადაღმაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ხალხში „სჩადის“ ითქმოდეს, შეიძლება თქვან ჩადის, სიტყვიდამ ჩასვლა, მაგრამ „ჰსჩადის“ ქალაქში უნდა იყოს გაზვიადებული.

როგორც რედაქტორს, ილიას მუდმივ ერთი აზრი აქვს, გაზეთი არავის პირადობას უმართებულოდ არ შეეხოს. ამ მხრით ის დაშინებულია გაზეთის „დროების“ განურჩევლობით.

სხვისი პირადობის დამცველს თავის გაზეთში, ილიას არ უნდოდა რომ თითონ უმართებულოდ ეხსენებია ვინმე სხვის გაზეთში. როდესაც ნიკო ნიკოლაძემ „Новое обозрение“-ში ერთი წერილი დასწერა მისი პიროვნების შესახებ, ილიამ თავი შეურაცყოფილად მიიჩნია და ორი თვისი ამხანაგები მიუგზავნა სეტუნდანტებად ნიკოლაძეს — კოლა ერისთავი და სოსიკო შალიკოვი **). ამან პასუხად ქვეყნაძეს გაუგზავნა ორი თვისი ამხანაგი დათიკო გურამოვი და ნიკოლოზ სიმბირსკი ***)) და მათ შორის გაიმართა დუელი. მოწინააღმდეგენი დადგნენ ბარიერზე გატენილის ფიშოტობით და ყველაფერი იმ წერტილამდის იყო მიყვანილი, საცა ტყვია უნდა გაეარდნილიყო, მაგრამ ამ დროს სიმბირსკიმ უკანასკნელის შერიგების სიტყვით მიმართა დუელიანტებს და დუელი მორიგებით დამთავრდა.

არ ვიცი ამ ორში ვინ ვის მოსთხოვა ბოდიში, რადგანაც მათი შერიგების პროტოკოლი არ გამოქვეყნებულა. როგორც გამიგონია, ქვეყნაძეს უნდა ეთქვას: მე შეურაცყოფილად მივიჩნიე ჩემი თავი მარტო იმისათვის რომ ნიკოლაძეს თუნდ ერთი წამით შეეძლო ეფიჭრა, რომ რაც „ივერი-აში“ დაიბეჭდა ის ჩემის თანხმობით იყო. ნიკოლაძეს ამაზე უნდა ეთქვას: თუ ეს ასეა, მაშ, რაც მე ჩემს გაზეთში ვთქვი ქვეყნაძის შესახებ უკან მიმაქვსო.

რედაქციასზე და გაზეთზე ლაპარაკს აქ ჩვენ უნდა დავერთოთ აკაკის სიტყვებიც:

* ამ ამბავს დედანში გვერდზე მიწერილი აქვს: „მგონი არ წამიკითხავსო“.

** სამხედრო პირი.

***) რუსი მოხელე.

აკაკი თამარაშენში იყო მჩაბლისას და დაძინების დროს „აგერიას“ კითხულობდა. კითხვის დროს აკაკის მიეძინა და გაზეთს სამთლიდამ ცეცხლი მოედო.

— ფუ, ფუ, ფუო და ერთის ყოფით გააჭრო აღიბრუნდა.

— მადლობა ღმერთს, წყალნარევი გაზეთია, თორემ ვერ დავაჭრობდიო, აამა მგოსანმა ილიას მოწინააღმდეგე ბანკის დირექტორს.

ილიას, როგორც ბანკის, ქართულ მწერლობასთან და ხელოვნებასთან კავშირი არა აქვს და ამიტომ მის მოღვაწეობაზე თბილისის საადგილმამულო ბანკში, მე აქ დიდს არას ვიტყვი. პოეზია და ანგარიში, ქნარი და ჩოთქი, როგორღაც ერთმანეთთან ვერ მიდიან, გარნა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ილია საზოგადო მოღვაწეა და რომ მისმა გონებამ და შრომამ მისგან დაწყებული და წარმართული ბანკი იმ ზომამდის მიიყვანა, რომ დღეს ბანკის დამფუძნებელთ უკვე დაუბრუნდა. უკანვე ძირის თანხა და როგორც ახლა, ამ წასვლაზე თბილისში, შევიტყვე შარშან ბანკს ჭონდა იმდენი შემოსავალი რომ ოთხასი ათასი მანეთის ზარალი დაუფარავთ და კიდევ დარჩენილა წმინდა შემოსავალი ორასი ათასი მანეთი. ილიას ბანკის მოგებით უდგია დღეს სული ყველა, თბილისის თავადაზნაურთა საზოგადო დაწესებულებათ.

ღრო და ადგილი ნებას არ მაძლევს აქ ილიას ნაწერებზე ვილაპარაკო და ამით ვათავებ ამ ჩემს მოგონებას პოეტის ცხოვრებიდან, თუმცა სამხსოვრო წიგნში ჯერ კიდევ არ გამომლევია მასალა ილიას შესახებ.

დასასრულ ორი-სამი სიტყვა ილიას საგურამოში ცხოვრებიდან.

ილია ყოველ ზაფხულს ამოდრიოდა საგურამოს, დასასვენებლად. აქ ჭონდა იმას ერთი პატარა ქვის სახლი, რომელიც გადაყურებდა არაგვის ხეობას. სახლის წინა ბალკონიდან მგოსანს თვალწინ უდგა მშვენიერი — პანორამა კავკასიის მთებისა და ქვემოთ არაგვის ხეობისა.

ილია აქ ისვენებდა ქალაქის საქმეთაგან დამაშვრალი. ყოველ 20-იულისს, მის დღეობაზე აქ მოდიოდა მასთან მოსალოცავად დიდ-ძალი ხალხი ქალაქიდან და ხანდახან იმერეთიდანაც.

აქ, საგურამოში უახლოვდებოდა ილია ხალხის ცხოვრებას და ენას. ყოველს შეყრაზე და გამოლაპარაკებაზე სოფლის ხალხთან ილიას, როგორც ფულტარს, საზრდო გამოქონდა ხალხიდან თავის სიტყვიერებისათვის. დღეს ამა და ამ გლებმა ლაპარაკში ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა სთქვაო, იტყოდა მგოსანი. ერთ ამ გვარ სიტყვად, მხსოვს, იყო სიტყვა პეიტარი. პაზრით გამოდიოდა რომ პეიტარი კაცის წოდება უნდა ყოფილიყო და რომ ჩაეიხედეთ, ლექსიკონში აღმოჩნდა, რომ პეიტარი საქონლის ექიმს რქმევია.

ხალხი იყო ილიასთვის წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმის.

არჩილი

(თხზულებათა კრებულის პირველი ტომის გამოცემის გამო)

I

არჩილმა თავის თხზულებათა კრებულს „არჩილიანი“ უწოდა. ამ წიგნის ერთი ნაწილი შეტანილია ეხლანდელ გამოცემაში. აქამდის — კი არჩილის ლიტერატურული შემეცნიერება არ ყოფილა გამოცემული. მკითხველთა მასა არჩილს იცნობდა მხოლოდ ორიოდვე მეტად ცუდი გამოცემით.

პირველად არჩილის თხზულებათა საისტორიო ნაწილი პლატონ იოსელიანი დაბეჭდა, 1853 წ. და „თეიმურაზიანი“ უწოდა. იგივე ნაწილი და ზოგი ლირიკული ლექსი დამოუკიდებლად გამოსცა ლ. შანიტაძემ 1888 წელს, ხოლო გ. თაყაიშვილმა მოგვცა არჩილის ხელნაწერების ვრცელი მეცნიერული აღწერილობა თავის „Описание рукописей“-ს მეორე ტომში.

არჩილის თხზულებათა ზოგიერთი ნაწყვეტი დაბეჭდა აგრეთვე ანთოლოგიის მეორე წიგნში, ქართული მწერლობის ქრესტომატიკაში და სხვ.

მეტად რთული ფილოლოგიური მუშაობა ჩატარებიათ „არჩილიანის“ ეხლანდელ რედაქტორებს შთ ხელთ ჰქონიათ ჩვენი მუზეუმის სხვადასხვა ფონდის 33 ხელნაწერი, შთ შორის „არჩილიანის“ ერთი ლენინგრადისეული ხელნაწერი (1622).

როდესაც „არჩილიანის“ ხელნაწერზე ელაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ხელნაწერები უნაკლო არ არის: არჩილის ლექსები გაბნეულია სხვა და სხვა ხელნაწერებში, სადაც სხვა ავტორთა ნაწარმოებები მოიპოება. გადაწერებს თავიანთი კვალი დაუწვევიათ ხელნაწერზე. არჩილს უყვარდა უსათაურო ლექსები, რის გამო ხშირად ვერ ხერხდება ერთი ლექსის მეორისაგან გარჩევა.

არჩილი თანამედროვეთა მიერაც იყო დაფასებული. პოეტის ცხოვრება და ლიტერატურული ღვაწლი ერკლადაა წარმოდგენილი „ქართლის ცხოვრების“ მასალებში და საისტორიო პოემებში: ფეშანგის „შაჰნავაზიანში“, ჩვენი პოეტისავე „თეიმურაზის ცხოვრებაში“ და სხვაგან.

ბიოგრაფიის შესასწავლად დაუფასებელია თვით არჩილის შემოქმედება. აქ გამოგვცა პოეტმა თავისი ცხოვრების ცალკე მხარეები. „აღორბინების პერიოდის“ პოეტთა ისტორიული ბედი თითქმის ერთნაირი იყო. იშვიათად ნახავთ რომელიმე მათგანს, რომ დიდხანს შეენარჩუნებინოს სამეფო ტახტი. ისინი ითვლებოდნენ ნომინალურ მეფეებად და მერ დროს ატარებდნენ მეზობელ დამპყრობელთა კარზე. დამახასიათებელია, რომ ოთხი უკანასკნელი მეფე პოეტი (თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგი და თეიმურაზ მეორე) გარდაიცვალა სხვა ქვეყანაში. თეიმურაზ პირველი — ირანში (ასტარბადს), სამი უკანასკნელი პოეტი — რუსეთში.

არჩილის სახელმწიფოებრივ — პოლიტიკური მოღვაწეობა მე-17 საუკუნის მეორე ნახევარზე მოდის. იგი სხვადასხვა დროს იყო იმერეთის და კახეთის მეფედ. 1661 წ. გამეფდა იმერეთში და ამდროიდან 1699 წლამდე ხუთჯერ დაჰკარგა სამეფო ტახტი და ხუთჯერვე აღიდგინა. 1663 წელს არჩილს ირანის მეფის კარზე ეხდებოდა. მან არჩილს დაარქვა შაჰნავაზიანი. 1664 წ. უბოძა კახეთის სამეფო ტახტი (ქართლის ცხოვრება, II, 52, 126;) 1675 წ. არჩილმა განიზრახა ისევ იმერეთის ტახტზე ასვლა.

ეს მოახერხა 1675 წელს. ერთი წლის შემდეგ კვლავ იძულებულ გახდა მიეტოვებინა ტახტი. 1681 წლიდან პოეტის სოფელ ფაიქოში სცხოვრობს, ოსეთს. იქ შეუდგა იგი „თეიმურაზის ცხოვრების“ წერას:

„ოსეთს ვეყავ ფაიქოში საქართველოს გამოცდილმა ბიბლიოქომაში
რა ამაზედ მომაცალა სოფლის ბრუნვამ ვითა ჩრდილმა“ („თეიმურაზიანი“, 706).

ფაიქოშიდან პოეტი მეფე ვაჟგზავრა რუსეთს, ასტრახანს, სადაც 1684 წლამდე დაჰყო. ამ პერიოდში ამთავრებს „თეიმურაზიანს“ და სწერს „სოფლისა და კაცის გაბაასებას“.

რუსეთიდან დაბრუნებული (1690 წელს მესამედ დაიბრუნა იმერეთის სამეფო ტახტი) არჩილი ერთი წლის შემდეგ კვლავ აიძულეს დაეტოვებინა ტახტი. პოეტს სურდა ისევ რუსეთს წასულიყო, მაგრამ შთიულებმა გზა შეუკრეს და ვერ მოახერხა წასვლა. 1695 წელს ისევ ხელთ იგდო იმერეთის ტახტი. ისევ დაჰყარა და გაძევებული იქნა იმერეთიდან. უკანასკნელად 1698 წ. ავიდა იმერეთის ტახტზე, მაგრამ მალე დაატოვებინეს მეფობა. 1699 წლიდან არჩილი სცხოვრობდა რუსეთში, სადაც გარდაიცვალა 1713 წელს.

არჩილის ყველა ლექსი საქართველოში მოღვაწეობისა და რუსეთში ცხოვრების ეპოს უნდა დაეწეროს. მისი ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობა 1681—1705 წლებში სძინს.

არჩილი ჩვენ გვებატება პირველ ქართველ კრიტიკოსად. მანამდე ჩვენ არ გვეგულება ისეთი შეწერალი, რომელსაც ასე დაწვრილებით გაეცნოს „ძველი და ახალი დროის ქართველი მეღვქმენი.“ (არჩილისავე გამოთქმა). თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებასთან ერთად მან ცალკე თეში გაგვიცნო 13 პოეტი:

- არჩილმა პოეტთა შესაფასებლად შემდეგი საზომი აიღო:
1. რამდენადაა პოეტი განსწავლული საღმრთო ცოდნით,
 2. როგორ იცავს იგი ენის სიწმინდეს,
 3. შეუძლიან თუ არა მას მეტოქეობა გაუწიოს რუსთველს.

არჩილის აზრით, რუსთველი და თეიმურაზი იმითი არიან ძლიერნი, რომ ორივეს აქვთ სამღვდელთა და საერო ცოდნა:

„ორი არის სიტყვის ცოდნა სამღვდელთა და საერო;
სამღვდელთოსა მკოდნარე საეროსა შორით,
ამათ ორთავ მსკოდნებით დაუზარავთ მათ სწორით“

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოეტი ენის სიწმინდეს. ვაცხარებულ კამათში თეიმურაზს ათქმევინებს რუსთველის წინააღმდეგ:

„შემოიღე ჯავახური ენა მძიმეო“.

მაგრამ იგი თეიმურაზსაც უწუნებდა ენას:

„ეგ ნუ გვონია სხვა ენა მეც არ ვიკოდე სხვასავით,
მაგრამ ცუდია გარევა“ („თეიმურაზიანი“).

„კარგა თქმული“ ენობრივად სწორად გამართული ლექსი მიაჩნია ჩვენს პოეტს: „კარგის მთქმელმა გამაგონა სიტყვა მჭვერი არ მაგონაო“. პოეზიის სიამაყედ იგი ენის სიწმინდეს სთვლის:

„მითქვამს ქართლის ენითა სხვა ენა არ ურევიაო“

მაგრამ პოეტი ამას ვერ ასრულებდა თავის შემოქმედების პრაქტიკაში. მან პირველმა შემოიტანა ძველ ქართულ პოეზიაში რუსიციზმის ელემენტები (ხმარობს „ცარი“, „დერო“ და სხვა).

არჩილის შემოქმედების კრიტიკული ნაწილი შეიქცა „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებასა“ და „ძველი და ახალი დროის ქართველ მეღვქმეთა შესახებ“. პირველში პოეტმა-კრიტიკოსმა თავი მოიყარა ყველა იმ გადმოცემას თუ ცნობას, რაც

მის გავლენა რუსთველზე. მეორეში გაგვიანო თანამედროვე და ძველი დროის 13 პოეტი: ჩახრუხაძე, ზოსრო თურმანიძე, ნანუკაშვილი, ჯაგლაგა ფაფლენიშვილი, ქაიხოსროშვილი, ნოდარ ფარსადანიძე, გარსევანი ჩოღატყაშვილი, ნოდარ იონაშვილი, ბირძიმ ვაჩანაძე, იაკობ სამეხველი, ფემონგ ფაშავი ბერტყაძე, ბაივა დვალაძე, დათუნაქვაჩიანი.

ამ პოეტებს არჩილ მეტად ზოგადად ახასიათებს. მან კარგად იცოდა, რომ ძნელია პოეტის ლიტერატურული ღვაწლის დაფასება. ამიტომ მეტად ფრთხილად ეკიდებოდა იგი პოეტის გარჩევას:

„არ ადვილი არს ჩიტორთა და მელექსეთა გარჩევა,
ძალთა და ლექსთა სიტკბოთა მის მის ალაგას შერჩევა“

ასევე მოითხოვდა იგი პოეტის შემოქმედების დაფასებას:

„გაშინჯეთ სიბრძნის ტრფიანო კარგად მოთქომს თუ ივადო“.

არჩილი ამხელს იმათაც, ვისაც არ შეუძლია პოეტური შემოქმედების დაფასება. „აწ გაშინჯეთ თქვენს წინაშე ლექსი ტბილი არ მომეღოს“.

მაგრამ მაშინც ამას ბრძანებთ [სხვისგან] რაიმე გარდამომეღოს“.

ეს ყოველივე, რაც შეიძლება ითქვას არჩილზე, როგორც კრიტიკოსზე. მეორე მხრივ არჩილს დიდი მნიშვნელობა აქვს „რეალისტური ტენდენციის დადგენაში აღორძინების პერიოდში“.

ზოგიერთ სამეცნიერო და პოპულარულ შრომაში აქა-იქ შეხედებით საკითხის დაყენებას ძველი მწერლობის „რეალისტური ტენდენციის“ შესახებ*. მაგრამ ეს თემა ჯერ არავის გაუხდია სპეციალური კვლევის საგნად. ჯერ კიდევ 1870 წ. თეიმურაზ მეორის „სარე თქმულთას“ გამომცემელი გრიგოლ ქორქაშვილი ამჩნევდა რეალისტურ ან, როგორც ის ეძახდა, „მართალ პოეზიას“ ძველ მწერლობაში. თეიმურაზ მეორის პოეზიას იგი უწოდებს „მართალს არ ნაჟორს“ (4,9). მისი აზრით, „თეიმურაზი სიმართლით წონავს რუსთველს“ (4,12). მართლაც, თუ ღრმად ჩაუკვირდებით „აღორძინების პერიოდის მწერლობას“, დავინახავთ, რომ აქ გარკვეულად წარმოდგენილია რეალისტური ნაქადა. რეალიზმი დაუპირისპირდა ირანულ ფანტასტიკას, დაუწყო კამათი რუსთველის პოემას, რომელშიც მან დაინახა „მოჭორილ-მოგონილი“ ამბები და დაიწყო ძიება საკუთარი „ნაციონალური თემატისა“. თანამედროვეებს აღარ აცმაყოფილებდა მშრალი სქოლასტიზმი, ზეცხვენიერი ფანტასტიკა და ზღაპრული სუვერტები, რომელიც აგრე მძლავრად იყო წარმოდგენილი „აღორძინების მწერლობაში“. ძნელი იყო რუსთველის პოეზიასთან დაპირისპირება, როცა არჩილს თქმით:

„ვინც ვერ მიყვებს რუსთველს თქმულსა, გადმოზრძანდეს ასე, აქეთ,

მელექსობა არ შეშვენის დააყენეთ მოსაბაჭეთ“ (თეიმურაზიანი, 1853 წ., 720)

მაგრამ ლიტერატურული თანამედროვეობა სწორედ არჩილ მეფე პოეტის სახით დაუპირისპირდა რუსთველს. მრავალმხრივ გადაფასებასთან ერთად რუსთველს დაუწყვეს პოლემიკა „რეალისტურ პოზიციაზე“ მდგარმა პოეტებმა. ეს საქმე წამოიწყებს პოეტმა ფეშანგმა, არჩილ მეფემ და იოსებ სააკაძემ, ზო-

*) პროფ. კ. კეკელიძე, II, 20, 443; მისივე „პერიოდიზაცია“, გვ. 67.

ფეშანგის „შანაგაზიანი“, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, გვ. LII, LIII, LV. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, გვ. 35 — 36.

ლო ამა თუ იმ შემთხვევაში განავითარეს თეიმურაზ წყორცხე ურამიშვილმა და ბესიკმა. ლიტერატურას უნდა აესაზა სინამდვილე, უნდა შეაგონებინა ზალხისთვის, რომ გაერთიანების გარეშე მათ განადგურებას მოჰყვებოდა.

„ტყვილის პოეზიას“ უწოდებს რუსთველის პოემას თეიმურაზ წყორცხესთან ერთად დაწვერ ტყვილზე, რაც სიტყვი არ იყო წესით“ (ანთოლოგია, II, 177). ტრიელ, ნესტან, თინათინ, აეთანდილ, და „ვეფხვის-ტყაოსნის“ ყველა გმირი შოთას ფანტაზიის ნაყოფია და არც ერთი მათგანი სინამდვილიდან ამოდებული არ არის. ისინი პოეტს „დასახავს ტყვილად“. ნამდვილად კი, „თქმეა მართალზე თქმულიყო, რა ტყვილი საკითხველია“-ო (ანი, II, 179) ჩვენი რეალისტები მოითხოვენ, რომ პოეზიამ ასახოს სინამდვილე და მასში მომქმედი გმირი ისე, როგორც არის. საუკეთესო მსაჯული პოეტისთვის მკითხველია. არჩილი პირდაპირ სთხოვს მკითხველს — „მომიძიე შეცთობილი“. სახობრო პოეზია გმირს ასახავდა ყოველთვის ზედადამიანურად. მის ქება-დიდებათ ამკობდა და მის დიდებით ქვედობას გვისახავდა. პოეტი არჩილი „თეიმურაზიანის“ პროზულ შესავალში სწორედ ხოტბას უპირისპირებს თავის „მართალ პოეზიას“, როგორც ის ეძახის. აქ მოცემულია, თუ შეიძლება ითქვას, მისი „რეალისტური თეორიის“ არსება. „არა ხოტბა, არამედ მართალი“, სწერს იგი (წ.-კ. ხელნაწერი № 2116, გვ. 5 verso). არჩილის აზრით, პოეტი ახლოს უნდა იცნობდეს გმირს. მან უნდა ჰკითხოს „თვით მნახავთა“. იგი მართლად გამოკითხავდა ყველას, ვინც რამე იცოდა თეიმურაზზე. მეტად დაბეჯითებით ამტკიცებს პოეტი ამას: „რაც მას მოდა ან მენახა ამბავი ესთქვი მე მართლები... სიმაართლე და კულაე სიმრუდე ვინ ქა“... (წ.-კ. ხელნაწერი № 2116, 47 verso) იმ ლიტერატურულ ფაქტებს, რომლებიც ჭარბულ ნაციონალურ თემატიკას არ ეხება, არჩილი „ზღაპრულ ამბებს“ უწოდებდა. არჩილი ხოლო მასზე ადრე თეიმურაზ პირველი „სპარსთა საჰორ ამბებს“ უწოდებდა. არჩილი პირდაპირ უპირისპირდება ირანულ ფანტასტიკას: „სხვას ზღაპრულ ამბავს ისევე მართალი ამბავი ვარჩიე ვასალექსად“, სწერს იგი (წ.-კ. ხელნაწერი № 2116, გვ. 5). მას სურს, რომ საქართველოს სინამდვილე „მართლად დაგვიხატოს“ და გვიჩვენოს შვიდი ლექსით უღირსი ფეოდალები, ხოლო გმირს დასასრულამდე მიჰყვეს:

„—თავად ბატონი მე ვნახე სიბერიით მუდომი კლბოსა,
ველარ ცხენ მუდომი შემძლები“ („თეიმურაზიანი“, 689).

ასევე ახლო იცნობდა თავის გმირებს პოეტი ფეშანგი: „თვით მინახავს პატრონისა ძალი სიძუნე ჯოშარდობაო“, სწერს იგი („შაჰნავაზიანი“, 12). წინააღმდეგ მეხოტბეებისა, ჩვენი „რეალისტები“ გვისურათებენ გმირთა უარყოფითი მხარესაც: „ამაში ბევრი დასახედავი ავისა და კარგის სიტყვები ვეკობ შემზვდა საქართველოს მეფეებზედო“, სწერს არჩილი (წ.-კ. ხელნაწერი №2112, გვ. 6). უფრო გაბედულია ამ მხრივ დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი:

„მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყვილისა მოამბე რად
ვერას უქებ საძაგელთა უფერულთა პირსაფერად,
მე თუ ვინდა თავი მომჭრან, ტანი გაფდეს ვასაბერად
და ვინც არ ჰვავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“ (დავითიანი, 170).

მეორე ადგილას პოეტი შენიშნავს, რომ „კარგი როგორ უნდა აეს თუ იგი არ უწოდო“ (138) არჩილი, თუ შეიძლება ითქვას, „თავისუფალი შემოქმედების მომხრეა“ მისი აზრით, თეიმურაზ პირველი სწორედ იმით „წონის“ რუსთველს, რომ მან (თეიმურაზმა) თავისი ნებით გამოთქვა.

მაგრამ, ცხადია, „მართალი პოეზია“, რაზედაც ასე ხშირად გაიძახიან ჩვენი „რეალისტები“, ისევე და ისევე ფეოდალურ კლასის სიმაართლეა. ვახტანგ მეექვსისა არ იყოს, თავის კანონებში, რომ ამბობს: „თქვენგან შემოქმედი მეტს არა ითხოვს, თუ არ სიმაართლესო“ (ჩუბინიშვილი, ჭრესტომატია, 1846. II.), სიმაართლედ ის მიიჩნია, ყმის სისხლი ყველაზე უფრო იაფად შეაფასოს. აღსანიშნავია, რომ არჩილს თავის

„მანანტებში“ გადმოცემული ამბები, რომლებიც დღეიერ დიდუბისათვის არს განკუთვნილი, „მართალ პოეზიად“ მიიჩნდა. ამგვარად ეს „სიმართლე“, „ნაღვლილი პოეზია“ გაგებულა ფუნქციონალური კლასობრივი იდეოლოგიის ექსპლუატაციული საშუალო საშთარებების გავრთიანება, მოსპობა შინაგანი კინელაობისა, რომელიც ასე დღრნიდა მონარქიული წესწყობილების ძლიერებას. ლიტერატურის ამ პირველი რიგის სოციალ-პოლიტიკური საკითხისათვის უნდა ეპასუხა. ასეთი საქმის შესრულება თავს იღვეს „რეალისტურ“ პოზიციაზე მდგომარეობა პოეტებში. მათ თემატიკაში ეს მომენტი (ფეოდალურ საქართველოს გავრთიანება) წითელი ზოლივით არის გატარებული. პოეტ ფეშანგის პირდაპირ ენატრება ისეთი მეფე, რომელიც დარღვეულ ქვეყნის გააერთიანებს. მის პოემაში თანაბრად მოქმედებენ დიდი და მცირე გმირები, გადმოცემულია უზრალ მიზეზით ხშირად ომის იტუხა ცალკე სამთავროებს შორის და დადიანებისა და სხვათა თავგასულობა. პოეტს დასახელებული აქვს საქართველოს შინაგანელოვანი ადგილები, მათ შორის ხონი, ქუთაისი.

არჩილის „რეალისტი“ დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდა. ყოველ შემთხვევაში დამტკიცებულია, რომ იგი არ იცნობდა ფეშანგის „შანაგაზიანს“.

ღრმა ფსიქოლოგიურ სახეებში აღწერა არჩილმა ქართველი მეფეების უნიკო პოლიტიკა და ქართველი ფეოდალების ინტერესების ხლართი. მის „თეიმურაზიანში“ წამოყენებულია თითქმის ყველა საკითხი, რომელიც ფეოდალურ-არისტოკრატიულ კლასს აწუხებდა, მათ შორის აღმოსავლეთთან—ირანთან, თურქეთთან—თუ რუსეთთან დამოკიდებულების საკითხი.

„რეალისტური ტენდენცია“ განსაზღვრავს არჩილის თემატურ რკალს. ის იყენებს „ძველ თემატიკასაც“. ასეთია: საწუთროსადმი მდრევა, ზნეობრივ-დიდაქტური აზრები. არჩილს, როგორც მაღალი გრძობების ადამიანს, არ აკმაყოფილებდა ყოველდღიური ცხოვრების საკითხები. იგი ზრძნობდა „წუთი სოფლის წარმავლობას“ გრძნობდა, რომ ცხოვრება წარმავალია. ყოველ დღეს მოაქვს შემცირება ამ ქვეყნად ყოფნის ვადისა. სოფელი არავის გაიტანს: „სოფელს კაცო, კაცს სოფელი მუდამ ზრახვენ სიმუხთელსა“. დამაჯერებლადია გადმოცემული მუნაზარეს ან, რაც იგივეა გაბაასების სახით, „გაბაასება კაცისა და სოფლისა“. ესამართლო ხარ, უწყალო, ვით მულახელი სენია“, მიმართავს არჩილი სოფელს. პოეტი ადამიანთა ტარჯისა და წვალების მიზეზებს ბიბლიური ამბებით ხსნის: ადამმა და ევამ შესკოდეს და ამიტომაც იწავრება ადამიანთა.

დიდაქტიკის არაა მოკლებული „კაცისა და სოფლის გაბაასება“. არჩილს, როგორც ფეოდალურ კლასის პოეტს, უთქვამს:

„თავად დიდებულთ მონათა დიდთა ანუ მცირეთა
პირველად სჯული მეორედ ყველა ეს დაპირეთა,
თავის პატრონთა დამონდით, ვარგ გულად ნუ ავპირეთა,
და სჯულის თავთ ებისკოპოზთა თავდაბლად ემსახურეთა.“^{*)}

თუ საბამ ზნეობრივი დარიგებანი იგაეებით წარმოგვიდგინა, არჩილმა ვალეკა ყველა ის ზნეობა, რომელიც კი საქართველოში იყო ცნობილი:

„საქართველოში იტყვიან სამას სამოცდა ხუთსაო,
ზნეობას სხვის არ აგდებენ ქვეყნისას, თუ არ მათსაო,
იპურნი რამ ყველანი ვთქვი, ვერაგენ დამიხუთსაო,
ეს დაუცს, მავრამ მე ვგონებ უფრო ბევრ ზნუთათსაო“ („საქართველ ზნეობანი“).

*) S ფონდის ხელნაწერი № 1621 გვ. 128 B 4.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	23-
პროლეტარიატის დიდი მხატვარი („პრავდას“ მოწინავე)	5
მიხეილ ჯავახიშვილი — ქალის ტვირთი (რომანი. გაგრძელება)	9
ი. მოსაშვილი — არაგვს (ლექსი)	36
ვ. ქუჩიშვილი — ორი ლექსი	38
ხ. თავაძე — ფრთები (რომანი. გაგრძელება).	40
კ. ჭიჭინაძე — შუა აზია (პოემა)	66
სანდრო ეული — ტარას შევჩენკო (ლექსი)	77
ვ. ლანგოფი — გრძელი ფიცრების ღამე	78
გ. კაკაბიძე — ორი ლექსი	116
ლ. ჭიჭინაძე — იქვე (მოთხრობა)	117
ნ. ნეკრასოვი — ყინვა (პოემა)	136

ლიბერატორის ისტორია

გ. ქიქოძე — ვაჟა-ფშაველას ფშავ-ხევსურეთი	170
ვ. ჯიბლაძე — ნ. ბარათაშვილი და ი. ლერმონტოვი.	179

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ნ. ურუშაძე — ნიბელუნგები ქართულად	219
---	-----

წარსულიდან

ი. მუენარგია — ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან	232
---	-----

გიგლიოგრაფია

ტ. რუხაძე — არჩილი	250
------------------------------	-----

